

იმედის გაცრეება

უნდა გამოგიტყდეთ, ერთი უცნაური კაცის ნაამბობმა სულით ხორცამდე შემადრწუნა და ვშიშობ, იქნებ ახლა ვერც შევძლო იმგვარად გადმოვცე მისი ნაამბობი, რომ სხვებაც ჩემსავით ააღელვოს. ვინ იცის, იქნებ ჩემზე იმ უცნაურმა გულახდილობამაც იმოქმედა, რაც სრულიად უცნობმა კაცმა გამოიჩინა.

ის უცნობი პირველად ამ ორიოდე თვის წინ, შემოდგომის ერთ მშვენიერ დილას შევნიშნე პიაცა სან მარკოზე. ვრცელ მოედანზე ცოტა ხალხი იყო. დიდებული შენობის თავზე, რომლის მდიდრული, ზღაპრული კონტურები და ოქროს სამკაულები თვალწარმტაცად ელვარებდნენ ნაზი ფირუზისფერი ცის ფონზე, მსუბუქი ზღვაური დროშებს აფრიალებდა. მთავარ შესასვლელთან პატარა გოგონა საკენკს უყრიდა ირგვლივ მორიალე მტრედებს, რომელთა ახალ-ახალი გუნდები ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ. საოცარი, შეუდარებელი, საზეიმო სანახაობა იყო.

აქ შევხვდი პირველად იმ უცნობ ადამიანს და ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, საკვირველი სიცხადით მიდგას იგი თვალწინ. უცნობი საშუალო სიმაღლისა ძლივს იქნებოდა. დადიოდა სწრაფად, წელში მოხრილი, ორივე ხელში ჩაბღუჯული ჯოხი ზურგს უკან ეჭირა. შავი ქვაბქუდა ეხურა, მუქბოლებიანი შარვალი ეცვა და ღია ფერის წამოსასხამში იყო გახვეული. მე იგი რატომღაც ინგლისელად მივიჩნიე. უცნობი შეიძლება ოცდაათი წლის ყოფილიყო, შეიძლება ორმოცდაათისაც. მიმქრალი, ნაცრისფერი თვალები, მომსხო ცხვირი და სუფთად გაპარსული სახე ჰქონდა. ბაგეებზე მუდამ გაურკვეველი, შეცბუნებული კაცის ღიმილი დასთამაშებდა. დროდადრო წარბებს აზიდავდა, ირგვლივ მიმოიხედავდა, შემდეგ ისევ მიწას დააშტერდებოდა, რაღაცას ჩაიბურტყუნებდა, თავს გაიქნევდა და გაიღიმებდა.

იმ დღიდან მოყოლებული უცნობს თვალს არ ვაშორებდი. ეტყობოდა, სხვა საქმე არ აწუხებდა და ყოველთვის მოედანზე სეირნობდა. დარსა და ავდარში, შუადღისას თუ ნაშუადღევს, ყოველთვის მარტო, ყოველთვის უცნაურად მოლიმარი, ორმოცდაათჯერ მაინც ჩაისეირნებდა პიაცა სან მარკოზე.

იმ დაუვინყარ საღამოს მოედანზე სამხედრო ორკესტრი უკრავდა. მე კაფე „ფლორიანის“ ერთ-ერთ მაგიდას ვუჯექი, რომელიც პირდაპირ მოედანზე გამოეთანათ. კონცერტი რომ დამთავრდა, შეჯგუფებულმა ბრბომ დაძლა დაიწყო. უცნობი, როგორც ყოველთვის, უმიზეზოდ მოლიმარე, ჩემ გვერდით, ახალგათავისუფლებულ მაგიდას მიუჯდა.

დრო გადიოდა. ირგვლივ თანდათან სიჩუმე ისადგურებდა. კაფე დაცარიელდა. მოედანზე აქა-იქ თუ გაიჭაჭანებდა ვინმე. დიდებული სიმშვიდე გამეფდა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა და სან მარკოს მდიდრული თეატრალური ფასადის თავზე ნახევარმთვარე

დაეკიდა.

მე, ჩემი მეზობლისკენ ზურგმუქეული, გაბეთს ვკითხულობდი. ის იყო წასვლა დავაპირე, რომ სულმა წამძლია და მისკენ ოდნავ შემოვბრუნდი. უცნობი, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა, მოულოდნელად ალაპარაკდა.

– თქვენ პირველად ხართ ვენეციაში, ბატონო ჩემო? – მომმართა დამტვრეული ფრანგულით. სანამ ინგლისურად გაპასუხებას მოვახერხებდი, მან სუფთა გერმანულ ენაზე გააგრძელა ლაპარაკი. უცნობს ჩახლეჩილი, დაბალი ხმა ჰქონდა და ყელის ჩასანმენდად ხშირად ახველებდა.

– თქვენ ყველაფერ ამას პირველად ხედავთ? გაგიმართლდათ კი მოლოდინი? იქნებ მეტს არც ელოდით? ჰა! ეგებ უფრო ლამაზად არც გქონდათ წარმოდგენილი? ასეა ხომ? იქნებ ამას მხოლოდ იმიტომ ამბობთ, რომ გინდათ თქვენი ბედნიერება შემურდეთ?

უცნობი უკან გადაიხარა და თან დამაკვირდა. რაღაც გაურკვეველი გამომეტყველება ჰქონდა და თვალებს სწრაფად ახამხამებდა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. უკვე აღარ ვიცოდი, ეს უცნაური საუბარი როგორ უნდა გაგრძელებულიყო და ხელახლა წამოდგომა დავაპირე. უცნობი მოულოდნელად ჩემკენ გადმოიხარა.

– იცით თუ არა, ბატონო ჩემო, რა არის იმედის გაცრეება? – შემეკითხა იგი წყნარად და დაჟინებით, თან თავის ჯოხს ორივე ხელით დაეყრდნო. – პატარა, უმნიშვნელო ხელის მოცარვა კი არა, დიდი, საერთო იმედის გაცრეება, რომელსაც ცხოვრება ადამიანს უმზადებს! ეს თქვენ არ გეცოდინებათ. მე კი ახალგაზრდობიდან მისი მეგზური ვარ და ამან უული, უბედური და, უნდა გამოვტყდე, ცოტა უცნაურიც კი გამხადა.

შეგიძლიათ კი გამიგოთ, ბატონო ჩემო? მაგრამ, ალბათ, ორიოდვე წუთით ყურადღებას არ დამამადლით. ორიოდვე წუთით, რადგან გულგატეხილობის გამოხატვას, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, დიდი დრო არ დასჭირდება.

ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ გავიზარდე პატარა ქალაქში, პასტორის ოჯახში. ჩვენი სახლის ბედმეტად სუფთა ოთახებში ძველმოდური პედანტური სწავლულობის ოპტიმიზმი სუფევდა. იქ ყველაფერი სუნთქავდა საეკლესიო კათედრისათვის დამახასიათებელი რიტორიკით, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით სიკეთესა და ბოროტებაზე, მშვენიერებასა და სიმახინჯეზე. როგორ მძულს ყოველივე ეს, რადგან, ალბათ, მხოლოდ ამ სიტყვებს მიუძღვის ბრალი ჩემს ტანჯვაში.

ჩემთვის ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ამ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებისგან შედგებოდა, რადგან წუთისოფლის არაფერი გამეგებოდა, გარდა ხელშეუხებელი, ბუნდოვანი წარმოდგენებისა, რომლებსაც ჩემში ეს სიტყვები იწვევდა. ადამიანებისგან მხოლოდ ღვთიურ სიკეთეს ან შემადრწუნებელ ბოროტებას მოველოდი, ცხოვრებისგან მე მოველოდი ზეალმტაც სიმშვენიერეს ან უკიდურეს სიმახინჯეს და ყოველივე ამის დანაფების დაუოკებელმა წყურვილმა შემიპყრო, შემიპყრო შიშნარევმა სწრაფვამ სინამდვილისკენ, განცდისკენ, სულერთია, ეს ნათელი ბედნიერება იქნებოდა თუ ენით აუნერეელი, წარმოუდგენლად საშინელი ტანჯვა.

ბატონო ჩემო, მე მაგონდება პირველი იმედის გაცრეება ჩემს ცხოვრებაში. გთხოვთ გამიგოთ, რომ ეს არ ყოფილა რაიმე მშვენიერი იმედის გაქარწყლება. ეს იყო დიდი უბედურების დასაწყისი. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა მამისეულ სახლში ღამით ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი მთელ შენობას მოედო, დაიწვა პირველი სართული, საცა იყო, ალი კიბესაც შთანთქავდა. მე პირველმა შევნიშნე ცეცხლის ენები და, მახსოვს, მთელი სახლი ყვირილით შევძარი: ცეცხლი! ცეცხლი!

ბუსტად მახსოვს ეს წამოძახილი, ვიცი რა გრძნობაც ედო მას საფუძვლად, თუმცა მაშინ გარკვევის თავი არ მქონდა. „ეს არის ცეცხლის სტიქიონი, – შევიგრძენი მე უნებურად. – აი, უკვე განვიცდი მას, მაგრამ... ნუთუ ხანძარი ამაზე საშინელი არ არის, ნუთუ სულ ეს არის?“

ღმერთმა ხომ იცის, რომ ეს უბრალო ამბავი არ ყოფილა. მთელი სახლი დაიფრთხლა. ოჯახი ძლივს გადარჩა ხიფათს, ხოლო მე საკმაოდ დავმავდი. სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ჩემს ფანტაზიას მშობლიური სახლის დაწვა უფრო შემადრწუნებლად

ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე სინამდვილეში მოხდა, მაგრამ ჩემს არსებაში ჩასახული იყო გაურკვეველი წინათგრძნობა, უსხეულო წარმოდგენა რაღაც უფრო მეტი საშინელებისა და მასთან შედარებით სინამდვილემ ყოველგვარი ძალა დაკარგა. ხანძარი იყო ჩემი პირველი დიდი განცდა, რომელმაც გააქარწყლა საშინელების მოლოდინი.

არ შეშინდეთ, ბატონო ჩემო, არ ვაპირებ ყოველი ჩემი განბილების სათითაოდ ჩამოთვლას. საკმარისია ვთქვა, რომ დაუოკებელი ეჭვით შეპყრობილმა პოეტების ნაწარმოებებიდან შევითვისე ცხოვრებისგან რაღაც დიდის მოლოდინი. ეჰ, მე შემძულდნენ ეს პოეტები, რომლებიც თავიანთ მაღალფარდოვან სიტყვებს აბნევენ ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ, ხოლო რომ შეეძლოთ, ვებუფში ჩანებული ვედრით ცის კაბადონზე მიაწერდნენ თავიანთ სიბრძნეს. მე კი არ ძალმიძს ყოველი ასეთი სიტყვა დიდ სიცრუედ ან ბოროტ დაცინვად არ მივიჩნიო. აღფრთოვანებულმა პოეტებმა მიმღერეს, ადამიანის ენა ღარიბიაო. არა, ბატონო ჩემო! ენა, ჩემი აზრით, მდიდარია, აუნერლად მდიდარი, ცხოვრების შეზღუდულობასა და უმწეობასთან შედარებით. ტკივილს აქვს თავისი საზღვრები: ფიზიკურს – გულის წასვლამდე, სულიერს – სიგიჟემდე, ბედნიერებას ასევეა. ადამიანთა ურთიერთგაგებინების მოთხოვნილებამ კი ბგერები გამოიგონა, რომლებსაც მოტყუებით გაყვავართ ამ საზღვრებს მიღმა. განა ჩემი ბრალია, რომ ეს სიტყვები ზურგის ტვინამდე ჩამდევს და ისეთ წარმოდგენებს მიღვიძებს, რაც საერთოდ არ არსებობს?

მე ამ ყბადაღებულ ცხოვრებაში შევიჭერი, ჩემი წინათგრძნობების შესატყვისი განცდების წყურვილით სავსე. ღმერთო, მიშველე, ეს განცდები ბედმა როდი მარგუნა. მე დავხეტილობდი დედამიწის ქებული ადგილებისა და ხელოვნების ქმნილებათა სანახავად, რომელთა წინაშე მოწინებით ქედს იხრის კაცობრიობა. მე ვმდგარვარ ამ ქმნილებათა წინ და მითქვამს: მშვენიერია! და მაინც, ნუთუ არ არსებობს ამაზე მეტი მშვენიერება? ნუთუ ეს არის ყველაფერი?

მე არაფერი გამეგება ფაქტობრიობისა. ალბათ, ის ყველაფერს ხსნის. ერთხელ, სადღაც, უძირო უფსკრულის პირას ვიდექი. კედლები შიშველი და ციცაბო იყო, ძირს კი წყალი ეხეთქებოდა ლოდებს. ვიცქირებოდი ქვევით და ვფიქრობდი: რა მოხდება, რომ გადავვარდე-მეთქი. ეს რომ მომხდარიყო, ჰაერში ალბათ ჩემს თავს ვეტყოდი: აი, ვვარდები. ახლა ეს ფაქტია! მერე რა?!

დამიჯერებთ თუ არა, საკმაოდ ბევრი უბედურება გადავიტანე იმისთვის, ასეთი საუბარი რომ შემძლებოდა! დიდი ხნის წინ მიყვარდა გოგონა, ნაზი და უმანკო არსება. თუკი მოისურვებდა, თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდი, სიკვდილამდე მფარველობას გავუწევდი, მაგრამ მას არ ვუყვარდი. არაფერია აქ საკვირველი, სხვას ერგო წილად მისი სიყვარული. არსებობს განა ამ ვნებათაღელვასთან გადაჭაჭვულ გულისტკივილზე გამანადგურებელი რამ? რამდენი ღამე გამითენებია თეთრად და ყველაზე სამწუხარო, ყველაზე სანამებელი მაინც ერთი აზრი იყო: ეს მართლაც უდიდესი ტკივილია! და აი, მე განვიცდი ამ ტკივილს! მაგრამ... კაცმა რომ თქვას, რა არის მერე ეს?

განა ღირს, ჩემს ბედნიერებაზედაც მოგიტხროთ? ბედნიერებაც განმიცდია, მაგრამ აქაც გამიცრუვდა მოლოდინი. ამის მოყოლა არც არის საჭირო, რადგან ეს უხეში მაგალითები ვერ ახსნის ცხოვრების არსს, მის მღორე, უინტერესო და უფერულ სრბოლას, რამაც იმედი გამიცრუა, იმედი.

„რა საბრალოა ადამიანი, ეს განდიდებული ნახევარღმერთი, – წერს ერთგან ახალგაზრდა ვერთერი, – განა ადამიანს სწორედ იქ არ ღალატობს ძალა, სადაც ყველაზე მეტად სჭირდება მხნეობა, განა სწორედ მაშინ არ უბრუნდება ყრუ, ცივ განსჯას, როცა იგი სიხარულითაა შეპყრობილი, ან ვნებაშია ჩაძირული და უსასრულობის განცდაში ჩაკარგვისკენ მიისწრაფვის?“

მაგონდება ის დღე, როცა პირველად ვიხილე ბღვა. იგი უზარმაზარია, უკიდევანო. ჩემი მზერა ნაპირს გასცდა და ხსნის იმედი დამებადა, მაგრამ შორს ჰორიზონტმა უზარმაზარი ბღვაც შემოფარგლა. რად მინდოდა ჰორიზონტი, როცა ცხოვრებისგან უსასრულობას მოველოდი?

შეიძლება ჩემი ჰორიზონტი უფრო ვიწროა, ვიდრე სხვა ადამიანებისა? მე გითხარით, რომ მაკლია ფაქტების გაგების უნარი, ან იქნებ გაზვიადებული აზრი მაქვს მასზე, იქნებ მალე

მეცლება ძალა, იქნებ მალე მთავრდება ჩემთვის ყველაფერი? ნუთუ ბედნიერებასა და ტკივილს მხოლოდ უმდაბლეს ხარისხში, მხოლოდ დაკნინებულ მდგომარეობაში ვიცნობ?

მე ეს არ მჯერა; არც იმ ადამიანებისა მჯერა, რომლებიც ცხოვრებასთან პირისპირ დგომისას პოეტების ამაღლებულ სიტყვებს ეფარებიან, – ეს სიმხდალეთა და სიცრუე!

ბატონო ჩემო, ალბათ შეგიმჩნევიათ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ისე მედიდურნი არიან, ისე მოწყურებულნი ღრმა პატივისცემას და სხვებში მემურნეობის გაღვიძებას, რომ თავს დებენ, თითქოს მხოლოდ უდიდესი ბედნიერება განუცდიათ და არასოდეს დატანჯულან.

ბნელა და თქვენ ძლივსლა მისმენთ. დღეს კიდევ ერთხელ მინდა ვაღიარო, რომ მეც მქონდა შემთხვევა, ასეთ ადამიანებთან სიცრუე მეთქვა, რომ საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის თავი ბედნიერად მომეჩვენებინა, მაგრამ კარგა ხანია დამემსხვრა პატივმოყვარეობა და სულ მარტო დავრჩი, უბედური და ცოტა უცნაურიც კი გავხდი.

ახლა ღამით ცაზე ვარსკვლავებს ვაკვირდები. ეს ჩემი საყვარელი საქმიანობაა. განა ეს საუკეთესო საშუალება არ არის ამქვეყნიური ცხოვრებისგან მოსაწყვეტად? განა არ მეპატიება, რომ შესაძლებლობას ვიტოვებ, ჩემი წარმოდგენები მაინც შევინარჩუნო, ვიოცნებო თავისუფალ ცხოვრებაზე, სადაც სინამდვილე, ჩემი ფანტაზიის შესაბამისად, გულგატეხილობის მტანჯავი ნაშთის გარეშე ხორციელდება, იმ ცხოვრებაზე, სადაც აღარ არსებობს ჰორიზონტი?

ვოცნებობ ამაზე და ველი სიკვდილს. ეჰ, კარგად ვიცი, რომ ეს იქნება ჩემი უკანასკნელი იმედის გაცრუება. მჯერა, უკანასკნელ წუთებში ვეტყვი ჩემს თავს: ეს არის სიკვდილი? აი ესეც! ვაცმა რომ თქვას, რა არის მერე ეს?

მაგრამ მოედანზე აცივდა, ბატონო ჩემო?! მადლობა ღმერთს, ამის შეგრძნება მაინც გამაჩნია, ჰი-ჰი! უმორჩილესად გეთხოვებით, Adieu!

1896

პატარა ბატონი ფრიდემანი

ფრიდემანების ოჯახში დატრიალებული უბედურება გადიას ედებოდა ცოდვა-ბრალად; ქალბატონმა ფრიდემანმა, როგორც კი ეჭვი აიღო, რომ გადია სასმელებს ეტანებოდა, დიდხანს უჩიჩინა, ხელი აიღე სმაზეო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ადრე ყოველდღიურად თავისი ხელით აძლევდა ყუათიან ლუდს, მერე ერთი ჭიქა წითელი ღვინოც წაუმატა, მაგრამ ამითაც ვერ დააოკა გადია. მალე ისიც გამოირკვა, გამზრდელი თურმე სპირტქურისთვის ნაყიდი სპირტის დალევასაც არ ერიდებოდა. ფრიდემანებმა ახალ გადიას დაუწყეს ძებნა, მაგრამ სანამ ვინმეს გამონახავდნენ, ამასობაში უბედურებაც დაატყდათ თავს. ერთ დღეს, სეირნობიდან დაბრუნებულ ქალბატონს და მის სამ გოგონას ჩვილი იოჰანესი მაგიდიდან გადმოვარდნილი დახვდათ. იატაკზე განრთხმული ერთი თვის ბავშვი საცოდავად კრუსუნებდა, მთვრალი გადია კი გამოთაყვანებული სახით იდგა შორიახლო.

ექიმმა კრუნჩხვამორეულ ჩვილს ფრთხილად მოუსინჯა სხეული და ძალიან შეშფოთდა. დები კუთხეში მიყუჟულიყვნენ და გულამომჭდარნი სლუკუნით ტიროდნენ, თავზარდაცემული ქალბატონი კი ხმამაღლა ლოცულობდა.

საბრალო ქალს უკურნებელმა სენმა ბავშვის დაბადებამდე გამოაცალა ხელიდან მეუღლე, რომელიც ნიდერლანდებში კონსულად მსახურობდა. ამ უბედურებამ ქალბატონი ფრიდემანი სულიერად ისე გატეხა, რომ პატარა იოჰანესის გადარჩენის იმედი აღარა ჰქონდა. ექიმმა მხოლოდ ორი დღის შემდეგ ჩამოართვა ხელი ქალს, პატარის გადარჩენა მიულოცა და ანუგეშა: მთავარი საფრთხე გადატანილია, ბავშვს სახეზე ეტყობა, რომ ტვინის მსუბუქმა შერყევამ გაუარა – თვალები ისე უაზროდ აღარა აქვს გაშტერებული, ადრე რომ ჰქონდა... ცხადია, მოთმინება, ბავშვის ჯანმრთელობაზე ფიქრი და, როგორც ამბობენ, იმედიანად ყოფნა, უკეთესის მოლოდინი გმართებთო.

მაღალსახურავიანი რუხი სახლი, რომელშიც იოჰანეს ფრიდემანი იზრდებოდა, ძველი

სავაჭრო დაბის ჩრდილო კარიბჭესთან მდებარეობდა. ქვის ფილებით დაგებული ფართო დერეფნიდან თეთრად შეღებილი მოაჭირიანი ხის კიბე ადიოდა ზედა სართულში. პირველ სართულზე სასტუმრო ოთახი ჰქონდათ მოწყობილი. პეიზაჟებით მოხატული შპალერიანი კედლები უკვე გახუნებულიყო. ოთახის შუაში წითელი ხის მაგიდა იდგა. მაგიდას პლუმის მუქი წითელი სუფრა ეფარა და ირგვლივ ხმელსაზურგიანი სავარძლები ჰქონდა შემორიგებული.

იოჰანესს ბავშვობისას დედის ფერხთით, დაბალ სკამზე უყვარდა ჯდომა. ფანჯრის გადაღმა ბამთარ-მაფხულ ყვაოდა საუცხოო ყვავილები. ბავშვი უცქერდა დედის გულდასმით დავარცხნილ ჭაღარაგარეულ თმას, კეთილ, ღვთისნიერ სახეს, მისი ტანსაცმლის საამო სურნელს ისუნთქავდა და თან მომაჯადოებელ ზღაპრებს ისმენდა. ხშირად ეჭირა ხელში ის სურათი, რომლიდანაც მამამისი, მხიარული სახის, ჭაღარა ბაკენბარდებიანი ვაცი უდიმოდა. დედა ეტყოდა ხოლმე: ის ბეცაშია და ჩვენ ყველას იქ მიგველისო.

სახლის უკან პატარა ბაღი ჰქონდათ. მაფხულობით ნიავს შაქრის ქარხნიდან მძიმე, მოტკბო, გახურებული ჰაერი მოჰქონდა ბაღში და იქ ყოფნა ზოგჯერ ჭირდა, მაგრამ ფრიდემანები თითქმის მთელ დღეს მაინც ამ ბაღში ატარებდნენ. ერთი ასწლოვანი, ნუურიანი ვაკლის ხე ედგათ. იოჰანესი ამ ხის ძირში, დაბალ სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და თხილს აკნატუნებდა, დედა და უკვე წამოჩიტული დები კი რუხი ქერელის ტილოს კარავს იყვნენ შეფარებულნი. დედა ხელსაქმეს მალიმალ ნყვეტდა თვალს და სიყვარულითა და სიბრაღულით გახედავდა ხოლმე შვილს.

პატარა იოჰანესი არ იყო ლამაზი ბავშვი. მეტად უცნაური შესახედი იყო, როცა დაბალ სკამზე წამოსკუპებული, მკერდამოზნეცილი, კუბიანი და ჩხირივით გაჩხინკული არსება თავდავინწყებით მარჯვედ კვნიტდა ვაკალს. ეგეც არის, რომ იოჰანესს ნაზი, კოხტა ხელ-ფეხი, ფართო, თაფლისფერი თვალები, მოხდენილი პირი და რბილი თმა ჰქონდა. მართალია, თავი საბრალოდ ჩავარდნოდა მხრებს შორის, მაგრამ მისი სახე მაინც თავისებურად მიმზიდველი იყო.

შვიდი წლისა სასწავლებელში მიაბარეს და ერთფეროვანი დღეებიც სწრაფად წაეწყო ერთმანეთს. პატარა იოჰანესი მაღალსახურავიანი სახლებისა და სავაჭრო ფარდულების გავლით კუბიანისთვის დამახასიათებელი სასაცილო სერიოზულობით მიაბიჯებდა ხოლმე გოთიკურთაღებიანი სკოლის ძველი შენობისკენ. როცა საშინაო დავალებას მოითავებდა, ფერად გარეკანში ჩასმულ ლამაზ წიგნებს კითხულობდა ან ბაღში რაღაცას საქმიანობდა. ამ დროს მისი დები საოჯახო საქმეებში ეხმარებოდნენ ხანში შესულ დედას. ფრიდემანები ქალაქის მაღალ წრეს ეკუთვნოდნენ და ქალიშვილებს ქალაქის საზოგადოებაში ტრიალი უწევდათ. რაკი არც დიდი ქონება ებადათ და საკმაოდ შეუხედავებიც გახლდნენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გაუთხოვრები იყვნენ.

იოჰანესის ტოლები დროდადრო მასაც მიიწვევდნენ ხოლმე სტუმრად. მაგრამ მათთან ურთიერთობა ბავშვს არ ახარებდა. ერთად თამაში არ გამოსდიოდათ და, რაკი ტოლები მასთან ყოველთვის შებორკილად გრძნობდნენ თავს, მათ შორის ამხანაგური დამოკიდებულების გაჩენაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

გავიდა ხანი და სკოლის ეზოში თავმოყრილმა თანაკლასელებმა სულ უფრო მოუხშირეს მათი ასაკისთვის შეუფერებელ თემაზე საუბრებს. ყურადღებად გადაქცეული იოჰანესი სულგანაბული ისმენდა, რა გატაცებით ლაპარაკობდნენ ამხანაგები გოგონებზე – ისმენდა და ღუმდა. ის, რაც ასე აინტერესებთ და ახარებთ მათ, – ამბობდა გულში, – ისევე მიუწვდომელია ჩემთვის, როგორც ვარჯიში და ბურთაობა. ზოგჯერ წუხდა ამაზე, მაგრამ თანდათან შეეჩვია გარიყულობას და თავის თავში ჩაიკეტა.

გადასახდენი მაინც გადახდა. ჩვიდმეტი წლისას მოულოდნელად თანაჯგუფელის და, თავისი კბილა ქერა გოგონა შეუყვარდა. ერთმანეთს ძმამ გააცნო. ამ ჩიტივით უბრუნველი და მხიარული არსების დანახვაზე იოჰანესს უცნაურად ეკვროდა სუნთქვა. გოგონა მოკრძალებით, ყალბი თანაგრძნობით ექცეოდა და ეს დამოკიდებულება იოჰანესს ღრმა მწუხარებას ჰგვრიდა.

ერთხელ, მაფხულში, ნაშუადღევს, იოჰანესი მარტო მისეირნობდა ქალაქის განაპირა მიწაყრილისკენ. უცებ ჩურჩული შემოესმა უცვეთელას ბუჩქიდან. ფრთხილად მიაყურა:

სკამზე ის გოგონა და ერთი წითური, აყლარწული ბიჭი ისხდნენ; იოჰანესი კარგად იცნობდა ბიჭს. ის გოგონას ეხვეოდა და ტუჩებში კოცნიდა. გოგონა ხითხითებდა და კოცნაზე კოცნით პასუხობდა. შეძრწუნებული იოჰანესი ფეხაკრეფით გამობრუნდა და იქაურობას გაეცალა. თავი უფრო ღრმად ჩაუვარდა მხრებში, ხელები აუკანკალდა, მძიმე, სულის შემხუთავი ბოღმა მკერდიდან ბურთივით მოაწვა ყელში. მაგრამ ნაღველს მოერია და რამდენადაც შეეძლო წელში მხნედ გაიმართა. „კეთილი, – თქვა თავისთვის, – ეს იყოს პირველი და უკანასკნელი. ასეთი რამ სამუდამოდ უნდა აღვკვეთო. ის, რაც სხვებს კმაყოფილებას და სიხარულს ანიჭებს, მე ყოველთვის დარდსა და ტანჯვას მომიტანს. მორჩა და გათავდა! ასეთი რამ აღარ გამეორდება!“

ასე რომ გადაწყვიტა, გულზე მოემვა. იოჰანესმა სამუდამოდ, სამუდამოდ უარყო სიყვარული. სახლში დაბრუნებულმა გულის გადაყოლება ჯერ წიგნზე სცადა, მერე ვიოლინო ჩამოიღო და დაუკრა, – მახინჯი მკერდის მიუხედავად, საკმაოდ კარგად უკრავდა ვიოლინოს.

ჩვიდმეტი წლისამ სწავლას თავი მიანება და, როგორც მის წოდებას ჰქონდა წესად, სავაჭრო საქმეს მოჰკიდა ხელი, ბატონ შლიფოგტს დაუდგა შეგირდად ქვევით, მდინარის პირზე გაშენებულ ხეტყის ქარხანაში. თანამშრომლები კარგად ეპყრობოდნენ, ისიც თავის მხრივ გულთბილობას და თავაზიანობას იჩენდა და ასე მშვიდად და აუმღვრევლად გადიოდა დრო. ოცდაერთი წლის იოჰანესს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დედა გარდაეცვალა.

ფრიდემანისთვის ეს მძიმე უბედურება იყო და ამ ტკივილს დიდხანს ატარებდა გულში; მწუხარებას დიდ ბედნიერებასავით მიეძალა, დაენათა, ბავშვობის წლების უამრავი მოგონებით იძლიერებდა და, როგორც თავის პირველ უმძიმეს განცდას, გულმოდგინედ უფრთხილდებოდა.

განა სიცოცხლე თავისთავად დიდ სიკეთეს არ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ჩვენთვის ისე მოწყობილი, ბედნიერ ცხოვრებას რომ უწოდებენ ადამიანები? – იოჰანესმა იგრძნო ეს და სიცოცხლე შეიყვარა. უარყო ის უდიდესი ბედნიერება, ცხოვრება რომ ანიჭებს ადამიანებს, სამაგიეროდ იმ სიკეთით ტკბობა ისწავლა, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა. გაზაფხულზე ქალაქგარეთ გასეირნება, ყვავილის სურნელი, ფრინველთა გალობა, – განა შეიძლება ამდენმა სიკეთემ მადლიერებით არ აღავსოს ადამიანი?

იმასაც მიხვდა, რომ ტკბობის უნარის დასახვეწად განათლება იყო საჭირო, მიხვდა, რომ განათლება თავისთავად ტკბობა იყო და აკი ნათლდებოდა კიდევ. მუსიკა უყვარდა და ქალაქში გამართულ ყოველ კონცერტს ესწრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიოლინოს დაკვრისას უცნაური შესახედავი იყო, თანდათან რიგიანად დაეუფლა ამ ინსტრუმენტს და წარმატებით აღებული თითოეული თბილი და სასიამოვნო ბგერა სიხარულს ჰგვრიდა. ბევრი კითხვით ლიტერატურული გემოვნება დაიხვეწა, თუმცა ამ საგანზე ქალაქში არავის ესაუბრებოდა. თვალს ადევნებდა საზღვარგარეთის და მშობლიურ ახალ გამოცემებს. კარგი ლექსის გემო გაგებული ჰქონდა და ნამდვილი ხელოვანის მიერ დანერგილი ნოველის ინტიმის განცდა შეეძლო – ერთი სიტყვით, ნამდვილი ეპიკურელი გახლდათ!

მიხვდა, რომ სიამოვნების წყაროდ ყველაფერი გამოდგებოდა, რომ უგუნურება იყო მოვლენების დაყოფა ბედნიერებისა და უბედურების მომტანად. ყოველ განცდას თუ განწყობას ხალისით ეგებებოდა და ერთნაირად ელოლიავებოდა, – არ დაგიდევდათ, გაამხიარულებდა თუ სულს მოუშხამავდა ის. ყველაზე მეტად აუხდენელი ნატვრა, ოცნება უყვარდა. ოცნება უყვარდა ოცნებისთვის და თავისთვის ამბობდა: ოცნების ახდენის შემდეგ სიცარიელის შეგრძნება ეუფლება ადამიანსო. განა გაზაფხულის მშვიდი საღამოს ტკბილი, მტანჯველი, ბუნდოვანი კაემანი და მოლოდინი ზაფხულში ახდენილ ოცნებაზე მეტ ნეტარებას არ გვანიჭებსო? – მართლაც რომ ნამდვილი ეპიკურელი გახლდათ პატარა ბატონი ფრიდემანი!

იმ ადამიანებმა, რომლებიც ქუჩაში ჩვეულებისამებრ თანაგრძნობით და თავაზიანად ესალმებოდნენ ფრიდემანს, ალბათ გუმანიტაც კი არ იცოდნენ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ცხოვრებასთან ამ საბრალო მახინჯს, ღია ფერის წამოსასხამსა და პრიალა ცილინდრში გამოწყობილი სასაცილო სერიოზულობით რომ გამოჩნდებოდა ხოლმე ქალაქის ქუჩებში (უცნაურია და, ცოტა კევლუცობა უყვარდა ფრიდემანს), არ

იცოდნენ, რა ნაზი სიყვარულით უყვარდა სიცოცხლე, რომელიც იოჰანესისთვის აუმღვრევლად, მდორედ მიედინებოდა, მაგრამ მშვიდი და მაღალი ბედნიერებით აღავსებდა. ამ ბედნიერებას ის დიდის ხელოვნებით უმზადებდა საკუთარ თავს.

ბატონ ფრიდემანს ყველაზე მეტად მაინც თეატრი იტაცებდა, თეატრი იყო მისი ნამდვილი ვნება. პიესის განცდის საოცარი უნარი ჰქონდა თანდაყოლილი და ტრაგედიის დაძაბული სიტუაციების ან კულმინაციის დროს მის დაღეულ სხეულს ცახცახი იპყრობდა. თეატრის პირველი იარუსის აბონემენტი ჰქონდა შეძენილი და იშვიათად თუ გამოტოვებდა წარმოდგენას. ზოგჯერ თეატრში დებიც ახლდნენ. დედის გარდაცვალების შემდეგ ქალებმა თვითონ იკისრეს მთელი იმ მეურნეობის გაძლოლა, რაც მემკვიდრეობით დარჩათ.

სამწუხაროდ, დები ისევ გაუთხოვრები იყვნენ. ეგეცაა, რომ წლების მომატებასთან ერთად გათხოვების პრეტენზიამ იკლო, – უფროსი და ჩვიდმეტი წლით მაინც იყო ძმაზე ხნიერი. ის და მისი მომდევნო ჰენრიეტა ცოტა აწონილები და გამხდრები იყვნენ, ხოლო უმცროს დას, ბურთივით მრგვალ და ტანმორჩილ ფიფის, სასაცილო ჩვეულება ჰქონდა: ლაპარაკის დროს ცმუკავდა და თან პირზე ნერწყვი ადგებოდა.

პატარა ბატონ ფრიდემანს გულითადი ურთიერთობა არასდროს ჰქონია დებთან. სამაგიეროდ, ქალები კარგად იყვნენ ერთმანეთში და ყველაფერზე მუდამ ერთი აზრისანი გახლდნენ. ეს ერთსულოვნება განსაკუთრებით მაშინ იჩენდა ხოლმე თავს, როცა რომელიმე ნაცნობი ქალიშვილის დანიშვნის ამბავს შეიტყობდნენ. ერთხმად აცხადებდნენ: ამ ამბით დიდად ვართ გახარებულიო.

ფრიდემანი დებს არც მაშინ გაყრია, როცა ბატონ შლიფოგტის ხეტყის საწარმოს თავი მიანება და თვითონ დააარსა სავაჭრო სააგენტო თუ რაღაც მსგავსი დანესებულება. ეს საქმე დიდ ჯაფად არ დასწოლია. ფრიდემანების ბინაში იოჰანესს რამდენიმე ოთახი ეკავა ქვედა სართულზე და ბევით მხოლოდ პურის საჭმელად თუ ადიოდა, ამას იმიტომ ფრიდებოდა, რომ კიბებზე ასვლა-ჩამოსვლისას ზოგჯერ ქოშინი მოერეოდა ხოლმე.

ივნისის ერთ მზიან დღეს, როცა პატარა ბატონ ფრიდემანს ოცდაათი წელი შეუსრულდა, ნასადილევს რუხ კარავში შევიდა, თავი იმ ყურთბალიშს მიაყრდნო, რომელიც ჰენრიეტამ საკუთრად მას შეუკერა, ძვირფას სიგარას მოუკიდა და საინტერესო წიგნი გადაშალა. დროდადრო წიგნს თვალს მოსწყვეტდა, სახლისკენ რომ მიემართებოდა, იმ ხრეშმოყრილ ბილიკს და ნაირფერი ყვავილებით დამშვენებულ კორდს უყურებდა და ძველი კაკლის ხის ტოტებში შეფენილი ბელურების ჟღურტულს ისმენდა.

პატარა ბატონი ფრიდემანი წვერს არ ატარებდა. სახეზე თითქმის სულ არ იყო შეცვლილი. მხოლოდ ნაკვთები გამკვეთრებოდა ოდნავ. რბილი, ოქროსფერი თმა თხემთან შუაზე გაეყო და გვერდზე გადაეყარცხნა.

ბოლოს, როცა წიგნი მუხლებზე დაუშვა და მილუღული თვალები ლურჯი, გასხივოსნებული ცისკენ აღაპყრო, გაიფიქრა: აი, ოცდაათი წელი უკვე გავიდა, გაივლის კიდევ ათი ან, შეიძლება, ოცდაათიც – ბუსტად მხოლოდ ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი წელი დამრჩენია. ეს დარჩენილი წლებიც ასე უკვალოდ და უშფოთველად გამიქრება თვალსა და ხელს შუა, როგორც ოცდაათი წელი გაქრა და მე ამ წლებს სულიერი სიმშვიდით მოველი.

იმავე წლის ივლისში ახალი უფროსი დაუნიშნეს ოლქს. ამ ამბავმა მთელი ქალაქი შეძრა. ძველ უფროსს, ჩასუქებულ, მხიარულ მამაკაცს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ მხარეს, ქალაქის საზოგადოება ძალიან იყო შეჩვეული და დათმობა უჭირდა. ეშმაკმა უწყის, როგორ მოხვდა ობერლეიტენანტი ფონ რინლინგენი მის ადგილზე. თუმცა ამ ცვლილებას ურიგო პირი არ უჩანდა: რაკი ახალმა ობერლეიტენანტმა, რომელიც ცოლიანი, მაგრამ უშვილო აღმოჩნდა, ქალაქის სამხრეთ გარეუბანში მოზრდილი ვილა იქირავა, საზოგადოებამ დაასკვნა, ახალი უფროსიც ხელგამლილად აპირებს ცხოვრებასო. ამ კაცის სიმდიდრეზე გავრცელებული ხმები იმითაც დადასტურდა, რომ მან ოთხი მსახური, ხუთი შესაბამელი და სადოღე ცხენი, ლანდო და მსუბუქი, სანადირო ეტლი ჩამოიყოლა თან.

მას შემდეგ, რაც ახალი უფროსი ჩამოსვლისთანავე მეუღლის თანხლებით ქალაქის

რჩეულ ოჯახებს ეწვია, მათი სახელი ყველას პირზე ეკერა. ბატონ ფონ რინლინგენზე მეტად მისმა მეუღლემ მიიპყრო ყურადღება. მამაკაცები იმდენად დააბნია ამ ქალმა, რომ ერთხანს ვერც კი გაერკვნენ, მაინც ვისთან ჰქონდათ საქმე. მანდილოსნებს კი გერდა ფონ რინლინგენი აშკარად არ მოუვიდათ თვალში.

– დედაქალაქის ყაიდაზე რომ ირჯება ეს ქალი, არავის უკვირს, – უთხრა ერთხელ ვეჩილის მეუღლემ, ქალბატონმა ჰაგენშტორმმა, ჰენრიეტა ფრიდემანს, – პაპიროსს რომ ეწვია და ცხენს დააჭენებს, ესეც გასაგებია! მაგრამ თავისუფლად კი არა, პირდაპირ აგდებულად უჭირავს თავი. თუმცა ეს სიტყვა ბუსტად ვერ გამოხატავს მის ქცევას. თავადაც შეამჩნევდით, მეუხედავი არ არის, პირიქით, მოხდენილიც კი ეთქმის და მაინც ქალური მიმზიდველობისა არაფერი სცხია: მის გამოხედვაში, ღიმილში, მიმოხვრაში მამაკაცების მოსაწონი არაფერია. პრანჭიაობა არ უყვარს და, ღმერთია მოწმე, ამას ნაკლად არ ვუთვლი. მაგრამ ახალგაზრდა ქალს, – ისიც ოცდაოთხი წლისას – განა ეპატიება ბუნებისგან მინიჭებული ქალური მიმზიდველობის ერთიანად უგულვებლყოფა? ძვირფასო, მართალია, ენა არ მიჭრის, მაგრამ ის მაინც ვიცი, რისი თქმაც მინდა. ჩვენს მამაკაცებს ამ ქალისგან ჯერ ისევ თავგზა აქვთ აბნეული, მაგრამ აი, ნახავთ, რამდენიმე კვირაში მთლიანად თუ არ გაუცრუვდეთ იმედი და მერე ზედაც აღარ შეხედავენ.

– საბრალოს რაღა ეშველება! – ჩაილაპარაკა ჰენრიეტა ფრიდემანმა, – იმას უიმათოდაც არაფერი უჭირს!

– მერე ქმარს, ქმარს როგორ ექცევა?! ნეტა ერთი გაჩვენათ! ნახავთ კიდევ! ყოველთვის იმას გავიძახი, გათხოვილ ქალს მოპირდაპირე სქესისადმი დიდი თავდაჭერა მართებს-მეთქი, მაგრამ არც ისეთი გულცივი დამოკიდებულება ვარგა, როგორსაც ქალბატონი ფონ რინლინგენი იჩენს. ყინულივით ცივი თვალებით უყურებს ქმარს და თითქოს სიბრაღულით ეუბნება: ჩემო მეგობარო... სიმართლე გითხრათ, ნერვები მეშლება ამ დროს! თან არ იკითხავთ, როგორია ეს კაცი: ახოვანი, ორმოცი წლის პირობაზე შესანიშნავად თავშენახული, გამოწვეპილი, მხნე ოფიცერი, რაინდივით წარმოსადეგი! ძვირფასო, იცით, სულ რაღაც ოთხი წელია, რაც ერთად ცხოვრობენ, აბა!

პატარა ბატონ ფრიდემანს ქალბატონ ფონ რინლინგენტან შეხვედრამ ქალაქის მთავარ ქუჩაზე მოუნია; ქუჩა მთლიანად სავაჭრო დანესებულებებს ეკავა. ეს შეხვედრა შუადღის ხანს მოხდა, როცა ფრიდემანმა ბირჟაზე რაღაც უმნიშვნელო საქმე დაამთავრა და შინ ბრუნდებოდა.

ჩია ფრიდემანი სერიოზული სახით მიაბიჯებდა მრგვლად შემოკვეცილ ბაკენბარდებიან და ჯიღანარბებიან ახმას, უგერგილო დიდვაჭრის, შტეფენსის გვერდით. ორივეს ცილინდრი ეხურა. ცხელოდა და წამოსასხამები გადაეხსნათ. ხელჯოხებს რიტმულად მიაკაკუნებდნენ ქვაფენილზე და პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. როცა ქუჩის ნახევარი თითქმის გაიარეს, უცებ დიდვაჭარმა შტეფენსმა წამოიძახა: – ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი, აქეთ თუ რინლინგენის ცოლი არ მოდიოდეს!

– სწორედ ვარგ დროს გამოვიარეთ, – წვრილი, ცოტა მკვეთრი ხმით თქვა ბატონმა ფრიდემანმა და ცნობისმოყვარედ გახედა ქუჩას, – სახით ჯერაც არ ვიცნობ. აგერ, ყვითელი ეტლიც გამოჩნდა!

დღეს ქალბატონი ფონ რინლინგენი მართლა ყვითელი სანადირო ეტლით სეირნობდა. ბედაურებს თვითონ მართავდა, მეეტლე კი გულხელდაკრეფილი იჯდა უკან. ღია ფერის ფართო ჟაკეტი და ქვედატანი ეცვა. ყავისფერი, ტყავისლენტიანი ჩალის ქუდიდან საფეთქლებთან წმინდად ავარცხნილი და კისერზე დიდ ტალღად დაფენილი ოქროსფერი თმა მოუჩანდა. თოვლივით ქათქათა, მოგრძო სახეზე სიმკრთალე დაჰკრავდა და ერთმანეთთან უჩვეულოდ ახლო განლაგებული ნაბლისფერი თვალების უპეებზე მოლურჯო ჩრდილი გადაჰკვროდა, მოკლე, მაგრამ კოხტა ცხვირზე დაყრილი ჭორფლი უხდებოდა. ტუჩებს განუწყვეტლივ ამოძრავებდა და ცხენს უწრუპუნებდა, ამიტომ მისი ბაგეების ავკარგიანობაზე ძნელი იყო რამის თქმა.

როდესაც ეტლი გაუსწორდათ, დიდვაჭარი შტეფენსი მოწინებით მოიხარა წელში და ფონ რინლინგენის მეუღლეს მიესალმა. პატარა ბატონმა ფრიდემანმაც მოუხადა ქუდი, გაკვირვებული მიაჩერდა სახეში. ქალმა მათრახი დაუშვა, მისალმებაზე თავის ოდნავი დაკვრით უპასუხა და წელა განაგრძო გზა, თან ქუჩის ორივე მხარეზე შენობებსა და

ვითრინებს ათვალეერება.

ორიოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, დიდვაჭარმა თქვა: – სასეირნოდ ყოფილა და ახლა შინ ბრუნდება.

პატარა ბატონმა ფრიდემანმა არაფერი უპასუხა; ჩაფიქრებული დაჰყურებდა ქვაფენილს.

მერე უცებ აიღო თავი და იკითხა: – რა ბრძანეთ?

ბატონმა შტეფენსმა „ღრმაზროვანი“ შენიშვნა გაიმეორა.

ამ შეხვედრის შემდეგ სამმა დღემ განვლო. სეირნობიდან ფრიდემანი იმ დღეს შინ თორმეტი საათისთვის დაბრუნდა. სადილამდე კიდევ ნახევარი საათი იყო დარჩენილი და ის იყო კარიდან ხელმარჯვნივ მოთავსებულ სამუშაო ოთახში აპირებდა შესვლას, რომ ზღურბლზე მსახური გოგონა გამოჩნდა და მოახსენა: – ბატონო ფრიდემან, სტუმრები არიან თქვენთან.

– ჩემთან?

– არა, ზევით, თქვენს დებთან ბრძანდებიან.

– ვინ არიან?

– ბატონი რინლინგენი და მისი მეუღლე.

– ჰა... – შეიშმუშნა ფრიდემანი, – მაშინ მეც... ახლავე... – და ზევით ავიდა. სასტუმრო ოთახის თეთრ, მაღალ ვარს მიადგა, სახელურს ხელიც კი მოჰკიდა, მაგრამ ბოლოს შესვლა გადაიფიქრა, ნაბიჯი უკან გადადგა, შემობრუნდა და ისევ კიბეს დაუყვა. მარტო იყო, მაგრამ მაინც ჩაილაპარაკა: „ნამდვილად ასე ჯობია!“

სამუშაო ოთახში ჩავიდა, საწერ მაგიდას მიუჯდა და თავი გაბეთში ჩარგო. მალე გაბეთი გვერდზე გადადო, სარკმელს მიაჩერდა. მანამდე იჯდა ასე გარინდებული, სანამ მოახლე გოგონა არ შემოვიდა და მოახსენა, სადილი მზად გახლავთო. ზევით, სასადილო ოთახში დები უცდიდნენ. ფრიდემანი ავიდა და იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელზედაც სამი სქელი სანოტო რვეული იდო.

ჰენრიეტამ ძმას წვნიანი დაუსხა და ჰკითხა: – იოჰანეს, იცი ვინ იყვნენ ჩვენთან?

– მაინც ვინ?

– ოლქის ახალი უფროსი და მისი მეუღლე.

– მართლა? დიდი თავაზიანობა გამოუჩენიათ.

– მართალს გეუბნება, – წამოიძახა ფიფი და პირზე ნერწყვი მოადგა. – მე ორივე ძალიან მომეწონა.

– ასეა თუ ისე, არც ჩვენ უნდა დავაყოვნოთ და იქით უნდა ვენვიოთ. მოდი, ზეგ, კვირას ვესტუმროთ! – თქვა ფრიდერიკამ.

– ვესტუმროთ კვირას, – დაეთანხმნენ ჰენრიეტა და ფიფი.

– იოჰანეს, შენც წამოხვალ, არა? – ჰკითხა ძმას ფრიდერიკამ.

– ცხადია, წამოვა! – თქვა ფიფი და აცმუკდა. გარინდული ფრიდემანი მოღუშული სახით ხვრეპდა წვენს და დის კითხვას ყურიც არ ათხოვა. იჯდა განაბული და თითქოს რაღაც უცხო ხმაურის მოახლოებას, უჩვეულო მოძრაობის დაბადებას უგდებდა ყურს.

მეორე დღეს თეატრში „ლოენგრინი“ უნდა წარმოედგინათ. ქალაქის მთელი განათლებული საზოგადოება იქ იყო თავმოყრილი. ხალხით გაჭედული პატარა დარბაზში ყურისწამლები ზუზუნი, გაზისა და პარფიუმერიის სუნი იდგა. ყველა თეატრალური ბინოკლი სცენის გვერდით მოთავსებული ოცდამეათე ლოჟისკენ იყო მიმართული. ამ ლოჟაში რინლინგენები ისხდნენ. ისინი პირველად ესწრებოდნენ წარმოდგენას და საზოგადოება ამ წყვილის ბედმინევნით დათვალეერების შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა.

როცა უნაკლო შავ კოსტიუმში და გაქათქათებულ, ამობურცულ გულისპირიან პერანგში გამოწყობილი პატარა ბატონი ფრიდემანი თავის ლოჯაში შევიდა, – მისი ლოჯაც ოცდამეათე იყო, – შეცბა, უკან დაიხია, შუბლზე ხელი მოისვა, ნესტოები აუთრთოლდა, ბოლოს თავს მოერია და ქალბატონი ფონ რინლინგენის ხელმარცხნივ თავის სკამზე ჩამოჯდა.

ქალმა ყურადღებით შეათვალიერა ახალმოსული და ტუჩი აიბზუა. მერე უკან მდგომ მეუღლეს მიუბრუნდა და რაღაც უთხრა. მისი ქმარი ახოვანი, მხარბეჭიანი კაცი იყო და აპრეხილულვაშებიანი, მზემოკიდებული, კეთილი სახე ჰქონდა.

როცა დარბაზში უვერტიურა გაისმა და ქალბატონი ფონ რინლინგენი მოაჯირზე გადაიხარა, ბატონმა ფრიდემანმა თვალი გააპარა მისკენ. ქალი საბალო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მანდილოსნებიდან მხოლოდ მას ჰქონდა მკერდი შესამჩნევად დეკოლტირებული. კაბა მხრებზე ნაკვეცებად დაეყენებინა, თეთრი ხელთათმანის ყელი იდაყვამდე უწვდა. ამ საღამოს ოდნავ ჩასუქებული ჩანდა. იმ დღეს ქუჩაში ხალვათი უაკეტი ეცვა და ფრიდემანმა ეს სისავსე მაშინ ვერ შეამჩნია. ქალი ღრმად და თანაბრად სუნთქავდა: სავსე მკერდი მშვიდად აუღ-ჩაუდიოდა. ხშირი ქერა თმის ჭავლი მხრებამდე უწვდა.

ბატონი ფრიდემანი სანთელივით გაფითრდა და შუბლზე გადატკეცილი ქერა ქოჩრის ქვეშ ოფლმა დაასხა. ქალბატონმა ფონ რინლინგენმა ხელთათმანი ჩამოიწია. თოვლივით თეთრი, სავსე, უსამკაულო მკლავი, რომელზეც მოლურჯო ძარღვი აჩნდა, მთელი მოქმედების მანძილზე წითელ ხავერდგადაფარებულ მოაჯირზე ჰქონდა ჩამოდებული. ფრიდემანმა ვერაფრით მოსწყვიტა თვალი ქალის მკლავს.

ვიოლინოები აკვნესდნენ, იქაურობა ბუკის ხმამ მოიცვა, ამღერდა ტერლამუნდი, ორკესტრი მთელი ძალით ახმიანდა. გაფითრებული პატარა ბატონი ფრიდემანი კი მონუსხულივით იჯდა, თავი მხრებში ჩაუვარდა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩზე აიფარა, ხოლო მეორე ხელი ჟილეტში ჩაიყო.

ქალბატონი ფონ რინლინგენი ფარდის დაშვებისთანავე წამოდგა და ქმართან ერთად ლოჯიდან გავიდა. ბატონმა ფრიდემანმა გვერდზე მიუხედავად დაინახა ეს. შუბლზე ცხვირსახოცი მოისვა, ადგილიდან წამოხტა, კართან მივიდა, ფოიეში გასვლა დააპირა, მაგრამ უკან დაბრუნდა, თავის ადგილზე დაჯდა და ისევ გაირინდა.

ზარი დარეკეს. მაყურებლები ლოჯაში დაბრუნდნენ. ფრიდემანმა ზურგზე ქალის მხერა იგრძნო და უნებურად შეხედა. ქალი არც შემკრთალა და არც თვალი მოურიდებია, პირიქით, იმდენ ხანს უყურა უტიფრად, რომ იოჰანესი გატეხა და დამარცხებულივით დაახრევირა თავი. ფრიდემანი ამან უფრო გააფითრა. უცნაურმა ბრაზმა სასიამოვნოდ დაუარა სხეულში. – იქაურობას მუსიკის ხმა მოედო.

მოქმედების დასასრულს ქალბატონ ფონ რინლინგენს ხელიდან როგორღაც მარაო გაუვარდა და ბატონი ფრიდემანის ფერხით დაეცა. ასაღებად ორივე ერთდროულად დაიხარა, მაგრამ ქალმა დაასწრო და გამქირდავი ღიმილით მადლობა გადაუხადა. მათი თავები ამ დროს თითქმის შეეხო ერთმანეთს. ფრიდემანს ქალის მკერდის სურნელი ეცა. სახე შეეცვალა, სხეული დაეძაგრა და გული ისე აუჩქროლდა, რომ სუნთქვა შეეკრა. ნახევარი წუთი კიდევ გაძლო ლოჯაში, მერე სკამი უკან დასწია, უხმაუროდ წამოდგა და გავიდა.

ფრიდემანმა, თითქოს ვიღაცას გაურბისო, სწრაფად გაიარა ფოიე; გარდერობში ცილინდრი, ღია ფერის წამოსასხამი და ხელჯოხი გამოართვა, კიბე ჩაიარა და ქუჩაში გავიდა.

თბილი, მშვიდი საღამო იდგა. ქუჩაში გაზის ფარნები აენტოთ. ანონილსახურავიანი შენობები მდუმარედ აღმართულიყვნენ მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე. უკაცრიელ ქუჩაზე კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა ვინმე და მალე ისევ თვალს მიეფარებოდა. რამდენიმე გამვლელი მიესალმა კიდევ ფრიდემანს, მაგრამ მან ვერაფერი შეამჩნია. თავჩაქინდრული მიდიოდა და ისე ღრმად სუნთქავდა, რომ ამოვარდნილი გულ-მკერდი უთრთოდა.

– ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! – ხმამაღლა ამბობდა დროდადრო.

შემფოთებული ფრიდემანი ძრწოლით ადევნებდა გულისყურს თავისი სულის ამღვრევას, აფორიაქებას. იგრძნო, რომ ვნება, რომელსაც დღემდე ასე ფაქიზად და ბრძნულად იყურებდა და ელოლიავებოდა, თავის წართმევას ლამობდა. რაღაცა ძალამ ანაზღად დაჯახნა, თავბრუ დაახვია, გააბრუა და მწარე კაემნით განმსჭვალა. იოჰანესი ფარნის ბოძს მიეყრდნო და ათრთოლებული ხმით ჩაიჩურჩულა: – გერდა!

ირგვლივ ყველაფერი დუმდა. ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ იყო. პატარა ბატონმა ფრიდემანმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და გზა განაგრძო. მდინარისკენ დაქანებული ქუჩა, რომელზედაც თეატრი მდებარეობდა, უკან მოიტოვა და ქალაქის ჩრდილო გარეუბნისკენ მიმავალი მთავარი ქუჩით სახლისკენ გაემართა.

რა თვალებით უმზერდა ის ქალი! რა თვალებით! ერთი შემოხედვით გატეხა! თავი დაახრევინა! ვითომ ის ქალია, თვითონ კი კაცი! განა იმ ქალის უცნაური, ნაბლისფერი თვალები ამ გამარჯვებამ სიხარულით არ ააციმციმა?

ისევ ნაცნობმა, მომქანცველმა, ბანგივით სასიამოვნო ზიზღმა დაუარა სხეულში, მაგრამ ის წუთი გაახსენდა, მათი თავები თითქმის ერთმანეთს რომ შეეხო, მისი სხეულის სურნელი რომ იგრძნო, და შეჩერდა; უკან გადაიზნინა, მახინჯი მკერდი წინ წამოსწია, კბილებშუა შეისუნთქა ჰაერი და უმწოდ, თავდავინყებით აღუდუნდა სასონარკვეთილი: – ღმერთო, მენ შემენიე! ღმერთო, მენ შემენიე!

მერე უაზროდ განაგრძო გზა. ნოტიო ჰაერით გაჟღენთილ, თავისივე ნაბიჯებით გახმიანებულ ქუჩაში დიდხანს მიდიოდა აუჩქარებლად და ბოლოს სახლს მიადგა. დერეფანში წუთით შეჩერდა, გრილი ჰაერი ჩაისუნთქა, სარდაფიდან რომ ატანდა და სამუშაო ოთახში შევიდა.

ღია სარკმელთან სანერ მაგიდას მიუჭდა; დიდ, ყვითელ ვარდს მიაჩერდა, ვიღაცას ჭიქაში რომ ჩაედო. ყვავილი სახესთან მიიტანა, თვალები დახუჭა და დაეცინა. მერე სახეზე მწუხარება, დაღლა ადებუჭდა. ვარდი ისევ ჭიქაში ჩადო და გვერდზე გასწია. ვაი, რომ უკვე გათავდა ასეთი წუთები! ძალა დაკარგა ამ ვარდის სურნელმა! უცბად გაუფასურდა ყველაფერი, აქამდე მის „ბედნიერებას“ რომ შეადგენდა!

ვარდს თვალი მოსწყვიტა და სარკმელში გაიხედა. სიჩუმით მოცული ქუჩიდან დროდადრო გვიანი მგზავრის ფეხის ხმა აღწევდა. ისევ ციმციმებდნენ ცაზე ვარსკვლავები. გატანჯული და ძალაგამოლეული ფრიდემანი უაზროდ იჭდა მაგიდასთან და გრძობდა, სასონარკვეთა როგორ ეცვლებოდა უსაზღვრო, ნაზი სევდით. მერე რომელიღაც ლექსის სტრიქონები გაახსენდა, ყურში ისევ „ლოენგრინის“ მუსიკა ჩაესმა, თვალწინ ქალბატონი ფონ რინლინგენი წარმოუდგა, ცხადად დაინახა წითელ ხავერდზე დაყრდნობილი ქათქათა მკლავი. მერე კი ღრმა ძილმა წაართვა თავი.

ღამით რამდენჯერმე კინაღამ გამოიღვიძა, მაგრამ გამოფხიზლებისა ეშინოდა და ისევ იძინებდა. როცა კარგად ინათა, თვალი აახილა და ტანჯული მზერა მოავლო ოთახს. ყველაფერი ისე ნათლად ახსოვდა, რომ ეტყობა, ძილშიც არ განელეებია ტანჯვა.

თავი უბრუოდა, თვალები ეწვოდა. როცა პირი დაიბანა და შუბლზე ოდეკოლონი იპკურა, თავი უკეთესად იგრძნო. დინჯად ჩამოჭდა ღიად დარჩენილ ფანჯარასთან. ჯერ კიდევ სისხამი დილა იყო, ასე ხუთი საათი იქნებოდა. ფუნთუშის დამტარებელი ბიჭები თუ ჩაივლიდნენ ხანდახან ფანჯარასთან. ქუჩაში სხვა არავინ ჩანდა. გადაღმა სახლში დარაბები ჯერ ისევ დახურული ჰქონდათ. ჩიტები კი უკვე გალობდნენ და ცა ფირუზისფრად იყო გასხივოსნებული – ზღაპრული დილა თენდებოდა.

პატარა ბატონ ფრიდემანს სულიერი სიმშვიდე და რწმენა დაუბრუნდა. რამ დააშინა ასე? განა რა მოხდა ისეთი? ვთქვათ, გუშინ გრძობამ დარია ხელი, მერედა რა? ასეთი რამ აღარ განმეორდება! სულაც არ არის გვიან, გრძობის ახალი მოზღვავეების თავიდან აცილება კიდევ შეიძლება. უნდა მოერიდოს ყველაფერს, რასაც მისი გაღიზიანება შეუძლია. ამის უნარი შესწევს. იმდენი ძალა კიდევ გააჩნია, რომ ეს მოზღვავებული ვნება დაძლიოს და თავის თავში ჩაკლას.

როცა საათმა რვა დარეკა, ფრიდერიკა შემოვიდა და მაგიდაზე, ტყავგადაკრულ დივანთან ყავა დადგა.

– დილა მშვიდობისა, იოჰანეს. საუბრე მოგიტანე.

– გმადლობთ, – უთხრა ბატონმა ფრიდემანმა. მერე დასძინა: – ძვირფასო ფრიდერიკა, უჩემოდ მოგიწევთ სტუმრად წასვლა. შეუძლოდ ვარ და ვერ გამოგყვებით. ცუდად მეძინა, თავის ტკივილი გამომყვა, ერთი სიტყვით, გთხოვთ, რომ...

– ცუდი რამ მითხარი! სულ რომ არ ესტუმრო, არც ეს ივარგებს. შენ მართლა ცუდად გამოიყურები. გინდა შაკიკის ფანქარს გათხოვებ?

– არა, მადლობელი ვარ, თავისით გამივლის, – მიუგო ბატონმა ფრიდემანმა.

ფრიდერიკა წავიდა.

ბატონმა ფრიდემანმა ნაჩქარევად შესვა ყავა და ერთი ნაჭერი ნამცხვარი შეატანა. დებს უარი რომ უთხრა ფონ რინლინგენებთან გაყოლაზე, ამან თავისი თავის რწმენა დაუბრუნა და კმაყოფილი იყო. სიგარეტს მოუკიდა და ისევ სარკმელთან ჩამოჯდა. საუბრემ კარგ გუნებაზე დააყენა. თავი ისევ ბედნიერად, იმედიანად იგრძნო; წიგნი აიღო. კითხულობდა, სიგარეტს აბოლებდა და თვალეზმონკურული შესცქეროდა მზეს.

ამასობაში ქუჩები გამოცოცხლდა. ოთახში ყაყანი, ეტლებისა და ცხენგაბმული ტრამვაის ბარის ხმა შემოიჭრა. ამ ხმაურის ფონზე ჩიტების ჭიკჭიკი მაინც გამოირჩეოდა. ლურჯად მოკამკამე ცისკიდურიდან მსუბუქი, თბილი ნიაფი უბერავდა და იქაურობას აცოცხლებდა.

ათ საათზე დერეფნიდან დების ფეხის ხმა და კარის ჭრიალი მოისმა. ფრიდემანს ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მაინც მოჰკრა თვალი, როგორ ჩაიარა სამივე დამ სარკმელთან.

გავიდა ერთი საათი. იოჰანესმა უფრო და უფრო ბედნიერად იგრძნო თავი, მერე ძლიერმა სიხარულმა აიტაცა. რა შესანიშნავი დღე გათენდა და რა ზღაპრულად გალობენ ჩიტები! გასეირნებას თუ შეედრება ახლა რამე?! და უცებ სრულიად უშუალოდ, ყოველგვარი ქვენა აზრის გარეშე დაებადა კითხვა, რომელმაც სასიამოვნოდ შეაკრთო: წავიდე მასთან? და იმ დროს, როცა მთელი სხეული დაძაბა ავის მომასწავებელი წინათგრძნობის ჩასახშობად, ბედნიერმა და კმაყოფილმა მტკიცედ გადაწყვიტა: მე წავალ მასთან!

სადღესასწაულო შავ კოსტიუმში გამოეწყო, ცილინდრი და ხელჯოხი აიღო და სამხრეთ გარეუბნისკენ გაეშურა. გზაში ვერავის ამჩნევდა, ყოველ ნაბიჯზე თავს აკანტურებდა და ვიდრე წაბლის ხეივანი არ გაიარა და წითელი აგურის ვილას არ მიადგა, ალტყინებული თავის მოქმედებას ანგარიშს ვეღარ აძლევდა. „ობერლეიტენანტი ფონ რინლინგენი“ – ეწერა კარზე.

ახლა კი ცახცახი მოერია. გული კინადამ საგულედან ამოუვარდა. მაინც მივიდა დერეფანთან და დარეკა. იფიქრა, რაც მოსახდენია, მოხდესო, საქმე უკვე გათავებული იყო და უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. უცებ მთლიანად დაიძაბა და გაირინდა.

მსახურმა კარი გაუღო, შეეგება, სადარბაზო ბარათი გამოართვა და სწრაფად აიარა წითელნოხდაფენილი კიბე. ბატონი ფრიდემანი კარგა ხანს იდგა ერთ ადგილზე და გაშტერებული უყურებდა ნოხს. მსახური დაბრუნდა და მოახსენა: „ქალბატონმა ზევით ამობრძანება გთხოვათ“.

როცა სასტუმრო ოთახის კართან ხელჯოხი მიაყუდა, იოჰანესმა თავი ნაჩქარევად შეათვალიერა სარკეში, სახეზე გაფითრებული იყო, თვალეზი დასწითლებოდა და ჩამოშლილი თმა შუბლზე მიწებებოდა. ის ხელი, რომლითაც ცილინდრი ეჭირა, განუწყვეტლივ უცახცახებდა.

მსახურმა კარი გაუღო და ფრიდემანი მოზრდილ, ჩაბნელებულ ოთახში შევიდა, ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ, ხელმარჯვნივ როიალი იდგა. შუა ოთახში, მრგვალი მაგიდის ირგვლივ ყავისფერაბრემუმგადაკრული სავარძლები შემოემწკრივებინათ. ხელმარცხნივ, ტახტის თავზე, მძიმე, მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული პეიზაჟი ეკიდა. კედლებზე მუქი შპალერი იყო გავრული. პატარა შუშაბანდში პალმები იდგა.

წუთის შემდეგ მარჯვნივ ფარდა შეირხა და ქალბატონი ფონ რინლინგენი გამოჩნდა.

ფაფუკ ყავისფერ ნოხზე უხმო ნაბიჯებით გამოემართა იოჰანესისკენ. ქალს ძალზე სადა, ნითლად და შავად აჭრელებული ვაბა ეცვა. სარკმელში შემოღწეული სინათლის სვეტი, რომელშიც მტვერი ირეოდა, ერთი წამით მის რბილ, ქერა თმას დაეცა და ოქროსფრად დაფერა. ქალმა თვალები გამომცდელად მიაპყრო სტუმარს, ჩვეულებისამებრ ქვედა ტუჩი აიბზუა.

– მოწყალეო ქალბატონო, – დაიწყო ბატონმა ფრიდემანმა და რაკი მასპინძელს მკერდამდე სწვდებოდა, ქვევიდან შეხედა, – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უღრმეს პატივს გცემთ. როცა ჩვენს ოჯახს პატივი დასდეთ და გვეწვიეთ, სამწუხაროდ, სახლში არ გახლდით და... გულწრფელად ვწუხვარ...

სხვა რა ეთქვა, აღარ იცოდა. ქალი კი იდგა და ისე შეუბრალებლად მისჩერებოდა სახეში, თითქოს სურს იძულებით აალაპარაკოსო; იოჰანესს სისხლი მოაწვა. „ჩემი წვალეა და აბუჩად აგდება უნდა! ყველაფერს ხედავს, რაც ჩემს გულში ხდება! როგორ უციმციმებს თვალები!“

კარგა ხნის მძიმე დუმილის შემდეგ ქალმა ტკბილი, მშვიდი ხმით უთხრა: – ფრიად მასიამოვნეთ, რომ მობრძანდით, სწორედ ვნანობდი, თქვენს დებს რომ არ ახლდით, ხომ არ დაბრძანდებით?

თვითონ ფრიდემანის მახლობლად დაჯდა. მკლავები სავარძლის სახელურზე დააწყო და საბურგზე გადაწვა. იოჰანესი წინ გადახრილი იჯდა და ცილინდრს მუხლებში აწვალებდა.

– იცით, თხუთმეტობდე წუთის წინ თქვენი დები იყვნენ აქ. თქვენზე მითხრეს, შეუძლოდ არისო.

– მართალი მოუხსენებიათ, – მიუგო ბატონმა ფრიდემანმა, – ამ დილას ცუდად ვიყავი. მეგონა, სახლიდან ვერ გამოვიდოდი. ბოდიშს ვიხდი, რომ დავაგვიანე.

– თქვენ არც ახლა უნდა იყოთ კარგად, – წყნარად უთხრა ქალმა და თვალი არ მოუცილებია, ისე განაგრძო, – სახე გაფითრებული და თვალები განითლებული გაქვთ. ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს?

– ო... არა.. – ჩაილულულა ბატონმა ფრიდემანმა, – საერთოდ კმაყოფილი ვარ ჩემი ჯანმრთელობით.

– მეც ხშირად ვხდები ავად, – განაგრძო ქალბატონმა რინლინგენმა, თან ისევ სახეში მიაჩერდა, – მაგრამ ამას ვერავინ მამჩნევს, მე ნერვიულობა მახასიათებს და ხშირად ძალზე უცნაურად ვიქცევი ხოლმე.

ქალი გაჩუმდა, თავი ისე დახარა, რომ ნიკაპი თითქმის მკერდს დააბჯინა და პასუხის მოლოდინში წარბებქვეშიდან სტუმარს ახედა. იოჰანესი დუმდა. უხმოდ იჯდა, გაკვირვებული უყურებდა მასპინძელს და ფიქრობდა: რა თავისებურად ლაპარაკობს ეს ქალი, რა ძლიერ მოქმედებს ჩემზე მისი ნათელი, ლაღი ხმა!

ფრიდემანი ცოტა დამშვიდდა; ყველაფერი თითქოს ბურუსში ხდებოდა.

ქალბატონმა რინლინგენმა ხელახლა წამოიწყო საუბარი: – ნუხელ, მგონი, წარმოდგენის დამთავრებამდე ნახვედით თეატრიდან. არა?

– დიას, მოწყალეო ქალბატონო.

– მენყინა თქვენი წასვლა. ძალზე გულისხმიერი მეზობელი და მუსიკის დიდი მოყვარული ყოფილხართ, თუმცა დადგმა არცთუ ისე კარგი, უფრო სწორად, შედარებით არცთუ ისე კარგი იყო. გიყვართ მუსიკა? როიალზე ხომ არ უკრავთ?

– ვიოლინოზე ვუკრავ ცოტას, – უპასუხა ბატონმა ფრიდემანმა, – თუმცა, აბა ეს რა დაკვრაა...

– ვიოლინოზე უკრავთ?– ჩაეკითხა ქალი, შემდეგ ფრიდემანის თავს ბევით სივრცეს მიაჩერდა და ჩაფიქრდა.

რკიბ წამოიძახა: – გინდათ, ზოგჯერ ერთად დაგუჰკრათ ხოლმე. როიალზე მიც ვახერხებ

რაღაცას. ძალიან გამიხარდება, თუკი აქ ისეთ ვინმეს შევხვდები, ვისთანაც...

– თუ რამ შემიძლია, მიმსახურეთ, მოწყალეო ქალბატონო, – ისევ ბურანში მყოფივით მიუგო იოჰანესმა. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. მერე ქალს უცებ შეეცვალა სახე. ფრიდემანმა შენიშნა, ოდნავ შესამჩნევმა, მწარე, დამცინავმა ღიმილმა როგორ დაუძაბა სახე, შესამედ ჯიქურ და გამომცდელად როგორ მიაპყრო ცუდად აციმციმებული თვალები. იოჰანესი წამოჭარხლდა, არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, უძღურმა და დაბნეულმა თავი უფრო ღრმად ჩარგო მხრებში და აფორიაქებული დააჩერდა ნოსს. სხეულში ისევ უმწეო, საამო მტანჯველმა ბრაზმა დაურბინა.

როცა უკანასკნელი მხნეობა მოიკრიბა და თავი ასწია, ქალი აღარ უყურებდა, მშვიდი თვალები ფრიდემანის ბურგს უკან, კარისთვის მიეპყრო.

იოჰანესმა გაჭირვებით ამოთქვა ორიოდ სიტყვა: – მოწყალეო ქალბატონო, კმაყოფილი ბრძანდებით ჩვენი ქალაქით?

– ო, რასაკვირველია, – გულსგარეთ მიუგო ქალბატონმა ფონ რინლინგენმა, – რატომ არ უნდა ვიყო კმაყოფილი? მართალია, თავს ცოტა შებორკილად ვგრძნობ და არც ის მომწონს, მოურიდებლად რომ მათვალეიერებენ, მაგრამ... ჰო, მართლა, არ დამავინწყდეს: ამ დღეებში ჰატარა წვეულებას ვმართავთ, მცირერიცხოვან, სასიამოვნო საზოგადოებას მოვუყვრით თავს. ცოტას დავეუკრავთ, წავისაუბრებთ... თან სახლს უკან ძალიან კარგი ბაღი გვაქვს, რომელიც მდინარესთან თავდება; რაღა გავაგრძელო და, თქვენ და თქვენს დებს მოსაწვევ ბარათებს კი გამოგიგზავნით, მაგრამ მე ამთავითვე გთხოვთ, უარს ნუ გვეტყვით და გვეწვიეთ. იმედია, არ გაგვანბილებთ.

ბატონმა ფრიდემანმა თანხმობა განუცხადა მიწვევაზე და როცა მადლობას უხდოდა, კარის სახელური ვიღაცამ ძლიერად დასწია. ოთახში ობერლეიტენანტი შემოვიდა. ფეხზე წამოდგა ორივე. ქალბატონმა ფონ რინლინგენმა მამაკაცები ერთმანეთს წარუდგინა. შემოსწრებული თავის დაკვრით თავაზიანად მიესალმა ცოლს და სტუმარს.

ობერლეიტენანტს სიცხისგან გაოფლილი სახე ულაპლაპებდა. ხელთათმანს იძრობდა და თან მჭახე ხმით რაღაცას ეუბნებოდა ფრიდემანს, რომელიც თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა ქვევიდან, თან ყოველ ნუთს ელოდა, რომ ეს ახოვანი კაცი დიდსულოვნად მოუთათუნებდა მხარზე ხელს. მერე ოლქის უფროსი ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმულ ქუსლებზე შეტრიალდა, ცოლისკენ გადაიხარა და ყრუ ხმით მიმართა: – ძვირფასო, ბატონი ფრიდემანი ხომ დაპატიჟე წვეულებაზე? გინდა შემდეგ კვირას გავმართოთ საღამო. იმედია, არ გაავდრდება და ბაღშიაც გავისეირნებთ.

– როგორც გერჩივნოს, – მიუგო ქალბატონმა ფონ რინლინგენმა და ქმარს თვალი აარიდა.

ორი ნუთის შემდეგ ბატონი ფრიდემანი მასპინძლებს გამოეთხოვა და როცა კართან მისულმა ერთხელ კიდევ დაუკრა თავი, ისევ წააწყდა ქალის თვალებს, რომლებიც ამჯერად გულგრილად უყურებდნენ.

ფრიდემანი წაბლის ხეივანს დაადგა, მაგრამ ქალაქში აღარ დაბრუნებულა. უნებურად გზიდან გადაუხვია და ციხესიმაგრის მიწაყრილისკენ დაეშვა. მდინარის გასწვრივ ლამაზი გაბონები და ხეივნები იყო გაშენებული. ხეთა ჩრდილში სკამები დაედგათ.

თავჩაქინდრული იოჰანესი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა და არაფერზე ფიქრობდა. სიცხეში სული ეხუთებოდა, თბილი ჭავლი ალმურივით უვლიდა სხეულში, საფეთქლებთან სისხლი უროსავით სცემდა და თავი უბრუოდა.

ვერ იქნა და ქალის თვალები თავიდან ვერ მოიშორა. მალე დაავინწყდა უაზრო, უსიცოცხლო გამომეტყველება, რომლითაც ქალმა გამოაცხილა. სამაგიეროდ, საუბრის დროს ბოროტად აციმციმებულმა თვალებმა წაართვა მოსვენება. „ჩემი დაბნევით და უმწეობით ხომ არ იქცევდა თავს? ნუთუ ოდნავი თანაგრძნობა მაინც არ აღეძრა, როცა სულში ჩამხედა?“ – ფიქრობდა იოჰანესი.

აბალახებულ მიწაყრილს აუყვა მდინარის გასწვრივ და უცვეთელას ბუჩქებით გარშემორტყმულ სკამზე ჩამოჯდა. ჰაერში მკვეთრი, საამო სურნელი ტრიალებდა. მის პირდაპირ მოლივლივე მდინარეში მზის გავარვარებული დისკო ირეკლებოდა.

დაიღალა, გუნება მოეშხამა, აფორიაქებული სული ვერაფრით დაიმშვიდა! ყველაფერს ის ხომ არ აჯობებს, უკანასკნელად მოავლოს თვალი იქაურობას და წყალს მისცეს თავი, რომ ხანმოკლე წვალების ფასად განთავისუფლდეს ამ ტანჯვისგან და მარადიულ სიმშვიდეში ჩაინთქას. სიმშვიდეს, სწორედ სიმშვიდეს ეძებს ის! მაგრამ რად უნდა სიმშვიდე ბნელით მოცული სიცარიელისა და მდუმარების მხარისა, როცა მისი სული მყუდრო, ნათელით გაცისკროვნებულ, მაღალ და წყნარი აზრების სამყაროს – სიმშვიდეს ელტვის.

სიცოცხლის ნაზმა სიყვარულმა ჟრუანტელივით დაუარა სხეულში; მწარედ დაენანა დაკარგული ბედნიერება. მერე თვალი მოავლო იქაურობას, ბუნების მდუმარე, უსაზღვრო გულგრილობას, სიმშვიდეს მიუგდო ყური. მზით განათებული მდინარე მშვიდად მიედინებოდა თავის კალაპოტში, ბალახი ნიავის შემობერვაზე თრთოდა, ყვაოდნენ დასაჭკნობად განწირული ყვავილები – ყველაფერი, უკლებლივ ყველაფერი, ხარკს უხდიდა ყოფიერების გარდაუვალ ვანონს და პატარა ბატონმა ფრიდემანმა უცებ მთელი არსებით იგრძნო და გაიგო ეს გარდაუვალობა, რომელთან შერიგებაც ადამიანს თავის თავზე მაღლა დადგომის უნარს ანიჭებს.

ის დღე გაახსენდა, როცა ოცდაათი წელი შეუსრულდა. მაშინ სული მშვიდად ჰქონდა და ბედნიერი იყო იმით; არც არაფრის ეძინოდა და არც არაფრის იმედი ჰქონდა. იჭდა ბაღში და სიცოცხლის დარჩენილი წლების განჭვრეტას ცდილობდა. წინათგრძნობა არც ავს უქადდა და არც კარგს. ყველაფერი გამჭვირვალე ბურუსში იყო გახვეული, რომელიც სადღაც შორს ბნელს ერთვოდა და მასში იძირებოდა. იმ დღეს მშვიდი, ბრძნული ღიმილით გაუსწორა თვალი თავის მომავალს. განა ისე დიდი ხნის წინათ იყო ეს?

და აი, ბედმა მოუვლინა ქალი, რომელიც აუცილებლად უნდა მოვლენოდა. ასეთი ბედი ეწერა, თვით ეს ქალი იყო მისი ბედისწერა. სწორედ ეს ქალი და სხვა არავინ. განა პირველი ნახვისთანავე არ უგრძნო გულმა? გამოჩნდა ეს ქალი და ფრიდემანი ძალიანაც რომ ცდილიყო სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას, მაინც არაფერი გამოუვიდოდა. ამ ქალს უნდა აეფორიაქებინა ყველაფერი, რასაც იოჰანესი სიყრმის პირველი დღეებიდან იხმობდა თავში, რაკი იცოდა, რომ სხვაფრივ ტანჯვა და დაღუპვა ელოდა. ახლა კი ყველაფერმა თავი აინყვიტა. რაღაც საძინელი, დაუოკებელი ძალით დაეუფლა და უფსკრულისკენ გააქანა.

გრძნობს, რომ აღსასრული უახლოვდება. მაშ, რაღა აზრი აქვს წინააღმდეგობას და ტანჯვას. მოხდეს, რაც მოსახდენია! გულხელს დაიკრეფს და მინებდება ბედის სრბოლას, რომელიც უფსკრულისკენ მიაქანებს; ბედისწერას დანებდება, ცხოვრების იმ შხამით შეზავებულ ნექტარს დაენაფება, რომელიც, ადრე იქნება თუ გვიან, ადამიანმა მაინც უნდა შესვას.

მდინარეში მზის სხივები ციმციმებდა, ირგვლივ უცვთელას მძაფრი საამო სურნელი იდგა, ხეივანში ჩიტები ჟღურტულვებდნენ და ტოტებში მუქი, ხავერდოვანი ლურჯი ცა მოჩანდა. პატარა, კუბიანი ფრიდემანი სკამიდან წინ გადახრილიყო და სახე ხელებში ჩაერგო. ასე გარინდული გვიანობამდე იჭდა მდინარის პირას.

წვეულების ყველა მონაწილე მერე ერთხმად აღიარებდა, რინლინგენებთან დრო შესანიშნავად გავატარეთო. ვრცელ სასადილო ოთახში, გემოვნებით გამლილ დიდ სუფრასთან, ოცდაათამდე ვაცმა მოიყარა თავი. მსახურმა და ამ საღამოსთვის საგანგებოდ დაქირავებულმა ორმა ოფიციალტმა ნაყინი მოართვა სტუმრებს; ოთახში საჭმლის და პარფიუმერიის სუნი ტრიალებდა და ჭიქებისა და დანა-ჩანგლის წკარუნი ისმოდა. დიდვაჭრებს საღამოზე ცოლები და ქალიშვილები ახლდნენ. გარნიზონის თითქმის მთელი ოფიცრობა აქ იყო. მათ გარდა ერთი დიდი ღვანლმოსილი, ხნიერი ექიმი, ორიოდე იურისტი და რჩეული საზოგადოების სხვა რამდენიმე წარმომადგენელი უსხდნენ სუფრას, – მათ შორის ობერლეიტენანტის ძმისწული, მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც იმ დღეებში სტუმრად იყო ბიძასთან. ის ფრიდემანის პირდაპირ იჭდა და ჰაგენშტრემების ქალიშვილს გატაცებით ესაუბრებოდა ინტიმურ თემაზე.

ბატონი ფრიდემანი მაგიდის ბოლოში, გიმნაზიის დირექტორის შეუხედავი მეუღლის გვერდით იჭდა ხავერდის მოქარგულ ბალიშზე. ცოტა მოშორებით ქალბატონ ფონ რინლინგენს ეკავა ადგილი. ქალი მაგიდასთან კონსულ შტეფენსის თანხლებით მოვიდა. იოჰანესი საოცრად შეცვლილიყო ამ რვა დღის განმავლობაში, გაზის შუქზე სახე

საშინლად გაფითრებული უჩანდა, ლოყები ჩაცვენოდა. დაწითლებული, ამოღამებული თვალები ენით უთქმელ ტანჯვას გამოხატავდნენ და თითქოს წელშიც ჩვეულებრივზე მეტად იყო მოხრილი. ღვინოს ეტანებოდა და შიგადაშიგ მეზობელს გამოეფლაპარაკებოდა ხოლმე.

ქალბატონი ფონ რინლინგენი მაგიდაზე ოდნავ გადმოიხარა და ამ საღამოს პირველად დაეფლაპარაკა ბატონ ფრიდემანს: – მთელი ეს დღეები ამაოდ გელოდით. მეგონა, მოხვიდოდით და ვიოლინოს მოიტანდით.

იოჰანესმა უაზროდ მიაპყრო ქალს თვალები. არაფერი უპასუხა. რინლინგენს თეთრი, თხელი კაბა ეცვა, გულმკერდი მოშიშვლებული ჰქონდა და ოქროსფერ თმაში გაფურჩქნილი ვარდი ჩაებნია, ღანვები ოდნავ შეჭფაკვლოდა, თვალების უპეებზე კი ისევ ლურჯი ფერი გადაჰკვროდა.

ბატონმა ფრიდემანმა თავი დახარა და რაღაც ჩაილულლულა. სწორედ ამ დროს, თითქოს დრო შეურჩიაო, დირექტორის მეუღლემ ჰკითხა: ბეთჰოვენზე რა აზრის ხართო... სუფრის თავში მჯდომმა ობერლეიტენანტმა მეუღლეს გადახედა, ჭიქაზე დააკაკუნა და თქვა: – ბატონებო, გთხოვთ, მეორე ოთახში გამობრძანდეთ და იქ მიირთვათ ყავა. თუმცა ისეთი საღამოა, არც ბაღში გასეირნება იქნებოდა ურიგო. თუ ვინმეს ჰაერზე გავლა სურს, მეც თან მიგულოს.

ლეიტენანტ დაიდეს ჰაიმმა მოსწრებული ხუმრობით დროზე დაარღვია სიჩუმე და სუფრა სიცილ-ხარხარით აიძალა. ბატონმა ფრიდემანმა სასადილო ოთახიდან ყველაზე ბოლოს უხალისოდ გაიყვანა გიმნაზიის დირექტორის მეუღლე, ძველგერმანულად მორთული ოთახი გაატარა, ქალების ჯგუფამდე მიაცილა და უკან გამობრუნდა.

ფრიდემანი საგანგებოდ იყო გამონწყობილი. უნაკლო ფრაკის ქვეშ თეთრად გაქათქათებული პერანგი მოუჩანდა. წვრილ და მოხდენილ ფეხებზე ლაკის ფეხსაცმელები ეცვა, სიარულისას დროდადრო აბრეშუმის წითელი წინდები მოუჩანდა.

დერეფანში გამოსულ ფრიდემანს სტუმრების უმრავლესობა ბაღში ჩასული დახვდა. იოჰანესი ძველგერმანული ოთახის კართან ჩამოჯდა. ოთახში მამაკაცების ერთი ჯგუფი ბებეულად რაღაცაზე საუბრობდა... იოჰანესმა ფინჯანი ყავა დაიდგა, სიგარა ამოიღო და დარბაზში დაიწყო ცქერა.

ბედ კარის მარჯვნივ, პატარა მაგიდასთან სტუმართა ერთ ჯგუფს მოეყარა თავი. ყველა ყურადღებით უსმენდა სტუდენტს, რომელიც გატაცებით ამტკიცებდა, ერთი წერტილიდან ორი პარალელური სწორის გავლება შეიძლებაო და, როცა ადვოკატის მეუღლემ ქალბატონმა ჰაგენშტორმმა წამოიძახა – ეს შეუძლებელიაო! – სტუდენტმა ისე დამაჯერებლად დაუმტკიცა ურწმუნოებს თავისი სიმართლე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო და მაინც ყველა დაეთანხმა.

დარბაზის ბოლოში, წითელსაფარებლიან ნათურასთან, ქალბატონი ფონ რინლინგენი იჯდა სავარძელში და კონსულ სტეფენსის ქალიშვილს ელაპარაკებოდა. ყვითელი აბრეშუმის ბალიშზე ოდნავ განოლილს ფეხი ფეხზე შემოედო, პაპიროსს მშვიდად ეწეოდა, კვამლს ცხვირიდან აბოლებდა და თან ქვედა ტუჩს იბზუებდა. შტეფენსის ქალი სარგადაყლაპულივით იჯდა და კითხვებზე შემცბარი ღიმილით პასუხობდა.

ფრიდემანისთვის არავის ეცალა; არავის შეუმჩნევია, რომ მთელი საღამოს განმავლობაში მას თვალი არ მოუნწყვეტია ქალბატონი ფონ რინლინგენისთვის. იჯდა მოთენთილი და ქალს უცქერდა. მის თვალებში ვნების ნასახიც არ ჩანდა და არც ტანჯვა გამოსჭვიოდა. რაღაც ბლაგვი და უსიცოცხლო იყო მისი გამოხედვა. თვალებში უსიტყვო, სრული მორჩილება და უსასოობა ჩასდგომოდა.

ათმა წუთმა განვლო ასეთ ყოფაში, მერე ქალბატონი ფონ რინლინგენი მოულოდნელად წამოდგა და ისე, თითქოს მთელი ამ ხნის განმალვობაში ფრიდემანს უთვალთვალედაო, მისკენ მოუხედავად წამოვიდა და წინ დაუდგა. ფრიდემანი ფეხზე წამოდგა და, როცა ქვევიდან ახედა ქალს, მისი ხმა ჩაესმა.

– ბატონო ფრიდემან, ჩემთან ერთად ბაღში გასეირნებას ხომ არ ინებებთ?

– სიამოვნებით, მოწყალეო ქალბატონო.

როცა კიბეზე ჩადიოდნენ, ქალბატონმა ფონ რინლინგენმა ფრიდემანს ჰკითხა: – ჩვენი ბაღი ჯერ არ გინახავთ, არა? ვარგა მოზრდილი ბაღი გვაქვს. ამ ხმაურს ერთხანს სიამოვნებით გავარიდებდი თავს. იმედია, ყველა არ მოისურვებს ბაღში ჩამოსვლას. მაგიდასთან თავი ამტკივდა. ალბათ ღვინო ამივარდა თავში. აქეთ მოზრდნდით, აი აქედან უნდა გავიდეთ. – მინის კარი გაიარეს და პატარა აივანზე გავიდნენ. დაბალ კიბეს ჩაუყვინნ ბაღისკენ.

ვარსკვლავიანი, ნათელი, გრილი ღამე იდგა. ჰაერში ყვავილნარის თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა. ბაღს სავსე მთვარე დაჰქათქათებდა. თეთრ, ხრემშოყრილ გზაზე სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ, თამბაქოს ენეოდნენ და მუსაიფობდნენ. ერთ ჯგუფს შადრევნის გარშემო მოეყარა თავი. ღვანლმოსილი, ხნიერი ექიმი საერთო სიცილ-ხარხარში ქალაქის ნავებს აცურებდა აუზში.

ქალბატონმა ფონ რინლინგენმა მათ ოდნავ დაუკრა თავი და უხმოდ ჩაუარა; შორს, სადაც ლამაზი და სურნელოვანი ყვავილნარი თავდებოდა და დაბურული პარკი იწყებოდა, იმ ადგილზე მიუთითა ფრიდემანს და უთხრა: – იმ გრძელ ხეივანს გავუყვით.

პარკის შესასვლელში ორი დაბალი სვეტი იდგა. ლარივით გაჭიმული წაბლის ხეივანი გაიარეს და მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ალივლივებულ მომწვანო მდინარესთან გავიდნენ. ბნელოდა და გრილი სიო ქროდა. ხეივნიდან გზა რამდენიმე ადგილზე იტოტებოდა და ისე გადიოდა მდინარის პირას. გამეფებული მყუდროება დიდხანს არავის დაურღვევია.

ბოლოს ქალმა თქვა: – ზედ მდინარის პირზე ლამაზი ადგილი მეგულება. ხშირად ჩავდივარ ხოლმე. მოდი იქ ჩამოვსხდეთ და ვისაუბროთ... შეხედეთ, შეხედეთ ერთი, როგორ კრთიან ხის ტოტებში ვარსკვლავები.

ფრიდემანმა არაფერი უპასუხა. თვალს არ აცილებდა მდინარის აციმციმებულ, მომწვანო ზედაპირს, რომელსაც ნელა უახლოვდებოდნენ. ხეივნიდან პატარა მდელოზე გავიდნენ. ციხესიმაგრის მიწაყრილი გამოჩნდა მეორე ნაპირზე.

– ბატონო ფრიდემან, აქეთ, მარჯვნივ მომყევით, ჩვენი ადგილი აგერ იქ არის. შეხედეთ, თავისუფალია.

ხეივნიდან ხელმარჯვნივ გადაუხვიეს და სკამზე ჩამოსხდნენ. ბალახებში, რომელიც მდინარის პირას შეუმჩნევლად ლელიანში გადადიოდა, ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ. მთვარის შუქით განათებული მდინარე ვერცხლისფერ შუქს ჰფენდა იქაურობას.

ერთხანს ორივე მდუმარედ მისჩერებოდა წყალს. მერე ფრიდემანს ისევ ჩაესმა ის შემპარავი, იდუმალი, ხავერდოვანი ხმა, რომელმაც ერთი კვირის წინ აგრერიგად ააღელვა.

– ბატონო ფრიდემან, დიდი ხანია რაც ეგ დაგემართათ? თანდაყოლილი ხომ არ გაქვთ?

იოჰანესმა ნერწყვი გადაყლაპა, სული მოითქვა და ხმადაბლა უპასუხა: – არა, მონყალეო ქალბატონო, მაგიდიდან ჩვილი გადმოვვარდნილვარ. აი, მაშინ დამმართნია.

– ახლა რამდენი წლისა ხართ?

– ოცდაათის, მონყალეო ქალბატონო.

– ოცდაათის, – გაიმეორა ქალმა, – და თქვენ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ბედნიერი არ ყოფილხართ?

ბატონმა ფრიდემანმა თავი გააქნია. ტუჩები აუთრთოლდა.

– არა, ყველაფერი გამონაგონი, ოცნების ნაყოფი იყო.

– ბედნიერი კი გეგონათ თავი?

– დიახ, ვცდილობდი, ბედნიერი ვყოფილიყავი.

– კარგი გამბედაობა გქონიათ.

ერთი ნუთით დუმილი ჩამოვარდა, მხოლოდ ჭრიჭინების ჭრიჭინი და ფოთოლთა შრიალი არღვევდა მყუდროებას.

– უბედურება არც ჩემთვის არის უცხო ხილი, ბაფხულის მთვარიანი ღამე და მდინარის დუდუნი კი ადამიანს უფრო მეტად უღვივებს უბედურების გრძნობას.

ფრიდემანმა ამაზე არაფერი უპასუხა, მხოლოდ ხელი ასწია მძიმედ, მოდუდუნე მდინარის გადაღმა მიუთითა და თქვა: – იმ დღეს აგერ იქ ვიჯექი.

– ჩემგან რომ ნახვედით?

ფრიდემანმა თავი დაუქნია.

მერე უცებ წამოიჭრა აცახცახებული, ერთი ამოიკვნესა, ტანჯვის გამომხატველი, თან ამ ტანჯვისგან გათავისუფლების მომასწავებელი ბგერა აღმოხდა და ქალის წინ მუხლებზე დაეცა. სკამის საზურგეზე მის მკლავს მისწვდა, თავისკენ მიიზიდა, შემდეგ მეორე ხელს წაეტანა, პატარა, მახინჯი სხეული მთლად აუცახცახდა, სახე ქალის კალთაში ჩარგო და არაადამიანურად ახრიალდა.

– ხომ იცით, რა დღეშიც ვარ... ნება მომეცით... მეტის გაძლება აღარ შემიძლია... ღმერთო ჩემო, ღმერთო...

ქალმა არც თავიდან მოიცილა, არც მისკენ დაიხარა. ოდნავ უკან გადახრილი თავანუელი იჯდა და ვიწრო, ერთმანეთთან ახლო ჩამჭდარი თვალებით, რომლებშიც მოლივლივე მდინარე ირეკლებოდა, ფრიდემანის თავს ბევით, სივრცეს მისჩერებოდა. მერე ამაყად, ბიზლით ჩაიცინა, იოჰანესის გახურებული თითები ერთი გაბრძოლებით მოიშორა, ხელის კვრით მიწაზე დასცა, სწრაფად წამოდგა და ხეივანს შეერია.

გაოგნებული, განადგურებული ფრიდემანი მიწაზე ეგდო. სახე ბალახებში ჰქონდა ჩარგული და მთელი სხეული უძაგდაგებდა. მერე გაჭირვებით წამოიმართა, ორი ნაბიჯი წადგა და ზედ მდინარის პირზე, ლელიანში, პირქვე დაემხო.

მაინც რას გრძნობდა იმ ნუთში პატარა ბატონი ფრიდემანი? ალბათ, ის ტკბილ-მწარე ბიზლი, რომელსაც ქალის დამამცირებელი შემოხედვა ჰგვრიდა ხოლმე, ახლა, როცა აბუჩად აგდებული და უარყოფილი მიწაზე იყო განრთხმული, უკიდევანო რისხვაში გადაეზარდა. ეს რისხვა ვიღაცას აუცილებლივ უნდა დასტყდომოდა თავს, თუნდაც ეს ვიღაც თვითონ ყოფილიყო, მით უმეტეს, საკუთარი თავისადმი უსაზღვრო ბიზლი იგრძნო და თავის განადგურების, სხეულის ნაკუნ-ნაკუნად დაფლეთის, სიცოცხლის მოსწრაფების წყურვილი ახრჩობდა.

მუცელზე ხოხვით წყალთან მიფორთხდა, ხელებზე წამოიწია. წელამდე მდინარეში ჩანვა და გაქვავდა. ერთხელაც აღარ განძრეულა, არც თავი ამოუღია მდინარიდან და არც ნაპირზე დარჩენილი ფეხები გაუნძრევია.

წყლის დგაფუნზე ჭრიჭინები მხოლოდ ერთი წამით გაინაბნენ, მერე ისევ აჭრიჭინდნენ. წელა შრიალებდა ხეთა ტოტები და შორიდან ყრუდ აღწევდა სტუმრების სიცილ-ხარხარი.

1897

სასაფლაოს გზა

სასაფლაოს გზა ერთთავად შარაგზის გასწვრივ მიდიოდა, მთელ სიგრძეზე გასდევდა, ვიდრე თავის საბოლოო მიზანს, სახელდობრ, სასაფლაოს არ მიაღწევდა. მის მიღმა მხარეს ჯერ საცხოვრებელი ბინები ჩანდა, ახალი ნაგებობანი გარეუბნისა, სადაც ნაწილობრივ კიდევ მიმდინარეობდა მშენებლობა, შემდეგ კი მინდორ-ველები იყო გადაჭიმული. შარაგზის მხოლოდ ცალი მხარე მოეკირწყლათ, მეორე კი – არა. აქეთ-იქით ხეები, ნუჟრებიანი, დარბაისლური წიფლები ჩამწკრივებულიყვნენ, ხოლო სასაფლაოს გზა თხელი ხრემით დაეფარათ, რაც საცალფეხო ბილიკს მომხიბვლელობას ანიჭებდა. მათ ერთმანეთისგან აცალკევებდა მთლიანად ბალახითა და მინდვრის ყვავილებით მოფენილი ვიწრო და ამომშრალი თხრილი.

გაზაფხულის მიწურული იდგა. თითქმის კარზე იყო მომდგარი ბაფხული. ქვეყანა

იღიმებოდა. ლაჟვარდი ცა ღრუბელთა პანია, მრგვალი და ფაფუკი ქულებით იყო მოოჭვილი, ახირებული მოყვანილობისა და თოვლივით თეთრი ფორეჯებით მოფარდაგული. ჩიტუნები გალობდნენ წიფელთა რტოებში და ნაზი სიო ქროდა მინდვრებიდან.

შარაგზაზე – მახლობელი სოფლიდან ქალაქისკენ – ოთხთვალა მიზომინებდა. ცალ მხარეს მოკირწყლულ ნაწილზე მიჯახახებდნენ მისი ბორბლები, მეორე მხარეს კი – მოუკირწყლავ ნაწილზე, მეურმეს ფეხები ხელნის გარდიგარდმო ჰქონდა ჩამოკიდებული და უსტვენდა, საშინლად ამახინჯებდა რომელიღაც მელოდიას. უკან კი, სულ ბოლოში, პატრონისგან ზურგმეფცევით ჩაცუცქულიყო მოყვითალო გოშია და ენით უთქმელი სერიოზულობითა და დაჟინებით გასცქეროდა უკან მოტოვებულ გზას. ეს შეუდარებელი გოშია იყო ნამდვილად, წმინდა წყლის მარგალიტი, სალბუნი გულისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მასზე არ გვექნება ლაპარაკი და ამიტომ უმჯობესია, თხრობის საგანს დავუბრუნდეთ. ჯარისკაცთა რაზმმა ჩაიარა. ისინი მახლობელი ყაზარმიდან მოდიოდნენ, მღეროდნენ და მტვრის კორიანტელს აყენებდნენ. შემდეგ მეორე ოთხთვალაც გამოჩნდა, ქალაქიდან მახლობელი სოფლის მიმართულებით მიმავალი. მეურმე თვლემდა და არც გოშია იჭდა ზედ. ასე რომ, ეს ოთხთვალა სულაც არ არის ჩვენთვის საინტერესო. ახლა ორი ქარგალი გამოჩნდა შარაგზაზე, ერთი კუზიანი იყო, მეორე კი ვეება ახმახი. ორივე ფეხშიშველა მოაბიჯებდა – ჩექმები მხრებზე გადაეკიდათ. მათ რაღაც მხიარული მიაძახეს მთვლემარე მეურმეს და გზა განაგრძეს. შარაგზაზე ზომიერი მიმოსვლა იყო და ფათერაკი არ ხდებოდა.

სასაფლაოს გზაზე მხოლოდ ერთი კაცი მიდიოდა; იგი ნელა მიიწევდა წინ, თავჩაქინდრული და შავ ხელჯოხზე დაყრდნობილი. ეს კაცი პიპზამი იყო გვარად, ლობგოტ პიპზამი, მორჩა და გათავდა. მის გვარს ხაზგასმით იმიტომ ვასახელებთ, რომ შემდგომ მის თავზე დიახაც უცნაური ამბავი დატრიალდა.

შავად იყო მოსილი, ვინაიდან ახლობელთა სამარეებს სურდა სწვეოდა. თავზე მოუხეშავი, ხაოიანი და რამდენიმე ადგილას ჩაჭყლეთილი ცილინდრი ეხურა, ტანთ ხანგრძლივი ტარებისგან გაპრიალებული სერთუკი და ვინრო და მოკლე შარვალი ეცვა, ხოლო ხელებს შავი, მთლად გადაქერცლილი ლაიკის ხელთათმანები უფარავდა. მისი ყელი, გრძელი და დამჭლევებული ყელი, მოზრდილი „ადამის ვაშლით“ შემკული, მაღლა ამოშვერილიყო საყელოდან, რომელიც – ეტყობა, კარგა ხნის ხმარების გამო, – კიდევში უკვე გაცრეცილიყო. მაგრამ როდესაც ეს კაცი თავს მაღლა სწევდა – ამას კი იგი ჟამიდან ჟამზე იქმოდა, რათა დარწმუნებულიყო, შორს იყო თუ არა კიდევ სასაფლაოდან, – მაშინ ღირდა მისი შეხედვა, მაშინ კარგად ჩანდა მისი საოცარი სახე, ერთი იმ სახეთაგანი, რომელნიც საკმარისია ერთხელ ნახოთ და შემდეგ ადვილად არ დაგავიწყდებათ.

სახე სუფთად წვერგაპარსული და ფერმკრთალი ჰქონდა, მაგრამ ღრმად შეცვნილ ლოყებს შორის წინ გამოჩრილი და კომბალივით ბოლოში გამსხვილებული ცხვირი უზომოდ გასწითლებოდა და ნაკვერჩხალივით ულაპლაპებდა; თანაც წვრილ-წვრილი მეჭეჭებითა და მუნუკებით იყო მოფენილი, რაც ერთობ ახირებულ და ფანტასტიკურ შესახედაობას ანიჭებდა ამ ცხვირს, რომლის არაბუნებრივი სინითლე მკვეთრად გამოირჩეოდა უფერული სახის ფონზე და რაღაც ხელოვნური და ეგზოტიკური იერი დაჰკრავდა. ასე რომ, ზედ განგებ მიდგმულ ნიღაბს ჰგავდა, რაიმე მელანქოლიურ ხუმრობას, ნიღბოსანთა საღამოსთვის განკუთვნილს. მაგრამ ამ კაცს ხუმრობისთვის არ სცხელოდა. ფართო პირი მაგრად მოეკუმა და მისი კუთხეები დაბლა ჩამოსწეოდა. როცა ზევით აიხედავდა, მაღლა, ცილინდრის კიდემდე სწევდა ჭადარით დათრთვილულ შავ წარბებს და მაშინ კარგად გაარჩევდით, რაოდენ აღგზნებული და ავადმყოფური სევდით შემოგარსულნი იყვნენ მისი თვალები. მოკლედ, ეს იყო სახე, რომლისთვისაც არ შეიძლებოდა ხანგრძლივად გეჭვრიტათ და ცხოველი თანაგრძნობით არ გამსჭვალულიყავით.

ლობგოტ პიპზამის შესახედაობა არ იყო სიხარულის მომგვრელი. იგი არ შეესაბამებოდა ამ საამურ დილას და ახლობელთა სამარეების სანახავად მიმავლისთვისაც კი ერთობ მწუხარე იყო. მაგრამ მის გულში თუ ჩავიხედავდით, ვალიარებდით, რომ საკმაო საფუძველი ჰქონდა ვაეშნისთვის. მას, რომ იტყვიან, ხელი მოეცარა ცხოვრებაში, – აბა, როგორ ჩასწვდება ამას თქვენებრ უზრუნველი ხალხი! – ცოტათი აუგად მოექცნენ, ცოტათი ბედმა უმტყუნა; დიახ, უმტყუნა და არათუ უმტყუნა, არამედ მრავალგზის მოაღორა

და დაასამარა. ასე რომ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, იგი ახლა ყოველად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ჯერ ერთი, სვამდა. ამაზე კიდევ საგანგებოდ გვეყენება ლაპარაკი. მეორეც, დაქვრივდა, დაობლდა, ყველამ მიატოვა და მთელ ქვეყანაზე ძეხორციელი არ ეგულებოდა, რომელსაც ეყვარებოდა და შეივრდომებდა. ცოლი, რომლის ქალიშვილობის გვარი ლეხელტი იყო, ამ ნახევარი წლის წინათ გამოეცალა ხელიდან: მშობიარობას გადაჰყვა. ეს უკვე მესამე ბავშვი იყო, და იგი მკვდარი დაიბადა. წინა ორი შვილიც მკვდარი ჰყავდა. ერთი ყალათმისაგან გარდაეცვალა, ხოლო მეორე – ვაცმა არ იცის, რისგან, როგორც ჩანს, ჯანმრთელობის საერთო სისუსტის გამო. მაგრამ ესეც არ აკმარა ბედმა. მალე სამუშაო ადგილი დაკარგა. პატივყარილი დაითხოვეს სამსახურიდან, წაართვეს ლუკმაპურის უკანასკნელი წყარო და ეს ყოველივე იმ ვნების გამო, რომელიც პიპზამზე ძლიერი იყო.

წინათ ერთგვარ წინააღმდეგობას მიანც უწევდა ამ ვნებას, თუმცაღა პერიოდულად თავდავინყებით დაენაფებოდა ხოლმე მას. მაგრამ როცა ცოლ-შვილი ხელიდან გამოეცალა, როცა აღარავინ ჰყავდა მხარდამჭერი და მანუგებელი და ქვეყნად მარტოდმარტო და მიუსაფარი დარჩა, მაშინ ძველი სენი მთლიანად დაეუფლა და სულ უფრო და უფრო მეტი სიძლიერით თრგუნავდა წინააღმდეგობის ნატამალსაც კი მის არსებაში. პიპზამი რომელიღაც დამზღვევ საზოგადოებაში მსახურობდა კვალიფიციურ გადამწერად და ოთხმოცდაათ მარკას იღებდა თვეში. თითქმის უგონო მდგომარეობაში მყოფმა, რამდენჯერმე სერიოზული შეცდომა დაუშვა და მრავალი გაფრთხილებისა და საყვედურის შემდეგ დაითხოვეს, როგორც ამ თანამდებობისთვის უვარგისი.

ცხადია, ამან არავითარ შემთხვევაში ხელი არ შეუწყო პიპზამის ზნეობრივ ამადლებას, პირიქით, დააჩქარა მისი სრული დაქვეითება და განადგურება. ვინაიდან უნდა იცოდეთ, რომ უბედურება ადამიანში ღირსების გრძნობას კლავს, – ასეთ ამბებზე დაფიქრება არავის აწყენდა. აქ რაღაც თავისებური და მკაცრი კანონი უნდა მოქმედებდეს. რამდენიც უნდა არწმუნოს ვაცმა თავისი თავი, რომ უდანაშაულოდ, დაუმსახურებლად დაატყდა უბედურება, მაინც უმრავლეს შემთხვევაში იგი განცდილი უბედურების გამო გულში ბიზღნარევი უპატივცემულობით განიმსჭვალება საკუთარი თავისადმი. ხოლო საკუთარი თავისადმი უპატივცემულობასა და მანკიერებას შორის ყოველად მსახვრალი ურთიერთკავშირი არსებობს. ისინი ერთიმეორეს ასაზრდოებენ, ისინი ერთმანეთს ხელს უწყობენ შეთქმულებით და შედეგსაც შემზარავს ვიღებთ. ასე დაემართა პიპზამსაც. ის სვამდა, რადგან თავისი თავისადმი პატივისცემა დაკარგა და მას სულ უფრო და უფრო კარგავდა, ვინაიდან ყველა კეთილი სურვილი, გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან, მარცხით გვირგვინდებოდა. სახლში მას ტანსაცმლის კარადაში შემონახული ჰქონდა ბოთლი, სავსე დამღუპველი სამსალით, მოყვითალო ფერის მხამიანი სითხით, რომლის სახელიც უმჯობესია არ ვახსენოთ. ამ კარადის წინ ლობგოტ პიპზამი ხშირად დაჩოქილი მდგარა, თითები დაუკბენია სიმწრისგან და ბოლოს მაინც დანებებია ცოტუნებას, – ჩვენ არცთუ გვესიამოვნება ასეთი ამბების თხრობა, მაგრამ ისინი ჯკუის სასწავლნი არიან ფრიად.

და აი, ის მიდიოდა სასაფლაოს გზაზე, თან შავ ხელჯოხს მიაკაკუნებდა. ნაზი სიო მის ცხვირსაც ელამუნებოდა, მაგრამ ვერ გრძნობდა ამას. მალლა აზიდული წარბებით, გულგრილად და სევდიანად უჭვრეტდა ქვეყანას ეს საბრალო და წყალწაღებული ვაცი!

უცრად უკნიდან რაღაც ხმაური შემოესმა და ყური მიაპყრო; რაღაც სრიალის მაგვარი ჩქამი უახლოვდებოდა შორიდან დიდი სისწრაფით. მიტრიალდა და ადგილზევე გაშეშდა: ეს ველოსიპედი იყო. ჰაერით დატუმბული რეზინის სალტეები ხრეშით თხლად მოფენილ ნიადაგზე რბილად მოსრიალებდნენ; ველოსიპედი ქარივით მოქროდა და მხოლოდ პიპზამის დანახვისას, რომელიც შუა გზაზე გაჩერებულიყო, შეანელა სვლა.

ბედ ჭაბუკი იჭდა, ჯერ კიდევ სავსებით პირტიტველა ყმანვილი, უდარდელი ტურისტი. ღმერთო ჩემო, მას აზრადაც არ მოუვიდოდა ამა ქვეყნის ძლიერთა და დიადთა რიცხვისთვის მიეკუთვნებინა თავი. მანქანაც სრულიად საშუალო ხარისხისა იყო, რომელიღაც უცნობი ქარხნის პროდუქციას წარმოადგენდა და, სულ ბევრი, ორასიოდე მარკა ეღირებოდა. ამგვარი სატრანსპორტო საშუალებით ჭაბუკი ქალაქგარეთ გამოსულიყო სასეირნოდ, მოელვარე პედლებით პირდაპირ ფართოდ გადამლილ

მინდორ-ველებში! ვაშა! მას ჭრელი პერანგი ეცვა ნაცრისფერი კურტაკის ქვევით, სპორტული გეტრები და მთელ ქვეყანაზე ყველაზე გამომწვევი კეპი, კეპი კი არა, თავად განსახიერებული სიანცე, ღია ყავისფრად კუბოკრული და ღილაკით თავზე. ხოლო კეპის ქვემოდან ურჩხად ნაბარდი ქერა და გრუბა ქოჩორი გამოსჩროდა და შუბლის ზეგარდმო დახვავებოდა. თვალები ცისფერი ჰქონდა და მოელვარე. იგი დაუდევრად მოქროდა, მოქროდა ისე, როგორც თავად ცხოვრება, და ბარს აწკარუნებდა, მაგრამ პიპზამი არ დაძრულა ადგილიდან, გაუნძრევლად იდგა და გარინდებული მიშტერებოდა ხორცშესხმულ ცხოვრებას.

ჭაბუკმა გაჯავრებული მხერა ესროლა და ნელა აუქცია გვერდი, მაგრამ ამ დროს პიპზამმაც განაგრძო წინსვლა და, როდესაც ველოსიპედმა ოდნავ წინ გაუსწრო, მძიმედ და მკაფიოდ თქვა: – ნომერი ცხრა ათას შვიდას შვიდი.

შემდეგ მაგრად მოკუმა პირი და დაჟინებით დაბლა დაინყო ყურება, თუმცა კი გრძნობდა, გაოცებული ჭაბუკი მე მიყურებსო.

ჭაბუკი ახლა უკან მოტრიალებულიყო, ცალი ხელი დასაჯდომისთვის ჩაევლო და სულ ნელა მიჰყავდა ველოსიპედი.

– რაო, რა თქვით? – შეეკითხა იგი.

– ნომერი ცხრა ათას შვიდას შვიდი, – გაიმეორა პიპზამმა. – ბევრი არაფერი. მე შევატყობინებ თქვენ შესახებ, სადაც ჯერ არს.

– შეატყობინებთ? – შეეკითხა ჭაბუკი და კიდევ უფრო შემოტრიალდა და კიდევ უფრო ნელა წაიყვანა ველოსიპედი, თან საჯეს გამალებით ატრიალებდა აქეთ-იქით, რომ წონასწორობა დაეცვა.

– აუცილებლად, – მიუგო პიპზამმა, ჭაბუკისგან უკვე ხუთი-ექვსი ნაბიჯით დაშორებულმა.

– მერედა, რას? – ჰკითხა ჭაბუკმა და ველოსიპედიდან გადმოვიდა. იგი ერთ ადგილას იდგა და გაკვირვებული უცქერდა პიპზამს.

– ეს თქვენ თვითონაც მშვენივრად იცით.

– ნურას უკაცრავად, მე არაფერი ვიცი.

– უნდა იცოდეთ.

– მე არაფერი ვიცი და არც მსურს ვიცოდე! – უთხრა ჭაბუკმა და თან ველოსიპედს მიუბრუნდა, რათა გზა განეგრძო. იგი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ასეთ შემთხვევაში შიშისგან ენა მუცელში არ უვარდებათ.

– მე შევატყობინებ, სადაც ჯერ არს, რომ ველოსიპედი დაგყავთ არა შარაგზაზე, სადაც ეს ნებადართულია, არამედ აქ, სასაფლაოს გზაზე, – უთხრა პიპზამმა.

– დიდება შენდა, ღმერთო! – თქვა ჭაბუკმა და უკმაყოფილებისა და მოუთმენლობის გამომხატველი სიცილით კიდევ ერთხელ მოტრიალდა პიპზამისკენ. – კი, მაგრამ ამას ვერ ხედავთ? აი, სალტეების რამდენი ნაკვალები ატყვია ამ გზას. აქ ყველას დაჰყავს ველოსიპედი, ვისაც კი მოესურვება.

– ეს ჩემთვის სულერთია, – მიუგო პიპზამმა, – მე მაინც ჩემსას ვიქმ.

– როგორც გენებოთ, – მიაძახა ჭაბუკმა და ველოსიპედს სხარტად მოახტა, მხოლოდ ერთხელ გაჰკრა მიწას ფეხი, მარჯვედ გადააღაჭა და დასაჯდომზე გაიჭიმა. მერე გამალებით აამუშავა ფეხები, რათა რაც შეიძლება სწრაფად გაქანებულიყო, რაც სრულიად ბუნებრივი იყო ამგვარი ჯეელისთვის.

– თქვენ ეი! – დაუყვირა პიპზამმა აკანკალებული ხმით. – თუ თქვენ კიდევ ივლით ამ გზაზე, მე უსათუოდ მოვახსენებ ამის შესახებ.

მაგრამ „ხორცშესხმული ცხოვრება“ უკვე ვერ ამჩნევდა მას და სულ უფრო და უფრო მზარდი სიჩქარით უდარდელად მიქროდა წინ.

იმ წამს რომ ლობგოტ პიპზამის სახე გენახათ, უთუოდ დიდად შეძრწუნდებოდით. მას ისე

მაგრად მოეკუმა პირი, რომ ლოყები და თვით ნაკვერჩხალივით გავარვარებული ცხვირიც კი საშინლად დამანჭვოდა და მისი თვალები არაბუნებრივად ბევით ანეულ წარბებს ქვემოდან რაღაც შლეგური გამომეტყველებით მისჩერებოდნენ წინ მიმავალ ველოსიპედს. უეცრად ადგილიდან მოწყდა და წინ გაექანა. თვალის დახამხამებაში უკან მოიტოვა მოკლე მანძილი, რომელიც ველოსიპედიდან ამორებდა, და დასაჯდომს ქვევით ჩამოკიდებულ ჩანთას სწვდა, ორივე ხელით ჩააფრინდა, პირდაპირ ზედ ჩამოეკიდა და ისევ არაადამიანურად მოკუმული ტუჩებით, ხმის ამოუღებლად და ველური გამომეტყველებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისკენ ეწეოდა წინ მსრბოლ და აქეთ-იქით მოქანავე მანქანას. ასე რომ, გარეშე მაყურებელს გაუჭირდებოდა გადაეწყვიტა, ამ კაცს ჯიბრით არ სურდა ჭაბუკისთვის გზის განგრძობის სამუალება მიეცა თუ უნდოდა თვითონაც ზედ აჰკიდებოდა, თან გაჰყოლოდა და მოელვარე პედლებით გაენავარდა ფართოდ გადაშლილ მინდორ-ველებში. ვაშა! მაგრამ ველოსიპედმა დიდხანს ვერ გაუძლო ამ სასოებადაკარგულ ტვირთს, გაჩერდა, გვერდზე გადაიხარა და წაიქცა.

აქ უკვე გაცხარდა ჭაბუკი. არც აცია, არც აცხელა და, ცალ ფეხზე მდგომმა, ერთი ისეთი დარტყმა აგემა მკერდში პიპზამს, რომ რამდენიმე ნაბიჯზე ისროლა. შემდეგ მუქარით აღსავსე და უკმეხი ხმით მიმართა: – თქვენ ალბათ მთვრალი ხართ, მოწყალეო ხელმწიფევ! ერთი გაბედეთ და კიდევ შემაჩერეთ და ისეთს მოგაკერებთ დრუნჩში, რომ თვალთ დაგიბნელდეთ. გასაგებია? სათითაოდ ჩაგიმტვრევთ მაგ ნეკნებს! ჰოდა, გაფრთხილდით! – ამ სიტყვებზე მან ბურგი აქცია ლობგოტ პიპზამს, აღმფოთებულმა კიდევ უფრო მაგრად ჩამოიფხატა შუბლზე ქუდი და ისევ მოახტა ველოსიპედს. არა, ის სრულებით არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვისაც ამგვარ შემთხვევაში შიშისგან ენა მუცელში უვარდებათ. ამჯერადაც ჩაუქად მოახტა ველოსიპედს. მხოლოდ ერთხელ გაჰკრა ფეხი მიწას, მარჯვედ გადაალაჯა დასაჯდომს, უმაღვე დაეუფლა მანქანას და პიპზამი ხედავდა, როგორ ეკარგებოდა თვალთახედვიდან ჭაბუკის ბურგი.

ის იდგა, ქმინავდა და გარინდებული უცქერდა მსრბოლავ ცხოვრებას. ჭაბუკი კი არხეინად განაგრძობდა გზას. არავითარი ავარია, არავითარი მარცხი; არც ბორბალი დაშვებია, არც ქვა დახვედრია გზაზე. ჩიტივით მსუბუქად მიქროდა. და აი, პიპზამმა ანაზღად ყვირილი მორთო, ლანძღვა წამოიწყა. იტყოდით, ნადირი ღრიალებსო, იმდენად აღარ ჰგავდა მისი ხმა ადამიანისას.

– ახლავე შეჩერდით! – უყვიროდა იგი. – არ გაბედოთ გზის განგრძობა! თქვენი ადგილი შარაზეა და არა აქ, სასაფლაოს გზაზე. გესმით?! გადმოდით, ახლავე ძირს გადმოდით! თქვენ ეი, მე მოვახსენებ, სადაც ჯერ არს! გიჩივლებთ! ო, ნეტავი გადმოვარდებოდე, ნეტავი ძირს დაენარცხებოდე, შე თავქარიანო ვიგინდარავ, წიხლებით შეგდგებოდი და სახეს ჩაგინაყავდი, შე შეჩვენებულო, შე ლაწირაკო!..

გინახავთ ამის მსგავსი რამ?! სასაფლაოს გზაზე დამდგარა კაცი და ილანძღება, ბლავის პირზე დუჰმორეული, იჭაჭება, იფხორება, ხელ-ფეხს იქნევს აქეთ-იქით და ვერასგზით ვერ დამშვიდებულა. ველოსიპედი დიდი ხანია ცამ ჩაყლაპა და ის კი მაინც განაგრძობდა: – დააკავეთ! დააკავეთ! სასაფლაოს გზაზე გაბედა შემოსვლა! გადმოათრიეთ ველოსიპედიდან ეგ წყეული მატრაკვეცა! ოჰ, ოჰ! ერთი ხელში ჩამაგდებინა შენი თავი, რა სიამოვნებით გამოგშიგნავდი, შე ძაღლის ლეკვო, შე ბრიყვო ქარაფმუტავ, ოტროველავ, გაგრიავ! გადმოდი, ახლავე ძირს გადმოდი! ნუთუ არავის შეუძლია ძირს გადმოაგდოს ეს მხეცი, ესა და მტვერში აგორაოს. ჰმ, გასეირნება მოინდომა და ისიც სად – სასაფლაოს გზაზე! როგორ, შე არამზადავ, შე თავხედო, შე წყეულო ოინბაზო, როგორ გაბედე! ცისფრად მოელვარე თვალები რომ გაქვს, ამით მოგაქვს თავი?! კი, მაგრამ სხვა რა გაბაღია ამის მეტი?! ეშმაკსაც წაუღია ისინი, შე ბრიყვო, შე ტუტუცო, შენა!..

აქ პიპზამი უკვე ისეთ სალანძღავ სიტყვებზე გადავიდა, რომელთა განმეორება ყოვლად შეუძლებელია. ის პირზე დუჰმორეული და მეტისმეტი დაძაბვისგან ხმაჩახლეჩილი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰყვიროდა ყველაზე უნმანურ ქუჩურ გამოთქმებს და თან მთელი ტანით ცახცახებდა. შარაგზიდან პატარა ბავშვებმა მოირბინეს, კალათითა და პინჩერის ჯიშის ძაღლით. თხრილზე გადმოლოდნენ, გარს შემოერთყნენ მყვირალ კაცს და ცნობისმოყვარედ მიაჩერდნენ მის შეშლილ სახეს. მუშებმაც, რომლებიც იქ, უკან, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ნაგებობათა ირგვლივ ფუსფუსებდნენ, ანდა შუადღის შესვენება დაენწყით და ღია ცის ქვეშ სადილობდნენ, მიაქციეს მას ყურადღება და დღიურად მომუშავე დედაკაცებთან ერთად გასწიეს გზაზე შეჯგუფებული ადამიანებისკენ. პიპზამი კი

ამასობაში არ ცხრებოდა, პირიქით, სულ უფრო და უფრო მეტი გააფთრებით მძვინვარებდა, ველარაფერს ამჩნევდა ირგვლივ და მუშტებს იქნევდა გამმაგებით ხან ბევით, ცისკენ და ხანაც ყველა მიმართულებით. ფეხებს სცემდა დედამიწას, ტრიალებდა, მუხლებში იკეცებოდა, მერე ისევ სწორდებოდა, იჭიმებოდა, იძაგრებოდა, რათა რაც შეიძლება ხმამაღლა დაეყვირა. თან ერთი წამითაც არ სწყვეტდა ლანძღვა-გინებას და სულის მოთქმასაც კი არ აცლიდა თავის თავს. გასაოცარი იყო პირდაპირ, საიდან მოსდიოდა ეს სიტყვათა გაუთავებელი ნიაღვარი. სახე საშინლად გასჭარხლებოდა, ცილინდრი კეფაზე მოჰქცეოდა, პერანგის გულისპირი ჟილეტიდან ამოსჩროდა. ამასთან, უკვე დიდი ხანია დავიწყებოდა, საიდან დაიწყო და ზოგად მსჯელობებში გახლართული ისეთ რამეებს ქაქანებდა, რომლებიც თვით შორეულ კავშირშიაც კი არ იყვნენ თავდაპირველ მიზეზთან. ის თან თავის თავსაც ჰკიცხავდა აღვირახსნილი ცხოვრებისთვის, თან ღმერთს უხმობდა მსაჯულად ისევ ისეთივე შეუფერებელი ტონითა და ლანძღვა-გინებით აღსავსე გამოთქმებით.

– აქეთ, აქეთ მოდით ყველა! – ღრიალებდა ის. – არა თქვენ, არა მხოლოდ თქვენ, არამედ სხვებიც, ისინიც, რომლებსაც კეპი ხურავთ და ცისფრად მოელვარე თვალები აქვთ. ისეთ ჭემარიტებებს ჩაგძახებთ ყურში, რომ სამარადისო ციებ-ცხელებამ აგიტანოთ, თქვე თავქარიანო ტუტუცებო, თქვენა!.. იცინით და მხრებს იჩეჩავთ, არა?.. ჰო, მე ვსვამ... რა თქმა უნდა, ვსვამ! ლოთი ვარ, გეთანხმებით, მაგრამ მერე რა მოხდა?! განა ეს ყველაფერია? განა ყველაფერი უკვე გათავდა? განა განკითხვის დღე წინ არ გვიდევს? მოვა ეს დღეც, თქვე არარანო, და უფალი ღმერთი განგვსჯის ჩვენ, ყველას... ძე ღვთისა გამოჩნდება ცათა შინა, თქვე ცოდვის შვილნო, თქვე გარენარნო, და ამქვეყნიური არ იქნება მსჯავრი მისი! იგი ჩააგდებს თქვენს გულმხიარულ მოდგმას უკუნეთში, ჯოჯოხეთის გეენაში, იქ, სადაც სუფევს მოთქმა და...

პიპზამის ირგვლივ ახლა უკვე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ზოგი იცინოდა, ზოგიც შუბლშეჭმუხნილი მისჩერებოდა. მშენებლობიდან კიდევ მოსულიყვნენ მუშები და დღიურად მომუშავე დედაკაცები. ერთ მეურმეს შარაზე გაჩერებინა ოთხთვალა, თხრილზე გადასულიყო და ისიც ხალხში იდგა შოლტით ხელში. ვილაც მკლავში სწვდა პიპზამს და შეანჯღრია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჯარისკაცთა რაზმმა ჩაიარა გვერდით. რაზმელები კისერს იღრეცდნენ მისკენ და იცინოდნენ. პინჩერმაც ველარ შეიმაგრა თავი, წინა თათები მიწას მიაბჯინა და, კუდამოძუებულმა, პირდაპირ სახეში შეჰყეფა პიპზამს.

და აი, უეცრად ლობგოტ პიპზამმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ერთხელ კიდევ დაიღრიალა: – გადმოდი, ახლავე ძირს გადმოდი, შე ბრიყვო, შე გაუთლელი, შენა! – შემდეგ მკლავით ჰაერში ფართო ნახევარი წრე მოხაზა და მოცელილივით ჩაიკეცა. ანაზღეულად დადუმებული და ცნობისმოყვარე მაყურებლებით გარშემორტყმული, იგი შავი ბორცვივით იყო დამხობილი დედამიწაზე. ცილინდრი თავიდან გადასძვრა, გაგორდა, ერთი შეთამაშდა მიწაზე და შემდეგ პატრონივით გაშეშდა ერთ ადგილზე.

ორი ქვისმთლელი დაიხარა უძრავად დაგდებული პიპზამისკენ. მათ ერთმანეთთან მოილაპარაკეს ამ უცნაური შემთხვევის გამო, მოილაპარაკეს ჭკვიანურად, საქმიანად, როგორც ეს მუშა-ხალხს შეჰფერის. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ფეხზე წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით სადღაც გაეშურა. დანარჩენები კი ერთხანს კიდევ დასტრიალებდნენ თავს უგრძობელ სხეულს. ზოგი რითი ცდილობდა ეშველა, ზოგიც – რითი. ერთმა სახეზე წყალი შეასხურა ტოლჩიდან, მეორემ ბადიიდან მუჭაში არაყი დაისხა და საფეთქლები დაუზილა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

ამასობაში მცირეოდენი ხანი გავიდა. შემდეგ მოისმა ბორბლების ხმაური და შარაზე სასწრაფო დახმარების კარეტა გამოჩნდა, რომელსაც ორივე მხარეს ვეებერთელა წითელი ჯვარი ეხატა და შიგ მომცრო ტანის ორი მოხდენილი ცხენი ება. კარეტა სასაფლაოს გზაზე შეჭგუფული ხალხის გასწვრივ გაჩერდა. კოფოდან ორი ფორმაში გამოწყობილი სანიტარი გადმოხტა. ერთი მათგანი კარეტის უკანა მხარისკენ გაემართა, კარი გააღო და გამოსაწევი საკაცე მოამზადა, ხოლო მეორე თხრილზე გადახტა, ცნობისმოყვარეთა წრე გაარღვია და დამსწრეთაგან ერთ-ერთის დახმარებით ბატონი პიპზამი კარეტისკენ წაიღო. იგი საკაცეზე დადეს და კარეტაში შეაყურეს, სწორედ ისევე, როგორც პურს შედგამენ ხოლმე საცხობ ღუმელში; შემდეგ კარი მიკეტეს და ფორმაში გამოტვირთული სანიტრები კვლავ კოფოზე წამოსხდნენ. ეს ყოველივე დიდი სიზუსტით

გაკეთდა, შეჩვეული ხელის მარჯვე მოძრაობით, მარდად და სხარტად, სწორედ ისევე, როგორც ცირკში.

და ლობგოტ პიპზამი წაიღეს იქიდან.

ბედნიერება

ჩუ! სხვის სულში გვინდა ჩავიხედოთ. ისე, სხვათა შორის, გაკვრით, ორიოდ გვერდზე, რადგან საქმე ყელამდე გვაქვს. ჩვენ პირდაპირ ფლორენციიდან მოვდივართ, გარდასული დროიდან. იქ ყველაფერი რიგზე როდი ყოფილა, საქმე შფოთიანსა და სამძიმო ამბებს ეხებოდა. ახლა მთელი ეს დავიდარაბა უკან დაგვრჩა და კვლავ მივიჩქარით. საითო? იქნებ სამეფო სასახლეში, ვინ იცის!.. იშვიათი, მკრთალად მოკიაფე ამბავი ლამობს ჩვენ თვალწინ გადაშლას... ანა, ბარონის ქალო ანა, საბრალო პატარა ანა, რა ცოტა დრო გვრჩება შენთვის!

სამმაგი ტაქტი და ჭიქების ჭახუნი, კვამლი, ფუსფუსი, ხმაური, ბუზუნი, სიმღერა, მოცეკვავეთა ფეხის ხმა: ვინ არ გვიცნობს და ვინ არ იცის ჩვენი პატარა სისუსტე, ასე რომ გვიყვარს დიდხანს შეუმჩნეველად ჯდომა იქ, სადაც სიცოცხლე თავის ყველაზე უბირ დღესასწაულს მართავს, – ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ სწორედ აქ გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანის ტკივილები და ვნებანი ყველაზე მეტი სიმღერითა და სისრულით?

– ავანტაჟიორო! – მთელი დარბაზის გასაგონად შესძახა ბარონმა ჰარიმ, ჰუსართა როტმისტრმა და გაჩაღებული ცეკვა ანაზდად შეწყვიტა. მარჯვენა ხელით ჯერაც ეხვეოდა თავის მანდილოსანს, მარცხენით კი დოინჯი შემოეყარა. – ეს ვალსი კი არა, რაღაც სამგლოვიარო ბარია, ადამიანო! თქვენი არსება სრულიად მოკლებულია რიტმის გრძნობას. ერთთავად დაცურავთ ან ფართხალებთ. უხმეთ ლეიტენანტ ფონ გელბზატელს და სთხოვეთ, ერთხელ კიდევ დაუკრას, რომ ხალხმა რიტმი აიღოს. მიბრძანდით, ავანტაჟიორო! თუ გნებავთ, იცეკვეთ. იქნებ ცეკვა უფრო გეხერხებათ.

ავანტაჟიორი წამოდგა, დეზების წვარუნით გაეცალა და უსიტყვოდ დაუთმო ადგილი ლეიტენანტ ფონ გელბზატელს, – ამან კიდევ თავისი დიდი თეთრი ხელები ფართოდ გაშალა და დანჯღრეულ, მოჟღარუნე-მოგუგუნე ფორტეპიანოს კლავიშებზე გრძელი, თეთრი თითები მსუბუქად შეათამაშა.

ბარონ ჰარის მართლა ჰქონდა გამჭდარი ძვალსა და რბილში ტაქტი, ცეკვისა და მარშის ტაქტი, სილაღე და სიამაყე, ბედნიერება, რიტმი და გამარჯვების ნება. ოქრომკედლით მოქარგული ჰუსართის სერთუკი ერთობ შვენოდა მის ახალგაზრდულ მოღაუღაჟე სახეს, რასაც ბრუნვისა და ფიქრის მცირეოდენი დაღიჯ კი არ აჩნდა. მზედაკრული ღაწვები ოდნავ შეჭვავლოდა, როგორც ემართებათ ხოლმე ქერა ადამიანებს, თუმცა უღვაშებიც და თმაც ნაბლისფერი ჰქონდა – ქალები, მოგეხსენებათ, ამაში გამორჩეულ სინატიფეს ხედავენ. ალისფერი ნაჭრილობევი მარჯვენა ლოყაზე მის გულღია სახეს კადნიერი სიმამაცის იერს აძლევდა. არავინ იცოდა, რას მოწმობდა ეს ნაიარევი, – ნახმლევი იყო თუ ცხენიდან გადმოვარდნის კვალი, – მაგრამ განა სულერთი არ არის? ერთნაირად მომხიბლავია. ბარონი ღმერთივით ცეკვავდა.

ავანტაჟიორი კი ერთთავად დაცურავდა ან ფართხალებდა – თუ ნებას მომცემთ ვიხმარო ბარონ ჰარის გამოთქმა. მეტისმეტად გრძელი ქუთუთოები ჰქონდა, რის გამოც ვერაფრით ახერხებდა თვალების რიგიანად გახელას. სამხედრო სამოსიც უხერხულად ეცვა, თითქოს სხვის ტანზე ჰქონოდა შეკერილი, და მარტო ღმერთმა უწყოდა, რანაირად მოხვდა სამხედრო სამსახურში. „მერცხლების“ ამ საკლუბო შექცევამიაც უხალისოდ მონაწილეობდა, მოსვლით კი მაინც მოვიდა, რადგანაც ისედაც დიდი სიფრთხილე მართებდა, რომ უსიამოვნებას არ გადაჰკიდებოდა: ჯერ ერთი, ჩამომავლობით მდაბიოთა წრიდან იყო. მეორე კიდევ, მის სინდისს ტვირთად ანვა ერთი წიგნი, მოგონილ ამბავთა კრებული, რაც თვითონვე დაწერა ან, როგორც იტყვიან, შეთხზა. ახლა ყოველ მსურველს შეეძლო დუქანში იმ წიგნის შეძენა. ცხადია, ყოველივე ეს ავანტაჟიორის წინააღმდეგ ერთგვარ ეჭვს აღძრავდა.

ჰოჰენდამის ოფიცერთა საკრებულო დარბაზი სიდიდით გამოირჩეოდა. სიმართლე რომ ითქვას, მეტად ფართოც კი იყო იმისთვის, რომ იმ საღამოს იქ თავშეყრილ ოცდაათ

ადამიანს დრო გაეტარებინა. კედლები და მუსიკოსებისთვის განკუთვნილი ტრიბუნები დამძვენებული იყო წითლად შეღებილი თაბაშირის ყალბი საფარველით. უგემოვნოდ შეთითხნილ ჭერზე ეკიდა ორი მომრგვალებული ჭალი, რომლებშიაც ირიბად დადგმული სანთლები ციმციმებდნენ და იღვინთებოდნენ. სამაგიეროდ, შვიდი საგანგებოდ გაგზავნილი ჰუსარი მთელი დილა მოუნდა სანთლით ხის იატაკის გაპრიალებას, ისე, რომ ბოლოს და ბოლოს, ბატონ ოფიცრებს არ შეეძლოთ მეტ ფუფუნებაზე ოცნება ამ დათვის ბუნაგში, ამნაირ სოროში, ასეთ აბდერაში, როგორცაა ჰოჰენდამი. სხვა მხრივ, თუ დღესასწაულს კიდევ აკლდა რაიმე მორთულობა, ამ დანაკლისს ზედმეტად ანაზღაურებდა თავისებური საზეიმო განწყობილება, რაც საღამოს საგანგებო იერს სძენდა და იმის ქედმაღლური შეგნებიდან გამომდინარეობდა, რომ დიდ საქმეში არიან, რაღაც აკრძალულსა და მიუღებელს სჩადიან, საღამოს „მერცხლების“ თანხლებით რომ ატარებენ.

თვით ოფიცერთა სულელი მსახურები, რომლებიც სამრიგად მიმოფანტულსა და თეთრ სუფრაგადაფარებულ პატარა მაგიდებთან დადგმულ ყინულიან ჭურჭელში შამპანურის ახალ-ახალ ბოთლებს აცივებდნენ, თვით ეს უბირი ადამიანებიც კი ცდილობდნენ დაეფარათ ღიმილი და ერთიმეორეს დამცინავი თვალებით გადახედავდნენ ხოლმე, როგორც გამოცდილმა მსახურებმა იციან, თავიანთ ბატონებს სახიფათო საქმეებში რომ ეხმარებიან, ხოლო მომხდარზე პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ, – სულ კი იმის გამო, რომ ნადიმს „მერცხლები“ ესწრებოდნენ!

– მერცხლები! რომელ მერცხლებზე ლაპარაკობთ?

– ერთი სიტყვით, ესენი გახლდათ „ვენის მერცხლები“ – ოცდაათიოდე კეკლუცი – გადამფრენ ფრთოსანთა გუნდით რომ დაეხეტებოდნენ ხოლმე ქალაქიდან ქალაქში, მეხუთე ხარისხის სამიკიტნოებსა და თეატრ-ვარიეტებში გამოდიოდნენ და ჩიტებივით ჟღურტულებდნენ თავიანთ საყვარელ პოპულარულ სიმღერას: „როცა მერცხლები დაბრუნდებიან, მამაკაცები გაბრუვდებიან!“

კარგი სიმღერა იყო, მსუბუქი იუმორით შეზავებული, და მომღერლებიც იმეორებდნენ დამსწრეთა თანამგრძობი ნაწილის ტაშის გრიალში.

ასე გამოჩნდნენ „მერცხლები“ ჰოჰენდამშიც და გუგენფილდის ლუდხანაშიც დაიწყეს ჭიკჭიკი. ჰოჰენდამში გარნიზონი იდგა, – მთელი ჰუსართა პოლკი, – რაც მომღერლებს იმის იმედს აძლევდა, რომ ცხოველ გამოხმაურებას პოვებდნენ ადგილობრივ საზოგადოებაში, მის გავლენიან სფეროებში. მართლაც, იმაზე მეტიც ხვდათ, რასაც ელოდნენ: ინტერესით კი არა, აღტაცებით მიიღეს. უცოლშვილო ოფიცრები მთელ ღამეებს ატარებდნენ მათ ფერხით, ისმენდნენ „მერცხალთა სიმღერებს“ და ქალიშვილების სადღეგრძელოდ ზედიზედ ცლიდნენ გუგენფილდის თეთრი ლუდით სავსე თასებს. ცოტა ხნის შემდეგ მათ შეუერთდნენ ცოლიანი ბატონებიც და ერთ მშვენიერ დღეს მთელი თავისი ბრწყინვალეობით გამოცხადდა პოლკოვნიკი ფონ რუმლერი, რომელმაც სრული თანაგრძობით უცქირა პროგრამის მსვლელობას, ბოლოს კი „მერცხლების“ აღტაცებული ქებაც იწეა.

აი, აქ მომნიფდა ლეიტენანტებისა და როტმისტრების გეგმა, რომ თავიანთ ინტიმურ წრეში შეეყვანათ „მერცხლები“: შეერჩიათ მათგან ათიოდე ულამაზესი ქალიშვილი და მოენვიათ ნადიმზე, შუშხუნა ღვინოებისა და ცეკვის საღამოზე. ქვეყნის ყბაში რომ არ ჩაცვნილიყვნენ, ზედა ფენას თავი ისე უნდა დაეჭირა, ვითომ არაფერი იცის, და ასე გასინჯეთ, იძულებულიც კი გახდა, რომ ნადიმში მონაწილეობაზე უარი ეთქვა. თუმცა საღამოს წვეულებაში მონაწილეობდნენ არა მარტო უცოლო ლეიტენანტები, არამედ ოჯახს მოკიდებული ოფიცრებიც, თვით როტმისტრები, თანაც (სწორედ ამაში მდგომარეობდა გამოგონების მთელი პიკანტურობა, მთელი მისი ლაზათი) – თანაც თავიანთი ცოლების თანხლებით!

დაბრკოლება და ეჭვები? ლეიტენანტ ფონ ლევცანს ბედმა გაუღიმა, ენაზე ოქროს სიტყვა მოადგა: „ჯარისკაცის გზაზე დაბრკოლება და ეჭვები მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ დასძლიოს და გაფანტოს“. დაე, ჰოჰენდამელებს თავზარი დაეცეთ, როცა შეიტყობენ, რომ ოფიცრებმა თავიანთ ცოლებს „მერცხლები“ გააცნეს – თვითონ ისინი ხომ ასეთ რამეს ვერასოდეს გაბედავენ! მაგრამ ცხოვრებაში არსებობს ისეთი სიმაღლე, არსებობს

ისეთი გაბედული, საზღვარს გადაცილებული სამყარო, სადაც ნება გეძლევათ ის გააკეთოთ, რაც დაბალ სფეროებში უსათუოდ ლაქას მოგცხებდათ ან პატივს აგყრიდათ. განა პატივცემული ჰოჭენდამელი მოქალაქეები მიჩვეულნი არ არიან თავიანთ ჰუსართა ყოველნაირ უჩვეულო ოინებს? ბატონი ოფიცრები დღისით, მზისით მიაჭენებდნენ ცხენებს ტროტუარზე, როცა ასეთი ფანტაზია მოუვლიდათ. ჰო, ასედაც ხდებოდა. განა ერთ საღამოს საბაზრო მოედანზე დამბაჩების სროლაც არ ატყდა? ცხადია, არც ამას ჩაიდენდა ვინმე, თავნება ოფიცრების გარდა. მერე, განა ვინმეს გაუბედავს ამის გამო ბუბლუნი? ის კი არა, ასეთი რამეც მომხდარა ნამდვილად.

ერთხელ დილით, ასე ხუთიდან ექვს საათამდე, როტმისტრი ბარონი ჰარი ვარგ გუნებაზე ბრუნდებოდა იმ ადგილიდან, სადაც რამდენიმე ამხანაგთან ერთად ღამე გაატარა. თან ახლდნენ როტმისტრი ფონ ჰუნემანი, ლეიტენანტები და უმცროსი ლეიტენანტები: ლემესტრი, ბარონი ტრუხბესი, ფონ ტრუტენაუ და ფონ ლიჰტერლოო. როცა ეს ვაჟბატონები ძველ ხიდზე გადიოდნენ, წინ მეფუნთუშე ბიჭი შემოხვდათ, მხარზე ნამცხვრით სავსე კალათა ედგა და დილის სიგრილით დამტკბარს უღარდელი სიმღერა გაემა.

– ხელები მალლა! – შესძახა უეცრად ბარონმა ჰარიმ, კალათი აიტაცა, შეარხია და ჰაერში ისე მკვირცხლად შეატრიალა, რომ ერთი ფუნთუშა არ გადავარდნილა, შემდეგ მოიქნია და ხიდის მოაჭირზე გადაისროლა. კალათმა ფართო წრე შემოხაზა, რაც ბარონის ღონებზე მეტყველებდა, შემდეგ კი შორს, შორს, მღვრიე ტალღებში გადაეშვა. ყმანვილი ჯერ შიშისა და მოულოდნელობისგან გაქვავდა. შემდეგ კი, როცა ნახა, როგორ საცოდავად მიცურავდნენ მისი ფუნთუშები და საცოდავად იძირებოდნენ, ხელები ცისკენ აღმართა, ჰაერი შესაბრალისი გოდებით შესძრა და სრულიად სასონარკვეთილმა აღარ იცოდა, რა ეღონა. ბატონი ოფიცრები ერთხანს თავს იქცევდნენ ყმანვილის ბავშვური წყრომით, შემდეგ ბარონმა ჰარიმ გადაუგდო მონეტა, რაც სამჯერ აღემატებოდა მდინარეში გადაყრილი ფუნთუშების ღირებულებას, – და ოფიცრებმა სიცილით მიაშურეს თავიანთ სახლებს. ახლა კი ყმანვილი მიხვდა, საქმე ბატონებთან მქონიაო და გაჩუმდა.

ამ ამბავმა მალე მოიარა ქალაქი, და მერე რა მოჰყვა ამას? განა გაბედა ვინმემ შუბლის შეკვრა, რა მოხდა და რატომ მოხდაო? ღიმილითა თუ კბილთა კრაჭუნით, არ ვიცით, მაგრამ ქალაქელებს ბარონ ჰარისა და მისი ამხანაგებისთვის ასეთი ოინის პატიება მოუხდათ. ესენი ხომ ბატონები იყვნენ! აი, ასევე შეხვდნენ ოფიცერთა ცოლები „მერცხლებსაც“.

ეტყობოდა, ავანტაჟიორს ვალსის დაკვრაზე უკეთ არც ცეკვის ილეთები გაეგებოდა. ყოველ შემთხვევაში, არავინ გაუნვევია და წყნარად მიუტდა ერთ პატარა მაგიდასთან მოკალათებულ ბარონესა ანას, ბარონ ჰარის მეუღლეს, თავი მდაბლად დაუკრა და მორიდებით გადაულაპარაკა ორიოდე სიტყვა. „მერცხლებთან“ საუბრის უნარი ახალგაზრდა კაცს სრულიად არ აღმოაჩნდა. პირდაპირ ეშინოდა მათი და ეგონა, რომ ამნაირ ქალიშვილებს, რაზედაც უნდა ჩამოუგდო სიტყვა, აუცილებლად ახირებულ კაცად მოვეჩვენებო. ამბზე ფიქრიც კი უსამველოდ ტანჯავდა ავანტაჟიორს.

მაგრამ რაკი მას, მრავალი დუნე და უმწეო ადამიანის მსგავსად, უსაძაგლესი მუსიკაც კი აღუმებდა, აძაბუნებდა და ფუჭ მეოცნებედ აქცევდა, აგრეთვე იმიტომაც, რომ მისდამი სრულიად გულგრილი ბარონესა ანაც რაღაც დაფანტულ პასუხებს აძლევდა, მალე ორივენი გაჩუმდნენ, მხოლოდ იმას დასჯერდნენ, რომ გაყინული, ოდნავ ნაძალადევი, ორივესთვის დამახასიათებელი რაღაც უცნაური ღიმილით შესცქეროდნენ მოცეკვავე წყვილების ტრიალსა და გოგმანს.

ჭაღებში ალის ენები ცახცახებდნენ და სანთლები ისე იღვენთებოდნენ, რომ თავდაპირველ ფორმას კარგავდნენ, გაცივებული სტეარინის ხორკლიანი კორძებით იფარებოდნენ, ძირს კი ლეიტენანტ ფონ გელბბატელის ცეცხლოვანი რიტმის მორჩილი წყვილები სრიალებდნენ და ტრიალებდნენ. პატარა ფეხები მსუბუქად ტოკავდნენ, მოხდენილად რონინებდნენ და ბრუნავდნენ, მამაკაცთა გრძელი ფეხები ოდნავდა იხრებოდნენ, ზამბარასავით სწყდებოდნენ იატაკს და წრეში ელვასავით გაცურდებოდნენ ხოლმე. ქარიშხალივით ტრიალებდნენ კაბები, დარბაზის ორომტრიალში ციალებდა ჰუსართა ღია სამოსელი, გრძნობიერებით მიბნედილი მანდილოსნები თავებს დაბლა ხრიდნენ, საროტანს არხევდნენ და ოფიცერთა მკლავებს ენდობოდნენ.

ბარონი ჰარი მოსირმულ გულ-მკერდში იკრავდა განსაკუთრებულად ლამაზ „მერცხალს“. სახითაც თითქმის ეხებოდა ქალის სახეს და პირდაპირ თვალში თვალი ჰქონდა გაყრილი. ბარონის მეუღლე ანა ღიმილით შესცქეროდა ამ წყვილს. იქით კიდევ კოჰნია ლეიტენანტი ფონ ლიხტერლოო ატრიალებდა ერთ პატარა, ფუნთუშა, ბურთივით მრგვალ „მერცხალს“. ქალს მკერდი მეტისმეტად გამიშვლებული ჰქონდა. ერთ-ერთი ჭალის ქვეშ კიდევ, – ეს უდავო ჭეშმარიტებაა, – ლეიტენანტი ფონ ჰუნემანის ცოლი, – ქვეყნად ყველაზე მეტად შამპანური რომ უყვარს, – თავდავიწყებით დააქროლებდა მესამე „მერცხალს“, მოხდენილ, ჭორფლიან ქმნილებას, რომელსაც ასეთი პატივისგან სახე უღაჟღაჟებდა.

– საყვარელო ბარონესა, – ეუბნებოდა შემდეგ ქალბატონი ფონ ჰუნემანი ლეიტენანტი ფონ ტრუხზესის მეუღლეს, – ამ ქალიშვილებს სულაც არ ეთქმით გაუნათლებელი. შეუძლიათ თითებზე ჩამოგითვალონ იმპერიის ყველა ცხენოსანი გარნიზონი.

ეს ქალი „მერცხალთან“ იმიტომ ცეკვავდა, რომ ორი მანდილოსანი ზედმეტი აღმოჩნდა. ცეკვით გატაცებულთ სრულიად ვერ შენიშნეს, როგორ თანდათანობით ჩამოსცილდნენ დანარჩენი წყვილები და შესაძლებლობა მისცეს ამ ორს მთელი სისრულით გამოევიდნათ თავიანთი ნიჭი. ბოლოს ორივე მოცეკვავე ქალმა მაინც შენიშნა ეს ამბავი, ერთიმეორეს გადაეხვივნენ და დარბაზის შუაგულში დადგნენ, რათა მოემკათ თავიანთი გულმოდგინების ნაყოფი – საყოველთაო ტაშის ქუხილი, სიცილი და წამოძახილი „ბრაავო!“

შემდეგ შამპანურის სმა გაჩაღდა, თეთრხალათიანი მსახურები დაფაცურდნენ. ახლა „მერცხლებს“ უნდა ემღერათ, იმის მიუხედავად, მოასწრეს დასვენება თუ არა.

მწკრივად დანყობილი იდგნენ ესტრადაზე, დარბაზის ერთი კუნჭული ეჭირათ და იქიდან ისროდნენ თვალთა ისრებს, მხრები და მკლავები გამიშვლებული ჰქონდათ, ხოლო სამოსელი, ღია-რუხი ფერის ვესტონები და პატარა შავი ფრაკები, მერცხალთა შეფერილობას მოგაგონებდათ. ფეხზე ეცვათ ისრებიანი რუხი წინდები და ძალზე ღია, მეტისმეტად მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. შავგვრემანებიც იყვნენ და ქერებიც, უდარდელი სქელი ქალებიცა და სიგამხდრით გამორჩეული კოხტა ბანოვანნიც. ზოგს წითლად მოეთითხნა ლოყები და ზოგსაც თეთრად უელავდა ცირკის მასხარასავით, მაგრამ ყველას ჩრდილავდა ერთი პატარა შავგვრემანი ქალი, ბავშვური ხელები და ნუშისებური თვალები რომ ჰქონდა – ის, რომელთანაც ახლახან ბარონი ჰარი ცეკვავდა. ჯერაც უწინდებურად მოღიმარი ბარონის ქალი ანაც აღიარებდა, „მერცხლებს“ შორის ამ ქალიშვილს ტოლი არა ჰყავსო.

ახლა „მერცხლებმა“ წამოიწყეს სიმღერა, ლეიტენანტი ფონ გელბზატელიც უკან გადაიხარა, თავი ქალიშვილებისკენ მიაბრუნა და წინ განვდილი ხელები კლავიშებზე შეათამაშა. მის აკომპანემენტს აყოლილი „მერცხლები“ შეწყობილად მღეროდნენ იმაზე, რომ ისინი გადამფრენი მერცხლები არიან, რომ მთელი ქვეყნიერება გადასერეს; რომ გაფრენილებს თან მიჰყვებათ ყველას გული. იმღერეს აგრეთვე უაღრესად პოპულარული მელოდიური სიმღერა, რომელიც ასე იწყებოდა: „ო, როგორ გვიყვარს სამხედროები!“

მაშ, მოგვაპყარით სახე დროებით!“

და ასევე თავდებოდა. მერე, მსმენელთა დაჟინებითი მოთხოვნით, ერთხელ კიდევ შეასრულეს „მერცხლების სიმღერა“ და ბატონმა ოფიცრებმაც, თვით მერცხლებზე უკეთ რომ დაიბეჰირეს მათი საგალობელი, აღფრთოვანებით მისცეს ბანი: „როცა მერცხლები დაბრუნდებიან, მამაკაცები გაბრუვდებიან!“

დარბაზი ზანზარებდა. სიმღერის, ხარხარის, ზრიალისა და დებების წვარუნისგან ყურთასმენა აღარ იყო. ანა ისევ იღიმებოდა. იჯდა და შესცქეროდა ამ ქეიფსა და ლაგამანყვეტილ მხიარულებას. უკვე თავიც სტკიოდა, გულიცა, და სიამოვნებით ნავიდოდა სადმე სხვაგან, რომ მისი ქმარი, ბარონი ჰარი, ასე თავდავიწყებული მონანილე არ ყოფილიყო ყოველივე იმისა, რაც აქ ხდებოდა.

– დღეს კარგად მოვილხინე, – მიუბრუნდა ანა გვერდით მჯდომ ქალს ცოტა ხნის წინ, რაკი თვითონაც ეგონა, მართლა მოვილხინეო. პასუხი დუმილი და ირონიული გამოხედვა იყო. ანას მოაგონდა, რომ საზოგადოებაში მიღებული არ არის ასეთი რამეების თქმა. თუ ვინმეს ემხიარულება, კიდევაც უჭირავს თავი მხიარულად, ხოლო ასეთი რამეების გამოტანა და

საზოგადოებაში ამაზე ლაპარაკი, რაც უნდა იყოს, სარისკო და უცნაური საქმეა, სწორედ ისევე, როგორც სრულიად უაზროა საზოგადოებაში ასეთი რამის თქმა: – იცით, დღეს უხალისოდ ვარო.

ბარონის ქალი ანა სრულ სინყნარესა და მარტოობაში გაიზარდა, თავისი მამის ბღვისპირა მამულში და დღემდე ვერ შეეთვისებინა მაღალი საზოგადოების მთავარი ჭეშმარიტებანი, თუმცა ძალიან ეძინოდა გარემომყოფთა ჩამოშორებისა და სულით და გულით სურდა ისეთი ყოფილიყო, როგორნიც სხვები არიან, რომ ცოტათი მაინც ჰყვარებოდათ. ფერმკრთალი ხელები ჰქონდა და ფერფლისფერი ქერა თმა, რაც მეტისმეტად მძიმედ აწვა მის ვიწროსა და ნაზ სახეს. მოთეთრო წარბებს შორის გასჩენოდა მოგრძო ნაოჭი, რაც მის ღიმილს რაღაც ტანჯულ, ავადმყოფურ იერს აძლევდა.

საქმე ისაა, რომ ანა აღმერთებდა თავის ქმარს. დიახ, ნუ იცინით! ფუნთუშებით გართობის გამოც კი აღმერთებდა, რადგან მორჩილად, რაღაც ლაჩრული, დამამცირებელი სიყვარულით ეტრფოდა, თუმცაღა მეუღლე ყოველდღე ატყუებდა და გულს ქარაფშუტა ბიჭვით უჭიჭვნიდა. ანა იტანჯებოდა თავისი სიყვარულით როგორც ქალი, რომელსაც ეზიზღებოდა საკუთარი სინაზე და სისუსტე და ესმოდა, რომ ქვეყანას ძალა და ტლანჭი მხიარულება განაგებდა. დიახ, იგი ისევე ემორჩილება თავის სიყვარულსა და ტანჯვას, როგორც უსიტყვოდ მიწებდა ჰარის, როცა მან ვნების ხანმოკლე მოზღვავეებისა ხელი სთხოვა. ეს იყო მეოცნებე მარტოსული, იმის წყურვილით გატაცებული, რომ ყველა მისი ვნებითა და ქართველით შეეცნო ცხოვრება.

სამმაგი ტაქტი და ჭიქების ჭახუნი, – ფუსფუსი, კვამლი, ცეკვა და სიმღერა, – აი, სად იყო ჰარის სტიქია და მისი სამეფო. მაგრამ იმავე სამეფოში დანავარდობდა ანაც, რადგან იქ იყო მისი ოცნება, მისი ბედნიერება, სიყვარული და სიცოცხლე.

გულგახსნილობავ! მიამიტო, მოზეიმე გულგახსნილობავ, შენა ხარ ადამიანის მომშლელი დამამცირებელი, უნაყოფო საცთურით აღსავსე სანამლაზი, აზრისა და სიმშვიდის აღვირახსნილი მტერი; ნეტავ, რა უნდა იყოს შენზე საზარელი?

ასე ატარებდა საღამოებსა და ღამეებს ბარონის ქალი ანა: იჭდა იმ უმძაფრესი წინააღმდეგობით ქენჭნილ-წამებული, რაც მისი გარემოცვის სრულ სიცარიელე-უბადრუკობასა და იმ ავადმყოფურ აღგზნებას შორის იყო, რომელიც ღვინოს, ყავას, ვნებიან მუსიკასა და ცეკვას გამოენჯია: იჭდა და შესცქეროდა, როგორ აჯადოებდა მისი ჰარი ლამაზ მხიარულ ქალებს; იმიტომ კი არ აჯადოებდა, რომ მათში განსაკუთრებულ მიმზიდველობას ხედავდა, არამედ იმიტომ, რომ ამას პატივმოყვარეობა სთხოვდა, იმის საჩვენებლად, თუ როგორ უღიმის ბედი, რა ნებიერია და რა უცხოა მისთვის უარი, მარცხი, დაუკმაყოფილებელი სურვილები. რამდენ ტკივილს აყენებდა ანას ეს ამაოება და როგორ უყვარდა მაინც ქმარი! რა წარმტაცია იყო და რა საამო მარტო ეს აზრი, რომ იგი ეგზომ ლამაზია, ასე ახალგაზრდა და მომაჯადოებელი! რა ტანჯვით აღაგზნებდა სხვა ქალთა სიყვარული მისას, საკუთარს! და როცა ყველაფერი თავდებოდა, როცა იმ ნადიმის შემდეგ, რასაც ქმრის მიზგებით ასეთ დარდსა და მღელვარებაში ატარებდა, საკუთარ თავზე შეყვარებული ჰარი ურცხვად ტრაბახობდა თავისი უკანასკნელი გამარჯვებით, – მაშინ დგებოდა წამები, როდესაც ქალის ბრაზი და სიძულვილი მისსავე სიყვარულს უტოლდებოდა, და მაშინ ქმარს „არამზადასა“ და „ფუქსავატს“ უწოდებდა გულში, ცდილობდა, დუმილით დაესაჯა, სასაცილო, საცოდავი დუმილით.

სწორად გაგიგეთ, ბარონის პატარა ქალი ანა? სწორად გადმოგცემთ იმ გრძნობებს, რომლებიც შენს საცოდავ ღიმილს ეფარებიან, როცა „მერცხლები“ თავიანთ სიმღერებს ჭიკჭიკებენ? ვილაპარაკოთ იმაზე, როგორ ნევხარ ხოლმე შენს ლოგინში, დამცირებული და შესაბრალისი, როგორ ამოოდ ხარჯავ სულიერ ძალებს ისეთი ნაკვესების, მახვილი სიტყვებისა და მოსწრებული პასუხების მოგონებაზე, რომლებიც იმისთვის უნდა გეპოვა, რომ ბრდილი და თავაზიანი მანდილოსნის სახელი მოგეხვეჭა, და რომლებიც ვერ იპოვე. ვილაპარაკოთ განთიადის მრუმე საათებზე, როცა ბურანში მყოფი, დარდისგან დასუსტებული, ქმრის მხარზე ტირი, ის კი რომელიმე ცარიელი, ალერსიანი, უმნიშვნელო სიტყვით განუგებებს, და უეცრად იმის შეგნება გაგკრავს, რომ დიდი სისულელეა მის მხარზე შენი ცრემლთა ფრქვევა.

ავად რომ გაგიხდეს, – ხომ მართალია? – სულ იოლი, უმნიშვნელო ავადმყოფობა, მისი უბრალოდ შეუძლოდ ყოფნა იკმარებს იმისთვის, რომ ოცნების მთელი სამყარო გადაგეშალოს და იგი ტანჯულ ბავშვად წარმოგიდგეს. აი, წევს შენ წინაშე, უძლური, სუსტი, უღონო, და როგორც იქნა, მხოლოდ შენ გეკუთვნის. ნუ გრცხვენია! ნუ გძულს საკუთარი თავი! უბედურება ხშირად ურიგო ამბებს გვაჩვენებს, ჩვენ ვიცით ეს, ჩვენ ვხედავთ ამას, საბრალო პატარა მარტოსულო. ამისთანები კი არ გვინახავს ჩვენს ხეტიალში! მაგრამ აი, ამ პატარა ავანტაჟიორზე კი შეგეძლო ცოტა გებრუნა, გრძელ ქუთუთოებს რომ არხევეს, შენ გვერდით მჯდომი, და სიამოვნებით რომ გაიზიარებდა შენს მარტოობას – თვითონაც მარტოა და იმიტომ. მაშ, რატომ არ აქცევ ყურადღებას? იმიტომ ხომ არა, რომ შენი საკუთარი სამყაროს შვილია და არა მეორისა, სადაც მხიარულება და სიამაყე, რიტმი და ძლევის ყიჟინა მეფობს? დიახ, მწარეა, ერთ სამყაროშიც უცხო იყო და მეორეშიც – ეს ვიცით! მაგრამ შერიგება აქ შეუძლებელია.

მქუხარე ტაშის გრიალმა დაფარა ლეიტენანტ გელბბატელის უკანასკნელი აკორდები. „მერცხლების“ სიმღერა დამთავრდა. ფრენით ჩაინავარდეს ესტრადის საფეხურები, ძირს შეჯგუფებული ოფიცრებიც ხელს აშველებდნენ. ბარონი ჰარი ესმარებოდა იმ პატარა შავგვრემან ქალს, ბავშვური ხელები რომ ჰქონდა, და ამას მარდად აკეთებდა, საქმის სრული ცოდნით. ცალი ხელი თედოზე ედო, მეორეც წელზე შემოეჭდო და ასე, თითქმის ხელში ატაცებული აუჩქარებლად მიიყვანა პატარა მაგიდასთან, რომელზედაც სავსე ბოთლები იდგა, იქ ფიალა შეუვსო შამპანურით, ისე, რომ ქაფი ზედ გადავიდა, ნელა მიაჭახუნა სასმისი, თან განუწყვეტლივ, დაჟინებით, გაურკვეველი ღიმილით ჩასცქეროდა თვალებში.

ჰარიმ ბევრი დალია. ნაჭრილობევი შესწითლებოდა თეთრ მუბლზე, მკვეთრად რომ გამოირჩეოდა მზედაკრულ სახეზე, მაგრამ წელში გამართული იყო, მკვირცხლი, თავისუფალი მიმოხვრა ჰქონდა და არა ვნებამორეული.

მათი მაგიდა დარბაზის მეორე მხარეს იდგა, იმ მაგიდის პირდაპირ, რომელსაც ბარონის მეუღლე ანა უჭდა. ქალი რამდენიმე ზოგადი სიტყვით გადაულაპარაკებდა ხოლმე მეზობელს, იმავე დროს კი ყურდაცქვეტილი უსმენდა ქმრისა და „მერცხლის“ სიცილს, თან ჩუმად, დამცირებული სახით ადევნებდა თვალს მათ ყოველ მოძრაობას. ეს იყო უცნაური, მტანჯველი, დაძაბული მდგომარეობა, რაც საშუალებას გვაძლევს, დავიცვათ საყოველთაოდ მიღებული პირობითობა საზოგადოებაში, მექანიკურად განვაგრძოთ საუბარი ერთ ადამიანთან, იმ დროს, როცა მთელი სულიერი ზრახვა და გულისთქმა მიმართულია მეორისკენ, ვისაც თვალყურს ადევნებ.

ერთი-ორჯერ ანას ეჩვენა, თითქოს პატარა „მერცხალმა“ თვალი გაუსწორა, – იქნებ ამ ცუგრუმელამ რაღაც იცის? იქნებ იცნობს ბარონის მეუღლე ანას? რა მომხიბლავია ეს ქალიშვილი, რა თამამია, რა უდარდელი, რამდენი სიცოცხლეა მასში, რა მაცდურია! გავიხედოთ და ჰარის შეჰყვარებოდა, როგორ დაიტანჯებოდა იმ ქალისთვის! ანა აპატიებდა, გაუგებდა, თანაუგრძნობდა კიდევ! და ანაზდად ანამ იგრძნო, რომ ამ „მერცხლით“ მისი გატაცება ბევრად უფრო ღრმა და მხურვალეა, ვიდრე ის, რასაც მისადმი ჰარი განიცდიდა.

პატარა „მერცხალი“! ღმერთო ჩემო, მას ემის ეძახდნენ და იყო მდაბიო, უბირი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაგრამ რა ვარგი ჩანდა! მშვენიერი შავი თმის კულულები ქობავდა მის ფართო, მგრძნობიარე, პატარა მეტყველ სახეს, შავი ნუშინებრი თვალები ჰქონდა, მარგალიტებივით ჩამწკრივებული თეთრი კბილები უმშვენებდა პატარა პირს, მსუბუქად გამოძერწილი მისი ხელები თითქოს საალერსოდ უხმობდნენ ადამიანს, მაგრამ ყველაზე უკეთესი მისი მხრები იყო, რომელთაც დროდადრო რაღაც გამოუთქმელი მომხიბლავობით, შემპარავად და ქალური სინატიფით შეარხევდა ხოლმე. სწორედ ეს შიშველი მხრები ხიბლავდნენ საშინლად ბარონ ჰარის. არაფრით არ უნდოდა, რომ ქალს მხრები დაეფარა, ემის კი თავში უცნაური აზრი მოუვიდა: შალი მოისხა, და ბარონმა მოხადა შალი. დაიწყო ხმაურიანი ბრძოლა ამ შალისთვის, რომლის მოხურვასაც გაჭიუტებული „მერცხალი“ თავგამოდებით ლამობდა. ამასთან ვერც ერთი იქ მყოფთაგანი, ვერც ბარონი ჰარი, ვერც მისი მეუღლე, ვერც ვინმე სხვა, სრულიად ვერ ამჩნევდა, რომ ამ პატარა დაკარგულ არსებას მთელი საღამოს განმავლობაში ნაღვლიანად მიუწევდა გული ახალგაზრდა ავანტაჟიორისკენ – იმ ყმანვილისკენ, თავიდანვე რომ მოაცილეს როიალს იმის გამო, რომ არ აღმოაჩნდა რიტმის გრძნობა.

„მერცხალს“ ხიბლავდა მისი დაქანცული მხერა და მანერები, ესახებოდა რაღაც კეთილშობილ, ყარობ, უცნობ პოეტად, რაღაც სულ სხვა ქვეყნიდან მოსულად, – იმ დროს, როცა ბარონ ჰარის მანერები მეტისმეტად ნაცნობი და მოსაწყენი იყო მისთვის. და „მერცხალი“ თავს უაღრესად უბედურად გრძნობდა, გამოუთქმელად იტანჯებოდა იმის გამო, რომ ავანტაჟიორი, თავის მხრივ, თანაგრძნობის არავითარ ნიშანს არ აძლევდა.

დალეული სანთლები სუსტად ბუუტავდნენ პაპიროსის ლურჯ კვამლში, ბოლქვებად რომ დაცურავდა ადამიანთა თავებზე. დარბაზი გაუღენთილი იყო ყავისა და საჭმელების სუნით. გახურებული ხალხის ორთქლი, მძიმე, უგვანო ატმოსფერო სულის შემხუთველად რომ შეგუბებულებოდა „მერცხალთა“ ორაზროვანი სუნამოსგან, თავს დასტრიალებდა ყოველივეს – პატარა თეთრ მაგიდებს, ხალხის სიცილს, ჩურჩულს, ხითხითსა და მოარძიყეთა ცელქობას.

ბარონის მეუღლე ანა აღარ ლაპარაკობდა. ქალს სასონარკვეთილება დაეუფლა. დარდის, სიძულვილის, შურის, სიყვარულისა და საკუთარი თავის ზიზღის საშინელ გრძნობათა ნარევმა, – მოკლედ, იმ მდგომარეობამ, რასაც ეჭვი ჰქვია და ადგილი არ ექნებოდა, ქვეყანა რომ ოდნავ უკეთესი ყოფილიყო, – ისე შეუკუმშა გული, გაძალიანების თავიც აღარ ჰქონდა.

კმარა მოტყუება. კეთილ ინებოს და ნახოს, რა დღეშია მისი ცოლი, რცხვენოდეს მისი, მკერდში ერთი პატარა გრძნობის ნატამალი მაინც გამონახოს მისთვის.

ანამ ჰარის მაგიდას გადახედა. მათი თამაში მეტისმეტად შორს წასულიყო. ყველანი ღიმილით, ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ჰარის და მის „მერცხალს“.

ჰარიმ რაღაც ახალი მოიგონა: „მერცხლის“ ბეჭდისთვის ბრძოლა მოისურვა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, ბეჭდები გადაეცვალა. მუხლები ქალის მუხლებს მიაბჯინა, სკამზე დააკრა და გაშმაგებით ჩაავლო ხელში ხელი, ცდილობდა გაეშალა მისი პატარა, მუშტად შეკრული ხელი. ცხადია, საქმე იმით დასრულდა, რომ კაცმა გაიმარჯვა.

საზოგადოების საერთო ღრიანცელსა და მოწონების შეძახილებში წააძრო „მერცხალს“ ვიწრო გველის-სახე ბეჭედი და საჯაროდ გაუკეთა თავისი საქორწინო ბეჭედი.

მაშინ ბარონის მეუღლე ანა წამოდგა. აღშფოთება და კაეშანი, შეუკავებელი მისწრაფება, რომ განმარტოებულებოდა, სიბნელეში წასულიყო, სასონარკვეთილი ქალის განზრახვა, რომ დაესაჯა, საჯარო ხმაურით შეერცხვინა ქმარი, ოღონდ კი რამენაირად მიეცია მისი ყურადღება, – ყოველივე ეს ტვირთად დააწვა პატარა ანას. მოტყდა და მოიხარა ბარონის მეუღლე ანა. სრულიად ფერწასულმა უკან გასწია სკამი და გასასვლელს მიაშურა.

ეს იყო სენსაცია.

ადამიანები გამოფხიზლდნენ, ყველანი წამოდგნენ და სერიოზული გამომეტყველებით გადახედეს ერთიმეორეს. რამდენიმე მამაკაცმა ჰარის დაუძახა. ხმაური უეცრად შეწყდა.

აქ კი სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა. „მერცხალი“ გადაჭრით დადგა ბარონის მეუღლე ანას მხარეზე. ქალის მარადიულმა ინსტინქტმა ჩაუნერგა თანაგრძნობა სხვა დამცირებული დედაკაცის უბედურებისა და სასიყვარულო ტანჯვისადმი თუ თავისმა საკუთარმა ტანჯვამ, ახალგაზრდა დაქანცული ავანტაჟიორის გულცივობით გამოწვეულმა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ასეთი რამ კი გააკეთა, რამაც ყველა გააოცა.

– თქვენ არამზადა ხართ! – შესძახა ხმამაღლა საერთო ღუმელში და ხელი ჰკრა მერცხვენილ ბარონ ჰარის.

მხოლოდ სამი სიტყვა: „თქვენ არამზადა ხართ!“ – მეტი არაფერი. ამის შემდეგ ქალი სწრაფად აღმოჩნდა კართან მდგარი ანას გვერდით.

– მაპატიეთ! – უთხრა ისე წყნარად, თითქოს დარბაზში მყოფთაგან სხვა არავინ მიაჩნია ამ სიტყვების მოსმენის ღირსად. – ინებეთ თქვენი ბეჭედი. – ამასთან ჰარის საქორწინო ბეჭედი მის მეუღლეს ხელში ჩაუდო. უეცრად ბარონის მეუღლემ გოგონას სახსე სახის სითბო იგრძნო ამ ხელზე: მერცხალმა რბილი მხურვალე ტუჩები დააკონა.

– მაპატიეთ! – გაიმეორა და გაიქცა.

იდგა ბნელში ბარონის ქალი ანა, კარს მოფარებული, ვერანაირად ვერ მოსულიყო გონს და ელოდა, როდის დაწყნარდებოდა ეს მოულოდნელი ამბავი მის თავში. უცხად თვალები მოხუჭა: ერთი წამით მოეწვინა ბედნიერების გრძობა, რაღაც უცხო, ტკბილი და მხურვალე ბედნიერებისა.

კმარა! არც ერთი ბედმეტი სიტყვა! კარგად ჩაუფიქრდით ამ პატარა, მაგრამ ძვირფას წვრილმანს. იდგა სრულიად გაოგნებული ქალი, აღტაცებული და მოხიბლული, მაგრამ რითი? იმით, რომ რომელიღაც სულელ მოხეტიალე მომღერალ გოგონას აზრად მოუვიდა მისი ხელი დაეკოცნა?

აქ უნდა დაგმორდეთ, ბარონის ქალო ანა, შუბლზე გეამბორებით, ბედნიერად ბრძანდებოდეთ! დროა, წავიდეთ! მშვიდად იძინე! მთელ ღამეს გაატარებს შენთან სიზმრად უცხო „მერცხალი“, რომელმაც მოგხედა და ცოტაოდენი ბედნიერება მოგანიჭა.

ეს იმიტომ, რომ ბედნიერების მსუბუქი თრთოლა გვათრობს ხოლმე, როცა წამიერად და მაცდურად უახლოვდება ერთმანეთს ეს ორი სამყარო, რომელთა შორის ხან აქეთ, ხან იქით ამაოდ რონინებს ოცნება ჩვენი.

1904

მძიმე საათი

იგი სასონარკვეთილი წამოდგა პატარა, ძველთაძველი სანერი მაგიდიდან და თავჩაქინდრული გაემართა ოთახის მოპირდაპირე კუთხეში სვეტივით აღმართული ღუმლისკენ. ხელები კაფელს მიადო; შუალამე კარგა ხნის გადასული იყო და ღუმელი გაცივებული დახვდა. ეგონა, სითბო მცირეოდენ შვებას მაინც მოჰგვრიდა, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა. ღუმელს ზურგით მიეყრდნო; განწყალბებულ მაქმანებიან ღამის ხალათს რომ იფუთნიდა, ხველება აუტყდა. სულის მოსათქმელად ძლივს შეისუნთქა ჰაერი. როგორც ყოველთვის, ახლაც სურდო სჭირდა და ცხვირი დახშული ჰქონდა.

რაღაც უცნაური, სულის შემხუთველი სურდო შეეყარა და ვერასგზით ვეღარ დააღწია თავი ამ სენს. ქუთუთოები შეუშუპდა, ნესტოები დაუსივდა, დაუსკდა; ავადმყოფობა მძიმე ბანგივით გაუჭდა სხეულში და აწვალვდა. იქნებ იმან მოთენთა, ექიმის დაჟინებით, რამდენიმე კვირა ისევ ოთახში რომ გამოიკეტა? ეს ტყვეობა, ალბათ, ქრონიკული კატარის სამკურნალოდ და მკერდისა და მუცლის არეში მწვავე ტკივილების გასაყუჩებლად საჭირო. თანაც რამდენიმე კვირა იენში ცუდი ამინდი დაიჭირა, უღიმღამო, პირქუში და ცივი, ისეთი, სხეულის ყოველ ნერვს რომ აღიზიანებს. დეკემბრის მიუსაფარი და ეული ქარი ბუხრის საკვამურში გულისმომკვლელად მოთქვამდა ღამის წყვილიადით მოცულ, უდაბურ მინდვრებში უგზო-უკვლოდ ქოლასა და სულის უკურნებელ კაემანზე. ასეა თუ ისე, ეს უნებური პატიმრობა არც აზრებს რგებდა რამეს და არც სისხლის იმ რიტმს, რომლისგანაც აზრები იბადება.

ღარიბულ, მოხერხებულ და უბრალო ექვსკუთხა ოთახს ჰქონდა შეთეთრებული ჭერი და ირიბუჭრედნიანი შპალერით აკრული კედლები, რომლებზედაც ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული სილუეტები ეკიდა. ოთახში ხუთიოდე სკამი და თამბაქოს კვამლი იდგა; სანერ მაგიდაზე, ხელნაწერის თავთან ორი სანთელი ენთო. ფანჯრებზე სიმეტრიულად აკეცილი, იაფფასიანი ჩითის მოკლე ფარდები ეკიდა. ჩითის ნაჭრები თბილი, ღია წითელი ფერისა იყო; მას უყვარდა ეს ფარდები და ვერ ელეოდა, რადგან ისინი ამ ძალზე სადად და ღარიბულად განწყობილ ოთახში კეთილდღეობის ილუზიას ქმნიდნენ.

იგი ღუმელთან იდგა, თვალებს ახამხამებდა და დაძაბული, ტანჯული სახით მიჩერებოდა ხელნაწერს, რომელსაც ეს-ეს არის გამოეჭვა. უყურებდა ამ ტვირთს, ამ სიმძიმეს, ამ სინდისის ქენჭას, ამ ბღვას, წვეთ-წვეთად რომ უნდა შეესვა, ამ საშინელ განზრახვას, რითაც თავს იწონებდა, იტანჯებოდა და რაც სამოთხედ და ჯოჯოხეთად გადაეცეოდა. საქმე ჯერ თითქოს კარგად მიდიოდა, მერე შეფერხდა, გაჭიანურდა, ახლა კი შეჩერდა. ყველაფერი ავდრის, კატარისა და დაღლილობის ბრალია. იქნებ თვით ნაწარმოებია მანკიერი? ან მასზე დახარჯული შრომა? იმთავითვე ბედუკუღმართი, დასაღუპად განწირული საქმე ხომ არ წამოიწყა?

მაგიდა იმიტომ მიატოვა, რომ უნდოდა ხელნაწერს ცოტათი მაინც გასცლოდა, იცოდა, მასთან სივრცობრივი დაშორება დაეხმარებოდა, ნაწარმოები მთლიანობაში დაენახა, განეჭვრიტა და სიუჟეტის განვითარების ახალი გზები მოეძებნა. განა იშვიათად მომხდარა, რომ ადამიანი სწორედ მაშინ შეუპყრია ბრძოლის უნს, როცა ბრძოლის ველს გასცლია და წუთით სული მოუთქვამს? განა ასეთნაირად თავის გაღიზიანება ლიქიორით ან მაგარი ყავით აგზნებაზე უფრო არ მიეტყვება ვაყს?

მაგიდაზე პატარა ფინჯანი დგას. ის ხომ არ მოიშველიოს გაჭირვებისას? არა, არა, რაცა სვა, ისიც მეტია! მარტო ექიმმა რომ დაუშალა, კიდევ არაფერი. უფრო ანგარიშგასაწევმა ადამიანმა, ვაიმარში რომ ცხოვრობს და მას მძაფრად, მტერ-მოყვრის სიყვარულით უყვარს, დაბეჭითებით ურჩია, ასეთ რამეებს დაეხსენიო. ბრძენიაო, სწორედ მასზე ითქმის. მან კარგად იცის, როგორ უნდა ცხოვრება, წერა; დღეებს ტყუილებრალოდ არ იმწარებს და თავს ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდება.

სახლი სიჩუმეს მოეცვა. მხოლოდ შორიდან აღწევდა ციხის შესახვევში სტვენით შემოჭრილი ქარის ზუზუნი და ისმოდა, როგორ შხაპუნობდნენ ფანჯრის მინებზე წვიმის წვეთები. ყველას ეძინა, – ეძინათ სახლის პატრონს და მისიანებს, ლოტასა და ბავშვებს. მხოლოდ ის ფხიზლობდა, იდგა მარტოდმარტო ცივ ღუმელთან და განაწამები სახით უყურებდა ხელნაწერს, რომლისააც აღარაფერი სწამდა, რადგან დაუკმაყოფილებლობის ავადმყოფური გრძნობა მოერია. მისი თეთრი, შეხვეული კისერი ძალზე გრძელი გეჩვენებოდათ. ხალათის გადახსნილ კალთებს შორის მოღრეცილი ფეხები მოუჩანდა. მაღალი, ნატიფი შუბლიდან, ფერმკრთალი ძარღვებით დასერილი საფეთქლებიდან ქერა თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. თმაზე ოდნავ მუქი ჯიღა წარბები დიდ კეხიან ცხვირთან თითქმის ერთდებოდა, რაც მის ღრმად ჩამჭდარ, აღგზნებულ თვალებს რაღაც ტრაგიკულ გამომეტყველებას ანიჭებდა. რაკი ცხვირით სუნთქვა უჭირდა, დროდადრო თხელ ტუჩებს ხსნიდა. გამოკეტილში ყოფნისგან ჩაყვითლებული ჭორფლიანი ლოყები ამ დროს უფრო მოდუნებული გეჩვენებოდათ.

არა, ნამდვილად ხელი მოეცარა და ამაოდ ცოდვილობს! ლაშქარი! ლაშქარი უნდა გამოეყვანა ნაწარმოებში! იმ დროს ყველაფერი ლაშქარზე იყო დაფუძნებული! თუ ჯარი მართლად ვერ დახატა, ლაპარაკიც აღარ შეიძლება იმ უჩვეულო ხელოვნებაზე, რამაც მაყურებელი უნდა დაარწმუნოს. გმირიც ხომ არაფრით ჰგავს გმირს; კეთილშობილება და სიცოცხლე აკლია! ჩანაფიქრი მცდარი გამოდგა. ენაც ყალბი იყო და ნაწარმოები მთავონებას მოკლებული მშრალი თხრობა გამოვიდა ისტორიისა – გაჭიანურებული, მსჯელობით გადატვირთული და სცენისთვის უვარგისი!

კეთილი, მაშ ყველაფერი დამთავრდა, მარცხი განიცადა. სამარცხვინოდ მოეცარა ხელი. ფუჭი ნამოწყება ყოფილა ეს ნაწარმოები. კერნერს ხომ არ მისწეროს ეს ამბავი, კეთილ კერნერს, რომელსაც სჯერა მისი, ბავშვის უსაზღვრო ნდობით სწამს მისი გენია. ის ჯერ ხუმრობაში გაუტარებს, მერე სულმოკლეობისთვის დატუქსავს, შევევდრება. კერნერი ხომ ნამდვილი მეგობარია. ეჭვით, წვალებითა და ძიებით შექმნილ კარლოსს გაახსენებს ისიც ხომ ესოდენი ტანჯვისა და ჯაფის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ჩინებული, სასიქადულო ნაწარმოები დადგა. მაშინ სულ სხვა დრო იყო! მაშინ ჯერ კიდევ შესწევდა უნარი, საქმეს ბედნიერი ხელით მოჰკიდებოდა და გამარჯვებით დაეგვირგვინებინა. განა მაშინ არ იყო მერყეობა და ბრძოლა? როგორ არა! განა იმხანად უფრო მძიმედ არ ავადმყოფობდა, გაჭირვებული, ეული ქვეყნისგან განდგომილი, ლატაკი და მიუსაფარი არ იყო?! სამაგიეროდ, ახალგაზრდა გახლდათ, მთლად ჭაბუკი! ცხოვრებას როგორადაც უნდა დაეთრგუნა მისი სხეული, სული მსწრაფლ აღსდგებოდა ხოლმე და სევდისა და უიმედობის მტანჯველ საათებს რწმენისა და შინაგანი ტრიუმფის საათები მოსდევდა. სადღაც გაქრა ასეთი საათები, ძალზე იშვიათად ეწვევა ხოლმე. შემოქმედმა მთელი კვირა უნდა გაატაროს აბრთა ბურუსში, ერთი ადგილი ტკეპნოს და მხოლოდ ამის ფასად უნდა მოიპოვოს ერთი ისეთი ღამე, როდესაც უცებ იგრძნობს და მიხვდება, რის გაკეთებას შეძლებდა, ასეთი ღამეები უხვად რომ ჰქონოდა მომადლებული. საოცრად მოიქანცა, სულ რაღაც ოცდაჩვიდმეტი წლისაა და უკვე ძალა გამოეღია. რწმენა დაკარგა, რწმენა, მომავლისთვის ბრძოლაში და უმძიმეს დღეებში იმედის ვარსკვლავივით რომ უნათებდა. და რა მწარე იყო შემდეგი ფაქტი: ჭეშმარიტად სავსე და ნაყოფიერი, თურმე, სწორედ გაჭირვებისა და უპოვრობის ის წლები ყოფილა, რომლებიც ტანჯვისა და გამოცდის წლებად მიაჩნდა. ახლა კი, როცა რამდენადმე ეწია ბედნიერებას, როცა საზოგადოების

ადიარება და კანონიერი უფლებები მოიპოვა, პატივი და თანამდებობა აქვს, ცოლ-შვილი ჰყავს, სწორედ ახლა უმტყუნა ძალამ და დამარცხდა. ისლა დარჩენია, ყველაფერზე ხელი ჩაიქნოს და სასონარკვეთილებას მიეცეს.

ამოიკვნესა, თვალეზზე ხელი აიფარა და გამწარებული მოჰყვა ოთახში სიარულს. უცებ საშინელმა აზრმა გაუელვა. ამ ფიქრმა ისე დააფრთხო, რომ იმ ადგილზე, სადაც ის ფიქრი წარმოიძვა, ვედარ გაჩერდა. კედელთან მივიდა, სკამზე ჩამოჯდა გადაჭდობილი ხელები მუხლებს შორის მოწყვეტით ჩაჰკიდა და დაღვრემილი დააცქერდა იატაკს.

სინდისი... რა მწარედ ქენჯნის სინდისი! ბევრს სცოდავდა, ყოველი განვლილი წელი მიუტევებელი ცოდვა იყო საკუთარი სხეულის, ამ ფაქიზი ინსტრუმენტის მიმართ. ჭაბუკურმა ვნებათაღელვამ, თეთრად ნათევმა ღამეებმა, თამბაქოს კვამლით სავსე ოთახში გატარებულმა დღეებმა, დღეებმა, როცა სული ზეიმობდა და სხეულზე აღარავინ ფიქრობდა, ათასგვარმა სასმელმა, მუშაობის დროს რომ გადაკრავდა ხოლმე აღსაგზნებად, – ყველაფერმა ახლა იჩინა თავი და შურს იძიებდა.

თუ შურისძიებაზე მიდგა საქმე, ის არ შეეპუება ღმერთებს, ჯერ დანაშაულს რომ ჩაადენინებენ ხოლმე ადამიანს და მერე სასჯელს მოუვლენენ. ისე იცხოვრა, როგორც უნდა ეცხოვრა. იმისთვის სად ეცალა, ბრძნულად მოეწყო ცხოვრება ან წინდახედულობა გამოეჩინა.

როცა სუნთქავს, ახველებს და ამთქნარებს, აი, აქ, ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე რაღაც ავის მომასწავებელ ტკივილს, ჯოჯოხეთურ ჩხვლეთას გრძობს, თითქოს რაღაც ღრღნის შიგნიდან. ამ ტკივილს მას აქეთ ვერ დააღწია თავი, რაც ამ ხუთი წლის წინ ერფურტში კატარული ხურვება, ფილტვების ანთება გადაიტანა. მაინც რას მოასწავებს ეს ტკივილი? ექიმმა შეიძლება ძალიან მოიკატუნოს თავი და სინამდვილე დაუმალოს, მაგრამ უიმისოდაც ხომ კარგად იცის, რითაც გათავდება ეს შეტევები. სად ჰქონდა იმის დრო, საკუთარ თავს სათუთად, ბნეობრივად მოჰკიდებოდა. თუ რამის გაკეთებას აპირებს, დღესვე, ახლავე უნდა მოასწროს, უნდა აჩქარდეს. ბნეობრიობა? მაინც როგორ მივიდა იქამდე, რომ სწორედ ცოდვა, სხეულის გამომფიტველი მავნე შრომა მიაჩნია ყოველგვარ სიბრძნეზე, ფხიზელი გონების კარნახით არსებობაზე უფრო ბნეობრივად. არა, ბნეობრიობის საზომი წმინდა სინდისის შენარჩუნების საზიზღარი ხელობა კი არა, ბრძოლა და გაჭირვება, ვნება და ტკივილია.

ტკივილი! ამ სიტყვის გახსენებაზე ღრმად ამოიოხრა. წამოდგა, გულხელი დაიკრიფა. ქერა, შეერთებულ წარბებქვეშ გამომზირალ თვალეზში მომხიბლავი შუქი ჩაუდგა. ადამიანს უბედური, მთლად წყალნაღებული მანამ არ ეთქმის, სანამ იმდენი ძალა კიდევ შერჩენია, რომ თავის გაჭირვებას ძლიერი და დახვეწილი სიტყვები მოუძებნოს. ძნელია იმდენი სულიერი სიმხნევე გამოიჩინო, რომ გაბედო და ამაღლებული, ლამაზი სიტყვებით ილაპარაკო საკუთარ სიცოცხლეზე; შენი ტანჯვა ჩახუთულ ჰაერს და კარგამოკეტილობას არ მიაწერო; იმდენი ჯანმრთელობა შეინარჩუნო, რამდენიც სულიერ პათოსს სჭირდება, რომ შენს ფიზიკურ არსებობაზე მაღლა დადგომა, სხვა სამყაროს განჭვრეტა და განცდა მოახერხო. ყოვლისმცოდნემ მხოლოდ აქ უნდა გამოიჩინო გულუბრყვილობა და იმდენი შეძლო, რომ ტკივილი ირწმუნო; და მასაც ისე ღრმად, შინაგანად სწამდა ის, რომ ამ რწმენის წყალობით სატკივარი არც ცუდს მოუტანდა და არც ამაოდ ჩაუვლიდა. როცა ხელნაწერს გახედა, მისი მკლავები უფრო მჭიდროდ შემოეჭდო გულმკერდს. რა არის ნიჭი? განა ის თავისთავად ტანჯვა არ არის? და ნუთუ კარგი ნიშანი არაა, ასე რომ ტანჯავს ის წყეული ხელნაწერი, იქ, მაგიდაზე რომ დევს? განა არის ამაში რამე უჩვეულო? სიტყვების მოზღვავება არასდროს უგრძნია და ოდესმე რომ ეგრძნო, სწორედ მაშინ შეეპარებოდა ეჭვი საკუთარ თავში. სიტყვების უზომოდ მოზღვავება მხოლოდ ქარაფშუტებსა და დილეთანტებს სჩვევიათ, იმათ, ვინც ადვილად კმაყოფილდებიან მიღწეულით, უვიცთ, რომელთაც არა უწყიან, რას ნიშნავს ტალანტის უღლის განწევა და ტვირთება მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რადგან ტალანტი, ბატონებო და ქალბატონებო, მანდ, ქვევით, პარტერში რომ ბრძანდებით, მსუბუქი ტვირთი, გასართობი რამ უნარი როდი გახლავთ, ტალანტი თავიდათავი მოთხოვნილება, იდეალის კრიტიკული ცოდნა, დაუკმაყოფილებლობაა, რომელიც ტანჯვით იწრთობს და იხვენს შემოქმედებით ძალას! დიდი, დაუდგარი სულის ადამიანებისთვის ტალანტი უდიდესი სასჯელია.

შორს მოთქმა-ჩივილი, არც ტრაბახია საჭირო! მოთმინებით, მოკრძალებით უნდა იფიქრო იმაზე, რისი ბიდვაც ბედმა გარგუნა! და რა უშავს, თუ კვირაში არც ერთი დღე, არც ერთი საათი არ გამოერევა ტანჯვა-წვალების გარეშე. წვალებასა და ჯაფას, ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებსა და დაბრკოლებებს ნუ მიანიჭებ დიდ მნიშვნელობას, არაღ ჩააგდე, – აი, რა განადიდებს ადამიანს!

წამოდგა, ჯიბიდან კოლოფი ამოიღო და თამბაქო ხარბად დაყნოსა, მერე ხელები ზურგზე შემოიწყო და ისე მოჰყვა ოთახში ბოლთის ცემას, სანთლების ალს რხევა დააწყებინა. – დიდების მოხვეჭა! სხვებში გამორჩევა! სახელის საქვეყნოდ განთქმა და უკვდავება! რაოდენ მაღალია ეს მიზანი იმ ადამიანთა ყოველგვარ ბედნიერებაზე, დავინყება და უკვალოდ გაქრობა რომ უნერიათ. მსოფლიო აღიარებას უნდა მიაღწიოს, ერების აღიარება უნდა მოიპოვოს! ვისაც არაფერი გაეგება ამ ოცნებისა და მისკენ ლტოლვით მიღებული ტკბობისა, დაე, ილაყბოს და თავმოთნეობა უყიჟინოს! სხვებში გამორჩეული მით უფრო თავმოთნეა, რაც უფრო მეტად ევნება და ეწამება! თქვენს თავს მიხედეთ, თქვენს თავს! – მიმართავს იგი მათ, ვისაც მაღალი მოწოდება არ გააჩნია და ძალზე ემსუბუქება ცხოვრების ტვირთი. პატივმოყვარეობა კი დასძენს: ნუთუ ფუჭად უნდა ჩამიაროს ამდენმა ტანჯვა-წვალებამ. არა, მან უნდა განმადიდოს მე!

დიდი ცხვირის ნესტოები გაუფართოვდა. წარბებქვემოდან მუქარით გამომზირალ თვალებს აცეცებდა, მარჯვენა ხელი ღამის ხალათის ჯიბეში ჩაეყო, ხოლო დამუშტული მარცხენა დაშვებული ჰქონდა. ჩაცვნილ ლოყებზე იმ ნელი ცეცხლიდან ამოჭრილმა ალმურმა გადააჰკრა, რომელიც ხელოვანი ადამიანის სულის სიღრმეში საკუთარი „მეს“ ვნებიან სიყვარულად გიზგიზებს ყოველთვის. ვარგად იცის, რაც არის ამ სიყვარულით თრობა. ზოგჯერ საკუთარი თავისადმი ისეთი ფაქიზი გრძნობა დაეუფლებოდა ხოლმე, მზად იყო, ამ გრძნობისთვის მოეხმარებინა ტალანტი და ხელოვნებისგან მინიჭებული მთელი უნარი და შესაძლებლობა. მას აქვს ამის უფლება, ამ საქციელში არაფერია არაკეთილშობილური, რადგან საკუთარი თავის სიყვარულზე მეტად სწამდა, რომ ყოველთვის რაღაც მაღალს ემსახურებოდა, ემსახურებოდა უანგაროდ, გარდაუვალი მოთხოვნილების კარნახით, თავს თანდათან ინადგურებდა, მსხვერპლად ეწირებოდა. ერთი ეჭვი არ ასვენებდა: ისე არავინ დამდგარიყო მასზე მაღლა, თუ უფრო მეტად არ ეწამებოდა იმ რაღაც მაღლისთვის.

შეჩერდა, სახე ხელებში ჩარგო, თითქოს რაღაცას გაურბისო, ოდნავ გვერდზე გადაიხარა, მაგრამ უკვე გვიან იყო. იგრძნო, რა მწარედ შეუკუმმა გული გარდაუვალმა აზრმა იმ ნათელ, მიწიერ, მგრძობიარე, ღვთაებრივად გაუცნობიერებელ ადამიანზე, ვაიმარში რომ ცხოვრობს და მას მტერ-მოყვრის უსაზღვრო სიყვარულით უყვარს. როგორც ყოველთვის, ამ აზრმა უფრო ააფორიაქა; იგრძნო, რა სწრაფად და ბეჭითად აუმუშავა გონება იმის გახსენებამ, რომ საკუთარი არსება და შემოქმედება უნდა განასხვავოს, გამიჯნოს და დაიცვას იმ ადამიანის შემოქმედებისგან. განა ის უფრო მაღლა დგას? განა მას შეუპოვარ ბრძოლაში სისხლის ფასად მოუპოვებია გამარჯვება? განა მისი დამარცხება ტრაგიკული სანახაობა იქნებოდა? შეიძლება ის ღმერთიც იყოს, მაგრამ გმირი ვერ იქნება: უფრო ადვილია იყო ღმერთი, ვიდრე გმირი. დიახ, ადვილია... იმისთვის, ვაიმარელისთვის არის ადვილი! ალბათ შემეცნებასა და შემოქმედებას შორის მარჯვედ და ბრძნულად ზღვრის დადების უნარს მოაქვს ტანჯვისგან ხსნა, სიხარული და ნაყოფიერება. მაგრამ თუ შემოქმედება ღვთაებრივი რამ არის, მაშინ შემეცნება გმირობაა, ხოლო ღმერთსა და გმირს თავის თავში ის აერთიანებს, ვინც შეიმეცნებს და ისე ქმნის!

ნებისყოფა და სურვილი სიძნელესთან, ტვირთთან ჯიბილისა... თუ გრძნობს ვინმე, ნერვების რაოდენ დაძაბვად და საკუთარ თავთან ბრძოლად უღირს ერთი წინადადება, ერთი რიგიანი აზრი. ის თითქმის უმეცარი, მცირედ განათლებული, ბურანით მოცული და დაუდგარი მეოცნებეა. საუკეთესო სცენის დანერაზე მეტად იულიუსის ერთი წერილის შეთხზვა უჭირს და განა სწორედ ამიტომ არ უნდა იდგეს მისი შრომა სხვათა შრომაზე მაღლა? ტანჯვის რა მძიმე გზაა გასავლელი, რა მძიმე ბრძოლაა გადასატანი შინაგანი მოთხოვნილების პირველი რითმიდან თემამდე, სიუჟეტამდე, ფორმამდე; აქედან აზრამდე, სახემდე, სიტყვამდე თუ ბგერამდე. დიდი ვნებით გაჟღენთილი მისი ყოველი ნაწარმოები ფორმის, სახის, სრულყოფილისა და ხელშესახებისადმი ეჭვნეული სიყვარულის ნაყოფი იყო. ის მთელი არსებით, ჟინიანად ილტვოდა მეორე ოქროპირი ადამიანის ნათელი სამყაროსკენ, მისკენ, ვინც ძალდაუტანებლად სდებდა სახელს

ღვთაებრივად გასხივოსნებულ საგნებს.

მაგრამ იმ ადამიანის გასაგონად მაინც აცხადებს: ვინ არის მისი ტოლი ხელოვანი, მისი ბადალი პოეტი, არარაობისგან ვინ ქმნის? მასავით ყველაფერს საკუთარი გულიდან ვინ მოიპოვებს? განა ლექსი მის სულში ისე არ იბადება, ვით მუსიკა, ვით ყოფიერების პირველსახეობა – გაცილებით ადრე, ვიდრე შედარებებსა და რითმებში ჩამოყალიბდებოდეს? სიბრძნე, ვნება სხვა არაფერია, თუ არა საშუალება და საბაბი სხვა რაღაცის გადმოსაცემად, რასაც ძალიან უმნიშვნელო კავშირი აქვს სიბრძნესთან და ვნებასთან და რაც სულის ორფეოსისეულ სიღრმეში იბადება. სიტყვები, ცნებები მხოლოდ კლავიშებია, რომლებსაც მისი ხელოვნება უხილავი სიმების ასაჟღერებლად იყენებს; სხვა ვინმე თუ ჩასწვდომია ასეთ რამეს? კეთილი ადამიანები ხოტბას ასხამენ იმ რწმენისთვის, რითაც ის სულის უხილავ სიმებს ღვთაებრივად აჟღერებს. მისი უსაყვარლესი სიტყვა, უმაღლესი პათოსი, სამრეკლოს დიდი ზარი, რომლითაც ხალხს სულთა ზეიმზე მოუხმობს და მასებს იზიდავს, – თავისუფლებაა. სინამდვილეში ის მათზე მეტ ან ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სიტყვას. თავისუფლება... მაინც რას ნიშნავს ეს? მონარქიის წინაშე მოქალაქეობრივი უფლების მოპოვებას ხომ არა? თუ გიფიქრიათ მაინც, რა შეუძლია იგულისხმოს მასში ხელოვანის სულმა? თავისუფლება, განთავისუფლება... განთავისუფლება, მაგრამ რისგან? ალბათ ბედნიერებისგან, ადამიანური ბედნიერებისგან, ამ ოქროს ბორკილებისგან, ამ მოქნილი და შარბათივით ტკბილი მოვალეობისგან.

თავის დაღწევა ბედნიერებისგან... ბაგე აუთრთოლდა, ეტყობოდა, გულისყური ისევ შინაგან სამყაროს მიაპყრო, სახე ხელებში ჩარგო.

მეორე ოთახში გავიდა. ჭალის ლურჯად მოლივლივე მუქი ანათებდა იქაურობას. ფანჯარას ამოქარგული ფარდის კალთები ფარავდა. სანოლთან მივიდა. კალმით ნახატი სახისკენ დაიხარა... ქალს შავი კულუღი ჩამოშლოდა ფერმკრთალ ღანვზე; ბავშვური ბაგე ოდნავ გახსნოდა... ჩემო მეუღლე! ძვირფასო! იმისთვის ხომ არ აგიყოლია ჩემმა სევდამ და შენი თავი მომგვარა, რომ ბედნიერებად გადაამქცეოდი? აკი იქეცი კიდეც, მშვიდობა შენდა! იძინე უშფოთველად, ნუ აახელ მაგ საამურ, გიშრის გრძელ წამნამებს, ნუ შემომხედავ იმ დიდი, ღამესავით უძირო თვალებით, მაშინ რომ მიცქერდი, როცა დამეძებდი და მიხმობდი. ღმერთმანი, ძალიან, ძალიან მიყვარხარ! ეგ არის მხოლოდ, ხშირად ისე მქანცავს ტანჯვა და ჭიდილი იმ ამოცანასთან, ჩემი არსება რომ მისახავს, ძალა აღარ შემწევს ამ გრძნობას მივაგნო ჩემში. ამიტომ ვერ ვახერხებ მთელი არსებით შენთან ყოფნას, ბოლომდე ვერ ვარ შენით ბედნიერი, რადგან ჩემმა უბუნაესმა მოვალეობამ აღმიკვეთა ეს ბედნიერება...

ქალს ეამბორა, მერე მის ნაცნობ სიტბოს გაერიდა. იქაურობას თვალი მოავლო და თავის ოთახში დაბრუნდა. სამრეკლოს ზარის ხმამ ამცნო, რომ შუაღამე უკვე კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ ამ ხმამ მძიმე საათის კეთილად დამთავრებაც აუწყა. შვებით ამოისუნთქა, პირი მტკიცედ მოკუმა. მაგიდასთან მივიდა და კალამი აიღო. რა საჭიროა ტყუილუბრალოდ თავის ტეხა! არაფერს არგებს ასე ღრმად აზროვნება, ამან შეიძლება ავნოს კიდეც. არა, არ უნდა შეტოპოს ქაოსში, ხოლო თუ შეტოპა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დააღწიოს თავი. ქაოსიდან, აზრთა ოკეანიდან დღის სინათლეზე ის უნდა ამოიტანოს, რაც უკვე მომწიფებულია და ჩამოყალიბებული ფორმის მიღება შეუძლია. რა დროს გედმეტი ფიქრია! შრომაა საჭირო! გამორჩევა, გამიჯვნა, ფორმის მიცემა, დამთავრებაა საჭირო!

და ეს ტანჯვით შობილი ნაწარმოებიც დაამთავრა. იქნება კარგი არ გამოუვიდა, მაგრამ, რაც მთავარია, დაამთავრა, დამთავრებული კი კარგი აღმოჩნდა. და მისი სულიდან, მუსიკიდან და იდეებიდან სულ ახალ-ახალი ნაწარმოებები, ბრწყინვალე ქმნილებები იბადებოდა, რომელთა ღვთაებრივ ფორმაში ისე საოცრად იგრძნობოდა უსაზღვრო სამყაროს ფეთქვა, როგორც ზღვიდან ამოღებულ ნიჟარას გამოჰყვება ხოლმე ტალღების ბუბუნი.

1905

სიკვდილი ვენეციაში

*

გუსტავ აშენბახი, ანუ ფონ აშენბახი, როგორც დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულების შემდეგ ოფიციალურად უწოდებდნენ, 19.. წლის გაზაფხულის ერთ საღამოს, – 19.. წლისა, რომელიც თვეების განმავლობაში ესოდენ მრისხანედ უჭვრეტდა ჩვენს კონტინენტს, – მიუნხენის პრინცრეგენტერშტრასეზე გამოვიდა თავისი ბინიდან და მარტოდმარტო გაემართა გარეუბნისკენ სასეირნოდ. მწერალი ადაგზნო დილის საათებში განუელმა მძიმე და მსახვრალმა შრომამ, რომელიც სწორედ ამ ეტაპზე მოითხოვდა უზენაეს რუდუნებას, გამჭრიახობასა და სიზუსტეს ნებელობისა, და მაინც ვედარც ნასადილევს შეძლო შეეჩერებინა შინაგანი შემოქმედებითი მექანიზმის მუშაობა, ის „motus animi continuus[1]“, რომელშიც, როგორც ციცერონი ამბობს, მჭევრმეტყველების არსი მდგომარეობს. თვალზე რული არ მოეკიდა, დღისით ძილი კი ძალთა მზარდი გამოფიტვის გამო ერთობ სჭირდებოდა და შვებას მოჰგვრიდა. ასე რომ, ჩაის შემდეგ უმაღვე გარეთ გაეშურა იმ იმედით, ჰაერი და სიარული გამომაცოცხლებს და ნაყოფიერ საღამოს მომიტანსო.

მაისის დამდეგი გახლდათ, მაგრამ წვიმიან და ცივ კვირათა შემდეგ შუა ზაფხულივით ცხელი ამინდი დაიჭირა. ინგლისურ ბაღში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ მხოლოდ ნაზად შეემოსა სიმწვანეს, ჰაერი ისე იყო შეხუთული, როგორც აგვისტოში და იმ მხარეს, რომელიც ქალაქს უშუალოდ ეკვროდა, ეტლები და მოსეირნეები ზიმზიმებდნენ. აუმაისტერის სამიკიტნოში, სადაც სულ უფრო და უფრო მივარდნილმა და უკაცრიელმა ბილიკებმა მიიყვანეს, აშენბახმა ერთ წამს მხიარულ მენახეებს უყურა ბაღში, რომლის ზღუდესთან რამდენიმე ღია ეტლი და კარეტა იდგა, და იქიდან კი (მზე უკვე ჩასასვლელად გადაინჯვრა) ისევ შინისკენ წამოვიდა, მაგრამ არა პარკით, არამედ მინდორ-მინდორ და, ვინაიდან დაღლილობა იგრძნო და თანაც ფორინგის თავზე ცა საავდროდ იღუშებოდა, ჩრდილოეთ სასაფლაოსთან ტრამვაის დაელოდა, რომელიც უმოკლესი გზით ჩაიყვანდა ქალაქში.

შემთხვევით ვაციშვილი არ აღმოჩნდა არც გაჩერებაზე და არც მის მახლობლად. არავინ არ იყო აგრეთვე უნგერეშტრასეზე, რომლის ქვაფენილზეც ობლად განოლილიყვნენ შვაბინგის მიმართულებით მსრბოლი ბრჭყვიალა რელსები, და არც ფორინგის გბატკეცილზე ჩანდა ეკიპაჟის ნასახი; ჩამიჩუმი არ ისმოდა ქვისმთლელთა სახელოსნოების მესერთა მიღმა, სადაც გასაყიდად გამოდგმული ჯვრები, მემორიალური დაფები და ძეგლები თითქოსდა მეორე, ჯერ დაუსახლებელ სასაფლაოს ქმნიდნენ, მოპირდაპირე მხარეს კი დაისის არილში მდუმარედ აღმართულიყო ეგვტერის ბიზანტიური ნაგებობა. ბერძნული ჯვრებითა და ღია ფერებში შესრულებული ჰიერატიკული გამოსახულებებით დამშვენებულ ფასადზე სიმეტრიულად განლაგებული წარწერებიც იყო, ოქროს ასოებით გამოყვანილი რჩეული თქმები, რომელნიც საიქიო ცხოვრებას შეეხებოდნენ, როგორიცაა, მაგალითად: „მიდიან იგინი სამყოფელსა ღვთისა“, ანდა: „უნათებდეს მათ ნათელი საუკუნო“. ტრამვაის მოლოდინში აშენბახი რამდენიმე წუთს ამ ფორმულათა კითხვით ერთობოდა და ცდილობდა გონების თვალით მათ გამჭვირვალე მისტიკაში ჩაძირულიყო, მაგრამ მერე გამოერკვა ზმანებათაგან და პორტიკში, ორივე აპოკალიფსური ცხოველის ზევით, რომლებიც კიბეს დარაჯობდნენ, ვიდაც ვაცი შენიშნა და მისმა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელმა გამოჩენამ აშენბახის აზრებს სულ სხვა მიმართულება მისცა.

ეგვტერიდან გამოვიდა ბრინჯაოს კარით თუ გარედან მოსულს შეუმჩნევლად აევლო კიბე, გაურკვეველი იყო. აშენბახი ბოლომდე არ ჩაჰყოლია ამ საკითხს და უფრო პირველი მოსაზრებისკენ იხრებოდა. ეს ვაცი შუატანის გახლდათ. გამხდარი, უწვერული და თვალში საცემად ნოლა ცხვირის პატრონი, იგი წითურთმიანთა ტიპს ეკუთვნოდა და ამ ტიპისთვის დამახასიათებელი რძესავით თეთრი და ჭორფლიანი კანი ჰქონდა კიდევ. აშკარად ეტყობოდა, რომ ბავარიელი არ უნდა ყოფილიყო, რაზედაც ყოველ შემთხვევაში გარკვევით მიუთითებდა ფართო და სწორკიდებიანი ჩალის ქუდი, რომელიც თავზე ეხურა და უცხოელისა და შორიდან მოსულის იერს აძლევდა, თუმცა მხრებზე წმინდა წყლის ბავარიული ბურგჩანთა კი ეკიდა და მოყვითალო მოუთელავი მაუდის ქურთუკი ეცვა; მარცხენა ხელზე, რომლითაც დოინჯი შემოეყარა, რაღაც ჰქონდა გადაკიდებული – ალბათ ნაცრისფერი საწვიმარი, მარჯვენაში კი რკინისბუნიკიანი ჯოხი ეპყრა, რომელიც

ცერად დაეჭინა იატაკზე, ფეხი ფეხზე გადაეჭდო და თეძოთი მის სახელურს დაყრდნობოდა. თავი ზეანია და საკინძეგაღელილი სპორტული პერანგიდან ამოჩრილ გამხდარ კისერზე ადამის ვაშლი რელიეფურად გამოსახვოდა; შორეთს გასცქეროდა, თითქო რაღაცას ეძებდა უფერული, წითურწამწამებიანი თვალებით, რომელთა შორის პაჭუა და ნოლა ცხვირთან საოცრად შეხამებული ორი შვეული, ენერგიული ნაოჭი აღბეჭდვოდა. მის პოზაში – შესაძლოა, ასეთ შთაბეჭდილებას ხელს უწყობდა ამაღლებული და ამამაღლებელი ადგილსამყოფელი – იყო რაღაც ქედმაღლური, თამამი და ველურიც კი. ჩამავალი მზის სხივებით თვალმოჭრილს მოეჭმუნა სახე, თუ საერთოდ რაღაც წუნი ჰქონდა, ტუჩები ერთობ მოკლე უჩანდა, კბილებიდან ზევით და ქვევით გადაწეულები, ასე რომ, ღრძილებიც კი გაშიშვლებული ჰქონდა და მათ შორის თეთრი და გრძელი კბილები გამოკრთოდნენ.

ადვილი შესაძლებელია, რომ აშენბახი, როდესაც ასე ნაწილობრივ გონებაგაფანტულად, მაგრამ ამავე დროს გამომცდელად ათვალეფრებდა უცნობს, ჯეროვნად მორიდებული არ იყო, რადგან ანაზღეულად შენიშნა, მზერაზე უცხოც მზერით პასუხობდა, თანაც ისე დაჟინებით და ჯიქურად, რომ აშკარა იყო, უნდოდა იძულებული გაეხადა აშენბახი, თვალი აერიდებინა მისთვის და მანაც, უსიამოვნოდ შეცბუნებულმა, ზურგი აქცია და მესერს დაუყვა, თან გადაწყვიტა ყურადღება აღარ მიექცია ამ კაცისთვის და იმწამსვე დაავიწყდა კიდევ. გაურკვეველი იყო, იმან იმოქმედა მის წარმოსახვაზე, რომ უცნობი მოგზაურს წააგავდა, თუ სხვა რომელიმე ფიზიკურ ან სულიერ ზეგავლენას მიუძღოდა ბრალი, მაგრამ ეს კია, რომ სრულიად მოულოდნელად იგრძნო, როგორ საოცრად გაუფართოვდა შინაგანი სამყარო: უჩვეულო ჩქროლამ აიტანა, შორეული მხარეებისკენ ჭაბუკურმა ლტოლვამ, განცდამ, რომელიც ისე ცხოველი, ისე ახალი, ან უფრო სწორად, ისე დიდი ხნის წინათ დავინწყებული და უჩვეულო იყო, რომ ზურგზე ხელებდაწყობილი და მიწას ჩაშტერებული ერთ ადგილზე გაშეშდა, რათა ამ გრძნობის არსსა და რაობაში გარკვეულიყო.

მოგზაურობის სურვილი იყო, სხვა არაფერი, მაგრამ როგორც ნამდვილმა საღმობამ, ისე შემოუტია, ვნებასავით წაევიდა და ლამის ცნობა წაართვა. ხილვა სწყუროდა, მისმა ფანტაზიამ, რომელიც სამუშაო საათების შემდეგ ჯერაც არ დამცხრალიყო, ერთ მთლიან ხატებაში მოაქცია მრავალსახოვანი დედამიწის ყველა სასწაული და საშინელება, რადგან მათ ერთდროულად წარმოდგენას ლამობდა. იგი ხედავდა, ხედავდა ლანდშაფტს, ტროპიკულ ჭაობებს ხვატით შეხუთული ზეცის ქვეშ, ტენიანს, უხვს, ურჩხულს, პირველყოფილი მსოფლიოს უღრანი ადგილების მსგავსს, მოფენილს კუნძულებით, ჭანჭრობებით და გამდინარე წყლებით, რომელთაც შლამი მოაქვთ, – ხედავდა, როგორ ამოშვერილიყვნენ ბანჯგვლიანი და ტანკენარი პალმები ახლოსაც და შორეთშიც გვიმრების უსიერი ტევრიდან, ცვრიანი, რძიანი და საოცარი ყვავილებით დახუნძლული მცენარეულის წიაღიდან, – ხედავდა უცნაური მოყვანილობის ხეებს, რომელთაც ფესვები პირდაპირ ჰაერიდანვე ჩაესოთ წიაღაგში, მწვანედ მოკამკამე შეტბორებულ ნაკადებში, სადაც უცხო ჯიშის ფრინველები გაფხორილნი, უშნონისკარტიანი და გარინდებულნი იდგნენ თავთხელ ადგილებში, წყალში მოტივტივე, რძესავით თეთრ და თეფშებივით დიდრონ ყვავილებს შორის, და ქეშად იყურებოდნენ, – ხედავდა ლელიანში, ბამბუკის დამუხლულ ღეროებს შორის, ორ მოელვარე ნაღვერდალს – ჩასაფრებული ვეფხვის თვალებს და გრძნობდა, როგორ უთრთოდა გული ძრწოლისა და შეუცნობელი წადილისგან. მერე ეს ზმანება განქარდა, აშენბახმა ერთი გაიქნია თავი და საფლავის ქვისმთლელთა სახელოსნოების გასწვრივ სეირნობა განაგრძო.

კარგა ხანია, ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ, რაც საიმისო სახსრები მუდამ ხელთ ჰქონდა, რომ საითაც სურდა, იქით გამგზავრებულიყო, მოგზაურობას მხოლოდ და მხოლოდ როგორც ჰიგიენურ ღონისძიებას, ისე უყურებდა, რომელიც ჟამიდან ჟამზე უნდა განახორციელო, თუნდაც შენს განწყობილებასა და მიდრეკილებებს ეწინააღმდეგებოდეს. იმ ამოცანებით ერთობ დაკავებული, რასაც საკუთარი მეობა და ევროპული სული აკისრებდა, იმ ვალდებულებებით გადატვირთული, რომლებიც შემოქმედების სფეროში ჰქონდა აღებული, და თანაც გართობის არმოყვარული, იგი ზიზილ-პიპილებიანი გარე სამყაროსთვის არ გამოდგებოდა და მარტოდენ ჭვრეტით კმაყოფილდებოდა, რაიც დედამიწის ზურგზე ყოველ ადამიანს ძალუძს, ისე, რომ თავის წრეს ძალიან არ დაშორდეს. იგი არასოდეს აუტანია ცდუნებას, ევროპას გასცილებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც მისი ცხოვრება ნელ-ნელა დაისისკენ გადაიხარა და უკვე აღარ შეეძლო ხელის ერთი აქნევით,

როგორც უბრალო ხუმტური, თავიდან მოეცილებინა ხელოვანისთვის დამახასიათებელი შიში, რომ ყველაფერს ვერ მოასწრებდა, რომ ჟამი მანამდე დარეკდა, ვიდრე მოწოდებას ბოლომდე აღასრულებდა და შეენირობოდა, გარეგნულად მისი მყოფობა თითქმის მხოლოდ იმ მშვენიერი ქალაქით შემოიფარგლა, რომელიც სამშობლოდ ექცა, და მთაში აშენებული ტლანქი სოფლური სახლით, სადაც წვიმიან ზაფხულს ატარებდა ხოლმე.

და ისიც, რაც ეს-ეს არის ეგზომ გვიან და ანაზღაურად თავს დაატყდა, სულ მალე გონებისა და სიყრმიდანვე გამომუშავებული თვითდისციპლინის მეშვეობით ალაგმა და კალაპოტში ჩააყენა. გადანყვეტილი ჰქონდა, ვიდრე სოფლად გაემგზავრებოდა, გარკვეულ დონემდე მიეყვანა ნაწარმოები, რომლისთვისაც ახლა ცხოვრობდა, და აზრი ქვეყნად ხეტიალზე, რაც რამდენიმე თვეს მოაცდენდა, ერთობ ქარაფშუტულად და არაგეგმაშენონილად ეჩვენებოდა. სერიოზულად ამის გულში გავლევაც კი არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ძალიან კარგად უწყოდა, სად ედო სათავე ასე ერთბაშად მოვარდნილ ცდუნებას. გაქცევის წყურვილი იყო, გამოუტყდა საკუთარ თავს, ეს კაემნიანი ლტოლვა შორეულისა და ახლისკენ, ეს წადილი განთავისუფლებისა, ტვირთის მოხსნისა, თავდავიწყებისა, – იგი განელტვის თავის ქმნილებას, ჭიუტი, ცივი და გატაცებული მსახურების სადაგ დღეთა ერთფეროვნებას. მართალია, უყვარდა თავისი ქმნილება და თითქმის უყვარდა აგრეთვე გულისწამლები ბრძოლაც, რომელიც ყოველდღიურად ხელახლა ჩაღებოდა მის უდრევ, ამაყ და ესოდენ მრავალგზის ნაცად ნებისყოფასა და იმ მზარდ მოქანცულობას შორის, რომლის შესახებაც არავის უნდა სცოდნოდა რა და რომელიც ხელის მოცარვისა და უნიათობის ნასახითაც კი არ უნდა დასტყობოდა მის ქმნილებას. მაგრამ მშვილდის ერთობ დაჭიმვაც და ეგზომ ცხოველმყოფლად მოზღვავებული სურვილის ხელაღებით ჩაკვლაც არ იქნებოდა გონივრული. თავისი სამუშაო გაახსენდა და იმ ადგილზე დაიწყო ფიქრი, რომელზედაც გუშინდელივით დღესაც გაიხირა და, რომელიც, როგორც ჩანდა, არც გულდასმით დახვეწასა და არც ხელის ერთი მოსმით გამოკვეთას არ ეპუებოდა. ბევრჯერ მიუბრუნდა, ცდილობდა დაბრკოლება გადაელახა ანდა გვერდი აევილო მისთვის, მაგრამ კვლავ და კვლავ უკან იხევდა შეურვებული. რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს კი არ წასწყდომია, არამედ უნიათო ჭოჭმანის გამო იტკეპნებოდა ერთ ადგილზე, რაც ახლა უკვე მარად დაუცხრომელ უკმაყოფილებაში გამოიხატებოდა. თუმცა კი დაუკმაყოფილებლობა სიყრმიდანვე ნიჭის არსად და შინაგან ბუნებად მიაჩნდა და მისი გულისთვის იოკებდა და ლაგმავდა გრძნობას, ვინაიდან უწყოდა, რომ ეს უკანასკნელი განწყობილია არხეინ მიახლოებითობასა და ნაწილობრივ სრულქმნილს დასჯერდეს. ჰოდა, ნუთუ დამონებულმა გრძნობამ ახლა უღალატა, შური იძია და ამიერიდან უარი უთხრა მისი ხელოვნების საზრდოობაზე, აღფრთოვანებაზე და თან წარიტანა ყველა ის სიხარული და აღტყინება, რომელსაც ფორმა და გამოსახვა გვანიჭებს? არა, ურიგოდ როდი წერდა: მისი ასაკის უპირატესობას ყოველ შემთხვევაში ის მაინც შეადგენდა, რომ მარად გულდაჯერებული იყო თავის ოსტატობაში. მაგრამ იმ დროს, როდესაც მთელი გერმანელი ერი თაყვანსა სცემდა ამ ოსტატობას, მწერალს იგი არ ახარებდა. ასე ეგონა, რომ მის ნაწარმოებს იმ მგზნებარე და გიჟმაჟი გუნება-განწყობილების ნიშანწყალი აკლდა, რომელიც სიხარულის პირმშოა და ღრმა შინაარსზე, ამ აგრეთვე არცთუ უმნიშვნელო ღირსებაზე უფრო გაახარებს მკითხველთა სამყაროს. ზაფხულისა ეშინოდა, სოფლად პატარა სახლში მარტოდმარტო დარჩენისა, მოახლე გოგოს ამარა, რომელიც კერძებს უმზადებს და მსახურისა, რომელიც ამ კერძებს სუფრაზე მოართმევს ხოლმე; ეშინოდა მთებისა და ციცაბო კლდეთა ჩვეული ხედებისა, ნიადაგ უკმაყოფილოსა და გარინდებულს კვლავ გარს რომ შემოერთყმინან. მაშასადამე, საჭიროა რაიმე ცვლილება, სადმე სხვაგან წასვლა, დღეების გაფლანგვა, უცხო ჰაერი და ახალი სისხლის შემოშვება, რათა ზაფხული ასატანი და ნაყოფიერიც იყოს. ასე რომ, უნდა გაემგზავროს – მოხდეს, რაც მოსახდენია. მხოლოდ ძალიან შორს კი არა, ვეფხვებთან, რა თქმა უნდა, არ ჩავა. ერთი ღამე საძილე ვაგონში და სამი-ოთხი კვირა დასვენება რომელიმე საქვეყნოდ განთქმულ აგარაკზე საყვარელ სამხრეთში...

ამ ფიქრებში იყო გართული, როდესაც უნგარერშტრასედან ტრამვაი მორახრახდა და შიგ ჩაჯდომისას გადანყვიტა, რომ ეს საღამო რუკისა და რკინიგზის მარშრუტების შესწავლისთვის დაეთმო. ტრამვის ბაქანზე ის ჩალისქუდიანი ვაცი გაახსენდა, მისი აქ არცთუ უშედეგო დაყოვნების მოზიარე, და თვალით ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერ გაიგო, სად გაქრა, რადგან ვერც ძველ ადგილას, ვერც გაჩერებასთან და ვერც ტრამვაიში ვერ

აღმოაჩინა.

ფრიდრიჰ პრუსიელის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ნათელი და მძლავრი პროზაული ეპოპეის ავტორი რუდუნებით აღსავსე ხელოვანი, რომელიც დიდხანს მუყაითად ქსოვდა ფერად-ფერადი სახეებით მდიდარი და ერთი იდეის ჩეროში ნაირგვარ ადამიანთა ბედ-იღბლის გამაერთიანებელი რომანის – „მაიას“ ხალიჩას; შემოქმედი იმ ძლიერი მოთხრობისა, რომელსაც „უბადრუკი“ ეწოდება და რომელიც მაღლიერი ახალგაზრდობის მთელ თაობას უღრმესი შემეცნების მიღმა ზნეობრივი გაბედულების შესაძლებლობას უჩვენებდა; დაბოლოს (ამით ამოიწურება კიდევ მის მიერ სიმნიფის ასაკში შექმნილ ნაწარმოებთა მოკლე ნუსხა) დამწერი მგზნებარე ტრაქტატისა – „სული და ხელოვნება“, რომელსაც მისი ჩამომყალიბებელი ძალისა და დიალექტიკური მჭევრმეტყველების გამო სერიოზული კრიტიკოსები უშუალოდ მიაძიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ შილერისეულ მსჯელობათა გვერდით აყენებდნენ, – გუსტავ ამენბახი დაიბადა ლ-ში, სილეზიის სამხრეთ პროვინციის საოლქო ქალაქში, სასამართლოს დიდი მოხელის ოჯახში. მისი წინაპრები ოფიცრები, მოსამართლეები, ადმინისტრაციული მოხელეები იყვნენ და მეფისა და სახელმწიფოს სამსახურში მყოფნი, მკაცრ, წესიერსა და მწირ ცხოვრებას ეწეოდნენ. შედარებით მგზნებარე სული ერთხელ გამოვლინდა მათ შორის, ერთი მქადაგებლის პიროვნებაში; უფრო მჩქეფარე, მგრძობიარე სისხლი ოჯახს წინა თაობაში მწერლის დედის, ჩეხი ლოტბარის ქალიშვილის მხრიდან შეერია. ეს მისგან მომდინარეობდნენ უცხო რასის ნიშნები ამენბახის გარეგნობაში. ფხიზელი და საქმიანი კეთილსინდისიერების შეხამებამ მრუმე და მხურვალე იმპულსებთან წარმოშვა ხელოვანი და თანაც სწორედ ეს თავისებური ხელოვანი.

მთელი არსებით იღვწოდა სახელისთვის და თუმცა ნაადრევად და წინამასწარად არა, მაგრამ მაინც სავალოდ ადრე გამოიჩინა თავი საზოგადოებაში წერის გაბედული და მკვეთრად ინდივიდუალური მანერის წყალობით. ჯერ კიდევ გიმნაზისტი იყო, რომ უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ხოლო ათიოდე წლის შემდეგ წარმომადგენლობა ისწავლა, საწერი მაგიდიდან აუდგომლად თავისი სახელის მეურვეობა, კეთილგანწყობილი და საფუძვლიანი პასუხის გაცემა ორიოდე სტრიქონით, რადგან პასუხი მოკლე უნდა ყოფილიყო (უკეთუ მრავალნი შესთხოვენ იმას, ვინაც წარმატებას მიაღწია და ნდობის ღირსია). ორმოცი წლისას, დაღლილ-დაქანცულს უშუალო სამუშაოს ჭაპანის წევით, ყოველდღიურად უამრავი წერილის გადასინჯვა უხდებოდა, რომლებიც დედამიწის ყველა კუთხის მარკებით იყო შემკული.

როგორც ბანალური, ისევე ექსცენტრიკული ამბებიდან თანაბრად დაშორებული მისი ნიჭი იმისთვის იყო შექმნილი, რომ ერთსა და იმავე დროს ფართო საზოგადოების ნდობა და მცოდნეთა აღტაცებული და ხელშემწყობი თანაგრძნობა მოეპოვებინა. ასე რომ, ჭაბუკობიდანვე ყოველმხრივ მოწოდებული იყო დიად საქმეთათვის, არაჩვეულებრივ საქმეთათვის, და არასოდეს განეცადა, რა არის მოცალეობა ან დაუდევარი და უზრუნველი ახალგაზრდობა, როცა ოცდათხუთმეტი წლისა ვენაში ავად გახდა, ერთმა გამჭირახმა დამკვირვებელმა მის შესახებ საზოგადოებაში ასეთი აზრი გამოთქვა: „იციო რა, ამენბახი თავიდანვე აი ასე ცხოვრობდა, – და მარცხენა ხელის თითები მაგრად მომუშტა, – და არასოდეს აი ასე“, – თან ხელის მტევანი გამალა და სავარძლის სახელურზე თავისუფლად ჩამოჰკიდა. მარჯვედ იყო ნათქვამი, ხოლო ზნეობრივი სიმამაცე კი აქ ის გახლდათ, რომ ბუნებით არცთუ მეტისმეტად ჯანმრთელი აღნაგობისა, მხოლოდ მოწოდებული იყო განუწყვეტელი დაძაბულობისთვის და არა დაბადებული ამისთვის.

მზრუნველმა ექიმებმა ბიჭს სკოლაში სიარული აუკრძალეს და იძულებული იყო შინ ესწავლა. მარტოდმარტო, უამხანაგებოდ გაიზარდა და მაინც დროულად მიხვდა, რომ ისეთ თაობას ეკუთვნოდა, რომელშიც ნიჭი კი არა, არამედ მისი გაფურჩქვნისთვის აუცილებელი ფიზიკური საყრდენი წარმოადგენდა იშვიათობას, – თაობას, რომელიც ადრე იძლევა თუკი რამ კარგად აბადია და ხანში შესული ჩვეულებრივ უკვე უძლურია. მაგრამ მისი საყვარელი სიტყვა იყო „გაძლება“. ფრიდრიჰ პრუსიელზე დანერვილ რომანშიაც სხვას არას ხედავდა, თუ არა აპოთეოზს ამ სიტყვა-ბრძანებისა, რომელიც ქმედით-ვნებითი სიტყვლის მომცველად ესახებოდა. თანაც მხურვალედ სწყუროდა მოხუცებულობამდე მიეღწია, რადგან იმთავითვე სწამდა, რომ ჭეშმარიტად დიადი, ყოვლისმომცველი და მართლაც პატივდებული შეიძლება მხოლოდ იმ ხელოვნებას

ენოდოს, რომელსაც ადამიანის მყოფობის ყველა საფეხურზე დამახასიათებელი ნაყოფიერებით გამოვლენა ხვდა წილად.

ვინაიდან იმ ამოცანათა ზიდვა, რომლებითაც მას ნიჭი ტვირთავდა, ნაზი მხრებით უხდებოდა და დიდხანსაც სურდა ევლო, ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, დისციპლინა სჭირდებოდა, ხოლო დისციპლინა, საბედნიეროდ, მემკვიდრეობით დაჰყვა მამის მხრიდან. ორმოცი, ორმოცდაათი წლისა, იმ ასაკისა, როდესაც სხვები დროს ფლანგავენ, ხუმტურებს ასდევენ, თავს ინუგეშებენ და დიად გეგმათა შესრულებას გადასდებენ ხოლმე, იგი დღეს იმით იწყებდა, რომ მკერდსა და ზურგზე ცივ წყალს გადაივლებდა, შემდეგ ერთ წყვილ მაღალ თაფლის სანთელს დაამაგრებდა ხელნაწერის თავით ორივე მხარეს მდგარ ვერცხლის შანდლებში და ძილში დაგროვილ ძალებს ორი-სამი საათის განმავლობაში კეთილსინდისიერად და რუდუნებით მსხვერპლად სწირავდა ხელოვნებას. მისატყვებელი იყო და არსებითად მის მორალურ გამარჯვებასაც კი მოწმობდა ის, რომ საქმეში ჩაუხედავთ „მაიას“ სამყარო ანდა ეპიკური ტილოები, რომლებზედაც ფრიდრიჰის გმირული ცხოვრება იშლებოდა, შეკუმშული ძალისა და ერთი ხანგრძლივი ამოსუნთქვის ქმნილებად მიაჩნდათ, მაშინ როდესაც ისინი უფრო ყოველდღიური კრიტიკისა და მძიმე შრომის შედეგად იყვნენ ასობით ცალკეული აღფრთოვანებით ერთ დიად მასად დაზვიანული და მხოლოდ იმიტომ წარმოადგენდნენ შედეგს, როგორც მთლიანად, ისევე ყოველ ცალკეულ დეტალში, რომ მათი შემოქმედი მედგარი ნებისყოფითა და შეუპოვრობით, იმისი მსგავსით, რომელმაც მისი მშობლიური პროვინცია დაიპყრო, წლების განმავლობაში უძლებდა ერთსა და იმავე ნაწარმოებზე დაძაბულ მუშაობას და მის შექმნას მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე ქმედით, ყველაზე ღირსეულ საათებს ანდომებდა.

იმისთვის, რომ მნიშვნელოვანმა ნაწარმოებმა დაუყოვნებლივ ფართო და ღრმა გემოქმედება მოახდინოს, საჭიროა, იდუმალი ნათესაობა და თვით იდენტურობაც კი არსებობდეს შემოქმედის პირად ბედსა და მისი თანამედროვე თაობის საერთო ხვედრს შორის. ადამიანებმა არ უწყიან, რატომ ადიდებენ ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოებს. მცოდნენი შეიძლება სულაც არ არიან, მაგრამ თავი მოაქვთ, რომ ასობით ღირსება აღმოაჩინეს, ოღონდაც კი ამით თავიანთი მხურვალე თანაგრძნობა გაამართლონ, მაგრამ მოწონების ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რაც არ აინონება – სიმპათია. ამენბახმა ერთხელ, ერთ ნაკლებად თვალში საცემ ადგილას გაკვრით შენიშნა, რომ თითქმის ყოველივე დიადი ნიადაგ რაღაცის მიუხედავად მკვიდრდება, მწუხარებისა და ტანჯვის, სიღარიბისა და მიტოვებულობის, ჯანის სიძაბუნისა და მანკიერების, ვნებისა და ათასგვარი დაბრკოლების მიუხედავად. მაგრამ ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე უცაბედად დაცდენილი შენიშვნა, ეს იყო გამოცდილება, მისი ცხოვრებისა და სახელმშობვეტილობის ნამდვილი ფორმულა, მისი შემოქმედების გასაღები; და განა გასაკვირია, რომ იგი მის ყველაზე თავისებურ პერსონაჟთა მორალურ ხასიათსა და გარეგან მოქმედებაზეც ვრცელდებოდა?

იმ ახალი, მრავალგზის განმეორებული და მაინც ინდივიდუალური სახის მქონე გმირის ტიპზე, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდა ეს მწერალი, ერთმა ჭკვიანმა ანალიტიკოსმა ჯერ კიდევ ადრე დაწერა, რომ იგი კონცეფციას „ინტელექტუალური და ჭაბუკური სიმამაცისა, რომელიც ამაყი კდემამოსილებით კბილს კბილზე აჭერს და გაუნძრევლად დგას, მაშინ როდესაც ტანში მახვილებსა და შუბებს უყრიან“. ეს ლამაზად იყო ნათქვამი, მახვილგონივრულად და ზუსტად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფორმულირება ერთობ პასიური ჩანდა. ვინაიდან ჭირსა შიგან გამაგრება, ლაბათი ტანჯვაში ნიშნავს არა მხოლოდ ამტანობას; იგი აქტიური ქმედებაა, პოზიტიური ტრიუმფი და წმინდა სებასტიანის ხატება უმშვენიერესი სიმბოლოა საერთოდ ხელოვნებისა თუ არა, ყოველ შემთხვევაში იმ ხელოვნებისა მაინც, რომელზედაც ლაპარაკია აქ. საკმარისია ჩავიხედოთ ამ მოთხრობაში წარმოდგენილ სამყაროში, რომ დავინახოთ: ელევანტური თავშეკავება, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მალავს საზოგადოების თვალთაგან შინაგან განძარცვულობას, ბიოლოგიურ გახრწნას, ჩაყვითლებულ, გრძნობაშემუსვრილ სიმახინჯეს, რომელიც ახერხებს თავისი მბჟუტავი ღადრის კამკამად აალებას და მშვენიერების საბრძანებელში მეუფის როლამდე აღზევებას; უფერულ უძღურებას, რომელიც სულის გაღველფილი წიაღიდან იკრებს ძალას, რათა მთელი დიდგულა ხალხი ჯვრის წინაშე, თავის ფერხთა წინაშე დასცეს; საამურ მანერას, რომელსაც ფორმისადმი უსაგნო, მაგრამ მკაცრი მსახურების ჟამს იჩენს; ყალბ, სახიფათო ცხოვრებას, ნერვების

გამომფიტავ კაემნიან ლტოლვას და მატყუარად დაბადებულის ხელოვნებას. ვინც ჩაუკვირდებოდა ასეთი და მსგავსი ბედ-იღბლის მქონეთ, უთუოდ ეჭვი დაებადებოდა, რომ საერთოდ არსებობს კია კიდევ სხვაგვარი გმირობა, თუ არა ის, რომელსაც სუსტები სჩადიან? ანდა ყოველ შემთხვევაში რომელი გმირობაა ასეთზე უფრო თანადროული? გუსტავ ამენბახი იმათი პოეტი იყო, ვინც ღონემიხდილობის მიჯნამდეა მისული და ისე მუშაობს, გადატვირთულთა, უკვე გაცვეთილთა, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხზე მდგომთა, მოქმედების ყველა იმ მორალისტთა, რომელნიც ტანმორჩილნი და უსახსრონი, ნებისყოფის გააღმასებისა და გონივრული განმგებლობის წყალობით ერთხანს მაინც ახერხებენ დიადებად წარმოგვიდგენენ. ბევრს შეხვდებით ასეთს, ისინი ეპოქის გმირები არიან და ყველამ შეიცნო თავი მის შემოქმედებაში, ხელმეორედ აღმოაჩინა თავისი თავი, თანაც აღიარებული, ამაღლებული, ხოტბამესხმული სახით და მადლიერი ავტორს სახელს უხვეჭდა ქება-დიდებათ.

იგი ახალგაზრდა იყო და გაურანდავი, როგორც მისი თანამედროვეობაც და, ამ უკანასკნელისგან ცდუნებული, საჭაროდ წაიბორძიკებდა ხოლმე, შეცდომებს უშვებდა, თავის სუსტ მხარეებს ამუღავნებდა. სიტყვითა და საქმით სცოდავდა ტაქტისა და გონივრულობის მიმართ. მაგრამ ღირსება მოიპოვა, რომლისკენაც სწრაფვა, როგორც იგი ამტკიცებდა, თან დაჰყვება ხოლმე ყოველ დიდ ნიჭს, უფრო მეტიც, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მთელი მისი განვითარება ღირსებისკენ შეგნებული და შეუპოვარი, ეჭვისა და ირონიის მიერ აღძრული ყოველგვარი დაბრკოლების გადამლახავი აღმავლობა იყო.

ცოცხალი, სულიერად იოლად მისაწვდომი განსახიერება ბიურგერულ მასებს ატკბობს, მაგრამ მგზნებარე და უშუალო ახალგაზრდობას მარტოოდენ პრობლემატური იტაცებს. და ამენბახიც ისეთი პრობლემატური და უშუალო იყო, როგორიც კი რომელიმე ჭაბუკი შეიძლება იყოს. სულს ხარკს უხდიდა გაფაცვიცებით, მტაცებლურად ამუშავებდა შემეცნების მადანს, სათესლე მარცვლეულსაც კი ფქვავდა, ამხელდა საიდუმლოებებს, ეჭვი შეჰქონდა ნიჭში, ღალატობდა ხელოვნებას და იმ დროს, როდესაც მის მიერ გამოძერწილი ქმნილებანი რწმენით აღსავსე თაყვანისმცემელთ ატკბობდნენ, ამაღლებდნენ და აღაფრთოვანებდნენ, იგი, ჭაბუკი ხელოვანი, ოციოდე წლის ახალგაზრდებს ანცვიფრებდა ცინიკური მსჯელობით ხელოვნებისა და ხელოვნებისადმი მსახურების საჭოჭმანო არსის შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, კეთილშობილი და მძლავრი სული არაფრის მიმართ ისე სწრაფად და ძირისძირობამდე არ ჩლუნგდება, როგორც შემეცნების მძაფრ და მწარე გაღიზიანებათა მიმართ; და, რა თქმა უნდა, ყმანვილის თვით ყველაზე მძიმე განწყობილება და კეთილსინდისიერი საფუძვლიანობა ბედაპირული ჩანს დაოსტატებული ვაჟკაცის ღრმა გადაწყვეტილებებთან შედარებით – უარყოს ცოდნა, უკუაგდოს, მაღლა აწეული თავით გადააბიჯოს ბედ, რამდენადაც მას შეუძლია ოდნავ მაინც მოადუნოს, სიმამაცე და ღირსება წაართვას ნებისყოფას, მოქმედებას, გრძნობასა და თვით ვნებასაც კი. განა სახელგანთქმული „უბადრუკი“ სხვაფრივ შეიძლებოდა გაგებულებოდა, თუ არა როგორც ბიზდის გადმონთხევა ეპოქის უხამსი ფსიქოლოგიზმის მისამართით? ხსენებულ მოთხრობაში უხამსი ფსიქოლოგიზმი განსახიერებულია იმ დონდლო, ბრიყვი და ნახევრად არამზადას სახით, რომელიც ბედს იმით ეწევა, რომ ცოლს უძღურების, მანკიერებისა და ეთიკური არასრულფასოვნების გამო პირტიტველა ყმანვილს უგდებს ხელში და ჰგონია, რომ მდაბალი საქციელი განცდათა სიღრმის გამო შეიძლება შეენდოს. მძლეთამძლე სიტყვა, რომლითაც აქ გაკიცხული იყო გასაკიცხი, იუნყებოდა ყოველგვარი ბნეობრივი ორჭოფობიდან გადახვევას, დაცემულობისადმი ყოველგვარი სიმპათიის დაგმობას, უარის თქმას უპრინციპო გულშემატკივრობაზე ცნობილი სენტენციისა: „ყველაფერი გაიგო, ნიშნავს ყველაფერი მიუტევო“, და ის, რაც აქ მზადდებოდა, უფრო მეტიც, რაც აქ უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი, იყო „ხელმეორედ შობილი უშუალობის სასწაული“, რომლის შესახებაც ოდნავ მოგვიანებით ამავე ავტორის ერთ-ერთ დიალოგში ხაზგასმით, ხელახლა და არცთუ საიდუმლოებით აღსავსე კილოს გარეშე იყო ლაპარაკი. საოცარი თანხვედრაა! იქნებ ამ „ხელმეორედ შობის“, ამ ახალი ღირსებისა და სიმკაცრის სულიერი შედეგი იყო მშვენიერების გრძნობის თითქმის წარმოუდგენელი გაცხოველება, ფორმის ის კეთილშობილი სინწინდე, სისადავე და თანაბარზომიერება, რაც სწორედ იმ დროისთვის გამოვლინდა ავტორში და რამაც მის ქმნილებებს ერთხელ და სამუდამოდ ოსტატობისა და კლასიკურობის ესოდენ სასურველი ბეჭედი დაასვა?

მაგრამ ზნეობრივი მიზანსწრაფვა ცოდნის მიღმა, ამომხსნელი და დამაბრკოლებელი შემეცნების მიღმა, – განა იგი თავის მხრივ ისევ სამყაროსა და ადამიანის სულის გაუბრალოებას, ზნეობრივ გამარტივებას არ ნიშნავს და, მაშასადამე, სიავისა, აკრძალულისა და ზნეობრივად დაუშვებლისკენ სწრაფვის გაძლიერებასაც? და განა ფორმას ორმაგი სახე არა აქვს? განა იგი ერთსა და იმავე დროს ზნეობრივიცა და უზნეოც არ არის? – ზნეობრივი როგორც შინაგანი დისციპლინის შედეგი და გამოხატულება, ხოლო უზნეო და თვით აღვირახსნილიც კი, რამდენადაც ბუნებით მორალურ ინდიფერენტულობას მოიცავს და არსებითად იმისთვისაც კი იღვწის, რომ მორალურს თავისი ამაყი და თვითმპყრობელური სკიპტრის წინაშე ქედი მოახრევიოს.

ასეა თუ ისე, განვითარება იგივე ბედისწერაა და როგორ შეიძლება ის, რომელსაც თან ახლავს ფართო საზოგადოების საყოველთაო ნდობა, სხვაფრივ არ მიმდინარეობდეს, იმასთან შედარებით, რომელიც ბრწყინვალეობას მოკლებულია და სახელის საამურ ტვირთს არ იცნობს? მარტოოდენ გამოუსწორებელ ბოჰემას მიაჩნია მოსაწყენად და დაცინვის საღერღელი ეშლება, როდესაც დიადი ნიჭი აზატდება, ლიბერტიანულ ნატუქს ამსხვრევს, ეჩვევა სულის ღირსების ცხადლივ აღქმას, მარტოობის საუფლოს კარზე მიღებულ ზნე-ჩვეულებებს ითვისებს, მარტოობის, რომელიც აღსავსე იყო განუკითხავ-განუზიარებელი, მკაცრად ერთპიროვნული ტანჯვა-ვაებით, ბრძოლებით და ბოლოს მაინც კაცთა შორის პატივი და ძალაუფლება მოახვეჭინა. რამდენი თამაში, შეუპოვრობა და სიტკბოებაა ნიჭის თვითჩამოყალიბებაში! ერთგვარი ოფიციალურ-აღმზრდელობითი რაღაც გაჩნდა დროთა ვითარებაში გუსტავ ამენბახის ნაწერებში; ბოლო წლებში მისი სტილი გაურბოდა ფიცხელ სითამამეს, იკლიკანტურ და ახლებურ შექ-ჩრდილებს, იგი სანიმუშო და ჩამოყალიბებული, დახვეწილი და ტრადიციული, მდგრადი, ფორმალური, თვით ფორმულის მსგავსიც კი გახდა, და როგორც ამას ლუდოვიკო XIV-ის შესახებ გადმოცემა ამტკიცებს, მანაც, უკვე, ხანში შესულმა, თავისი მარაგიდან ყოველი მდაბალი სიტყვა განდევნა. მაშინ იყო სწორედ, რომ განათლების ორგანოებმა მისი ნაწარმოებებიდან რჩეული ადგილები რეკომენდებულ სასკოლო ქრესტომათიებში შეიტანეს. შინაგანად კმაყოფილი იყო და უარიც არ უთქვამს, როდესაც მას, „ფრიდრიჰის“ მგოსანს, ერთ-ერთმა გერმანელმა მთავარმა, რომელიც ის-ის იყო ტახტზე ავიდა, დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად პირადი აზნაურობა უბოძა.

რამდენიმე მოუსვენარი წელიწადისა და სადმე დამკვიდრების ამაო ცდის შემდეგ მან კარგა ხანია უკვე მიუხეხი აირჩია მუდმივ სამყოფლად და ისეთ პატივისცემაში ცხოვრობდა იქ, როგორიც მოაზროვნეს მხოლოდ ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხვდება ხოლმე წილად. ცოლად ჯერ კიდევ სიჭაბუკის ჟამს შეერთო სწავლულის ოჯახიდან გამოსული ქალიშვილი, მაგრამ ხანმოკლე ბედნიერების შემდეგ ამ უკანასკნელის სიკვდილმა უდროოდ გაჰყარა ისინი და მხოლოდ ერთი ქალიშვილიღა დარჩა მისგან, რომელიც ახლა გათხოვილი ჰყავდა, ხოლო ვაჟი არასოდეს ჰყოლია.

გუსტავ ფონ ამენბახი სამუალოზე ოდნავ დაბალი ტანისა იყო, შავგვრემანი და წვერგაპარსული. თავი ცოტათი დიდი უჩანდა თითქმის ჩია სხეულთან შედარებით. უკან დავარცხნილი თმა, კეფაზე შეთხელებული, ხოლო საფეთქლებთან მთლად გაჭაღარავებული, გარს ეკვროდა მაღალსა და ნაოჭებით გადახნულ შუბლს. ჩარჩოში ჩაუსმელ მინებიანი ოქროს სათვალის უღელი მაგრად ჩასჭდოდა მსხვილი და კეთილშობილად მოყვანილი ცხვირის კეხზე. პირი დიდი ჰქონდა, ხან მოშვებული, ხანაც ანაზღვეულად თხელი და დაძაბული; ლოყები გამხდარი, ნაოჭებით დასერილი, და მოხდენილად ჩამოქნილი ნიკაპი შუაზე ნაზად გაყოფილი. ასე იტყოდით, ვინ იცის, რა არ გადახდენიაო ამ მეტწილად მარტვილივით გვერდზე გადახრილ თავს; და მაინც, ეს ხელოვნება გახლდათ, რომელმაც გამოიწვია ზემოაღნიშნული ფიზიოლოგიური წარმონაქმნი, მძიმე და მღელვარე ცხოვრების შედეგი რომ არის ხოლმე ჩვეულებრივ. ამ შუბლის მიღმა იშვა ვოლტერსა და მეფეს შორის ომზე წარმოებული საუბრის მღელვარე რეპლიკები: ეს დაღლილი და სათვალის მინებიდან შორს მაცქერალი თვალები ხედავდნენ შვიდწლიანი ომის ლაზარეთთა სისხლიან ჯოჯოხეთს. ხელოვნება პირადულად, ცალკეული შემოქმედის თვალსაზრისითაც ინტენსიურ ცხოვრებას გულისხმობს, იგი უფრო ღრმად აბედნიერებს, უფრო სწრაფად ფიტავს და იმას, ვინც მას მსახურებს, სახეზე წარმოსახვითსა თუ სულიერ ავანტიურათა კვალს აღუბეჭდავს; თვით გარეგნულად წყნარი და მონასტრული ცხოვრების შემთხვევაშიც გარკვეული დროის

მანძილზე ისეთ განებივრებულობას, ჭარბ სინატიფეს, დაღლილობას და ნერვულ ცნობისმოყვარეობას წარმოშობს, როგორსაც ძნელად თუ გამოიწვევს თვით ყველაზე ბობოქარი ვნებებითა და ამქვეყნიური სიამით აღსავსე ცხოვრება.

*

ამ გასეირნების შემდეგ მრავალმა საერო და ლიტერატურული ხასიათის საქმემ დაახლოებით ორი კვირა კიდევ დააყოვნა მოგზაურობას მოწყურებული მწერალი მიუნხენში. ბოლოს ბრძანა, ოთხი კვირის შემდეგ, ე.ი. იმ დროისთვის, როდესაც უკან დაბრუნებას აპირებდა, მზად ჰქონოდათ მისი სააგარაკო სახლი სოფლად და მისის მეორე ნახევარში ღამის მატარებლით ტრიესტს გაემგზავრა, სადაც ერთი დღე და ღამე დარჩა და მომდევნო დილას პოლაში მიმავალი გემით განაგრძო გზა.

ვინაიდან უცხო და უჩვეულო გარემოს ეძიებდა, რომელიც თან ახლოც უნდა ყოფილიყო, ადგილსამყოფლად ბოლო წლებში სახელგანთქმული კუნძული აირჩია, რომელიც ადრიატიკის ზღვაში, ისტრიის ნაპირის მახლობლად მდებარეობდა, ლამაზად დაკბილული კლდეების წყებით იყო გაშლილ ზღვაში შემორაგული, ფერად-ფერად ფალას-ფულასში გამოწყობილ და უცნაურად მუდერ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებული. მაგრამ წვიმა და მძიმე ჰაერი, პროვინციული, პირწმინდად ავსტრიელთაგან შემდგარი საზოგადოება ოტელში და ზღვასთან იმ წყნარი, გულითადი დამოკიდებულების ნაკლებობა, რომელსაც მართოდენ ქვიშით მოფენილი ნაზი ნაპირი გვანიჭებს, აღიზიანებდა მას და სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ იქ არ მოხვდა, საითკენაც მიილტვოდა. საით მიენოდა გული, ჯერ კიდევ ნათელი არ იყო მისთვის და ეს კითხვა აწვალებდა ერთთავად. გემების მარძრუტები შეისწავლა, მაძებრის თვალით გასცქეროდა სივრცეებს და ანაზღეულად, როგორც მოულოდნელი, მაგრამ ამავე დროს თავისთავად გასაგები რამ, თვალწინ დაუდგა მოგზაურობის მიზანი. თუ გსურს, ერთ ღამეში მიაღწიო რაღაც შეუდარებელსა და ზღაპრულად უჩვეულოს, სად უნდა გაემგზავრო? განა ეს ნათელი არ არის? აბა, რა უნდა აქ?! აშკარად შეცდა, რომ აქ ჩამოვიდა. იქ უნდა გამგზავრებულიყო. დაუყოვნებლივ გამოასწორებს შეცდომას და ნავა აქედან. და აი, კუნძულზე ჩამოსვლიდან კვირა-ნახევრის შემდეგ სწრაფმავალი მოტორიანი ნავი სისხამ დილას ჯანლით შესუდრულ ტალღებზე მიაქროლებდა მასა და მის ბარგს უკან, სამხედრო ნავსადგურისკენ, სადაც მხოლოდ იმიტომ დადგა ხმელეთზე ფეხი, რომ მაშინვე ტრაპით სველ ერდობე ასულიყო გემისა, რომელსაც ორთქლის ქვაბი უკვე გაეხურებინა და ვენეციაში წასასვლელად მზად იყო.

ეს გახლდათ ძველისძველი, გაჭვარტლული და პირქუში იტალიური გემი, რომელსაც თავისი დრო უკვე მოეჭამა. მღვიმისებურ, ხელოვნურად განათებულ შიდა კაიუტაში, საითკენაც აშენბახს გემზე ასვლისთანავე ერთი კუბიანი და უსუფთაო მეზღვაური ნაუძღვა თავაზიანი ღრეჭით, მაგიდასთან იჯდა თხისწვერა კაცი, რომელსაც ქუდი ქეშად ჩამოეფხატა შუბლზე, პირის კუნჭულში სიგარის ნამწვი გაეჩარა და მთელი თავისი ფიზიონომიით ძველებური ცირკის დირექტორს მოგაგონებდათ. იგი დაუძაბავი საქმიანი გამომეტყველებით, თითქოს იმანჭებო, მგზავრთა ვინაობას ინერდა და ბილეთებს აძლევდა მათ. „ვენეციაში!“ გაიმეორა აშენბახის ნათქვამი, შემდეგ ხელი გაიწოდა და კალამი ცალ მხარეზე დაყირავებული სამელნის ფსკერზე მელნის ფაფისებურ ნარჩენში ჩააწო. „ვენეციაში, პირველი კლასი! ინებეთ, ბატონო ჩემო!“ თან მსხვილი ასოებით რაღაც დაჯღაბნა ქალაქდზე, ზედ ცისფერი ქვიშა მოაყარა ქილიდან, დაიცადა, ვიდრე იგი თიხის ჯამში ჩაიპნეოდა, ყვითელი, გაძვალტყავებული თითებით დაკეცა ქალაქი და ისევ განაგრძო წერა. „მოგზაურობის მიზანი საუცხოოდ შეგირჩევიათ, – ლაყბობდა თან ამასობაში, – ო, ვენეცია! დიდებული ქალაქია! დაუოკებლად იზიდავს განათლებულთ როგორც თავისი ისტორიით, ისევე ამჟამინდელი მომხიბლაობითაც!“ მის მოძრაობათა გაშანდაკებულ სიმარდესა და უსაგნო ლაყბობას, რომელიც თან ახლდა მათ, ჰქონდა რაღაც გამაბრუებელი და თვალისამხვევი, თითქოს ეშინოდა, რომ სანამ დრო იყო, მგზავრს ვენეციაში გამგზავრება არ გადაეფიქრებინა. ფული სწრაფად გამოართვა და ხურდა კრუპიეს განაფულობით გადმოუგდო მაგიდაზე გადაკრულ დალაქავებულ მაუდზე. „კარგ დროს ტარებას გისურვებთ, ბატონო ჩემო!“ – დასძინა მან და მსახიობივით თავი დაუკრა. – დიდ პატივს მდებთ, რომ თქვენი წაყვანა მხვდა წილად... აბა, ბატონებო!“ – შესძახა მან დაუყოვნებლივ და თან ხელი მაღლა ასწია, თითქოს უამრავი მგზავრი ეხვია

გარს. ნამდვილად კი ბილეთის მსურველი აღარავინ იყო. აშენბახი გემბანზე დაბრუნდა.

ცალი ხელით მოაჯირზე დაყრდნობილი უჭვრეტდა მოცლილთა ბრბოს, რომელიც გემის წასვლის მოლოდინში ნაპირზე ზიმზიმებდა, და გემზე მყოფ მგზავრებს. ისინი, ვინც მეორე კლასით მგზავრობდნენ, კაცები და ქალები, ქვედა გემბანზე, გემის წინა ნაწილში, დაყუნცულიყვნენ, სკამებად ყუთები და მაფრაშები გამოეყენებინათ, ზედა გემბანის მგზავრთა საზოგადოებას კი ყმანვილ კაცთა ჯგუფი შეადგენდა, რომლებიც, როგორც ჩანდა, პოლელი ნოქრები იყვნენ, იტალიაში ექსკურსია მოეწყობათ და ამით აღტაცებულნი იყვნენ. თავი მოსწონდათ, ამაყობდნენ თავიანთი წამოწყებით, ყაყანებდნენ, იცინოდნენ, თვითკმაყოფილებით შეპყრობილნი ტკბებოდნენ საკუთარი მიმიკით და მოაჯირზე გადაყრდნობილები მოსწრებულ დამცინავ სიტყვა-თქმებს გასძახოდნენ ამხანაგებს, რომლებიც ილღიაში პორტფელამოჩრილები მიდიოდნენ სანაპიროზე – თავ-თავიანთ სავაჭროებში მიემურებოდნენ, თან ხელჯოხს უქნევდნენ გემზე მყოფ მებინახეებს. ერთი მათგანი, რომელიც ერთობ ახალმოდურად ღია ყვითელ საბაფხულო კოსტიუმში, წითელ ჰალსტუხსა და ჩაუქად ზეაკეცილ კიდებიან პანამაში იყო გამოწყობილი, დანარჩენთაგან მჩხავანა ხმითა და უბოძო აღტყინებით გამოირჩეოდა. მაგრამ ის იყო, აშენბახმა ოდნავ უფრო დაკვირვებით შეავლო თვალი და მაშინვე ძრწოლვით შენიშნა, რომ ყმანვილი კაცი ყალბი გახლდათ. მისი ხანდაზმულობა ეჭვს არ იწვევდა: თვალებისა და პირის ირგვლივ ნაოჭები ეფინა. მქრქალ ვარდისფერ ლოყებზე გრიმი წაეცხო. წაბლისფერი თმა, ჭრელბაფთიანი ჩალის ქუდის ქვეშ რომ ჩამოსცვენოდა, პარიკი იყო, ყელიც დამჭკნარი და დაძარღვული ჰქონდა, ხოლო მალა აპრეხილი უღვაშები და ესპანურ ყაიდაზე მოშვებული წვერი – შეღებილი. ყვითლად ჩაკინკინებული კბილები, რომელთაც სიცილის დროს აჩენდა, იაფფასიან პროთეზს წარმოადგენდა, ხოლო ხელები – ორივე საჩვენებელ თითზე ბეჭდებით შემკული ხელები, ნამდვილი მსცოვანისა იყო. შეძრწუნებული აშენბახი თვალყურს ადევნებდა, როგორ ეჭირა თავი ამფსონებში. ნუთუ არ იციან, ნუთუ ვერ ამჩნევენ, რომ მოხუცია, უმართებულოდ აცვია მათებრ დარდიმანდული, ფერად-ფერადი სამოსელი და უმართებულოდ სურს, ერთ-ერთ მათგანად გაასაღოს თავი? როგორც ჩანდა, მეჩვეულნი იყვნენ მასთან, მიღებული ჰყავდათ თავიანთ წრეში, რადგან როგორც თავის სწორს, ისე ეპყრობოდნენ და გაუბრაზებლად პასუხობდნენ მუჭლუგუნებზე, რომელთაც ხუმრობით ხან ერთს სთავაზობდა გვერდში და ხან მეორეს. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? აშენბახმა შუბლზე ხელი აიფარა და თვალები მილულა; ქუთუთოები ეწვოდა, რადგან წინა ღამით ძალიან ცოტა ეძინა. ასე ეგონა, თითქოს ყოველივემ ფერი იცვალა, თითქო სიზმარეული ჩვენება დაიწყო და ქვეყნიერება საოცრად უცხო და მახინჯ იერს იღებდა, რასაც ბოლო მოედებოდა, თუ სახეს ცოტათი მოიჩრდილავდა და მერე ხელახლა მიმოიხედავდა. მაგრამ სწორედ იმ წამს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქო სადღაც მიცურავდა და უგუნური შიშით შეპყრობილმა თვალები გაახილა და დაინახა, რომ გემის მძიმე და მრუმე კორპუსი ნელ-ნელა სცილდებოდა ნავმისადგომის კედელს. მანქანა გამალებით მუშაობდა, ხან წინ ეწეოდა გემს, ხან უკან და დუიძობით ფართოვდებოდა სხვადასხვა ფერად მოციგლიგე ჭუჭყიანი წყლის ბოლი სანაპიროსა და გემს შორის, რომელმაც მოუქნელი მანევრების შემდეგ, როგორც იქნა, გამლილი ზღვისკენ მიაბრუნა ბუგმპრიტი. აშენბახი მარჯვენა ბორტზე გადავიდა, სადაც კუზიანს უკვე გაეშალა მისთვის შეზღონგი, ხოლო დალაქავებულ ფრაკში გამოწყობილი სტიუარდი შეეკითხა, რას ინებებთო.

ცა ნაცრისფერი იყო და ნოტიო ქარი უბერავდა. ნავსადგური და კუნძულები უკან დარჩა; ხმელეთი სწრაფად მიიძალა ბურუსით მოცულ ჰორიზონტზე. ნესტით გაჟღენთილი ჭვარტლის ფიფქები მორეცხილ გემბანზე ცვიოდნენ, რომელიც ვერა და ვერ გამშრალიყო. ერთი საათი თუ იქნებოდა გასული, რომ ზედ ტენტი გადასჭიმეს, რადგან წვიმა დაიწყო.

პალტოში გახვეულიყო, მუხლებზე წიგნი ედო და ისე ისვენებდა ჩვენი მგზავრი. დრო შეუმჩნეველად მიედინებოდა. წვიმამ გადაიღო და ტილოს ფარდაც აკეცეს. ცის კიდურზე ხმელეთის ნასახიც არ ჩანდა, ზეცის პირქუში გუმბათის ქვეშ უდაბური ზღვის თვალშეუდგამი ბადრო გართხმულიყო. მაგრამ ცარიელ, დაუნაწევრებელ სივრცეში ჩვენს შეგრძნებას დროის საზომი აღარ გააჩნია და უსაზღვროების ბინდში ვრიალებთ. საკვირველი ჩვენებანი აირივნენ მთვლემარის თავში; პრანჯია ბერიკაცი და თხისწვერა ჯელი, გემზე ბილეთებს რომ ყიდდა, რაღაცას გაურკვევლად ანიშნებდნენ, აბნეულ, მისნურ სიტყვებს ეუბნებოდნენ, და აშენბახს ჩაეძინა.

შუადღისას სასაუბროდ ჩაიყვანეს კაიუტ-კომპანიაში, რომელიც დერეფანს ჰგავდა, რადგან მასში ყოველი კაიუტიდან კარი გამოდიოდა. აქ, გრძელი მაგიდის ბოლოში (აშენბახი მაგიდის თავში დასვეს), ათი საათიდან მოყოლებული ქეიფობდნენ ნოქრები და მათ შორის ბერიკაციც მხიარულ კაპიტანთან ერთად. საუბრე მწირი იყო და მწერალმა სწრაფად მოათავა. გული ზევით მიენეოდა, გარეთ, უნდოდა ზეცისთვის შეეხედა: ხომ არ მოინძინებოდა ვენეციის ზეგარდმო.

ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ასე მოხდებოდა, ვინაიდან ეს ქალაქი მუდამ გაცისკროვნებული ხვდებოდა. მაგრამ ცაც და ზღვაც კვლავ ამღვრეული და ტყვიისფერი იყო, ჟამიდან ჟამზე სცრიდა კიდევ და იგი შეურიგდა იმ აზრს, რომ საზღვაო გზით ჩასულს სულ სხვა ვენეცია დახვდებოდა, ვიდრე სახმელეთოთი ჩასულს დახვედრია ოდესმე. მთავარ ანძასთან იდგა და შორეთს გასცქეროდა, ხმელეთის გამოჩენას ელოდებოდა. მოაგონდა სევდიანი ენთუზიასტი პოეტი, რომელსაც ოდესღაც აქვე, ამ წყლის სივრცეებიდან წარმოუდგა საოცნებო თაღები და სამრეკლოები, და ჩუმად იმეორებდა ზოგიერთ ადგილს იმ დიადი სიმღერისა, რომელიც მაშინ პოეტის აღტაცებულმა მოკრძალებამ, ბედნიერებამ და მწუხარებამ შეთხზა; ამ უკვე გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბებული გრძნობით აჩქროლებული ეკითხებოდა თავის მკაცრსა და დაღლილ გულს: ეწერა თუ არა კიდევ ახალი ადფრთოვანება და შეჩქვიფება, დროგადასული ავანტიურა გრძნობისა მას, მოცლილ მოგზაურს?

აი, მარჯვნივ ამოტივტივდა დაბალი ნაპირი, ახლა უკვე მეთევზეთა ნავებმა გამოაცოცხლეს ზღვა, გამოჩნდა მობანავეთა კუნძულიც, გემმა მარცხნივ მოიტოვა იგი, ნელი სვლით შესრიალდა ვინრო პორტში, რომელიც ამ კუნძულის სახელს ატარებს, და ლაგუნაში გაჩერდა უბადრუკი და ჭრელაჭრულა ქოხმახების წინ, ვინაიდან სანიტარული სამსახურის ორჩხომელს უნდა დალოდებოდა.

მთელი საათი გავიდა, ვიდრე ის გამოჩნდებოდა. თითქოს ჩასულები იყვნენ ვენეციაში და თან თითქოს არც იყვნენ ჩასულები; არავის ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც მოუთმენლობამ შეიპყრო ყველანი. ახალგაზრდა პოლელეები, პატრიოტიზმით წაქეზებულები, თუ შეიძლება სამხედრო საყვირთა სიგნალებითაც, რომლებიც საზოგადოებრივი ბაღების მხრიდან მოისმოდა წყლის ზეგარდმო, გემბანზე გამოეფინნენ და ასტით შეზარხოშებულნი „ვამას“ გასძახოდნენ ბერსალიერებს, რომლებიც წყალგაღმა წვრთნას გადიოდნენ. მაგრამ ნამდვილად ამაზრზენი იყო იმის ცქერა, თუ რა მდგომარეობამდე მიეყვანა კოხტაპრუნა ბერიკაცი ახალგაზრდებთან ცრუ ამფსონობასა და ტოლის დაუდებლობას. მის მოხუცებულ თავს აღარ შეეძლო ღვინოს ისე გამკლავებოდა, როგორც ჭაბუკთა მედგარ თავებს და შესაბრალისად დამთვრალიყო. გამოლენჩებული იყურებოდა. ძლივს იმაგრებდა აკანკალებულ თითებს შორის გაჩრილ სიგარეტს, ბარბაცებდა, გაჭირვებით ინარჩუნებდა წონასწორობას და ღვინით გამობრუებული ხან წინ გადაიზნიქებოდა, ხან უკან გადაექანებოდა, ადილიდან დაძვრას კი ვერ ბედავდა, რადგან გრძნობდა, რომ პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე წაიქცეოდა. და მაინც, ყოვლად უბადრუკ სიანცეს იჩენდა, ყველას, ვინც კი მიუახლოვდებოდა, ღილზე ებლაუჭებოდა, ლულულულებდა, ვიდაცას თვალს უკრავდა, ხითხითებდა, მაღლა სწევდა ბეჭდიან დამჭკნარ საჩვენებელ თითს რომელიღაც ბრიყვული ანგლობისთვის და ენის წვერით საზიზღრად, ორაზროვნად ილოკავდა ტუჩებს. აშენბახი წარბშეკრული უჭვრეტდა და კვლავ ისეთი გამაბრუებელი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სამყარო ოდნავ შესამჩნევ, მაგრამ დაუოკებელ მიდრეკილებას იჩენდა, ახირებული, კარიკატურული სახე მიეღო. მაგრამ ეს კია, რომ გარემოებამ საშუალება არ მისცა აშენბახს ამ გრძნობას აჰყოლოდა, რადგან მანქანა კვლავ ამუშავდა, ადუგდუგდა და გემმა, რომელსაც მიზნიდან ასე ახლოს მოუხდა გაჩერება, ისევ განაგრძო სვლა წმ. მარკოზის არხით.

მამ ასე, კვლავ ხედავდა ამ საკვირველ ქალაქს, ამ ზღაპრულ ნავსადგურს, მის ფანტასტიკურ ნაგებობათა თვალისმომჭრელ ანსამბლს, რომლითაც რესპუბლიკა მოახლოებული ზღვაოსნის მოკრძალებულ მზერას ხვდებოდა ხოლმე. სასახლისა და ამოოხვრათა ხიდის ჰაეროვან დიდებულებას, ლომისა და წმ. მარკოზის გამოსახულებიან სვეტებს ნაპირზე, საარაკო ტაძრის წინ გამოწეულ ბრწყინვალე ფრთას, გასცქეროდა ხედს ხიდის ღიობში, ვეება საათს, და თან ფიქრობდა, რომ ვენეციაში ხმელეთით, რკინიგზის სადგურის მხრიდან ჩასვლა იგივე იყო, რაც სასახლეში სამარქაფო კარიდან შესვლა, და რომ მხოლოდ ასე, როგორც ამჟამად ის, მხოლოდ გემით, მარტოდენ ღია ზღვის

მხრიდან უნდა ეწვიო ქალაქთა შორის ყველაზე გაუგონარსა და არნახულ ქალაქს.

ძრავა გაჩერდა, გონდოლები ერთად შექუჩებულნი გამოემუხრნენ გემისკენ, საბიჭელა ჩაუშვეს, პირველნი საბაჟოს მოხელეები ამოვიდნენ და დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმიანობას; შემდეგ მგზავრებს ნება დართეს გემი დაეტოვებინათ. აშენბახმა განაცხადა, რომ გონდოლა სჭირდება, რომელიც იმ ნავმისადგომთან გადაიყვანს და ბარგსაც გადაუტანს, სადაც ქალაქსა და ლიდოს შორის მავალი კატარღა ჩერდება: იგი ზღვის პირას აპირებს დაბინავებას. ჩანაფიქრს უწონებენ და მის სურვილს ბორტს მიღმა ადგილობრივ დიალექტზე მოკინკლავე გონდოლიერებს გადასძახებენ. მაგრამ ნაპირზე გადასვლა ჯერ მაინც არ ძალუძს, წინ საკუთარი ზანდუკი ელობება, რომელიც დიდი ჭაპანწყვეტით ჩააქვთ საბიჭელაზე. ამიტომ ერთი-ორი წუთის განმავლობაში საშუალება არა აქვს თავი დააღწიოს ამაზრბენი მოხუცის აბეზარ ყურადღებას. ბერიკაცს ეტყობა, ღვინის ზარხოშმა გადააწყვეტინა თავაზიანად გზა დაულოცოს უცხოელს. „ბედნიერ დროს ტარებას გისურვებთ, – კიკინებს იგი და თან ფეხის ქუსლებს ერთმანეთს უტყაპუნებს. – კეთილად მოგვიგონებდეთ! Au revoir, excusez et bon Jour[2], თქვენო აღმატებულება!“ – თან პირი წყლით ევსება, თვალებს ნაბავს, პირის კუნჭულებს ილოკავს და ბებრული ბაგის ქვეშ შეღებილი ესპანური წვერი ებურძღვება. „ქათინაურებს იმსახურებთ, – განაგრძობს ის ბლუკუნს და ჰაეროვან კოცნას უგზავნის. – ქათინაურებს იმსახურებთ, ჩვენო კარგო, ჩვენო მშვენიერო, ჩვენო ტურფავ“... აქ უეცრად მის ზედა ყბას კბილების პროთეზი სცილდება და ქვედა ტუჩზე უვარდება. აშენბახს შესაძლებლობა ეძლევა, ხელიდან დაუსხლტეს. „ჩვენო ტურფავ, ჩვენო სულიკო“... – ესმის მას ზურგს უკან მოყრუყუნე, დახშული ბგერები, როდესაც თოკის მოაჭირზე მოჭიდებული კიბეზე ეშვება.

ვის არ განუცდია წამიერი ჩქროლვა, იდუმალი კრძალვა და ძრწოლა, როდესაც ვენეციურ გონდოლაში პირველად, ანდა დიდი ხნის გადაჩვეული ჩამჭდარა? ეს საოცარი ნავი ოდნავ არ შეცვლილა, ისე მოაღწია გარდასული რომანტიკული დროებიდან ჩვენამდე და ისე შავია, როგორც არც ერთი სხვა საგანი, კუბოს გარდა. იგი მოგვაგონებს უჩუმრისპირ და დანაშაულებრივ თავგადასავლებს მოკამკამე ღამეში, მაგრამ უფრო მეტად კი თავად სიკვდილს, საკაცეს, წესის აგებასა და უკანასკნელ, მდუმარე სვლას. და ვის არ შეუნიშნავს, რომ დასაჯდომი ამ ნავში, ეს კუბოსავით შავი, გალაქული და მჭრქალი შავითვე გამოკრული სავარძელი ყველაზე რბილი, ყველაზე სათუთი და საამური მთელ დედამიწის ზურგზე? აშენბახმაც აღიქვა ეს, როდესაც გონდოლიერს ფერხითთა და ნავის ცხვირზე პენნიკად ერთად დალაგებული ბარგის პირდაპირ ჩამოჭდა. მენავები კინკლავობას განაგრძობდნენ; უხეშად, გაუგებრად და მუქარით აღსავსე უესტიკულაციით მიმართავდნენ ერთმანეთს. მაგრამ წყალზე მდებარე ქალაქის თავისებური მდუმარება თითქოსდა შეფარვით ისრუტავდა, მატერიალურობას აცლიდა და წყლის ზედაპირზე ფანტავდა მათ ხმებს. აქ, ნავსადგურში, თბილოდა. სიროკოს თბილი ფშვინვა ელამუნებოდა ბალიშების ფაფუკ სტიქიონში ნებიერად ჩაფლულ მოგზაურს, რომელმაც თვალები მილულა და ტკბებოდა ერთსა და იმავე დროს უჩვეულო და სანეტარო მოდუნებით. „გზა ჩვენი ხანმოკლეა, – ფიქრობდა იგი. – ნეტავი მარად ასე გაგრძელდებოდეს!“ ნავი ნელა ირწეოდა და აშენბახი გრძნობდა, როგორ შორდებოდა გონდოლების ორომტრიალსა და გონდოლიერთა აყალმაყალს.

როგორი სიჩუმე, როგორი ღრმა მდუმარება ივანებდა მის ირგვლივ! ისმოდა მხოლოდ ნიჩბის წყალთან შეხების ჩქამი და ტალღების ყრუ დგაფუნი, რომელნიც ნავს წყლიდან მაღლა ამოჩრილ, აფთის მაგვარი ისრით შეიარაღებულ შავსა და წვეტიან ცხვირზე ეჭახებოდნენ, და კიდევ ერთი რამ – რაღაც დუდუნი. ეს მეგონდოლე ბუტბუტებდა, თავის თავს ელაპარაკებოდა, კბილებში სცრიდა სიტყვებს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმული ბგერები მისი მკლავების დაძაბული მუშაობით იყვნენ გათანგულნი. აშენბახმა თვალები გაახილა და ცოტა არ იყოს, ეუცხოვა, რომ ლაგუნა გაფართოებულიყო და ღია ზღვის მიმართულებით მიცურავდნენ. როგორც ჩანდა, არ შეიძლებოდა ერთობ გულარხეინად ყოფილიყო და უნდა ელონა რამე, რომ მისი სურვილი შეესრულებინათ.

– ხომ იცით, ნავმისადგომთან უნდა მიმიყვანოთ, – უთხრა მან და თან ნახევრად უკან მიბრუნდა.

ბუტბუტი შეწყდა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

– ნავმისადგომთან უნდა მიმიყვანოთ-მეთქი! – გაიმეორა მან და ახლა მთლიანად მიტრიალდა, რათა სახეში შეეხედა გონდოლიერიისთვის, რომელიც მის ბურგს უკან იდგა, ნავის შემადღებულ ადგილზე და მქრქალ ცაზე მკაფიოდ ისახებოდა. ეს იყო უსიამო, სულაც მძვინვარე შესახედაობის კაცი, მეზღვაურის ლურჯი ხალათ-შარვალი ეცვა, წელზე ყვითელი შარფი შემოერთყა და თავზე უკვე ფორმადაკარგული და ჩამოძენილი ჩაღის ქუდი დარდიმანდულად გვერდზე მოეგდო. სახის ნაკვთები და ქერა ხუჭუჭა უღვაშები პაჭუა ცხვირის ქვეშ სრულებით არ უგავდა იტალიელს. თუმცა ტანსუსტი და ამდენად თავისი ხელობისთვის არცთუ მაინცდამაინც გამოსადეგი ჩანდა, მაგრამ ნიჩბის ყოველ მოსმას მთელი სხეულის ძალას ატანდა და ძალზე ენერგიულად მიჰყავდა გონდოლა. რამდენჯერმე მეტისმეტი დაძაბვისგან ტუჩები ისე დაეჭიმა, რომ თეთრად ჩაკინკინებული კბილები გამოუჩნდა. წითური წარბები შეეკრა და სტუმრის თავს ბევით იყურებოდა. უეცრად როყიოდ, თითქმის უხეში კილოთი დასძინა: – თქვენ ხომ ლიდოში მიდიხართ.

აშენბახმა მიუგო: – მერე რა. მე გონდოლა მხოლოდ იმიტომ დავიქირავე, რომ წმ. მარკოზის მოედანზე გადაგეყვანეთ. იქიდან კი ვაპორეტოთი წავალ.

– ვაპორეტოთი ვერ წახვალთ, ბატონო ჩემო.

– მაინც რატომ ვერა?

– იმიტომ, რომ ვაპორეტოს ბარგი არ გადააქვს.

აშენბახს მოაგონდა, რომ მართლაც ასე იყო და გაჩუმდა. მაგრამ უკმეხი, თავხედური და აქაურებისთვის ეგზომ უჩვეულო მოპყრობა უცხოელისადმი აუტანელი ეჩვენა და უთხრა: – ეს უკვე ჩემი საქმეა. მე იქნებ მინდა ბარგი შესანახად მივაბარო, უკან გაბრუნება მოგიხდებათ.

დუმილი სუფევდა. მხოლოდ ნიჩბის მოსმის ხმა და გონდოლის ცხვირზე ტალღების ყრუ დგაფუნი ისმოდა. შემდეგ კვლავ დაიწყო ბუტბუტი. გონდოლიერი კბილებში ცრიდა სიტყვებს – საკუთარ თავს ელაპარაკებოდა.

რა უნდა ექნა? მარტოდმარტო იყო ნავში ამ საოცრად ურჩ, ტლუ და შეუპოვარ ადამიანთან და აბა, ჩვენს მოგზაურს რა გზა ჰქონდა, როგორ უნდა გაეყვანა თავისი? თანაც რა საამურად მოისვენებდა ფაფუკ ბალიშებზე, თუკი არ აღძფოთდებოდა! განა თვითონ არ ისურვა, რომ გზა ხანგრძლივი ყოფილიყო, არასოდეს დასრულებულიყო? ყველაზე გონივრული იქნებოდა ბედს მინდობოდა და, რაც მთავარია, ყველაზე სასიამოვნოც. ბანგივით მომადუნებელი რაღაც ჰქონდა მის სავარძელს, ამ შავით გამოკრულ დაბალ დასაჯდომს, ასე ნაზად რომ არწევდა ბურგს უკან მდგომი თავქეფიფა გონდოლიერიის ნიჩბის ყოველ მოსმაზე. ეჭვმა, რომ ბოროტმზრახველს ჩაუვარდა, ბუნდოვნად გაუელვა თავში, მაგრამ აქტიურ თავდაცვაზე ბრუნვა აზრადაც არ მოსვლია. კიდევ უფრო ამაზრზენად ეჩვენებოდა ის ამბავი, რომ შეიძლებოდა ყოველივე უბრალოდ ფულის გამოძალვა ყოფილიყო. მოვალეობისა თუ თავმოყვარეობის მსგავსმა გრძნობამ, როგორც მოგონებამ, რომ საშიშროება თავიდან უნდა აეცილებინა, აიძულა ერთხელ კიდევ მოეკრიბა ძალ-ღონე და შეჰკითხვოდა: – რამდენს მოითხოვთ გადაყვანაში?

გონდოლიერს პოზა არ შეუცვლია, მის ზეგარდმო განაგრძობდა ცქერას და ისე მიუგო: – არაფერია, გადაიხდით.

სრულიად აშკარა იყო, რაც უნდა ეპასუხა ამაზე და აშენბახმაც მექანიკურად წარმოთქვა: – არაფერსაც არ გადავიხდი, არაფერს-მეთქი, გესმით, თუკი იქ არ წამიყვანთ, სადაც მე მინდა.

– თქვენ ხომ ლიდოში მიდიხართ.

– ჰო, მაგრამ თქვენთან ერთად არა.

– მე კარგად მიმყავხართ.

„ეს მართალია, – გაიფიქრა აშენბახმა და კვლავ მოეშვა. – მართლაც კარგად მიგყავარ და თუნდაც ჩემს საფულებზე გეჭიროს თვალი და უკნიდან ნიჩბის ჩარტყმით სავანეში გამისტუმრო, მაინც უნდა ითქვას, რომ კარგად მატარებდი“.

მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. პირიქით, მოხეტიალე მუსიკოსებით,

ქალებითა და კაცებით, სავსე ნავიც კი შემოუერთდათ, რომლებიც გიტარებისა და მანდოლინების აკომპანემენტით მღეროდნენ; აღარ სცილდებოდნენ გონდოლას, ისე ახლოს მიდიოდნენ, რომ ლამის ნავები ერთმანეთს შეხებოდნენ, და თან წყალზე გამეფებულ სინყნარეს უცხოელის ყურისთვის გამიზნული სარფიანი სიმღერებით არღვევდნენ. აშენბახმა ფული ჩაუყარა მათ გამონვდილ ქუდში და ისინიც გაჩუმდნენ და უკუიქცნენ. ახლა ისევ გაისმა გონდოლიერის ბუტბუტი, კვლავ ხამუშ-ხამუშ, ნანყვეტ-ნანყვეტად რომ ესაუბრებოდა საკუთარ თავს.

და აი ასე, ქალაქს მიმავალი გემით აღძრული ტალღით დარწმუნნი, ჩავიდნენ ლიდოში. ნაპირზე მუნიციპალიტეტის ორი მოხელე დადიოდა წინ და უკან, ხელები უკან დაეწყოთ და ლაგუნისკენ იყურებოდნენ. აშენბახი გონდოლიდან ნავმისადგომზე ერთ-ერთი იმ ბერიკაცის დახმარებით გადმოვიდა, რომელთაც ვენეციის ყველა ნავმისადგომთან შეხვდებით და რომლებიც ბარჯებით არიან შეიარაღებული. წვრილი ფული არ აღმოაჩნდა და ნავმისადგომის მახლობლად მდებარე ოტელში შევიდა, რომ დაეხურდავებინა და იმდენი მიეცა გონდოლიერისთვის, რამდენსაც თვითონ მიიჩნევდა საჭიროდ. ვესტიბიულში უხურდავებენ ფულს, უკან ბრუნდება და ხედავს: ბარგი ორთვალაზე ზღვის პირას ალაგია, გონდოლა და გონდოლიერი კი გამქრალან.

– მოცოცხა, – ეუბნება ბარჯიანი ბერიკაცი, – ცუდი ვაცია, ბატონო ჩემო, პატენტი არა აქვს. ერთადერთი გონდოლიერია, რომელსაც პატენტი არა აქვს. დანარჩენებმა აქ დარეკეს. ჰოდა, შენიშნა, რომ ელოდნენ და მოცოცხა.

აშენბახმა მხრები აიჩეჩა.

– ბატონო, უფასოდ იმგზავრეთ და... – უთხრა მოხუცმა და ქუდი გაუნოდა. აშენბახმა ფული ჩაუგდო შიგ. ბრძანა, მისი ბარგი მობანავეთა ოტელში წაეღოთ და ორთვალას გაჰყვა ხეივანში, თეთრად აყვავებულ ხეივანში, რომლის ორივე მხარეს სამიკიტნოები, ფარდულები და პანსიონები იყო ჩამწკრივებული და რომელიც კუნძულს გარდიგარდმო სერავდა და ზღვამდე ეშვებოდა.

ვრცელ ოტელში იგი უკნიდან, ბალის ტერასის მხრიდან შევიდა, განვლო წინკარი, ვეება ვესტიბიული და კანტორას მიაშურა. ადრევე აცნობა: ჩამოვდივარო და თავაზიანად შეეგებნენ, აღარ იცოდნენ, როგორ ესიამოვნებინათ. ადმინისტრატორმა, შავულვაშა, პატარა, ჩუმმა და ფარისევლურად ზრდილობიანმა ვაცმა, ფრანგულ ყაიდაზე გამოჭრილ სერთუკში გამონყობილმა, ლიფტით აიყვანა ბევით, მესამე სართულზე და მისთვის განკუთვნილი ნომერი უჩვენა, ალუბლის ხის ავეჯით მოწყობილი კოხტა ოთახი, რომელიც დამატარობლად სურნელოვანი ყვავილებით მოერთოთ და რომლის ფანჯრებიც გაშლილ ზღვას გადასცქეროდნენ. როცა ადმინისტრატორი წავიდა, აშენბახი ერთ-ერთ მათგანთან მივიდა და ვიდრე მის ზურგს უკან ბარგი შემოჰქონდათ და ოთახში ალაგებდნენ, გარეთ იყურებოდა, უჭვრეტდა თითქმის უკაცრიელ ნაპირს, რაც ჩვეულებრივი იყო ნაშუადღევს, და მზით გაუნათებელ ზღვას, რომელსაც მოქცევა დაეწყო და დაბალსა და გრძელ ტალღებს დინჯი თანაბარზომიერებით გზავნიდა ნაპირისკენ.

მარტოსულის დაკვირვებანი და განცდები ერთსა და იმავე დროს უფრო ბუნდოვანიცაა და უფრო ღრმაც, ვიდრე იმისა, ვინც საზოგადოებაში ტრიალებს. მისი ფიქრები უფრო მძიმეა, ახირებული და მარად ვაეშნით შეფერილი. წარმოდგენები და შეგრძნებები, რომელნიც ერთი შეხედვით, ერთი უბრალო გაცინებით, აზრთა გაცვლა-გამოცვლით შეიძლებოდა სულ იოლად თავიდან მოგვეშორებინა, ზომამე მეტად აწვალევენ მას, გულში ჩახვეული სულ უფრო და უფრო ღრმავდებიან, მნიშვნელოვან ამბად იქცევიან, თავგადასავლად, ავანტიურად, ღრმა განცდად. მარტოობა წარმოშობს ორიგინალურს, თამამს, შემაცბუნებლად მშვენიერს – პოეზიას. მაგრამ იგი აძლევს დასაბამს აგრეთვე ყოველივე უკუღმართს, შეუსაბამოს, აბსურდულსა და დაუშვებელს. ასე რომ, გზაში ნანახი და განცდილი – ამამრბენი კოხტაპრუნა ბერიკაცი და მის მიერ „სულიკოს“ ბლუკუნი, დევნილი გონდოლიერი, რომელსაც გასამრჯელო ხელიდან გამოეცალა – ახლაც ადელვებდა მგზავრის სულს; რაიმე სიძნელეს კი არ უქმნიდა გონებას, არსებითად განსჯისთვის მასალასაც კი არ იძლეოდა და მაინც ყოველად საკვირველი და ამდენად შემამფოთებელიც ჩანდა. აშენბახი თან თვალეებით ზღვას სალამს უძღვნიდა და უხაროდა, რომ ვენეცია ასე ახლოს იყო, ასე ხელმისაწვდომი იყო მისთვის. ბოლოს ფანჯარას მოშორდა, პირი დაიბანა, რამდენიმე მითითება მისცა მოსამსახურე გოგოს, რათა რაც

შეიძლება მარჯვედ მოწყობილიყო, და მწვანე ლივრეაში გამოწყობილ შვეიცარს, რომელიც ლიფტს ემსახურებოდა, უბრძანა პირველ სართულზე ჩაეყვანა.

ჩაი დალია ზღვის მხარეს მდებარე ტერასაზე, შემდეგ დაბლა დაემგზა სანაპირო ბულვარზე და კარგა მანძილი განვლო ოტელ „ექსცელსიორის“ მიმართულებით, ხოლო როდესაც უკან დაბრუნდა, უკვე ვახშობის უბანი იყო მოახლოებული და ტანსაცმელი უნდა გამოეცვალა. ეს, როგორც ყოველთვის, აუჩქარებლად, გულდასმით მოიმოქმედა, რადგან მიჩვეული იყო ჩაცმის დროს მუშაობას და მაინც ცოტა ნაადრევად ჩავიდა ვესტიბიულში, სადაც მიუხედავად ამისა, ოტელის მდგმურთა დიდ ნაწილს მოეყარა თავი, ერთმანეთს არ იცნობდნენ, თავი ისე ეჭირათ, რომ ვითომ არც აინტერესებდათ ერთმანეთი და ყველანი ვახშობის მოლოდინში იყვნენ. აშენბახმა მაგიდიდან გაზეთი აიღო, ერთ-ერთ ტყავის სავარძელში ჩაეშვა, თავმოყრილი საზოგადოების თვალსაზრისს შეუდგა და სიამოვნებით შენიშნა, რომ აქაური დამსვენებლები ხელსაყრელად განსხვავდებოდნენ იმათგან, ვინც პირველ აგარაკზე დახვდა.

მის თვალწინ ვრცელი, შემწყნარებლურად მრავლისმომცველი ჰორიზონტი გადაიშალა. ყრუდ ისმოდა თითქმის ყველა დიდი ენის ერთმანეთში არეული ბგერები. მთელ მსოფლიოში მიღებული სადამოს კოსტიუმი, ეს მუნდირი წესიერებისა, გარეგნულად ერთ კეთილგონივრულ მთლიანობაში ადუღებდა ადამიანთა მოდგმის სახესხვაობებს. აქ ნახავდით ამერიკელის გრძელსა და გამხდარ სახეს, მრავალრიცხოვან რუსულ ოჯახს, ინგლისელ მანდილოსნებს, გერმანულ ბავშვებს ფრანგი გადიების თანხლებით. როგორც ჩანდა, სლავური ელემენტი ჭარბობდა. იქვე მის მახლობლად პოლონურად ლაპარაკობდნენ.

ბამბუკის მაგიდის ირგვლივ მოზარდთა ჯგუფს მოეყარა თავი, ჯერ კიდევ მთლად ნორჩებს – მათ გუვერნანტი ქალი უწევდა მეურვეობას: სამ გოგონას, რომლებიც თხუთმეტ-ჩვიდმეტი წლისანი უნდა ყოფილიყვნენ და თოთხმეტიოდე წლის გრძელთმიან ბიჭუნას. განცვიფრებულმა აშენბახმა შენიშნა, რომ ბიჭი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. მისი ფერმკრთალი და კოხტად მოყვანილი სახე, თაფლისფერი თმით თითქო ჩარჩოში ჩასმული, სწორი ცხვირით, სანდომიანი პირითა და სათუთი, ღვთაებრივად სერიოზული გამომეტყველებით, უკეთილშობილესი ხანის ბერძნულ ქანდაკებებს აგონებდა ადამიანს და ფორმის უხალასეს სრულყოფილებასთან ერთად, ისე განუმეორებლად და თავისებურად მომხიბლავი იყო, რომ მაყურებელი მაშინვე იფიქრებდა: არც ბუნებაში და არც სახვით ხელოვნებაში ასე სრულყოფილ ქმნილებას არასოდეს შევხვედრივარო. თვალში საცემი იყო აგრეთვე ამკარა პრინციპული სხვაობა და-ძმის აღზრდაში, რაც მათ ჩაცმულობასა და თავდაჭერაში ვლინდებოდა. სამივე დის მორთულობა, რომელთაგან უფროსი უკვე დაქალიშვილებულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, იმდენად სადა და უბინო იყო, რომ თითქმის ამახინჯებდა მათ. ისეთი კაბები ეცვათ, რომელთაც მხოლოდ მონასტერში ატარებენ: შავი ფიქალის ფერი, ნახევრად გრძელი, უღიმღამო და განგებ ტანში გამოუყვანელი. თეთრი, გადმოკეცილი საყელოებით – ამ ერთადერთი ნათელი სამკაულით განწყობილი სამოსელი სხეულის ყოველგვარ მომხიბლავობას ახშობდა და აქარწყლებდა. თავზე მაგრად გადასხეპილ-მიტკუცული თმა გოგონების სახეებს მონაზვნებივით ცარიელ, არაფრისმთქმელ გამომეტყველებას ანიჭებდა. აქ, რა თქმა უნდა, დედის ხელი იგრძნობოდა, რომელსაც, ამკარა იყო, აზრდაც არ მოსდიოდა ბიჭის მიმართაც იგივე პედაგოგიური სიმკაცრე გამოეჩინა, გოგონებისთვის აუცილებლად რომ მიაჩნდა. ბიჭს, ეტყობოდა, ნებიერად და სათუთად ზრდიდნენ. ვერ გაეხედათ მაკრატლით შეხებოდნენ მის ლამაზ თმას. კულულები შუბლზე, ყურებსა და კისერზე ჩამოსცვენოდა და ამით მოგაგონებდათ „ბიჭუნას, რომელიც ხიჭვს იძრობს“. ინგლისური მეზღვაურის კოსტიუმი, რომლის განიერი სახელოები ბოლოში ვიწროვდებოდა და მის ჯერ კიდევ ბავშვურ, მაგრამ ნატიფ ხელებს სათუთ მატებთან მჭიდროდ შემოტმასნოდა, ზონრებით, დილკილოებით და მოქარგულობით მის ნაზ ფიგურას რაღაც მდიდრულსა და ნებიერ იერს ანიჭებდა. იგი აშენბახისკენ ნახევრად შემობრუნებული იჯდა, ცალი ფეხი – მას შავი ლავის ფეხსაცმელები ეცვა – მეორის წინ დაედგა, დაწნული სავარძლის სახელოებზე დაყრდნობილიყო იდაყვით და მომუჭული ხელი ლოყაზე შემოეჭდო, დაუდევარი და გრაციოზული პოზა ჰქონდა და არა ეცხო რა იმ თითქმის დამამდაბლებელი თავდაჭერილობისა, რომელსაც, როგორც ჩანდა, მიჩვეულნი იყვნენ მისი დები. ავად ხომ არ იყო? რადგან მისი ფერმიხდილი პირის კანი, სპილოსძვლისფერი, ასეთ მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა მრუმე ჩარჩოსავით გარშემომდგარ ოქროსურვილ კულულებთან. ან

იქნებ უბრალოდ ნანინანატრი შვილი იყო, მიკერძოებული ყურადღებითა და სიყვარულით გააზიზებული? აშენბახს გუნება უფრო ამ უკანასკნელს უკარნახებდა. არტიკული ბუნების მქონეთ თითქმის ყოველთვის აქვთ თანდაყოლილი ვერაგული მიდრეკილება, უსამართლობას შეურიგდნენ, ოღონდაც იგი მშვენიერებას ქმნიდეს და არისტოკრატიულ მიკერძოებულობას ამჯობინებენ, თაყვანს სცემენ მას.

კელნერმა ჩამოიარა და ინგლისურ ენაზე გამოაცხადა, ვახშამი მზად არისო. საზოგადოება ნელ-ნელა მინის კარით სასადილო დარბაზში გაიკრიფა. დაგვიანებულნი ლიფტებიდან გამოდიოდნენ, ვახშამზე მიეშურებოდნენ. დარბაზში უკვე ჩამოატარეს კერძები, მაგრამ ყმანვილი პოლონელები ისევ ბამბუკის მაგიდას უსხდნენ და აშენბახიც, ღრმა სავარძელში მარჯვედ მოწყობილი და თანაც მშვენიერების ჭვრეტით გართული, მათთან ერთად იცდიდა.

ბოლოს გუვერნანტმა, ტანმორჩილმა, ჩასუქებულმა და წითელსახიანმა ქალმა ანიშნა, ადექითო, მაღლა ასწია წარბები, სკამი უკან გააჩოჩა და მდაბლად დაუკრა თავი ვესტიბიულში შემოსულ მაღალ ბანოვანს, რომელსაც თეთრით განწყობილი ნაცრისფერი კაბა ეცვა და თვალ-მარგალიტით იყო მორთული. ამ ქალს თავი ცივად და ღირსეულად ეჭირა. მისი ოდნავ დაპუდრული თმის ვარცხნილობაც და კაბაც აღსავსე იყო იმ სისადავით, რომელიც განსაზღვრავს გემოვნებას ყველგან, სადაც კი სათნოება განუყრელად თან სდევს არისტოკრატიზმს. შეიძლება რომელიმე დიდი გერმანელი მოხელის მეუღლეც იყო. ესაა მხოლოდ: რაღაც ზღაპრულად მდიდრულ იერს აძლევდა სამკაულები, რომლებიც მართლაცდა ფასდაუდებელი იყვნენ – ჩამოსაკიდი საყურე და ალუბლისოდენა მქრქალად მოციაგე მარგალიტების ერთობ გრძელი, სამმაგი მძივი.

ბავშვები სწრაფად წამოდგნენ და რიგრიგობით მოიხარნენ, რათა ხელზე მთხვეოდნენ დედას, რომელსაც მოვლილ, მაგრამ ოდნავ დაღლილსა და წვეტიანი ცხვირით შემკულ სახეზე თავშეკავებული ღიმილი გამოესახა. იგი ბევიდან დაჰყურებდა ბავშვებს და ფრანგულად რამდენიმე სიტყვა უთხრა გუვერნანტ ქალს. შემდეგ მინის კარისკენ გაემართა და მოზარდების თან გაჰყვნენ: გოგონები ასაკის მიხედვით მოეწყვნენ, მათ უკან გუვერნანტი მიდიოდა, ხოლო ყველაზე ბოლოს ბიჭი. მან რატომღაც უკან მოიხედა, ვიდრე სასადილო დარბაზში შედგამდა ფეხს, და ვინაიდან ვესტიბიულში უკვე სხვა აღარავინ იყო, მისი საოცრად დაბინდული ნაცრისფერი თვალების მხერა აშენბახისას შეხვდა, რომელიც ჭვრეტით გართულიყო, გაბეთი მუხლებზე ჩამოვარდნოდა და მიმავალ ჯგუფს თვალს არ აშორებდა.

ის, რასაც აშენბახი ხედავდა, მაინცდამაინც საკვირველი რამ კი არ იყო: ბავშვები უდედოდ არ წავიდნენ ვახშამზე, მას დაელოდნენ, მოკრძალებით მიესალმნენ და დარბაზში შესვლისას საყოველთაოდ მიღებული წესები დაიცვეს. მაგრამ ყოველივე ამას ისე ხაზგასმით, ისე დახვეწილად და საკუთარი ღირსების შეგნებით იქმოდნენ, რომ აშენბახი საოცრად ააღელვა ამ ამბავმა. რამდენიმე წამს კიდევ დაახანა, შემდეგ თვითონაც შევიდა სასადილო დარბაზში, სადაც თავისი მაგიდა უჩვენეს, რომელიც, როგორც მან გულდანყვეტით შენიშნა, ერთობ შორს იყო პოლონელთა ოჯახიდან.

დაღლილი და, მიუხედავად ამისა, სულიერად მაინც აღგზნებული, იგი მთელი ხანგრძლივი ვახშამის განმავლობაში აბსტრაქტული, უფრო მეტიც – ტრანსცენდენტური აზრებით იქცევდა თავს, ფიქრობდა იმ იდემალებით აღსავსე კავშირზე, რომელიც კანონზომიერსა და ინდივიდუალურს შორის უნდა დამყარდეს, რომ მშვენიერი ადამიანი წარმოიშვას, შემდეგ ფორმისა და ხელოვნების ზოგად პრობლემებზე გადავიდა და ბოლოს დაასკვნა, ჩემი აზრები და აღმოჩენები სვებედნიერ სიზმარეულ ჩვენებებს წააგვანან, რომელნიც ცხადლივ სავსებით ფუჭი და უვარგისი აღმოჩნდებიან ხოლმეო. ვახშამის შემდეგ საღამოს სურნელით მოცულ პარკში გავიდა, თამბაქო მოსწია, ერთ ხანს მერხზე იჯდა, შემდეგ ისეირნა, ადრე დაწვა დასაძინებლად და მთელი ღამე ღრმა, მაგრამ ნაირ-ნაირი სიზმრებით აფორიაქებულ ძილში გაატარა.

*

მეორე დღეს ამინდი არ გაუმჯობესდა. ქარი ხმელეთის მხრიდან ქროდა. ღრუბელთა მქრქალი ფენით დაფარული ცის ქვეშ ზღვა ჩლუნგად გარინდებულიყო, თითქო

დანაოჭებულ-შედედებული, პრობაულად ვინრო ჰორიზონტი და ნაპირიდან ისე შორს უკუქცეული, რომ ქვიშის მეჩქრები წყება-წყებად გაეშიშვლებინა. აშენბახმა ფანჯარა გამოაღო და მოეჩვენა, რომ ლაგუნიდან სიღამპლის სუნი მოდიოდა.

უგუნებობამ შეიპყრო. იმწამსვე გამგზავრებაზე დაიწყო ფიქრი. ერთხელაც, მრავალი წლის წინათ, გაზაფხულის სვებდნიერი დღეების შემდეგ ასეთივე ტაროსმა მოუსწრო და იმდენად აუტანელი გახდა მისი აქ ყოფნა, რომ იძულებული შეიქნა, ვენეციიდან გაქცეულიყო. და ახლაც განა მაშინდელივით არ აიტანა მონყენილობის ციებ-ცხელებამ, განა ვვლავინდებურად არა გრძობს წნევას საფეთქლებში და ქუთუთოებიც დამძიმებული არა აქვს? ადგილის ერთხელ კიდევ გამოცვლა გაანჯალეხს; მაგრამ თუ ქარი არ შეიცვალა, მაშინ აქ დარჩენაზე ფიქრი ზედმეტია. ყოველი შემთხვევისთვის ბარგი მთლიანად არ გაუხსნია. ცხრა საათზე ვესტიბიულსა და სასადილო დარბაზს შორის მდებარე ბუფეტში ისაუბმა.

აქ საზეიმო მდუმარება სუფევდა, რაც დიდი სასტუმროების სიამაყეს შეადგენს. ოფიციატები რბილლანჩებიანი ფეხსაცმელებით უხმაუროდ დადიოდნენ. ჩაის ჭურჭლის წკრიალი, ნახევრად ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვა – აი ყველაფერი, რასაც აქ გაიგონებდით. ერთ-ერთ კუთხეში კარიდან ირიბად და თავისგან ორი მაგიდის მოშორებით აშენბახმა პოლონელი გოგონები და მათი აღმზრდელი შენიშნა. მხრებში გამართულნი ისხდნენ, მონაცრისფრო ქერა თმა, ეტყობოდათ, ეს-ეს არის უკან გადაეტკიცათ, ქუთუთოები დასწითლებოდათ, პატარა თეთრი გადმოსაკეცი საყელოებითა და თეთრივე მანუეტებით განყობილი ხეშეში ტილოს ლურჯი კაბები ეცვათ და ერთმანეთს მურაბას აწვდიდნენ: თითქმის უკვე დაემთავრებინათ საუბრე და ბიჭი კი არსად ჩანდა.

აშენბახმა გაიღიმა. „ერთი ამ პატარა ფეაკოსს დამიხედეთ! – გაიფიქრა მან. – ეტყობა, დებისგან განსხვავებით, უფლება აქვს, რამდენიც უნდა, იმდენი იძინოს“. და ერთბაშად გამხიარულებულმა გუნებაში ციტატა წარმოთქვა: „სამკაულები ფერად-ფერადი, აბანო თბილი და მყუდროება“.

დინჯად ისაუბმა და ფოსტა გამოართვა პორტიეს, რომელმაც მოსირმული ქუდი მოიხადა და ისე შემოვიდა დარბაზში. შემდეგ პაპიროსი გააბოლა და რამდენიმე წერილიც გახსნა. ამიტომ მოხდა, რომ იმ ძილისგუდას, მოსვლასაც შეესწრო, რომელსაც იქ, კუთხეში მდგარ მაგიდასთან, ელოდებოდნენ.

მინის კარიდან შემოვიდა, ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში ირიბად გადასერა დარბაზი და დებთან მივიდა. სიარული, გნებავთ, იმის მიხედვით გემსჯელათ, თუ როგორ ეჭირა ტანი, გნებავთ, იმის მიხედვით, თუ როგორ ამოძრავებდა მუხლებს, ანდა როგორ ადგამდა თეთრ ტუფლებში გამოწყობილ ფეხებს, არაჩვეულებრივად მომხიბლავი, ძალზე მსუბუქი, ერთსა და იმავე დროს სათუთიცა და ამაყიც ჰქონდა. და მას კიდევ უფრო ამშვენებდა ბავშვური მორცხვობა, რომლითაც გზაში ორჯერ გადახედა დარბაზში მყოფთ და ორჯერვე თვალები ძირს დახარა. ღიმილით რაღაც წარმოთქვა რბილ, ნელა მოდუდუნე ენაზე, მაგიდას მიუჭდა, აშენბახისკენ თავისი დახვეწილი პროფილი მიაქცია და ეს უკანასკნელიც ყმანვილის ჭემმარიტად ღვთაებრივმა სილამაზემ ხელახლა განაცვიფრა, ლამის შეაკრთო კიდევ. ბიჭს დღეს თეთრბოლებიანი ლურჯი თხელი ბლუზა ეცვა, მკერდზე წითელი აბრეშუმის ბანტითა და თეთრი უბრალო გადმოუკეცავი საყელოთი შემკული. ხოლო ამ საყელოდან კი, რომელიც მაინცდამაინც არც ეხამებოდა მთელ კოსტიუმს, ამოწვდილიყო ენით აღუნერელი სილამაზის ყვავილი – ყმანვილი ეროსის თავი, პაროსის მარმარილოს მოყვითალო არილით, კალმით ნახატი სერიოზული წარბებით, მართკუთხედად ჩამოშლილი ხვეული თმით, რომელიც მრუმედ და სათუთად ეფინა საფეთქლებსა და ყურებზე.

„კარგია, კარგი!“ – გაივლო გულში აშენბახმა იმ პროფესიულად ცივი მონონებით, რომელშიც ხვევენ ხოლმე ზოგჯერ ხელოვანი სრულყოფილი ქმნილების ჭვრეტით მოგვრილ აღტაცებას. შემდეგ გაიფიქრა: „ღმერთმანი, ზღვა და ნაპირი რომ არ მელოდეს, აქ დავრჩებოდი, ვიდრე შენც აქ იქნებოდი!“ – და წამოდგა, განვლო წინკარი, სადაც მოკრძალებით მიესალმა ოტელის მოსამსახურე პერსონალი, ჩაიარა დიდი ტერასა და ფიცარნაგით პირდაპირ სასტუმროს მდგმურთათვის შემოზღუდულ პლაჟს მიაშურა. ნაპირზე მან მისთვის განკუთვნილი კაბინის ჩვენება სთხოვა ტილოს მარვალში,

მებღვაურის ხალათსა და ჩალის ქუდში გამოწყობილ ფეხშიშველა მოხუცს, რომელიც იქ, ეტყობოდა, დარაჯად იყო; მაგიდა და სავარძელი გარეთ, ქვიშით მოფენილ ფიცრულ ბაქანზე დაადგმევინა, ხოლო თვითონ ზღვისკენ გააჩოჩა ცვილივით ოქროსფერ ქვიშაზე მებლონგი და ზედ მოხერხებულად წამოწვა.

პლაჟის ხედი, სტიქიონის პირას უზრუნველად და გზებით თავშემაქცევარი კულტურის ჭვრეტა ისე ართობდა და ახარებდა, როგორც არასოდეს. ნაცრისფერსა და გლუვ ზღვას აცოცხლებდნენ ბავშვები, რომლებიც წყალში ჭყუმპალაობდნენ, მოცურავეები, ჭრელ საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილ დამსვენებელთა ფიგურები, რომლებსაც ხელები თავქვე ამოედოთ და ქვიშრობ მეჩქეებზე იწვნენ. ზოგნი კიდევ წითლად და ლურჯად შედებილ პატარა, უხერხემლო ნავებში ისხდნენ, ნიჩბებს უსვამდნენ და იცინოდნენ, როდესაც ნავი გადაუბრუნდებოდათ ხოლმე. კაბინების გრძელი მწკრივის წინ, რომელთა ბაქნებზე ხალხი, როგორც პატარა ვერანდებზე, ისე იჯდა, ერთსა და იმავე დროს აზარტული გატაცება და ზანტი გარინდებულობა სუფევდა. ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და მასლაათი იყო გაჩაღებული. თავი მოჰქონდათ დილის საგულდაგულოდ შერჩეული, ნაირ-ნაირი ელევანტური ტუალეტით და ამასთანავე ტკებოდნენ სიშიშვლით, დაურცხვენლად სარგებლობდნენ ზღვის პირას ამ მხრივ დამშვებული თავისუფლებით. სულ წინ, სველსა და ხვრემ ქვიშაზე ცალკეული მობანავენი დაეხეტებოდნენ, თეთრ საბანაო ხალათებში ანდა პლაჟისთვის განკუთვნილ განიერსა და ჭრელ კოსტიუმებში გამოწყობილნი. მარჯვნივ ბავშვებს ქვიშისგან იკლიკანტური ციხე-კომპი აშენებინათ და მისი ქონგურები ყველა ქვეყნის ალმებით შეემკოთ. ნიჟარების, ტკბილეულის და ხილის გამყიდველებს მუხლებზე დაეჩოქათ და საქონელს ალაგებდნენ. მარცხნივ იმ კაბინებიდან ერთ-ერთის წინ, რომლებიც, პირდაპირ ზღვისკენ ჩამწკრივებულნი, სხვების გარდიგარდმო იდგნენ და ამ მხარეს პლაჟს ზღუდავდნენ, რუსების ოჯახი დაბანაკებულიყო: წვეროსანი და მსხვილკბილა კაცები, ზანტი და დონდლო ქალები; ბალტიელი ქალიშვილი, რომელიც მოლბერტთან იჯდა, ზღვას ხატავდა და თან დროდადრო სასომიხდილივით წამოიძახებდა ხოლმე რაღაცას; ორი მახინჯი, მაგრამ უწყინარი გამომეტყველების ბავშვი; თავსაფრიანი მოხუცი გადია, რომელსაც ფაქიზად და მონასავით ერთგულად ეჭირა თავი. ყველანი მადლიერნი ტკებოდნენ ცხოვრებით. დიდები წამდაუნუმ ეძახდნენ გაუგონარ, ცელქ ბავშვებს. ეტყობოდა, ორიოდე იტალიური სიტყვა იცოდნენ და დიდხანს ეხუმრებოდნენ კურიოზულ ბერიკაცს, რომლისგანაც ტკბილეული იყიდეს, ერთმანეთს კოცნიდნენ ლოყებზე და არად დაგიდევდნენ, რომ გარეშენი ხედავდნენ ამას.

„მამ ასე, ვრჩები, – გაიფიქრა აშენბახმა. – უკეთეს ადგილს სად ვნახავ?“ – ხელები მუხლებზე გადაიჭვარედინა და თვალი ზღვის შორეულ სივრცეს მიაპყრო, რომელიც გაურბოდა მის მზერას, ივარგებოდა, დაუსაბამო და ერთფეროვან ბურუსში იძირებოდა. აშენბახს ზღვა სულის სიღრმიდან მომდინარე მიზეზთა გამო უყვარდა: სიმშვიდის მოთხოვნილების გამო, რაც თავაუღებლად მომუშავე ხელოვანს ახასიათებს, რომელიც მსახვრალი მრავალმაგობით დაქანცულია და მარტივისა და თვალშეუდგამის მკერდს სურს შეეფაროს; აკრძალული, მისი ამოცანის დიამეტრულად საწინააღმდეგო და სწორედ განსაკუთრებით მაცდუნებელი სწრაფვის გამო განუყოფლისა, უსაზღვროსა და მარადიულისადმი, ე.წ. არარაობისადმი. სრულყოფილის მკერდზე დავანება სანუკვარი ლტოლვაა იმისა, ვინც შედევრისთვის იღვწის; და განა არარაობაც სრულყოფილების ფორმა არ არის? აი, ასე იყო ჩაძირული სიცარიელის ჭვრეტაში, რომ ანაზღვეულად ნაპირის ქობის ჰორიზონტალური ხაზი ადამიანის ფიგურამ გადასერა, და როდესაც აშენბახმა უსაზღვროებას მზერა მოსწყვიტა და გონს მოვიდა, დაინახა, რომ ეს ისევ ის ლამაზი ბიჭი იყო. მარცხენა მხრიდან მომავალმა წინ ჩაუარა ქვიშაზე. ფეხშიშველი მოდიოდა, ეტყობოდა, წყალში ჩასასვლელად მომზადებულიყო, კენარი ფეხები მუხლებამდე გაეშვიშებინა, ნელიად, მაგრამ ისე მსუბუქად და ამაყად მოაბიჯებდა, თითქო თავის დღენი სულ უფესსაცმლოდ ევლო, და გარდიგარდმო ჩამწკრივებული კაბინებისკენ იხედებოდა. მაგრამ როგორც კი რუსების ოჯახს მოჰკრა თვალი, რომლებიც იქ შესმატკბილებულად იქცევდნენ თავს, რისხვითა და ზიზღით სახე მოედრებულა. შუბლი შეიკრა, პირი შეუთამაშდა, ბაგეებიდან სახის ცალ მხარეს ანჩხლმა თრთოლამ დაურბინა და ლოყა დაუსერა, წარბები ისე მოელეშა, რომ მათი დაწოლის გამო თვალები თითქო ჩაუცვივდა და ახლა მათ ქვემოდან სიძულვილის მრუმე და მრისხანე ენით მეტყველებდნენ. შემდეგ თვალები დაბლა დახარა, მაგრამ ერთი წამიც არ გასულა, რომ

ისევ მოხედა უკან მუქარით, უარყოფელი, უკუმგდებელი მოძრაობით მხარი აიჩეჩა და მტრებს ზურგი აქცია.

რადაც სათუთმა გრძობამ, შიში იყო ეს თუ პატივისცემა, ან სირცხვილის განცდა, აიძულა აშენბახი განზე გაეხედა, თავი ისე დაეჭირა, ვითომც არაფერი დაენახა. უკეთუ ვნებათაღელვის შემთხვევით, მაგრამ სერიოზულ მჭვრეტელს არ ეგების დანახულით თუნდაც მხოლოდ საკუთარ აზრთა საღაროში ისარგებლოს. მიუხედავად ამისა, ერთსა და იმავე დროს გახარებულიც და აღელვებულიც იყო, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, – გაბედნიერებული. გულარხეინი, უცერემონიო ყოფის წინააღმდეგ მიმართულმა ამ ბავშვურმა ფანატიზმმა ღვთაებრივად ცარიელ ადამიანურ დამოკიდებულებებში გადაიტანა და ბუნების სანუკვარი პირმშო, რომელიც თითქოს მხოლოდ თვალის საამებლად იყო დაბადებული, უფრო ღრმა ყურადღების ღირსი გახადა. და ამან სილამაზით ისედაც მნიშვნელოვან ხატებას მოზარდისას ისეთი მასშტაბი შესძინა, რომელიც აიძულებდა უფრო სერიოზულად მოპყრობოდა მას, ვიდრე ყმანვილის ასაკი იძლეოდა ამის უფლებას.

არ მიბრუნებულა, ისე უსმენდა ბიჭის ხმას, მის ანკარა და ოდნავ სუსტ ხმას, რომლითაც უკვე შორიდანვე ესალმებოდა ქვიშის ციხესიმაგრესთან თამაშით გართულ აშენბახს. მასაც უპასუხეს და რამდენჯერმე სახელიც დაუძახეს, საალერსო სახელი. აშენბახი ცდილობდა გაეგონა, მაგრამ ვერა გაარჩია რა, ორიოდ მელოდიური მარცვლის მეტი – „აძიო“-სა თუ უფრო „აძიუ“-ს მსგავსი რადაც, ძახილის დარად გავრცობილი უ-ბგერით ბოლოში. ტკბებოდა ამ სახელის კეთილხმოვანებით, პატრონზე ზედგამოჭრილად მიაჩნდა, რამდენჯერმე გაიმეორა კიდევ გუნებაში და კმაყოფილი შეუდგა ფოსტის გადათვალიერებას.

მუხლებზე გაიშალა პატარა ბიუვარი, ხელში ავტოკალამი მოიმარჯვა და მიღებული წერილებიდან ზოგიერთზე პასუხის წერას შეუდგა. მაგრამ უკვე თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ დაენანა, რომ გონების თვალი მოსწყვიტა ყველაზე სანუკვარ სანახაობას, რომელსაც კი იცნობდა, და უგულო სამუშაოს ანაცვალა იგი. განზე გადადო ავტოკალამი და ზღვას დაუბრუნდა, მაგრამ დიდი ხნით არა, ქვიშის ციხე-კოშკთან მოთამაშე ყმანვილების ხმამ მიიპყრო მისი ყურადღება, შეზლონგის საზურგეს მოხერხებულად მიაყრდნო თავი და მარჯვნივ გაიხედა, რომ დაენახა, რას აკეთებდა პირმშვენიერი აძიო.

მაშინვე მას დაადგა თვალი; წითელი ბანტი მის მკერდზე თვალში ხვდებოდა ადამიანს. სხვებთან ერთად ძველ ფიცარს სდებდა ხიდად ქვიშის ციხე-კოშკის ირგვლივ გაყვანილ სველ თხრილზე და თან ხმამაღლა და თავის ქნევით იძლეოდა მითითებებს, თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა. სულ ათიოდე ბავშვს მოეყარა თავი მის ირგვლივ, ბიჭებსა და გოგონებს, მისი ასაკისა და უფრო უმცროსებს, რომლებიც ერთიმეორეს არ აცდიდნენ ლაპარაკს პოლონურსა და ფრანგულ ენებზე, აგრეთვე ბალკანურ კილოებზე. მის სახელს სხვებზე უფრო ხშირად ახსენებდნენ. ეტყობოდა, ყველა ესწრაფოდა მისი გულის მონადირებას, მასთან მეგობრობას, ყველა აღტაცებული იყო აძიოთი. ერთი მათგანი, ისიც პოლონელი, რომელსაც „იაშუს“-მაგვარ სახელს ეძახდნენ, ჩასკვნილი ბიჭი, როგორც ჩანდა, მისი უახლოესი ვასალი და მეგობარი იყო. მას სარტყელით განყოფილი ტილოს კოსტიუმი ეცვა და შავ თმაზე საცხი ჰქონდა წასმული. როცა ქვიშის ციხესიმაგრის მშენებლობას მორჩნენ, ხელიხელგადახვეულებმა ჩაიარეს პლაჟზე და იმან, რომელსაც „იაშუს“ ეძახდნენ, აკოცა პირმშვენიერს.

აშენბახმა კინაღამ თითი დაუქნია მუქარის ნიშნად. „შენ კი კრიტობულოს, – გაიფიქრა მან ღიმილით, – ერთი წლით სამოგზაუროდ გასწიე! უკეთუ სულ მცირე ეგ დრო მაინც გჭირდება, რომ გამომრთელდე“. შემდეგ ისაუბრა მსხვილი მწიფე მარწყვით, რომელიც აქვე იყიდა ხილის ვაჭრისგან. ძალიან დათბა, თუმცა მზე ისევ ვერ ატანდა ბურუსში, რომლითაც ცა იყო დაფარული. სიზანტემ შეიპყრო მისი სული, ხოლო გრძობები წყნარი ზღვის დაუსრულებელი და გამაბრუებელი დუდუნით ტკბებოდნენ. გამოცნობა, გამოკვლევა იმისა, თუ რა სახელი იყო ეს, რომელიც დაახლოებით „აძიოდ“ ჟღერდა, ამ სერიოზულ კაცს სრულიად ღირსეულ ამოცანად, დიდმნიშვნელოვან საქმედ ეჩვენებოდა. ბოლოს მოიშველია თუკი რამ ახსოვდა პოლონურიდან და დაადგინა, რომ ეს „ტაძიო“ უნდა ყოფილიყო, „ტადეუშის“ კნინობითი ფორმა და ძახილის დროს ალბათ „ტაძიუდ“ ისმოდა.

ტადიო ბანაობდა. ამენბახმა, რომელმაც ერთ ხანს თვალთახედვიდან დაკარგა იგი, შორს ბღვაში აღმოაჩინა მისი თავი და მკლავი, რომელსაც ნიჩაბივით უსვამდა წყალში, რადგან ეტყობოდა, ბღვა იქაც თავთხელი იყო, მაგრამ ნაპირზე, როგორც ჩანდა, უკვე შეეშინდათ, კაბინებიდან უკვე გაისმა ქალების ხმა. ეს მას ეძახდნენ. ყველა მის სახელს იმეორებდა, მთელი პლაჟი აივსო მისი სახელის რბილი თანხმოვნებითა და გავრცობილი „უ“-დაბოლოებით, სახელისა, რომელსაც რაღაც სანეტაროც და ველურიც ჰქონდა ერთსა და იმავე დროს: „ტადიუ! ტადიუ!“ უკან გამობრუნდა, გამოიქცა, თავი უკან გადაეგდო და ისე მოარღვევდა წყალს, რომელიც წინ ეღობებოდა, ფეხებით ატყაპუნებდა, აქაფებდა, და იმის დანახვა, თუ როგორ ამოდიოდა სტიქიონიდან ეს ცოცხალი ხატება, ვაჟობის კვირაცალზე ჯერაც სათუთი და ამო, სველი და აწეწილი კულულებით, როგორ მოისწრაფოდა და განელტვოდა ბეცისა და ბღვის წიაღს ეს ნაზ ღვთაებასავით პირმშვენიერი ქმნილება, მითიურ წარმოდგენებს აღვიძებდა ადამიანში, თითქო პირველყოფილ ეპოქათა ფორმის დასაბამისა და ღმერთების დაბადების ხანის პოეტური მაცნე ყოფილიყოს. ამენბახი თვალედახუჭული ისმენდა სიმღერას, რომელიც მისი სულის სიღრმეში ხშიანობდა და ისევ და ისევ იმეორებდა გუნებაში, რომ აქ კარგი იყო და აქ დარჩებოდა.

ბანაობის შემდეგ ტადიო ქვიშაზე იწვა და ისვენებდა. თეთრ ბენარში იყო გახვეული, რომელიც მარჯვენა ილღის ქვეშ ჰქონდა გატარებული, და თავი შიშველ მკლავზე დაედო. მაშინაც კი, როდესაც ამენბახი მას არ უჭვრეტდა და ორიოდ გვერდს წაიკითხავდა ხოლმე წიგნში, რომელიც თან წამოეღო, თითქმის მუდამ ახსოვდა, რომ ის იქ იწვა და რომ საკმარისი იყო თავი ოდნავ მარჯვნივ მიებრუნებინა და კვლავ იხილავდა საოცარ მშვენებას. ლამის ერწმუნა კიდევ, რომ აქ მისი სიმყდროვის დასაცავად იჭდა, საქმეებით გართული, მაგრამ ფხიზლად მყოფი, – კეთილშობილი ყრმის დასაცავად, რომელიც იქ, მარჯვნივ, მის შორიახლო იწვა. და მამობრივმა კეთილგანწყობილებამ და მთრთოლვარე სინაზემ იმისა, ვისაც გვარაკად მოაქვს თავი და სულის შინაგანი სახმილით ქმნის მშვენიერებას, აღუვსო და აუღელვა გული იმისადმი, ვინც დაჯილდოებულია მშვენიერებით.

შუადღისას პლაჟი დატოვა, ოტელში დაბრუნდა და ლიფტით თავის ოთახში ავიდა. კარგა ხანს იდგა სარკის წინ, უჭვრეტდა შევერცხლილ თმას. დაღლილსა და დაგრძელებულ სახეს, თან თავის სახელზე ფიქრობდა: სახელმომხვეჭილი იყო, ქუჩაში ბევრი ცნობდნენ და მოკრძალებით ათვალეირებდნენ. ყოველივე ამას მუდამ მარჯვედ და კოხტად მოქნეულ სიტყვას უნდა უმადლოდეს. მოიგონა ყველა გარეგნული წარმატება, რაც კი ოდესმე ხვდომოდა წილად ნიჭის გამოისობით, ისიც კი გაიხსენა, რომ აზნაურობა უბოძეს. შემდეგ მეორე საუბმზე გასწია. ჩავიდა სასადილო დარბაზში და თავის პატარა მაგიდასთან დანაყრდა. როცა ნასაუბმევი უკან ბრუნდებოდა და ლიფტში ჩაჭდა, ფეხდაფეხ ყმანვილები მიჰყვნენ, შეცვივდნენ ამ ბევით-ქვევით მსრბოლავ საკანში. ისინიც საუბმიდან ბრუნდებოდნენ. ტადიოც მათთან იყო. სულ ახლოს იდგა ამენბახთან, პირველად აღმოჩნდა მასთან ისე ახლოს, რომ მწერალი გარკვეული მანძილიდან კი არ აღიქვამდა, როგორც ნახატს უყურებენ ხოლმე, არამედ სრულიად ბედმინევნით, მისი ადამიანობის ყოველ ნიშანს არჩევდა. ვიღაც დაელაპარაკა ბიჭუნას და ვიდრე ტადიო ენით აღუწერელი მოშიბლავი ღიმილით პასუხობდა, უკვე მეორე სართულზე გაჩნდნენ და ისიც, თვალდახრილი, უკანსვლით ლიფტიდან გავიდა. „სილამაზე კდემამოსილია“, – დაასკვნა ამენბახმა და ახლა იმაზე დაინყო დაბეჭითებით ფიქრი, თუ სახელდობრ რატომ. ამასთან არ გამოჰპარვია, რომ ტადიოს არცთუ საუცხოო კბილები ჰქონდა: ოდნავ არათანაბარი და მქრქალი, ჯანსაღი კრიალი კი არ გაუდიოდათ, არამედ მყიფე და გამჭვირვალენი ჩანდნენ, როგორც ზოგჯერ სისხლნაკლულებს აქვთ. „ძალზე სუსტია და ავადმყოფური, – ფიქრობდა ამენბახი. – ალბათ სიბერემდე ვერ მიაღწევს“. – და უარი თქვა განესაჯა ის კმაყოფილება, რომელიც ამის გაფიქრებაზე დაეუფლა.

ორი საათი ნომერში გაატარა და ნაშუადღევს ვაპორეტოთი ვენეციაში გაემგზავრა. ლაგუნას სიღამპლის სუნი უდიოდა. წმ. მარკობის მოედანზე გადმოვიდა, ჩაი დალია და, როგორც საერთოდ სჩვეოდა ხოლმე აქ, ქუჩებში სასეირნოდ გასწია, მაგრამ ამჯერად გასეირნებას მისი განწყობილებისა და გადაწყვეტილებების მთლიანი შეცვლა მოჰყვა შედეგად.

სულისშემხუთავი, აუტანელი პაპანაქება იდგა შუკებში; ჰაერი ისე დამძიმებულიყო, რომ

ათასგვარი სუნი, რომელიც ბინებიდან, დუქნებიდან, სამიკიტნოებიდან ატანდა, ზეთისა და პარფიუმერიის ოხშივარი და ვინ იცის, კიდევ რისა – ბოლქვებად შეკრული იდგა და არ იფანტებოდა. პაპიროსის კვამლი ერთ ადგილას ტრიალებდა და მხოლოდ ნელი-ნელი იშლებოდა. ქუჩებში მოლაშლაშე ხალხი აღიზიანებდა სასეირნოდ წამოსულ აშენბახს, ნაცვლად იმისა, რომ გაერთო. რაც უფრო დიდხანს დადიოდა, მით უფრო მტანჯველად ეუფლებოდა ის საძაგელი გუნება-განწყობილება, რომელიც მხოლოდ ბღვის ჰაერს შეუძლია აღძრას სიროკოსთან ერთად და რომლის დროსაც ადამიანი ერთსა და იმავე დროს ადგზნებულებს არის და მოთენთილებს. ცივმა ოფლმა დაასხა. თვალები ღალატობდნენ, გული უღონდებოდა, აციებ-აცხელებდა, საფეთქლებში სისხლი უცემდა. საქმიანი შუკების ზედახოცვას გაექცა და ხიდებით ღარიბთა უბნებს მიაშურა. იქ მათხოვრებმა მოაღორეს და ლამის დაახრჩო არხების მყრალმა ანაორთქლმა. წყნარ მოედანზე, ერთ-ერთ იმ მიგდებულ და მოჭადოებულ ადგილას, რომლებსაც შეხვდებით ვენეციის წიაღში, მადრევის პირას ჩამოჭდა, შუბლი შეიმშრალა და მიხვდა, რომ აქედან გამგზავრება იყო საჭირო.

უკვე მეორეჯერ და ამჯერად საბოლოოდ გამოირკვა, რომ ეს ქალაქი ამნაირი ამინდის დროს ძალიან სწყენდა. გაჭიუტება და აქ დარჩენა უგუნურება იქნებოდა, ხოლო შეიცვლიდა თუ არა ქარი მიმართულებას, სრულიად გაურკვეველი იყო. უნდა სასწრაფოდ ეღონა რამე. ახლავე შინ დაბრუნება არ შეიძლებოდა. არც აგარაკი და არც ზამთრის ბინა მზად არ იყო მის მისაღებად. მაგრამ მარტო აქ ხომ არ იყო ბღვა და პლაჟი, სხვაგანაც მოიძებნებოდა ერთიცა და მეორეც. იქ არ იქნებოდა ეს საშინელი ლაგუნა, მისი ციებცხელებიანი ოხშივარი. მოაგონდა, რომ ძალიან უქვს პატარა საზღვაო კურორტი ტრიესტის მახლობლად. რატომ არ უნდა გაემგზავროს იქ? და თანაც დაუყოვნებლივ, რათა დრო იმდენი დარჩეს, რომ ერთხელ კიდევ ადგილის გამოცვლად ღირდეს. შემდეგ მიიჩნია, რომ გადანყვეტილება უკვე მიიღო და წამოდგა. გონდოლების უახლოეს სადგომთან ერთ-ერთ მათგანში ჩაჯდა და არხების მრუმე ლაბირინთით, მარმარილოს ლომებიან კოპნია აივნების ქვეშ, შენობათა გალიპული კუთხეების შემოვლით, ფირმათა ვეება ფირნიშებიან სასახლეთა დაღვრემილი ფასადების გასწვრივ, რომელთა გამოსახულებაც მოლიცლიცე წყალში ირეკლებოდა, წმ. მარკობის მოედნისკენ გასწია. ეს კი არცთუ ისე იოლი საქმე იყო, რადგან გონდოლიერი, რომელსაც ბადე-მაქმანების ფაბრიკებისა და მინასაბერი სახელოსნოებისგან დავალებული ჰქონდა, განუწყვეტლივ ცდილობდა რისიმე დათვალიერებაზე ან ყიდვაზე დაეყოლიებინა. და თუ ეგზოტიკური მგზავრობა ვენეციაში მას ისევ და ისევ აჯადოებდა, ამ დაცემული დედოფლის ვაჭრუკანა სული, უცხოელის ქისას დახარბებული, მაინც თავისას იქმოდა და ამაზრზენად და გამომაფხიბლებლად მოქმედებდა.

როგორც კი დაბრუნდა ოტელში, ჯერ არ ესადილა, რომ ბიუროში განაცხადა: გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო იძულებული ვარ, ხვალ დილით ადრე გავემგზავრო. ოტელის ადმინისტრაციამ სინანული გამოთქვა და მას ანგარიში გამოუწერეს. შემდეგ ისადილა და შეხუთული საღამო უკანა ტერასაზე გაატარა, დასარწევ სავარძელში ინვა და ჟურნალებს კითხულობდა. ხოლო მოგვიანებით, ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდა, ბარგიც შეკრა.

კარგად არ ეძინა, რადგან ხვალ ისევ მგზავრობა მოელოდა და ეს აწუხებდა. როდესაც დილით ფანჯარა გამოაღო, ცა ისევ მოღრუბლული იყო, მაგრამ ჰაერი უფრო ცინცხალი ჩანდა და აშენბახი უმაღვე სინანულმა შეიპყრო. ცხადია, იქქარა და წინდაუხედავად მოიქცა, როდესაც ოტელის ადმინისტრაციას განუცხადა, რომ გამგზავრებას აპირებდა. განა ეს ავადმყოფურ და შეურაცხად მდგომარეობაში მყოფის მოქმედება არ იყო? ცოტა რომ მოეცადა, არ აპილპილებულიყო და როგორმე ვენეციის ჰაერს შეჰკუებოდა, ანდა ამინდის გაუმჯობესებას დალოდებოდა, ახლა ფაციფუცისა და ვაი-ვაგლახის ნაცვლად დილას გუშინდელივით პლაჟზე გაატარებდა. მაგრამ გვიანდაა! უნდა გაემგზავროს, ახლაც ის უნდა სურდეს, რაც გუშინ უნდოდა. ჩაიცვა და რვა საათი იქნებოდა, რომ სასაუბმოდ პირველ სართულზე ჩავიდა.

ბუფეტში ჯერ არავინ იყო, როდესაც შიგ შევიდა, მაგრამ ვიდრე იჯდა და შეკვეთილს ელოდებოდა, თითო-ოროლა კლიენტიც გამოჩნდა. ხოლო ჩაის ფინჯანი უკვე პირთან ჰქონდა მიტანილი, რომ პოლონელი გოგონებიც შემოვიდნენ გუვერნანტი ქალის თანხლებით: თავდაჭერილნი, დილის სიხალისით აღვსილნი და თვალბედაწითლებულნი.

მათ ფანჯარასთან კუთხეში მდგარ თავიანთ მაგიდას მიაშურეს. თითქმის მაშინვე აშენბახს ქუდმოხდილი პორტიე ეახლა და შეახსენა, გამგზავრების დროა, ავტომობილი გარეთ იცდის, რომ თქვენ და დანარჩენი მგზავრები ოტელ „ექსცელსიორში“ წაგიყვანოთ, საიდანაც მოტორიანი ნავი ყველას კომპანიის კერძო არხით სადგურამდე მიგიყვანოთ. დრო არ ითმენსო. აშენბახს კი მიაჩნდა, რომ საჩქარო არაფერი იყო. მატარებლის გასვლამდე ერთ საათზე მეტი რჩებოდა. ბრაზი მოუვიდა, რომ სასტუმროებს წამსვლელ მდგმურთა ნაადრევად გასტუმრება ჰქონდათ ჩვეულებად და პორტიეს მოუჭრა: დამაცადეთ ჩემთვის წყნარად ვისაუბმოდ, ისიც ჭოჭმანით უკან გატრიალდა, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა: მანქანა მეტს ვეღარ დაიცდისო. მაშინ ჩემი ზანდუკი გაატანეთ და ნავიდესო, – მიუგო აშენბახმა გაჭავრებით. – მე თვითონ კი, როცა დრო იქნება, სახაზინო თბომავლით წამოვალ და საერთოდ ჩემს გამგზავრებაზე ზრუნვა მე მომანდეთო. მოსამსახურემ თავი დაუკრა. აშენბახმა, გახარებულმა იმით, რომ აბეზარი შეგონებებისგან თავი დაიხსნა, საუბრე აუჩქარებლად დაამთავრა. შემდეგ კელნერს გაზეთიც კი მოატანინა. დრო მართლაც ძალიან ცოტადა იყო დარჩენილი, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, წამოდგა. და აი, მოხდა ისე, რომ სწორედ იმ წამში მინის კარიდან ტაძიო შემოვიდა. თავისიანების მაგიდისკენ მიმავალი კინალამ წასასვლელად წამომდგარ აშენბახს დაეჭახა, მოკრძალებით თვალები დახარა ჭაღარათმიანი და შუბლმალალი კაცის წინაშე, შემდეგ მომხიბლავი ჩვეულებისამებრ მაშინვე ფართოდ გააღო თვალები. სათუთად შეხედა ძიას და გაიარა. – მშვიდობით, ტაძიო! – გაიფიქრა აშენბახმა. – რა ცოტა ხანს გიმზერდი! – და ჩვეულების წინააღმდეგ გულში ნაფიქრი ტუჩებითაც გამოსახა, თავისთვის წაიდუღუნა და დაუმატა: – კურთხეულიმც იყავ! – მერე გამგზავრების თადარიგს შეუდგა: დაარიგა არყის ფული, გამოეთხოვა ფრანგულ სერთუკში გამოწყობილ პატარა და ჩუმ ადმინისტრატორს და ქვეითად მოსული ქვეითადვე წამოვიდა ოტელის მსახურის თანხლებით, რომელსაც მისი ხელბარგი მოჰქონდა. თეთრად აყვავებული ხეივანი გამოიარა, გადასერა კუნძული, ნავმისადგომთან გემში ჩაჯდა, ადგილი დაიკავა და ყოველივე, რაც ამას მოჰყვა, გოლგოთას გზა გახლდათ, სავალალო ღარიბობა სინანულის წიაღსა შინა.

ეს ნაცნობი გზა იყო, რომელიც ლაგუნაზე წმ. მარკობის მოედნის გასწვრივ და კანალე გრანდეს აღმა მიემართებოდა. აშენბახი მრგვალ მერხზე იჯდა გემის ცხვირზე, მკლავით მოაჯირს დაყრდნობოდა, ხელი თვალებზე მიეჩრდილა. საზოგადოებრივი ბალები უკან დარჩა. ერთხელ კიდევ გამოჩნდა პიაცეტა მთელი მეფური მომხიბლაობით და კვლავ გაუჩინარდა. ახლა სასახლეების გრძელი მწკრივი დაიწყო და, როდესაც სანაოსნო გზამ შეუხვია, რიალტოს დიდებულად შეკრული მარმარილოს კამარა გამოკრთა. აშენბახი უჭვრეტდა ყოველივე ამას და ლამის გული გარღვეოდა. ქალაქის ატმოსფეროს, ამ სიდამპლის სუნს, რომელიც ზღვიდან და ჭანჭრობებიდან სცემდა და აიძულებდა, აქედან გაქცეულიყო, ახლა, სინაზითა და გულისტკივილით აღვსილი, ღრმად ისუნთქავდა. როგორ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, ვერ მოესაზრა, რა ძალიან ჰქონდა გულში ჩავარდნილი აქაურობა? რაც დღეს დილით ოდნავი სინანული იყო, გუმანით დაეჭვება იმაში, რომ სწორად მოიქცა თუ არა, ახლა ნამდვილ კაემნად, ტკივილად, სულის კირთებად ექცა და ისე აღონებდა, რომ მრავალგზის ცრემლი მოადგა თვალებზე. ვერ ეპატიებინა თავისთვის, რომ ეს ამბავი ვერ გაითვალისწინა. ყველაზე მძიმე, ჟამიდან ჟამზე კი თითქმის აუტანელი იყო მისთვის ის აზრი, რომ ვენეციას ვეღარასოდეს იხილავდა, რომ მას სამუდამოდ ეთხოვებოდა, რადგან უკვე მეორეჯერ გამოირკვა, რომ ეს ქალაქი ავად ხდიდა, უკვე მეორეჯერ მოუხდა თავქუდმოგლეჯილს დაეტოვებინა იგი. ასე რომ, ამიერიდან აქ ყოფნას ისე უნდა უყურებდეს, როგორც აკრძალულ ხილს, მიუწვდომელ რამეს, რისი უნარიც არ შესწევს. ამიტომ ამაოდ არ უნდა დაშვრეს და აქ არ ჩამოვიდეს. უფრო მეტიც, გრძნობდა, რომ თუ ახლა გაემგზავრებოდა აქედან, სირცხვილი და სიჭიუტე აიძულებდა, აღარასოდეს სწვოდა საყვარელ ქალაქს, რომლის წინაშეც ორგზის აღმოჩნდა ფიზიკურად უძლური. და ეს განხეთქილება სულიერ მოთხოვნილებასა და ფიზიკურ შესაძლებლობას შორის ამ სიბერეში შესულ კაცს ერთბაშად ისე მძიმე და მნიშვნელოვანი ეჩვენა, ხოლო ფიზიკური მარცხი ისე სამარცხვინოდ და სააუგოდ, რომ ვერაფრით გაეგო, როგორ დაყარა ფარ-ხმალი გუმინ ასე იოლად, რაიმე სერიოზული ბრძოლის გარეშე, და გადაწყვიტა ეღიარებინა და ეტვირთა იგი.

ამასობაში თბომავალი რკინიგზის სადგურს უახლოვდება. ტკივილი და სასონარკვეთა აშენბახს საბოლოოდ უძღვრევს სულს. გამგზავრება განამებულ მწერალს შეუძლებლად

ეჩვენება, მაგრამ დაბრუნებაც არანაკლებ. ასე რომ, მთლად თავგზააბნეული შედის სადგურის შენობაში. დრო ძალზე ცოტაა რჩება და არც ერთი წამი არ უნდა დაკარგოს, თუ არ უნდა, რომ მატარებელმა გაუსწროს. მას კი ეს არცა სურს და სურს კიდევ. მაგრამ დრო არ ითმენს, მიერეკება მას. აშენბახი სასწრაფოდ ყიდულობს ბილეთს და ხალხით მოზიმზიმე მოსაცდელ დარბაზში ოტელის აგენტს დაეძებს. აგერ ისიც. მოხელე აშენბახს მოახსენებს, რომ მისი ბანდუკი უკვე გაგზავნეს ტვირთად. უკვე გაგზავნეს? დიახ, კომოსკენ. რაო, კომოსკენ? და ნაჩქარევი ბრაზმორეული კითხვებიდან და დაბნეული პასუხებიდან ირკვევა, რომ აშენბახის ჩემოდანი ოტელ „ექსცელსიორის“ საბარგო განყოფილებაში სხვების ბარგთან ერთად სრულიად მცდარი მიმართულებით გაგზავნა.

აშენბახმა მხოლოდ გაჭირვებით შეინარჩუნა სახის ისეთი გამომეტყველება, როგორც შეეფერებოდა ასეთ მდგომარეობას. არაჩვეულებრივმა სიხარულმა, წარმოუდგენელმა მხიარულებამ შეძრა მისი მკერდი შინაგანად, გული ლამის საგულედან ამოვარდნოდა. მოხელე გაქანდა, იქნებ ჯერ არ გაუგზავნიათ და დავაკავოო, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელცარიელი დაბრუნდა. მაშინ აშენბახმა განაცხადა, რომ უბარგოდ ვერსად წავიდოდა, უკან დაბრუნდებოდა ოტელში და დაელოდებოდა, ვიდრე ჩემოდანს უკან დააბრუნებდნენ. შემდეგ იკითხა: თბომავალი ისევ რკინიგზის სადგურთან დგას, თუ წავიდაო? ისევ აქ დგას, – მიუგო მოხელემ, მერე სხაპასხუპით რაღაც წაუდუდუნა იტალიურად მოლარეს და ბილეთი უკან მიაღებინა, შეჰფიცა აშენბახს, დეპეშას გავგზავნით, ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ბანდუკი უმოკლეს ვადაში უკან დააბრუნონო. ასე და ამგვარად, საკვირველი ამბავი მოხდა: მგზავრი, რომელიც სულ ოციოდე წუთის წინათ მოვიდა რკინიგზის სადგურზე, კანაღე გრანდეთი ისევ უკან ბრუნდებოდა ლიდობე.

უცნაური და დაუჭერებელი, სამარცხვინო და სასაცილო, სიზმარეული ჩვენების დარი ამბავი გადახდა: ბედისწერის ახირებული ოინის გამო კვლავ ხედავდა ადგილებს, რომელთაც ერთი საათი არ იყო გასული, რომ უღრმესი ვაეშნით მოცული სამუდამოდ ეთხოვებოდა. პატარა და მარდი ხომალდი სასაცილო სიჩაუქით მიაპობდა წყალს გონდოლებსა და გემებს შორის და მიზნისკენ მიისწრაფოდა, ხოლო მისი ერთადერთი მგზავრი ბრაზისა და უკმაყოფილების ნიღაბქვეშ იმ ბიჭის შიმნარევ სიხარულსა და მღელვარებას მალავდა, რომელმაც გამოქცევა მოახერხა. ისევ და ისევ ეცინებოდა გუნებაში ამ „უიღბლობაზე“, რომელიც, როგორც თვითონ ეუბნებოდა საკუთარ თავს, თვით ყველაზე იღბლიანსაც კი შეშურდებოდა. ახლა ახსნა-განმარტების მიცემა მოუხდებოდა. უნდა გაეძლო გაკვირვებული სახეებისთვის. მერე კი, – იმშვიდებდა თავს, – ყოველივე ისევ კარგად იქნება. რაც მთავარია, უბედურება თავიდან აიცილა, შეცდომა გამოასწორა, და ყოველივე, რაც ეგონა, რომ უკან დარჩა, ახლა ისევ მის თვალწინ გადაიშლება და შეეძლება, რამდენ ხანსაც სურს, იმდენ ხანს დატკბეს... თანაც სწრაფი სვლა ატყუებს, თუ ყველაფერთან ერთად, ახლა ქარიც ზღვის მხრიდან უბერავს?

ტალღები ეხეთქებოდნენ ვიწრო არხის დაბეტონებულ კედლებს, რომელიც მთელ კუნძულზე იყო გათხრილი და ოტელ „ექსცელსიორამდე“ მიდიოდა. იქ ავტობუსი ელოდებოდა უკან მობრუნებულ მდგმურს და აქოჩრილი ზღვის გასწვრივ მიმავალი პირდაპირი გზით მობანავეთა ოტელამდე მიიყვანა. სერთუკში გამონწყობილი პატარა ტანის ადმინისტრატორი ფართო კიბეზე დაეშვა და ქვევით შეეგება აშენბახს.

ფარისევლური თავაზიანობით სინანული გამოთქვა მომხდარი გაუგებრობის გამო. ყოველად სამწუხარო ამბავი, როგორც პირადად ჩემთვის, ისევე მთელი სასტუმროსთვის. დაბეჭითებით მოიწონა აშენბახის გადანყვეტილება, ბანდუკს აქ დალოდებოდა. მართალია, თქვენი ოთახი უკვე გავეცით, მაგრამ მეორე, მასზე არანაკლებ კარგი ახლავე შეგიძლიათ დაიკავოთ. „Pas de chance, monsieur[3]“, – უთხრა ღიმილით შვეიცარმა, როდესაც ლიფტი ზევით ასრიალდა. და აი, ჩვენი ლტოლვილი კვლავ დაბინავდა აქ ერთ-ერთ ნომერში, რომელიც არც მდებარეობითა და არც მოწყობილობით არ ჩამოუვარდებოდა ადრინდელს.

ამ უცნაური დილის განამანით დაღლილმა და გაბრუებულმა აშენბახმა ჩანთიდან ნივთები ამოალაგა, ოთახში გაანაწილა და ღია ფანჯარასთან მდგარ სავარძელზე ჩამოჯდა. ზღვას ღია მწვანე ფერი მიეღო. ჰაერი უფრო გამჭვირვალე და სუფთა ჩანდა, ხოლო ვაბინებითა და ნავებით მოფენილი პლაჟი – უფრო ჭრელი, თუმცა ცა ისევ ნაცრისფერი იყო. აშენბახს მუხლებზე ხელები დაეკრიფა და გარეთ იხედებოდა. კმაყოფილი იყო ისევ აქ ყოფნით, ხოლო უკმაყოფილო და გაჭავრებულები კი თავის

მერყევ ხასიათზე, საკუთარი გულისთქმის უცოდინარობაზე. ასე დაჰყო თითქმის ერთი საათი, ისვენებდა განუსჯელ ზმანებებში ჩაძირული. შუადღისას ტაძიო შენიშნა, ბოლიანი ტილოს კოსტუმი ეცვა, წითელი ბანტით შემკული და ზღვიდან მოდიოდა, განვლო პლაჟის ზღუდე და ფიცარნაგზე მოაბიჯებდა ოტელისკენ. აშენბახს მალლიდან რიგიანად არც გაერჩია, რომ მაშინვე იცნო და ის იყო დააპირა კიდევ რაღაც ამდაგვარი რამ გაეფიქრა: „ბიჭოს, ტაძიო, შენც ისევ აქა ხარ!“ – მაგრამ იმავე წამს იგრძნო, როგორ ჩაიძირა და დადუმდა ეს დაუდევარი მისაღმება მისი გულის ხალას სიმართლეში, – იგრძნო სისხლის აღტყინება, სიხარული, სულის ტკივილი და მიხვდა, რომ აქედან წასვლა ასე ძალიან სწორედ ტაძიოს გამო უძძიმდა.

გარინდებული იჭდა, ვერავინ ამჩნევდა მის მაღალ სამყოფელზე და საკუთარ სულში იხედებოდა. სახის ნაკვთები გამოუცოცხლდა, წარბები აენია, დაკვირვებული, ცნობისმოყვარე და გაცისკროვნებული ღიმილი აღებეჭდა პირზე. მერე ბეასნია თავი და ორივე ხელი, რომლებიც სავარძლის სახელურებიდან დუნედ ჰქონდა ჩამოშვებული, წინ გაიწოდა და ჰაერში გაასავსავა, თითქო რაღაცას ეხვეოდა და მაღლა იტაცებდა, თითქო ეგებებოდა და გულში იკრავდა ვიღაცას. ეს იყო გულღია მისაღმებისა და რუდუნებით დახვედრის შესტი.

ამიერიდან ალენილღანვებიანი შიშველი ღმერთი დღენიდაგ დააქროლებდა გაღველფილ ოთხრაშიან ეტლს ცის სივრცეებში და მისი ოქროსფერი კულულები ფრიალებდნენ აღმოსავლეთიდან ამოვარდნილ ქარზე. აბრეშუმით ბრჭყვიალა სითეთრე გადაჰკვროდა შორეთში ბანტად მოლივლივე ზღვას. ქვიშა გავარვარებული იყო. ეთერის მოვერცხლისფრო-მოცისფრო ჭავლის ქვეშ ჟანგისფერი ტილოები გადაეჭიმათ კაბინების წინ და მკაფიოდ გამოსახულ ჩრდილის ლაქებზე, რომელსაც ისინი ნაპირს ჰვედნენ, მობანავენი მთელ დილის საათებს ატარებდნენ. მაგრამ სანეტარო იყო საღამოც, როცა პარკში მცენარეები ბალბამისებურ სურნელს აფრქვევდნენ, ცის მნათობნი ფერხულს აბამდნენ მაღლა და ღამეში ჩაძირული ზღვის დუდუნი ესალბუნებოდა სულს. ასეთი საღამოები საწინდარი იყო ახალი მზიანი დღეებისა, რომლებიც აღსავსენი იყვნენ ოდნავ მოწესრიგებული მოცალებით და შემკულნი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებულ სვებედნიერ შემთხვევათა ამოურწყავი შესაძლებლობებით.

სტუმარი, რომელიც აქ მისთვის არცთუ არასასურველმა გაუგებრობამ დატოვა, სულაც არ აპირებდა თავისი ავლადიდების უკან მიღებაში ხელახლა გამგზავრების საბაბი დაენახა. ორი დღე ითმენდა საჭირო ნივთების ნაკლებობას და დიდ სასადილო დარბაზში საგზაო კოსტიუმით ჩადიოდა. ხოლო შემდეგ, როდესაც, როგორც იქნა, გზაბნეული ბანდუკი კვლავ მის ოთახში შემოიტანეს, ძირისძირობამდე ამოალაგა იქიდან ყველაფერი და კარადა და კომოდის უჯრები გამოავსო, რადგან ჯერჯერობით გადანყვეტილი ჰქონდა, რამდენ ხანსაც მოეპრიანებოდა, იმდენ ხანს დარჩენილიყო აქ და უხაროდა, რომ პლაჟზე ახლა აბრეშუმის კოსტიუმით იქნებოდა, ხოლო სადილობაზე კი, როგორც წესი და რიგია, საღამოს შავი კოსტიუმით გამოცხადდებოდა ხოლმე.

ამგვარი ყოფის საამურმა ერთფეროვნებამ უკვე ჩაითრია, სათუთმა და ბრწყინვალე განცხრომით აღსავსე ცხოვრებამ სწრაფად გააბრუა. და მართლაც, სხვა რომელ ადგილსამყოფელშია გაერთიანებული სამხრეთის ზღვის პირას კეთილმოწყობილი ცხოვრების სიამენი და საოცარ, საარაკო ქალაქთან ესოდენ უშუალო და ხელმისაწვდომი სიახლოვე?! აშენბახს განცხრომა არ უყვარდა. სადაც უნდა ყოფილიყო და როცა უნდა ყოფილიყო, ბარ-ბეიმი, უქმად ყოფნა, დროს ტარება არ იტაცებდა. თვით ახალგაზრდობის ჟამსაც კი შემფოთებული გაურბოდა მას. გული ამალღებული შრომისკენ ეწეოდა, სადაც დღეთა წმინდა და გონივრული მსახურებისკენ. მხოლოდ აქაურობა აჯადოებდა, ადუნებდა მის ნებელობას, ბედნიერს ჰყოფდა. ზოგჯერ დილაობით, როცა კაბინის საჩრდილობელქვეშ იჭდა და ოცნებით გასცქეროდა სამხრეთის ზღვის სილურჯეს, ანდა თბილ ღამეში, როდესაც ვარსკვლავებით მოოჭვილი ბეცის ქვეშ, გონდოლის ბალიშებზე მიყრდნობილი, შინ, ლიღობზე, ბრუნდებოდა წმ. მარკოზის მოედნიდან, სადაც გვიანობამდე უყვარდა დარჩენა, და ფერად-ფერადი სინათლები, სერენადის დარხეული ჰანგები უკან რჩებოდა, აგონდებოდა სახლი სოფლად, მთებში, გაფხულობით ადგილი მისი შემოქმედებითი ბრძოლებისა, სადაც ღრუბლები ზედ ბალის თავზე დაცურავდნენ, საშინელი ელჭეჭი საღამოობით შუქს აქრობდა სახლში და ყვავები, რომელთაც საკვებს უყრიდა ხოლმე, ფიჭვის კინწირობები დაქანაობდნენ. მაშინ ეჩვენებოდა, რომ ელიზიუმში

გამოიქცა, ქვეყნიერების კიდებზე, სადაც ადამიანებს იოლზე იოლი ცხოვრება ჰქონდათ მომადლებული, სადაც არც თოვლი და არც ზამთარი, არც ქარიშხალი და არც კოკისპირული წვიმა იცოდა, ოკეანის მარად გრილი და ნაზი სუნთქვა ელამუნებოდა ყოველივეს და დღეები სანეტარო მოცალეობაში გადიოდა, მთლიანად მშესა და მის დღეობებს ეძღვნებოდა.

აშენბახი ხშირად, თითქმის განუწყვეტლივ ხედავდა პატარა პოლონელ ბიჭ ტაძიოს; მზებუდული გარემო და ყველასთვის საერთო განრიგი ხელს უწყობდა იმას, რომ მშვენიერი არსება თითქმის მთელი დღე, გარდა ხანმოკლე შუალედებისა, მის გვერდით იყო. მწერალი ყველგან ხედავდა, ყველგან ხვდებოდა მას: ოტელის ქვედა დარბაზებში, სანაოსნო გზით ქალაქში მოწყობილ გადამახალისებელ გასეირნებებზე და ქალაქიდან უკან დაბრუნების დროს, თავად დიდებულ მოედანზეც და საერთოდ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, როცა ამას შემთხვევა მოიტანდა. მაგრამ უმთავრესად კი დილა ანიჭებდა სვებედნიერი სისტემატურობითა და გულუხვიობით შესაძლებლობას პირმშვენიერი ქმნილებისთვის კრძალვითა და შთაგონებით ეჭვრიტა პლაჟზე. დიახ, ბედნიერების ეს გარდაუვალობა, ხელშემწყობ გარემოებათა ეს ყოველდღიური და თანაბარბომიერი განახლება გახლდათ სწორედ, რაც მას კმაყოფილებითა და სიხარულით ადავსებდა, რაც მისთვის აქ ყოფნას ეგზომ სანუკვარსა და მზიან დღეთა მდოვრ მდინარებას ეგზომ შეუმჩნევლს ხდიდა.

ადრე დგებოდა, რასაც უნინ სამუშაოს მედგარი მოძალების შემთხვევაში თუ იქმოდა, და სხვებზე ადრე მიდიოდა პლაჟზე, როდესაც მზე ჯერ კიდევ ნაზად ათბობდა და ცისკრის ბმანებებში ჩაძირული ზღვა თვალისმომჭრელად ქათქათებდა. მეგობრულად ესალმებოდა პლაჟის ზღუდესთან მდგარ დარაჯს და შინაურულად სალამს უძღვნიდა აგრეთვე ფეხშიშველა და ჭაღარანვერიან ბერიკაცსაც, რომელიც კაბინას ულაგებდა ხოლმე, ყავისფერ საჩრდილობელს უშლიდა და სავარძელსა და მაგიდას გარეთ უდგამდა ბაქანზე. აშენბახი ჩაეშვებოდა ამ სავარძელში და ახლა მის განკარგულებაში იყო სამი-ოთხი საათი. ამ ხნის განმავლობაში მზე ბენიტს აღწევდა და საშინელ ძალას იძენდა, ზღვა სულ უფრო და უფრო ლურჯი ხდებოდა, ხოლო აშენბახს ტაძიოს ყურება შეეძლო.

ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა მარცხნიდან, ზედ ზღვის პირას გაყოლებით, ან როგორ გამოდიოდა კაბინების მწკრივიდან, ანდა კიდევ, არცთუ უეცარი სიხარულისგან შეკრთომის გარეშე, ანაზღველად შენიშნავდა, რომ მისი მოსვლა გამოჰპარვოდა. ტაძიო უკვე აქ იყო, თეთრით განწყობილი ლურჯი საბანაო კოსტიუმის ამარა, – ახლა მხოლოდ ისღა ეცვა ხოლმე პლაჟზე, – და უკვე შესდგომოდა მზისგულზე ქვიშაში ფუსფუსს, – ამ საამურსა და უსაგნო საქმიანობას, რომელიც თამაშიც იყო და დასვენებაც, – წინ და უკან სიარულს, ჭყუმპალაობას, თხრას, პოლტაობას, წოლას და ცურვას. ქალები ბაქნიდან ადევნებდნენ თვალს, წვრიალა ხმებით ეძახდნენ: „ტაძიუ! ტაძიუ!“ და ისიც მიირბენდა ხოლმე მათთან და გატაცებით, ხელების ქნევით, უამბობდა, რაც ის-ის იყო განეცადა, უჩვენებდა, რაც ეპოვა ან დაეჭირა: ნიჟარებს, ცხენთევზებს, მედუზებს, გან-განზე მცოცავ კიბორჩხალებს. აშენბახს ერთი სიტყვაც არ გაეგებოდა ტაძიოს ნალაპარაკვიდან და თუნდაც ბიჭის ნათქვამი სრულიად ბანალური რამ ყოფილიყო, მის ყურში მაინც ბუნდოვან კეთილხმოვანებად იღვრებოდა. ასე რომ, ბიჭის უცხოური მეტყველება მუსიკად იქცეოდა, ცხრათვალა მზე დაუმრეტელ ბრწყინვალეებას ჭარბად აფრქვევდა ბიჭუნას თავზე და ამაღლებული მჭვირვალეება ზღვისა მისი ხატების ფონი იყო მარად.

მალე აშენბახმა ამ კეთილშობილი და ლაღი სხეულის ყოველი ნაკვთი და ყოველი პოზა ბეპირად იცოდა. რამდენჯერაც უნდა ენახა, იმდენჯერ ხელახლა ესალმებოდა, გახარებული, მშვენიერი ქმნილების თითოეულ ნაცნობ წვრილმანს და მის აღფრთოვანებასა და გრძნობათა ნაზ ჩქროლვას ბოლო არ უჩანდა. ზოგჯერ ქალები ბიჭს დაუძახებდნენ, რომ მათ კაბინასთან მისულ სტუმარს მისალმებოდა, და ისიც გამორბოდა წყლიდან, სველი მიირბენდა ხოლმე მათთან, თავს გაიქნევდა, რომ კულულებიდან წყალი ჩამოებერტყა, და ხელს გაუნვდიდა სტუმარს ცალ ფეხზე დაყრდნობილი, მაშინ როდესაც მეორე ფეხი მუხლში ოდნავ ჰქონდა მოხრილი და მხოლოდ თითის წვერებით ეხებოდა ქვიშას. თან ოდნავ შემობრუნებულ-მოტრიალებული ტანი საოცრად მომხიბლავად ეჭირა, სანდომიანად დაძაბული იყო, კდემითა და თავაზიანობით აღვსილი, ერთდროულად თავმომწონეც და მოვალეობის არისტოკრატიული შეგრძნებით გამსჭვალულიც. ზოგჯერ

მკერდამდე საბანაო ბენარში გახვეული იწვა ქვიშაზე, ნაზად ჩამოქნილ მკლავს ეყრდნობოდა და პატარა მუშტი ნიკაპქვეშ ჰქონდა ამოდებული. ხოლო ის კი, რომელსაც „იაშუს“ ეძახდნენ, მის გვერდით იყო დაყუნცული, აღარ იცოდა, რითი ეამებინა ტაძოსთვის, და, ჭეშმარიტად, არაფერი შეიძლებოდა იმ ღიმილზე უფრო მომაჯადოებელი ყოფილიყო, რომელიც ამ რჩეულს თვალებსა და ბაგეებზე დასთამაშებდა, როდესაც თავისზე უმრწემესსა და ყურმოჭრილ მონას შეხედავდა ხოლმე. ზოგჯერაც ზედ ზღვის პირას იდგა განმარტოებით, თავისიანებისგან განცალკევებით, მთლად ახლოს ამენბახთან, იდგა, სწორად, ხელები თავზე შემოეწყო, ნელიად ირწეოდა და ოცნებით გასცქეროდა ზღვის სილურჯეს, მაშინ როდესაც პატარა ტალღები, რომლებიც ნაპირისკენ გამოვლიდნენ, ფეხის თითებზე ელამუნებოდნენ. საფეთქლებსა და კეფაზე თაფლისფერი კულულები ეფინა, მზე უნათებდა ოდნავ შესამჩნევ ღინდლს ხერხემლის ზედა ნაწილზე. ლამაზად მოყვანილი ნევნები და მკერდის პროპორციული ხაზები ატანდა თხელი ბენრის ქვეშ. ქანდაკებასავით გლუვი ილღიები ჰქონდა ჯერაც, მუხლებს ქვემოთ კანი უკრიალებდა და მოცისფრო ძარღვები მის სხეულს რაღაც გამჭვირვალე მასალისგან ჩამოქნილის იერს ანიჭებდა. სისხლის როგორი შერჩევა, აზრის როგორი სიზუსტე იყო ასახული ამ ლაღად განოლილი და სრულყოფილი ყრმის სხეულში! მაგრამ განა მკაცრი და ხალასი ნებისყოფა, რომელმაც წყვილიაღმი შვა და შემდეგ დღის სინათლეზე გამოიტანა ეს ღვთაებრივი გამოსახულება, მისთვის, როგორც ხელოვანისთვის, ნაცნობი და ახლობელი არ იყო? განა მასშიც არ მოქმედებდა ეს ძალა, როდესაც, ფხიზელი ვნებით აღტყინებული, მარმარილოს ლოდინად ენისა კენარ ფორმას ამატს ჰყოფდა, რომელსაც საკუთარ სულში სჭვრეტდა და ადამიანის სულიერი სილამაზის ხატად და ძეგლად წარმოგვიდგენდა?

ხატად და ძეგლად! მისი თვალები გარს ევლებოდნენ სილურჯის პირას დავანებულ კეთილშობილ ფიგურას და ექსტაზში შესულს სწამდა, რომ ამ ჭვრეტით თავად მშვენიერებასაც სწვდებოდა, ფორმას, როგორც ღვთაებრივ აზრს, ერთადერთსა და ხალას სრულყოფილებას, რომელიც სულის საუფლოში მკვიდრობს და რომელიც აქ სახითა პირისათა ადამიანისა იყო წარმოდგენილი, რათა სინატიფისა და მომხიბლაობის გამო მხურვალე თაყვანისცემის საგანი ყოფილიყო. ეს ბარხოში გახლდათ და ხანში შესული ხელოვანი მას ანგარიშმიუცემლად და ხარბად დაენათა. სული უღელავდა, მთელი მისი რაობა შეძრული იყო. მეხსიერებაში გამომზეურდნენ ძველთაძველი, სიყმაწვილის ტრადიციულად ათვისებული, მაგრამ აქამდე საკუთარი ცეცხლით აღუნთები აზრები. განა სადღაც არ ჰქონდა ნაკითხული, რომ მზეს ჩვენი ყურადღება ინტელექტუალური ამბებიდან გრძნობად საგნებზე გადააქვს? იგი ისე აბრუებს და აჯადოებს ჩვენს გონებას და მახსოვრობას, – ნათქვამი იყო იქ, – რომ აღტაცებულსა და მოხიბლულ სულს ნეტარებისგან სრულიად ავიწყდება საკუთარი თავი და მზით განათებულ საგანთაგან უმშვენიერესზეა მთლიანად გადაგებული, უფრო მეტიც: მარტოოდენ სხეულის მეშვეობით ძალუქს მაშინ ამაღლდეს უზენაეს განჭვრეტამდე. ამური მართლაცდა მათემატიკოსთა მსგავსად იქცევა, რომლებიც უნიჭო ბავშვებს წმინდა ფორმათა ხელშესახებ გამოსახულებებს უჩვენებენ. ასევე ეს ღმერთიც, რათა ჩვენთვის სულიერი ხილული გახადოს, სიამოვნებით იყენებს სახეს და ფერებს ადამიანის სიყმაწვილისა, რომელსაც ხსოვნის იარაღად აქცევს, სილამაზის ყველა ნიშანწყლით ამკობს და მის დანახვაზე ტკივილითა და სასოებით ვნთებით.

ამას ფიქრობდა აღტყინებული ამენბახი, ამას განიცდიდა და ზღვის ბუბუნისა და მზის კამკამიდან მისთვის წარმტაცი სურათი მოიქარგა. ეს იყო ასწლოვანი ჭადარი ათენის კედლების მახლობლად, ის ყვავილების სურნელებით აღსავსე წმინდა ჩერო, რომელსაც ნიმფებისა და აქელეოსის პატივსაცემად მოტანილი ქანდაკებები და სათნო საბოძვარნი ამშვენებდნენ. ფართოდ განტოტვილი ხის ძირას ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა მრგვალი და წვრილი კენჭებით დაფარულ ვალაპოტში, ჭრიჭინობელები ჭრიჭინებდნენ, ხოლო მდელოზე, რომელიც ოდნავ დაქანებული იყო ისე, რომ მწოლიარეს თავი, როგორც ბალიშზე, ისე ჰქონდა მისვენებული, ორნი წამოწოლილიყვნენ, მცხუნვარე დღის პაპანაქებისთვის აქ შეეფარებინათ თავი. ერთი უკვე ხნიერი იყო, მეორე – ახალგაზრდა, პირველი – მახინჯი და ბრძენი, მეორე – ლამაზი და სიყვარულის ღირსი. თავაზიანი სიტყვებითა და გონებამახვილური, წამახალისებელი ხუმრობით ასწავლიდა სოკრატე ფედროსს სრულყოფილებისა და სიქველისადმი კაემნიანი ლტოლვის ამბავს. მოუთხრობდა იმ მწველ შიშზე, რომელიც ნაეკიდება ხოლმე მგრძნობიარეს მარადიული

მშვენიერების ნიშანის ხილვის ჟამს. ელაპარაკებოდა ცუდმადი და კურთხევას მოკლებული ადამიანის გულის წადილთა შესახებ, რომელსაც არ ძალუძს მშვენიერება წარმოიდგინოს, ოდეს მის გამოსახულებას განჭვრეტს და მოკრძალებული თაყვანისცემის უნარი არ გააჩნია. ელაპარაკებოდა წმინდათა წმინდა შიშის შესახებ, რომელიც კეთილშობილ სულს ეუფლება ღვთაების მსგავსი სახისა და სრულყოფილი სხეულის დანახვაზე, – იმ მღელვარების შესახებ, რომელიც მას ამ დროს იპყრობს და ლამის გონი სავსებით წაართვას; ვერ ბედავს რიგიანად თვალი გაუსწოროს და აღმერთებს იმას, ვინც ამ მშვენიერებით დაჭილდობებულია. დიახ, მზად არის მსხვერპლიც შესწიროს ხოლმე, როგორც კერპს, იმისა რომ არ ეშინოდეს, ადამიანები გიჟად შემრაცხავნო. უკეთუ მხოლოდ მშვენიერებაა, ჩემო ფედროს, სიყვარულის ღირსი და ამავე დროს ხილულიც არის; გახსოვდეს, სწორედ იგია ერთადერთი ფორმა სულიერისა, რომელიც შეიძლება გრძნობით აღვიქვათ და ავიტანოთ. თორემ აბა რა დაგვემართებოდა, რომ ღვთაებრივი მთლიანად, რომ გონება, სიქველე და ჭეშმარიტება გრძნობად აღქმაში მოგვგვლენოდა? განა არ დავილეოდით და დავინვებოდით სიყვარულისგან, როგორც ოდესღაც სემელა ბევსის წინაშე? ასე რომ, მშვენიერება გრძნობიერებისთვის გზაა სულისკენ, – მარტოოდენ გზა, მხოლოდ საშუალება, ჩემო პატარა ფედროს... და მერე, მან, ცბიერმა არშიყმა, ყოვლად მოსწრებული აზრი გამოთქვა, რომ მოტრფიალვე უფრო ახლოა ღვთაებასთან, ვიდრე სატრფო, უკეთუ მათგან მხოლოდ პირველშია ღმერთი და მეორეში კი არა, – ყველაზე დახვეწილი და კვიმატი აზრი, რომელიც კი ოდესმე მოსვლია ადამიანს თავში და რომელმაც დასაბამი მისცა ტრფიალის მთელ ეშმაკობასა და ფარულ ხვაშიადს.

მწერლის ბედნიერებას ის აზრი შეადგენს, რომელიც მთლიანად გრძნობად შეიძლება იქცეს და გრძნობა, რომელიც მთლიანად აზრში შეიძლება გადაიზარდოს. ამგვარი მფეთქავი აზრით, ამგვარი ბუსტი გრძნობით იყო გამსჭვალული და გათანგული მარტოსული აშენბახი მაშინ, იმ აზრით, რომ ბუნება ნეტარებისგან თრთის, ოდეს სული კრძალვით ქედს იხრის მშვენიერების წინაშე. ანაზდეულად წერა მოსწყურდა. მართალია, ამბობენ, რომ ეროსს უქმობა უყვარს, მხოლოდ მისთვის არის შექმნილი, მაგრამ კრიზისის ამ წერტილში აღფრთოვანებამ მისი ისრით მოწყლულს შემოქმედებისკენ უბიძგა. საბაბი თითქმის სულერთი იყო. პრობლემების გადაჭრის სურვილმა, მოთხოვნილებამ კულტურისა და გემოვნების დიდსა და მწველ საკითხზე დაბეჭითებით და ამკარად აზრის გამოთქმისა, აიტანა მისი ინტელექტი, ოტებულს წამოენია. საგანი მისთვის ნაცნობი გახლდათ, განცდილი ჰქონდა. დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო ერთბამად: იგი თავისი სიტყვის ნათლით გაეცისკროვნებინა. თანაც გულით უნდოდა ტაძიოს თანდასწრებით ემუშავა, წერის დროს ბიჭის აღნაგობა ნიმუშად ჰქონოდა, სტილით მისი სხეულის ხაზებისთვის მიებაძა, რომელიც ღვთაებრივად მიაჩნდა, და მისი სილამაზე სულის საუფლომდე აეყვანა, როგორც ტროელი მწყემსი აიტაცა ჰაერში ოდესღაც არწივმა. არასოდეს ისე ტკბილი და სანეტარო არ ყოფილა მისთვის სიტყვა, არასოდეს ისე ცხოვლად არ უგრძნია, რომ ეროსი სიტყვაშია არის დავანებული, როგორც ამ მსახვრალად სანუკვარ საათებში, როდესაც შეულება მაგიდას უჯდა საჩრდილობელქვეშ, თავის კერპს უჭვრეტდა, მისი ხმა ყურში მუსიკად ეღვრებოდა და ტაძიოს მშვენიების მიხედვით თავის პატარა თხზულებას, იმ გვერდ-ნახევარ რჩეულ პროზას აყალიბებდა, რომლის სინმინდეს, კეთილშობილებას და გრძნობის აღმაფრენ დაძაბულობას მოკლე ხანში მრავალთა აღტაცება უნდა გამოეწვია. უთუოდ კარგია, რომ მსოფლიო მარტოოდენ მშვენიერ ნაწარმოებს ეცნობა და არა მის სათავეებსაც, მის წარმომქმნელ პირობებსაც; ვინაიდან წყაროების ცოდნა, რომლებიც ხელოვანის შთაგონებას ასაზრდოებენ, ხშირად დააბნევდა, დააფრთხოებდა მკითხველს, და ამდენად მშვენიერი ქმნილების ზემოქმედებას გააქარწყლებდა. საოცარი საათები იყო! საოცრად დამღლეული ჯაფა! სულისა და სხეულის საოცრად ნაყოფიერი ურთიერთობა. როცა აშენბახმა მუშაობა შეწყვიტა და პლაჟიდან წამოსასვლელად გაემზადა, თავი ძალზე დაღლილად, გამოფიტულად იგრძნო და სინდისიც კი ქენჯნიდა, თითქოს რაიმე წრეგადასული ჩაედინოს.

მეორე დილით აშენბახი ის იყო ოტელიდან გამოვიდა, რომ კიბიდანვე ტაძიო შენიშნა, რომელიც მარტოდმარტო მიდიოდა ზღვისკენ და უკვე პლაჟის ზღუდეს უახლოვდებოდა. უმაღვე სურვილი, უბრალო აზრი დაებადა, შემთხვევით ესარგებლა და იმასთან, ვინც თავისდა უნებლიეთ ამდენი აღმაფრენა და მღელვარება მოუტანა, ძალდაუტანებელი და მხიარული ნაცნობობა გაება, დალაპარაკებოდა, მისი პასუხითა და მწყაზარი გამოხედვით გაეხარა. პირმშვენიერი ყმანვილი აუჩქარებლად მიდიოდა, სულ იოლად შეიძლებოდა

დასწოდა და აშენბახმა ნაბიჯს აუჩქარა. ფიცარნაგზე წამოენევა, კაბინების უკან, უნდა თავზე ხელი გადაუსვას ან მხარზე შეეხოს და რომელიღაც სიტყვები, ალერსიანი ფრანგული ფრაზა ბაგებზე უთამაშებს, – და აი, გრძნობს, რომ მის გულს, შეიძლება სწრაფი სიარულისგან, ბაგაბუგი გააქვს, რომ სულს ძლივსღა ითქვამს და მხოლოდ ხმაჩავარდნილი და ხმაათრთოლებული თუ შეიძლება ლაპარაკს; ცოცხანობს, ცდილობს თავს დაეუფლოს, უეცრად შიში იპყრობს, რომ ერთობ დიდხანს მისდევს ლამაზ ბიჭუნას ასე ფეხდაფეხ, ემინია, მისი ყურადღება არ მიიქციოს და უკან არ მოიხედოს გაკვირვებულმა, მიაშურებს მას, გამბედაობა ღალატობს, უარს ამბობს განზრახვაზე და თავჩაქინდრული ჩაუვლის გვერდით.

„უკვე გვიან არის! – გაიფიქრა აშენბახმა იმწამსვე. – ერთობ გვიან!“ მაგრამ მართლა გვიან კი იყო? ამ ნაბიჯს, რომელიც მან არ გადადგა, სულ ადვილად შეიძლებოდა მისდა სასიკეთოდ, შვებად და სასიხარულოდ განსაკუთრებული გამოფხიზლება მოჰყოლოდა. მაგრამ მას, ხანში შესულ ადამიანს, ალბათ არც უნდოდა გამოფხიზლება, რადგან ბარხოში მისთვის ერთობ ძვირფასი იყო. ვინ ამოხსნის ხელოვანის ცხოვრების არსსა და რაობას! ვინ გაიგებს, როგორ მჭიდროდ არის მასში არაცნობიერად შერწყმული დისციპლინა და აღვირახსნილობა! აშენბახი უკვე აღარ იყო თვითკრიტიკისთვის განწყობილი: გემოვნება, მისი ეპოქის სულისკვეთება, საკუთარი თავის პატივისცემა, სიმწიფე და გვიან შეძენილი უბრალოება ხელს უშლიდა დაენანევრებინა წამაქებებელი მიზეზები და დაედგინა, სინდისისა თუ უნიათობისა და უძლურების გამო ვერ შეასრულა თავისი განზრახვა. თავგზა აბნეული ჰქონდა, ემინოდა, რომ ვინმეს, თუნდაც პლაჟის დარაჯს, შეიძლებოდა მისი გაქცევისთვის, მისი მარცხისთვის თვალი ედევნებინა. ემინოდა, მასხრად არ აეგდოთ. თუმცა კი გულში თვითონვე ეცინებოდა თავის წმიდათანმიდა კომიკურ შიშზე. „შევცბი, – ფიქრობდა ის, – შევცბი და შეშინებული მამალივით ფრთები დავუშვი შუა ბრძოლაში. ალბათ ეს მართლაც ღმერთი გვართმევს ხოლმე სატრფოს ხილვის ჟამს სიმამაცეს და ჩვენს ამაყ სულს მიწასთან ასწორებს“... იგი თავს იქცევდა, ოცნებობდა და ერთობ ქედმაღალი იყო, რომ გრძნობის შიში ჰქონოდა.

უკვე ყურადღებას არ აქცევდა, რომ იმ შვებულების ვადა გადიოდა, რომელიც საკუთარ თავს მისცა და შინ დაბრუნება აზრადაც არ მოსდიოდა. ფული უხვად გამოიწერა. საფიქრებლად მხოლოდ ისღა ჰქონდა, რომ შეიძლებოდა პოლონელთა ოჯახი გამგზავრებულიყო. თუმცა კი ოტელის პარიკმახერს ჩუმ-ჩუმად გამოჰკითხა და შეიტყო, რომ პოლონელები მასზე ცოტა ხნით ადრე ჩამოსულიყვნენ აქ. მზე მოევიდა სახესა და ხელებზე. ქარის მლაშე სუნთქვამ გამოანართო ტრფიალისთვის და თუ უნინ ძილით, კვებით ან ბუნების წიაღში მოპოვებულ ძალებს ჩვეულებრივ იმწამსვე მუშაობაში ხარჯავდა, ახლა ყველაფერს, რასაც მზე, მოცალეობა და ზღვის ჰაერი ყოველდღიურად ანიჭებდა, დიდსულოვნად და ფუქსავატურად ბარხოშსა და განცდებში ახურდავებდა.

ცოტა ეძინა, საამურად ერთფეროვან დღეებს სვებედნიერი მოუსვენრობით აღსავსე ხანმოკლე ღამეები ჰყოფდა. მართალია, ადრე ბრუნდებოდა ოტელში, რადგან ცხრა საათზე, როცა ტაძიო გაქრებოდა ხოლმე მისი თვალთახედვის არედან, დღე უკვე დამთავრებულად ეჩვენებოდა, მაგრამ როგორც კი ირიჟრაჟებდა, რაღაც სანეტარო შიში შესძრავდა და შემკრთალს გამოელვძიებოდა. ეს მის გულს აგონდებოდა განცდილი, არ აცლიდა ლოგინში წოლას, ფეხზე წამოაგდებდა და ისიც, სისხამი დილის სიგრილისგან თავი რომ დაეზღვია, ხალათს გადაიცვამდა, შემდეგ ღია ფანჯარას მიუჭდებოდა და მზის ამოსვლას ელოდებოდა. ეს საოცარი მოვლენა ძილში განწმენდილ მის სულს სათნოებითა და კრძალვით აღავსებდა. ბეცა, ხმელეთი და ზღვა ჯერაც მინასავით გამჭვირვალე მკვდრისფერ ბინდში იყო გახვეული; ჯერაც დაცურავდა ფერგამკრთალი ვარსკვლავი უსხეულო უსასრულობაში, მაგრამ სიომ დაჰბერა, მიუვალი სავანეების ფრთოსანმა მაცნემ და ქვეყანას აუნყა, რომ ეროსი წამოდგა საქორწინო სარეცლიდან და ის პირველი, უნაზესი ვარდისფერი არილი, რომლითაც სამყაროს გაღვიძება საცნაური ხდება, ცისა და ზღვის უშორეს ნიბოზე უკვე გამოისახა. ახლოვდებოდა ქალღმერთი, ჭაბუკთა მაცთუნებელი, რომელმაც კლეიტოსი და ვეფალოსი მოიტაცა და შურით აღვსილ ოლიმპიელთა ჯიბრზე ორიონის ტრფიალით ტკბებოდა. ვარდი დაიფრქვა ქვეყნიერების კიდებზე, ენით უთქმელად ფაქიზი ათინათი და ყვავილობა ატყდა. პანანკინტელა ღრუბლები, გაბადრულნი, გაკაშკაშებულნი, მსახურ ამურთა დარად დანანაობდნენ ვარდისფერ და ლაჟვარდოვან ნელსურნელებში, ძონისფერი ჩამოიდვარა ზღვაზე და მანაც თითქო ზვირთებით აიტაცა და ნაპირისკენ წინ წამოიღო, ოქროს შუბებმა გაიელვეს

ცის კაბადონზე ქვევიდან ზევით, ბრჭყვიალი ხანძრად იქცა, უხმაუროდ, ღვთაებრივი, არამინიერი ძლიერებით ამოიზიდა ღველფი და ღადარი, ალის ენები ზეცას გაელამუნენ და ძმის წმინდა რაშები გაბასრული ფლოქვებით აიჭრენ დედამიწის სფეროს ზეგარდმო.

ამ ღვთაებრივი დიდებულებით გაცისკროვნებული იჭდა მარტოეული აშენბახი და გატაცებით უყურებდა, მერე თვალები დახუჭა და ქუთუთოები მარადიული სასწაულის ამბორს დაანება. ან გარდასული განცდები, ადრინდელი, სანუკვარი გულის წადილნი, რომლებიც ჩაიკლა იმით, რომ მკაცრად ემსახურებოდა მოწოდებას, ახლა ასე უცნაურად სახეშეცვლილნი დაუბრუნდნენ, – ცნობდა მათ და დაბნეული, შეცბუნებული ღიმილით ესალმებოდა, ფიქრობდა, ოცნებობდა, მისი ტუჩები ნელიად ვიღაცის სახელს ჩურჩულებდნენ და აი, ასე პირმოდიმარსა და ზეცისკენ თავანუელს, მუხლებზე ხელებჩამოვარდნილს ერთხელ კიდევ ჩასთვლიმა სავარძელში.

დღე კი, რომელიც ასე მგზნებარედ და საზეიმოდ დაიწყო, საოცრად ამაღლებული და მითურად ნირშეცვლილი დარჩა მთლიანად. საიდან მოდიოდა, სად იწყებოდა ეს ქროლა, რომელიც ასე ერთბაშად, ასე ნაზად და ღრმააზროვნად, ზენაარი ჩაგონების დარად ელამუნებოდა მის საფეთქლებსა და ყურს? ღრუბლების თეთრი ფთილები ისე გაჰკვროდნენ ცას, თითქოს ოლიმპოს ღმერთთა ფარები ყოფილიყვნენ საძოვარზე გაშვებულნი. უფრო ძლიერი ქარი ამოვარდა და პოსეიდონის რაშებმა ჭირითი დაიწყეს, ყალყზე დგებოდნენ, დაქროდნენ, ან იქნებ ეს ლურჯკულუღიანის ხარები იყვნენ, რომლებიც ბლუოდნენ და რქებით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს? შორეულ კლდოვან ნაპირზე კი ტალღები ისე ხტოდნენ, როგორც ანცი ციკნები. ღვთაებრივად გარდაქმნილმა და სასიცოცხლო ვნებით აღსავსე სამყარომ მოიცვა მოჭადოებული აშენბახი, მის გულს უნაზესი ზღაპრები ეზმანებოდა. ხშირად, როდესაც მზე ვენეციის მიღმა ეშვებოდა, იჭდა პარკში, მერხზე, და ტაძიოს უყურებდა, რომელსაც ფერადსარტყელიანი თეთრი კოსტიუმი ეცვა და ხრეშმოყრილ, დატკეპნილ მოედანზე ბურთის თამაშით იქცევდა თავს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ჰიაცინტს უჭვრეტდა, რომელიც უნდა მომკვდარიყო, რადგან ორი ღმერთი გამიჭნურებოდა. თვით ზეფირის გულისმღრღნელ ეჭვსაც გრძნობდა მეტოქისადმი, რომელმაც მისანი, მშვილდი და კიფარა დაივიწყა, ოღონდაც პირმშვენიერ ჭაბუკთან ეთამაშა მარად; ხედავდა ბადროს, რომელიც უღმობელმა ეჭვმა სტყორცნა ლამაზმანის თავს, ფერმიხდილი ხელში იყვანდა ჩაკეცილ სხეულს და უტკბეს სისხლიდან ამოფეთქილ ყვავილზე მისი უსაზღვრო ჩივილი იყო აღბეჭდილი...

არაფერია იმ ადამიანთა შორის არსებულ დამოკიდებულებაზე უფრო უცნაური და საჩოთირო, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ შეხედვით იცნობენ, რომლებიც ყოველდღე, ყოველ საათშიაც კი ხვდებიან ერთმანეთს, აკვირდებიან და ამასთან საყოველთაოდ მიღებული წესებისა თუ საკუთარი ხუმტურის გამო გარეგნულად თავი ისე უჭირავთ, თითქო გულგრილნი იყვნენ ერთიერთისადმი, უცხოებით უსიტყვოდ და უსალმოდ ხვდებიან ერთიმეორეს. მოუსვენრობითა და გაფაცვიცებული ცნობისმოყვარეობით არიან ატანილნი, ერთმანეთის გაცნობისა და ერთმანეთთან ერთიერთობის ბუნებრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობითა და ჩაკვლით გამონვეული ისტერიული განწყობილებით შეპყრობილნი და ამასთანავე ერთგვარად დაძაბულნიც ერთიერთპატივისცემის გამო. უკეთუ ადამიანებს მანამდე უყვართ და პატივს სცემენ ერთმანეთს, ვიდრე ერთმანეთის განჩინება არ ძალუძთ და ტრფიალი და გზნება უკმარი შეცნობის ნაყოფია მხოლოდ.

რაიმე ერთიერთობა და ნაცნობობა აუცილებლად უნდა დამყარებულიყო აშენბახსა და ყრმა ტაძიოს შორის. მართლაც, მათგან უფროსმა, თავისდა სასიხარულოდ, შენიშნა, რომ მისი ყურადღება და თანაგრძნობა არცთუ სავსებით უყურადღებოდ რჩებოდა. რა აიძულებდა, მაგალითად, პატარა ტურფას, რომ დილით, როდესაც პლაჟზე გამოვიდოდა, კაბინების უკან, ფიცარნაგზე კი არ გაივლიდა, არამედ აუცილებლად ქვიშაზე, აშენბახის კაბინის წინ, თან ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ ისე ახლოს ჩაუვლიდა, რომ ლამის მის მაგიდას ან სკამს წამოსდებოდა, და მხოლოდ შემდეგ გასწევდა თავისიანებისკენ? ან იქნება ამას მიზიდულობის ძალა იქმოდა, იქნებ უფრო ძლიერი გრძნობა ჰიპნოზით მოქმედებდა ნაზსა და უმანკო ობიექტზე? აშენბახი ყოველდღე ელოდა ტაძიოს გამოჩენას და ჟამიდან ჟამზე თავს ისე იჭერდა, თითქოს საქმით იყო გართული და ვერ შენიშნა მისი მოსვლა, მაგრამ ზოგჯერ აიხედავდა და მათი მზერა ერთმანეთს შეხვდებოდა. ორივენი ღრმად სერიობულნი იყვნენ. უფროსის განსწავლული და ღირსებით აღსავსე სახე

არაფრით ამჟღავნებდა შინაგან მღელვარებას, მაგრამ ტაძოს თვალებში გამომცდელი კითხვა იყო აღბეჭდილი, სიარულში გაუბედაობა ეტყობოდა, თვალებს დაბლა ხრიდა, მერე ისევ ზევით აღაპყრობდა სანდომიან მხერას და როცა უკვე ჩაივლიდა, რაღაც საცნაურს ჰყოფდა მის თავდაჭერაში, რომ მხოლოდ აღზრდა უშლიდა ხელს, უკან მოეხედა.

მაგრამ ერთ საღამოს სხვაგვარად წარიმართა ყველაფერი. პოლონელი და-ძმანი და მათი გუვერნანტი ქალი სადილობის ჟამს, როგორც ეს დაუყოვნებლივ შენიშნა შეფიქრიანებულმა აშენბახმა, არ გამოცხადდნენ დიდ დარბაზში. ნასადილევს, პოლონელთა ოჯახის არყოფნით შემოფოთებული, ისევე, როგორც იყო, საღამოს კოსტიუმსა და ჩალის ქუდში გამოწყობილი, ოტელის წინ, ტერასის ძირას ბოლთის ცემას შეუდგა. არ გასულა დიდი ხანი, რომ რკალური ფარნების შექმნე ერთბაშად მონაზვნების მსგავს დებსა და აღმზრდელ ქალს, ხოლო მათ უკან, ოთხი ნაბიჯის მოშორებით, ტაძოსაც მოჰკრა თვალი. როგორც ჩანდა, რაღაც მიზეზის გამო ქალაქში ესადილათ და ახლა ნავმისადგომიდან ბრუნდებოდნენ. ეტყობოდა, ზღვაზე გრილოდა: ტაძოს მოოქრულდილებიანი ლურჯი მებღვაურული ქურთუკი ეცვა და თავზეც შესაბამისი ქუდი ეხურა. ვერც მხესა და ვერც ზღვის ქარს ვერ გაერუჯა მისი სახე, კანი კვლავინდებურად მარმარილოსებრ მოყვითალო ჰქონდა. მაგრამ დღეს სიგრილისა თუ ფარნების მთვარისებური შექის გამო უფრო ფერმკრთალი ჩანდა, ვიდრე ჩვეულებრივ. ერთიმეორის ჯუფთი წარბები უფრო მკაფიოდ გამოსახვოდა, თვალები უფრო ჩაღრმავებული და დანისლული უჩანდა. ენით უთქმელად ლამაზი იყო და აშენბახმა ახლაც, როგორც უწინაც მრავალგზის, გულისტკივილით იგრძნო, რომ სიტყვას გრძნობადი მშვენიერების მარტოოდენ ხოტბა ძალუძს და არა მისი ცოცხალი გადმოცემა.

მომზადებული არ იყო ამ სანუკვარი შეხვედრისთვის, მოულოდნელად მოხდა ყოველივე, და დრო არ ეყო, რომ დინჯი და დარბაისლური გამომეტყველება მიეღო, სიხარული, გაკვირვება და აღტაცება იყო დაუფარავად მის სახეზე აღბეჭდილი, როდესაც მისი მხერა „დაკარგული“ ბიჯის მხერას შეხვდა, და იმავე წამს ტაძომ გაიღიმა: მას გაუღიმა, მრავლისმეტყველად, გულითადად, მომხიბლავად, გულლიად და ბაგეები ოდნავ განაღო. ეს ანკარა წყლის ზედაპირზე დახრილი წარცისის ღიმილი იყო, სულის სიღრმიდან მომდინარე, მოჭადოებული და გარინდებული ღიმილი, რომლითაც იგი თავისი მწყაბარი გამოსახულებისკენ ინვდის ხელებს, – ოდნავ მწარე ღიმილი, მწარე იმის გამო, რომ ამაოდ სწადია თავისი აჩრდილის მთრთოლვარე ბაგეებს დაეკონოს, კოკეტური, ცნობისმოყვარე, ოდნავ დაძაბული, მოჭადოებული და მომაჭადოებელიც.

და მანაც, ვისთვისაც ეს ღიმილი იყო განკუთვნილი, თან წარიტანა იგი როგორც საბედისწერო საბოძვარი. აშენბახი ისე შეჩქვიფებული იყო, რომ ტერასისა და ბაღის განათებას მოერიდა და სწრაფი ნაბიჯით პარკის ჩაბნელებულ ნაწილს მიაშურა. უცნაურ სიტყვებს, მრისხანე და ნაზ შეგონებებს ჩურჩულებდნენ მისი ტუჩები: „ასე არ უნდა გაუღიმო! გესმის, არავის არ შეიძლება ასე გაუღიმო!“ – ირგვლივ ყვავილების სურნელი იდგა, რომელიღაც მერხზე დაეშვა, მღელვარებისგან აღარ იცოდა, რა ექნა. ხელები დაბლა დაეშვა, ძლეული იყო – წამდაუნუმ ჟრუანტელი უვლიდა ტანში – და ნატვრისა და კაემნიანი ლტოლვის მარადიულ ფორმულას ჩურჩულებდა, ამ შემთხვევაში შეუძლებელს, აბსურდულს, სამარცხვინოს, სასაცილოს და მაინც წმინდას, ამ შემთხვევაში ღირსეულსა და პატივდებულს: „მე შენ მიყვარხარ!“

*

ღიღობე ყოფნის მეოთხე კვირას გუსტავ ფონ აშენბახმა გარე სამყაროში გარკვეული ცვლილებები შენიშნა. ჯერ ერთი, ოტელის მდგმურთა რაოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ გახურებული სეზონი იყო, უფრო კლებულობდა, ვიდრე მატულობდა. განსაკუთრებით კი მის ირგვლივ გერმანულმა ენამ იკლო და ბოლოს სულაც მიწყდა. ასე რომ, სასადილო დარბაზში და პლაჟზე მხოლოდ უცხო ბგერები ხვდებოდა მის ყურს. მეორეც, პარიკმახერთან საუბარში, ვისთანაც ახლა ხშირად დადიოდა, ერთი ისეთი სიტყვა დაიჭირა, რომელმაც დიდად გააოცა. ამ კაცმა რომელიღაც გერმანელთა ოჯახი ახსენა, ჩამოსვლისთანავე დაუყოვნებლივ უკან გაემგზავრნენო. მერე ყბედობა განაგრძო და ფარისევლურად დაუმატა: „თქვენ კი აქ რჩებით, ბატონო ჩემო, თქვენ ამ უბედურებისა არ

გემინიათ!“ აშენბახმა გაკვირვებულმა შეხედა: „უბედურებისა?“ – გაიმეორა მან. ყბედს ხმა ჩაუნყდა, გამალებით განაგრძო მუშაობა და თავი ისე დაიჭირა, თითქო შეკითხვა არც გაეგონოს. ხოლო როდესაც აშენბახი არ მოეშვა და დაჟინებით ჩაეკითხა, განაცხადა, არაფერი ვიციო და, დაბნეული, ენაწყლიანი მასლაათით შეეცადა კლიენტის ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა.

ეს შუადღისას იყო, ნაშუადღევს კი, როდესაც სიო ოდნავ არ იძვროდა და გაგანია სიცხე იდგა, აშენბახი ვენეციაში გაემგზავრა; მანიაკური მოთხოვნილება ჰქონდა ყველგან გაჰყოლოდა პოლონელ ბავშვებს, რომლებიც, როგორც შენიშნა, ნავმისადგომისკენ გაემართნენ გუვერნანტი ქალის თანხლებით. წმ. მარკოზის მოედანზე თავისი კერპი ვერ იპოვა, მაგრამ როდესაც მოედნის ჩრდილოვან მხარეს რკინის მრგვალ მაგიდასთან იჯდა და ჩაის შეექცეოდა, ანაბდეულად ჰაერში რაღაც უცნაური სუნი იგრძნო. მას, როგორც ახლა მოეჩვენა, უკვე მრავალი დღე იყო ანგარიშშიუცემლად იყნოსავდა, – აფთიაქის რაღაც მოტკბო სუნი, რომელიც უბედურებას, ჭრილობებსა და საეჭვო სისუფთავს აგონებდა. კვლავ შეამონმა და დარწმუნდა, რომ მართლაც ასე იყო. დაამთავრა ჩაი და მოედანი ტაძრის მოპირდაპირე მხრიდან დატოვა. ვინრო ქუჩაბანდებში სუნი გაძლიერდა. ქუჩის კუთხეებში დაბეჭდილი პლაკატები იყო გაკრული, რომლებიც ქალაქის მამათა სახელით მოსახლეობას აფრთხილებდნენ, ხამანკები და ნიჟარები არ ეჭამათ და არც წყალი დაეღიათ არხებიდან გასტრიტული სისტემის გარკვეულ დაავადებათა გაჩენის საფრთხის გამო, რაც ამგვარი ამინდის დროს მუდამ არსებობსო. აშკარა იყო, რომ ეს განცხადება საქმის ნამდვილ ვითარებას ალამაზებდა. ხიდებსა და მოედნებზე ხალხს მოეყარა თავი, ხმას არ იღებდნენ, და მათ შორის იდგა ისიც, უცხოელიც, აკვირდებოდა მათ და ფიქრობდა.

შემდეგ ერთ-ერთ მედუქნეს, რომელიც თავისი სავაჭროს კარებში ნარინჯის ასხმულებსა და ყალბ ამეთვისტოთა ყელსაბამებს შორის აყუდებულებო, შეეკითხა: ეს ავბედითი სუნი რას უნდა მოასწავებდესო. მანაც ჯერ შეურვებული თვალთ შეათვალიერა, მაგრამ მერე სასწრაფოდ მოიკრიბა მხნეობა: „პროფილაქტიკური ღონისძიებაა, ბატონო ჩემო! – მიუგო მან ხელების ქნევით. – პოლიციის განკარგულება, რომელიც არ შეიძლება არ მოვიწონოთ. ასეთი ამინდი ვაცს სიქას აცლის. სიროკო მავნებელია ჯანმრთელობისათვის. ერთი სიტყვით, სიფრთხილეს იჩენენ, შეიძლება გედმეტს, მაგრამ ხომ გესმით“... აშენბახმა მადლობა გადაუხადა და გზა განაგრძო. თბომავალზეც, რომლითაც ლიდობე დაბრუნდა, ეცა ეს რომელიღაც სადებინფექციო საშუალების სუნი.

ოტელში შესვლისთანავე წინკარში იმ მაგიდას მიაშურა, რომელზეც გაზეთები ელაგა და მათ თვალიერებას შეუდგა. უცხოურებში ვერაფერი იპოვა. გერმანულებში კი აღნიშნული იყო რაღაც ხმები, მოჰყავდათ მერყევი ციფრები, ოფიციალური უარყოფანი და ეჭვი შეჰქონდათ ამ უკანასკნელთა სიმართლეში. აი, თურმე რამ გამოიწვია გერმანელთა და ავსტრიელთა გაქრობა. დანარჩენი ერების წარმომადგენლებმა კი, ეტყობოდა, არაფერი იცოდნენ, ვერაფერს ხვდებოდნენ და, მაშასადამე, არც არაფერი ამფოთებდათ. „ამაზე არაფერი არ უნდა ითქვას! – გაიფიქრა აღელვებულმა აშენბახმა და თან გაზეთები მაგიდაზე დაყარა. – კრინტიც არ უნდა დაიძრას!“ მაგრამ ამავე დროს კატასტროფამ, რომელიც გარე სამყაროს მოელოდა, კმაყოფილებით აღავსო. ვინაიდან ვნება, ისევე როგორც ბოროტმოქმედება, ვერ ეგუება მდგრად წესრიგსა და ყოველდღიურობის თანაბარზომიერ მსვლელობას. ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ყოფის შერყევა, ქვეყნის ამღვრევა და არევ-დარევა მისთვის სასურველია, რადგან ქვეცნობიერად ამაში გამორჩენას მოელოს. ასევე აშენბახიც ანგარიშშიუცემლად კმაყოფილი იყო ვენეციის უსუფთაო შუკებში არსებული ვითარებით, ხელისუფალნი ასე რომ ჩქმალავდნენ, – ქალაქის ამ უკეთური საიდუმლოებით, რომელიც მისი გულის ხვაშიადს ერთვოდა და რომლის დაცვაც მისთვის ესოდენ არსებითი ამბავი იყო. რადგან გამიჯნურებულს მხოლოდ ისდა ადარდებდა, რომ შეიძლებოდა ტაძიო გამგზავრებულიყო და თავზარდაცემული თავის თავს გამოუტყდა, რომ არ იცოდა, უმისოდ როგორ გაძლებდა.

ბოლო ხანებში უკვე აღარ სჯერდებოდა ტურფა ტაძიოსთან იმ შეხვედრებსა და სიახლოვეს, რომელსაც დღის განრიგი და იღბლიანი შემთხვევა ანიჭებდა; უკან დასდევდა, უთვალთვალეებდა. კვირაობით, მაგალითად, პოლონელები არასოდეს მოდიოდნენ პლაჟზე; აშენბახი მიხვდა, რომ წმ. მარკოზის ტაძარში დადიოდნენ წირვაზე და მაშინვე თვითონაც იქით გასწია. გავარვარებული მოედნიდან ტაძრის ოქროცურვილ

ბინდუნდში შესვლისთანავე შენიშნა ის, ვისაც ეძებდა. სალოცავ მერხზე დაეხარა თავი და ისე იჯდა. მწერალი უკან გაჩერდა დამსკდარ მოზაიკურ იატაკზე, მუხლებზე დაჩოქილ მორწმუნეთა შორის, რომლებიც პირჭვარს ისახავდნენ და ლოცვანს დუდუნებდნენ. აღმოსავლური ტაძრის ჭარბი და მოუქნელი ბრწყინვალეობა მასზე დამთრგუნველად მოქმედებდა. წინ მძიმე შესამოსელში გამონყობილი მღვდელი დადიოდა, საცეცხლურს იქნევდა და გალობდა. საკმეველი ხრჩოლავდა და საკურთხეველის სანთელთა უმწეო ალს კვამლის ნისლში ხვევდა. უსისხლო მსხვერპლად შენირვის მსუყე და მოტკბო სურნელს ოდნავ შესამჩნევად სხვა რაღაც ერეოდა: დაავადებული ქალაქის სუნი. მაგრამ კვამლსა და სანთლების ლიცლიცში აშენბახმა დაინახა, როგორ მოატრიალა თავი ლამაზმა, თვალებით მოძებნა იგი და იპოვა კიდევ.

შემდეგ, როდესაც ბრბომ ტაძრის კარიბჭიდან გაკაშკაშებულ და მტრედებით მოზიმბიმე მოედანზე იხუვლა, შმაგი მიჭნური ტაძრის წინკარში დაიმალა, იქ ჩასაფრდა და ნახა, როგორ გამოვიდნენ პოლონელები ეკლესიიდან, როგორ საბეიმოდ გამოეთხოვნენ ბავშვები დედას, როგორ გადასერა ამ უკანასკნელმა მოედანი და შინისკენ გაემართა, მაშინ როდესაც ტურფა ტაძიომ, მონაზონმა დებმა და გუვერნანტმა ქალმა მარჯვნივ გასწიეს და „საათიანი კომკის“ ჭიშკრით „მერჩერიაში“ შევიდნენ. აშენბახმა ისინი ოდნავ წინ გაუშვა, მერე თვითონაც უკან გაჰყვა და ვენეციაში სეირნობის მთელი ხნის განმავლობაში შეუმჩნევლად უკან დასდევდა. ჩერდებოდა, როდესაც პოლონელები სადმე დაყოვნდებოდნენ, სამიკიტნოებსა და ეზოებს აფარებდა თავს. რათა გაეტარებინა ისინი, თუ შემთხვევით უკან გამობრუნდებოდნენ; ხან თვალს მიეფარებოდნენ და გახურებულ-გაოფლილი დაეძებდა ხიდებსა და ჭუჭყიან შუკებში, მკვდრისფერი ედებოდა სახეზე, როცა ანაზღეულად გადაანყდებოდა მათ ვინრო გასასვლელში, სადაც თავის დასაძვრენი არსად იყო. და მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ იტანჯებოდა. თავიცა და გულიც ზარხოშით ჰქონდა გაბრუებული და მიაბიჯებდა დემონს აყოლილი, რომელსაც ადამიანის გონებისა და ღირსების ფეხქვეშ გათელვა უყვარს.

ბოლოს ტაძიომ და მისიანებმა გონდოლას მოუხმეს და აშენბახმაც, რომელიც, ვიდრე ისინი შიგ ჩასხდებოდნენ, შენობის გამონაშვერისა თუ შადრევნის უკან იმალებოდა, იგივე მოიმოქმედა, როგორც კი მათი გონდოლა ნაპირს მოშორდა. ათრთოლებული ხმით სასწრაფოდ უთხრა მენავეს, აგერ იმ გონდოლას, რომელმაც ეს-ეს არის კუთხეში უნდა შეუხვიოს, გარკვეული ინტერვალის დაცვით შეუმჩნევლად უკან სდიეო. თან უხვად დასაჩუქრებას შეჰპირდა. ტანში გააჟრჟოლა, როდესაც გონდოლიერმა გაქნილი ამფსონის მზადყოფნით იმავე კილოზე უპასუხა: ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გაგიხარდებათ.

რბილ შავ ბალიშებზე მისვენებული მისრიალებდა აშენბახი, მინანაობდა ასევე შავი და ნისკარტივით ნვეტიანი ცხვირის მქონე მეორე ნავის კვალდაკვალ, რომელზედაც ვნებათაღელვას მიეჭაჭვა. ჟამიდან ჟამზე პოლონელთა გონდოლა თვალს მიეფარებოდა ხოლმე და მაშინ ღონდებოდა და მოუსვენრობა იპყრობდა. მაგრამ მისი მძლოლი, თითქო თავისი დღენი, სხვისი დევნის გარდა, არაფერი ეკეთებინოს, მოხერხებული მანევრებით, სწრაფად გზის გადაჭრით ანდა შემოკლებით, ყოველთვის ახერხებდა, რომ სასურველი გონდოლა აშენბახს მხედველობის არეში ჰქონოდა. სიო არ იძვროდა და ჰაერში ისევ ის სუნი ტრიალებდა. მზე ანაორთქლთა ოხშივარში ატანდა, რომლითაც ცა ფიქლისფრად იყო შეღებილი, და საშინლად აცხუნებდა. წყალი ბუებუყით ეხეთქებოდა ფიცრებს და ლოდებს. გონდოლიერის დაძახილზე, ნაწილობრივ გამაფრთხილებელსა და ნაწილობრივ მისასალმებელზე, წყლის ლაბირინთის გარინდებული შორეთიდან საოცარი თანხვედრით გაისმოდა საპასუხო შეძახილი. მაღლა განლაგებული პატარა ბაღებიდან ხავსმოდებულ კედლებზე ხეხილის თეთრი და ძონისფერი ყვავილები ეკიდნენ და ნუშის სურნელს აფრქვევდნენ. მავრიტანული ჩუქურთმებით შემკული ფანჯრები გამოკრთებოდნენ ხოლმე ბინდუნდში. რომელიდაც ეკლესიის მარმარილოს საფეხურები ეშვებოდა წყალში. ზედ მათხოვარი დაყუნცულიყო, ქუდი წინ გამოეშვირა და თან თვალის ბაიებს აჩენდა – აქაოდა, ბრმა ვარო! ძველმანებით მოვაჭრე თავის ბუდრუგანა დუქნის წინ იდგა და მგზავრს შემპარავი ჟესტ-მიმიკით ეპატიჟებოდა შიგნით იმ იმედით, რომ რამეს დასტყუებდა. ეს ვენეცია იყო, ფარისეველი და საეჭვო ლამაზმანი, ნახევრად ზღაპარი და ნახევრად მახე უცხოელისთვის, ქალაქი, რომლის დამპალ ჰაერში ოდესღაც ხელოვნება ნებიერი თავაშვებულობით გაიფურჩქნა და რომელმაც თავისი მუტრიბნი მონანავე და მაცდურად მთვლემარე ჰანგებით დააჯილდოვა. გრძობამორეულ

ამენბახს ეჩვენებოდა, თითქოს მის თვალებში მთელი ეს სიდიადე იღვრებოდა. ყურებში ეს მაცდური ჰანგები ედგა, თან არ ავიწყლებოდა, რომ ქალაქს სალმობა მოსდებოდა, მაგრამ ანგარების გამო ფარავდა ამას და ახლა უფრო მოურიდებლად გასცქეროდა წინ მოლივლივე გონდოლას.

გაოგნებულს სხვა აღარა ახსოვდა და არც სურდა ხსომებოდა, სათაყვანებელი არსების გარდა, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა, სულ მისთვის სურდა ედევნა, მასზე ეოცნება, და როდესაც გვერდით არ ჰყავდა, მიჯნურთა ჩვეულებისამებრ მისი აჩრდილისთვის ედუდუნა ნაზი სიტყვები. მარტობა, უცხო მხარეში ყოფნა და ნაგვიანევი, ბანგივით გამაბრუებელი ბარხოში სძენდა სითამამეს და აბედვინებდა თვით ყოვლად უცნაური ამბები შიშისა და კდემის გარეშე ჩაედინა. ასე რომ, ერთხელ, მაგალითად, გვიან საღამოს ვენეციიდან რომ ბრუნდებოდა, ოტელის მეორე სართულზე ტურფა ტაძიოს კართან გაჩერდა, ვნებისგან მთვრალმა შუბლი ამყოლს მიაყრდნო და დიდხანს იდგა ასე. არას დაგიდევდათ, რომ შეიძლებოდა ამ შლეგურ პოზაში ვინმე წასწყდომოდა, ვინმეს წაესწრო მისთვის.

და მაინც, იყო მომენტები, როდესაც ასე თუ ისე, გონს მოდიოდა და ცდილობდა თავი დაემორჩილებინა. „რა მემართება! – შეურვებული ფიქრობდა მაშინ. – რა მემართება! „როგორც ყოველ ადამიანს, ვისაც თანდაყოლილი უნარით მოპოვებული ღვაწლი თავის წარმომავლობისადმი არისტოკრატიულ ინტერესს უღვიძებს, მასაც სჩვეოდა წინაპართა მოგონება. თუ ცხოვრებაში რაიმეს მიაღწევდა ან რაიმე მნიშვნელოვანი გადახდებოდა, უნდოდა გულდაჭერებული ყოფილიყო, რომ უთუოდ მათ თანხმობას, მონონებასა და პატივისცემას დაიმსახურებდა. ახლაც მათზე ფიქრობდა, აქ, ამ ყოვლად შეუსაბამო ამბავში გახვეული, გრძნობის ესოდენ ეგზოტიკური სიჭარბით ატაცებული; აგონდებოდა მათი მკაცრი თავდაჭერილობა, ხასიათის ვაჟკაცური სინმინდე და ნაღვლიანად ელიმებოდა. რას იტყოდნენ ისინი? და ან რა შეეძლოთ ეთქვათ თუნდაც მთელ მის ცხოვრებაზე, რომელიც სავსებით ნირშეცვლილი იყო მათ მიერ განვლილთან შედარებით, – ხელოვნებით შერისხულ ცხოვრებაზე, რომელსაც მამათა ბიურგერული სულისკვეთების შესაბამისად, ოდესღაც თვითონაც დასცინა ჭაბუკურ შეგონებათა სახით და რომელსაც არსებითად მაინც მათი ცხოვრების დაღი ესვა! განა ისიც არ მსახურობდა, ჯარისკაცი და მეომარი არ იყო, როგორც მრავალნი მის წინაპართაგან? – უკეთუ ხელოვნება ომია, გამომფიტავი ბრძოლაა, რომელსაც დღეს დიდხანს ვერ გაუძლებ. თვითდაძლევიტა და ათასი რამის გადალახვით გამსჭვალული ცხოვრებისთვის, რომელიც მან დროის შესაფერისი ნაზი გმირობის ხატებად აქცია, მართლაც შეიძლებოდა ვაჟკაცური და მამაცური ეწოდებინა. ამასთანავე ეჩვენებოდა, რომ თითქოს ეროსი, რომელსაც იგი დამონებული ჰყავდა, რატომღაც სწორედ ამგვარ ცხოვრებას შეეფერებოდა და განსაკუთრებით სწყალობდა კიდევ. განა ყველაზე პატივდებული არ იყო ეროსი ყველაზე მამაც ხალხთა შორის და განა არ თქმულა კიდევ, რომ სწორედ სიმამაცის წყალობით ჰყვოდა იგი მათ ქალაქებში? გარდასულ დროთა მრავალ მებრძოლ გმირს უტარებია ნებაყოფლობით მისი უღელი, ვინაიდან დამცირებად არ ითვლებოდა ამ ღმერთის მიერ გამოტანილი განაჩენი. და საეციელი, რომელსაც აუგად მოიხსენიებდნენ, როგორც სიმხდალის მაჩვენებელს, თუ სხვა მიზნით იწნებოდა ჩადენილი – მუხლის მოდრეკა, ფიცი, გაუთავებელი ვედრება და მონური მორჩილება, მიჯნურისთვის სამარცხვინოდ არ ითვლებოდა, არამედ, პირიქით, ქებას იმსახურებდა.

ამნაირი აზრები უტრიალებდა თავში გონებადაბინდულ ამენბახს, ამნაირად ცდილობდა ფეხქვეშ საყრდენი არ გამოსცლოდა და ღირსება შეენარჩუნებინა. მაგრამ ამავე დროს განუწყვეტლივ გაფაციცებით თვალს ადევნებდა უკეთურ ამბებს, რომლებიც ვენეციის ქუჩაბანდებში ხდებოდა, გარე სამყაროში მძვინვარე სენს, რომელიც მისი გულის სალმობას მრუმედ ერწყმოდა და მის ვნებათაღელვას ბუნდოვანი იმედებით ჰკვებავდა. იმის სურვილით აღტაცებული, რომ რაიმე ახალი და უტყუარი შეეტყო ქალაქში არსებული მდგომარეობისა და სენის გავრცელების შესახებ, კაფეებში ფურცლავდა გერმანულ გაზეთებს, რადგან ოტელის წინკარში მდგარ მაგიდაზე მათ უკვე მრავალი დღე იყო ველარ იხილავდით. გაზეთები ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობებს ათავსებდნენ. ჯერ, როგორც ჩანდა, დაავადებისა და სიკვდილიანობის ოცამდე შემთხვევა უნდა ყოფილიყო, შემდეგ ორმოცი, ბოლოს ასი და უფრო მეტიც კი. მაგრამ ამასთანავე ეპიდემიის არსებობას უარყოფდნენ და დაავადების მხოლოდ ცალკეულ, გარედან შემოტანილ შემთხვევებზე მიუთითებდნენ. შიგადაშიგ გაბნეული იყო აგრეთვე გაფრთხილებანი და პროტესტები იტალიელ ხელისუფალთა სახიფათო თამამის წინააღმდეგ. ასე რომ,

ნათლად წარმოდგენა იმისა, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში, შეუძლებელი იყო. და მაინც, მარტოსულ აშენბახს მიაჩნდა, რომ რაღაც განსაკუთრებული უფლება ჰქონდა, ამ საიდუმლოს ზიარებოდა და თუმცა აქ გარეშე კაცი იყო, მაინც უცნაურ კმაყოფილებას გრძნობდა, როდესაც საქმეში ჩახედული ვერაგული კითხვებით მიმართავდა და მათ, ვინც მოვალენი იყვნენ დუმილი დაეცვათ, აშკარა ტყუილს ათქმევინებდა. ერთ დღეს, მაგალითად, დიდ სასადილო დარბაზში საუბმობისას ადმინისტრატორს გამოელაპარაკა, ფრანგულ სადარბაზო სერთუკში გამოწყობილ პატარა და ფეხაკრეფით მოსიარულე კაცს, რომელიც მოსაუბმეთა შორის დააბიჯებდა, ყველას ესალმებოდა, ყველაფერს თვალყურს ადევნებდა და აშენბახის მაგიდასთანაც შეჩერდა, რომ ორიოდე სიტყვა ეთქვა მისთვის. „არა, მაინც რატომ არის, – შევეკითხა აშენბახი დაუდევრად, ვითომც აქ არაფერიაო, – რომ ამ ბოლო დროს ვენეციაში დემინფექციას აკეთებენ?“ „პოლიციის ღონისძიებაა, – ფარისევლურად მიუგო ადმინისტრატორმა. – და საზოგადოების ჯანმრთელობის დასაცავადაა გამიზნული. პოლიციის ვალია დროულად დაგვაზღვიოს ასეთი მცხუნვარე და შეხუთული ამინდის შესაძლო მავნე ზემოქმედებისგან“. „ბარაქალა პოლიციას!“ – შესძახა აშენბახმა, მათ ორიოდე სიტყვა კიდევ უთხრეს ერთმანეთს მეტეოროლოგიურ საკითხებზე და ადმინისტრატორი წავიდა.

იმავე დღეს, ეს უკვე ნასადილევეს, საღამოთი, ქალაქიდან ჩამოსულმა მოხეტიალე მომღერალთა პატარა დასმა ოტელის წინ მდებარე ბაღში კონცერტი გამართა. ორი კაცი იყო და ორიც ქალი. რკალური ფარნის რკინის ბოძთან ატუბულიყვნენ და ფარნის შუქით თეთრად განათებული სახეები ტერასისკენ მიეპყროთ, სადაც დამსვენებლები ყავასა და გამაგრილებელ სასმელებს შეეცქეოდნენ და ხალხური სახიობით ტკბებოდნენ. ოტელის პერსონალი, მელიფტეები, კელნერები, კონტორის მოხელეები ვესტიბიულის კარებიდან იყურებოდნენ. რუსების ოჯახს განცხრომაში ყველაზე მეტი მონდომება და უშუალობა გამოეჩინა, ბაღში ჩაეტანათ ბამბუკის სკამები, რათა შემსრულებლებთან უფრო ახლოს ყოფილიყვნენ, და იქ ნახევარწრედ ისხდნენ დიდად კმაყოფილნი. ბატონების უკან მათი მოხუცი მხევალი იდგა. თავზე ჩალმასავით წაეკრა ხილაბანდი.

მანდოლინას, გიტარას, გარმონს და წრიპინა ვიოლინოს მოცლა არ ჰქონდათ მათხოვარ ვირტუოზთა ხელში. ინსტრუმენტულ ნომრებს სიმღერები ენაცვლებოდა. ქალთაგან უფრო ახალგაზრდამ ტკბილფალცეტიან ტენორთან ერთად წვრილი და მოწინინე ხმით მწველი სატრფიალო დუეტი შეასრულა. მაგრამ როგორც ხალასი ნიჭის პატრონმა და დასის სულმა და გულმა კაცებიდან მეორემ გამოიჩინა თავი, გიტარის დამკვრელმა, რომელსაც ე.წ. კომიკური ბარიტონი ჰქონდა, თან ხმა თითქმის არ გააჩნდა, მაგრამ მეტყველი მიმიკითა და საგრძნობი კომიკური ექსპრესიით იყო დაჯილდოებული. ვეება საკრავით ხელში ხშირად გამოეყოფოდა ხოლმე თავისიანებს და რამპისკენ მოიწვედა გამომწვევი მოძრაობით, რათა ანცი ოინებისთვის წამახალისებელი სიცილით დაესაჩუქრებინათ. განსაკუთრებით პარტერში მოკალათებული რუსები იყვნენ აღტაცებულნი მისი სამხრეთული სიმკვირცხლით; ტაძითა და შეძახილებით აქებებდნენ, რომ უფრო გულდაჯერებული ყოფილიყო და მეტი სითამამე გამოეჩინა.

აშენბახი მოაჭირთან იჯდა და ჟამიდან ჟამზე ბაგეს ბროწეულის წვენიასა და სოდიანი წყლის ნარევით იგრილებდა, რომელიც ლალისფრად კამკამებდა მის წინ მდგარ ჭიქაში. მისი ნერვები ხარბად ენაფებოდნენ ამ მონანავე ჰანგებს, ამ ვულგარულ და მიბნედილ-მინაზებულ მელოდიებს, ვინაიდან ვნებათაღელვა სინატიფის გრძნობას აჩლუნგებს და მთელი სერიოზულობით ვეძლევით იმ ხიბვლასა და გაღიზიანებებს, რომელთაც სიფხიზლეში იუმორით შევხვდებოდით, ანდა ზიზლით უკუვაგდებდით. ტაკიმასხარას ნახტომთა ყურებაში სახის ნაკვთები დაბრეცოდა და ზედ თითქმის მტკივნეული ღიმილი დასთამაშებდა. ვითომც აქ არაფერიაო, ისე იჯდა, თუმცა ყურადღება ერთ რამეზე ჰქონდა გამახვილებული, შინაგანად უკიდურესად დაძაბული იყო, რადგან მისგან ექვსიოდე ნაბიჯის მოშორებით ქვის მოაჭირს ტაძიო მიჰყუდებოდა.

სარტყელიან თეთრ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, რომელსაც ხანდახან იცვამდა ხოლმე სადილობის ჟამს, მისთვის განუყრელი და თანდაყოლილი გრაცით მარცხენა ხელის იდაყვი მოაჭირზე დაეყრდნო. ფეხები გადაეჭვარედინებინა, მარჯვნივ დოინჯი შემოერტყა და ისეთი სახით უჭვრეტდა ქვევით მდგარ მოხეტიალე მუტრით, რომელიც უფრო ღიმილს კი არა, არამედ ზედაპირულ ცნობისმოყვარეობას, თავაზიან ყურადღებას გამოსახავდა. ზოგჯერ მხრებში გაიმართებოდა, გულ-მკერდს წინ გამოსწევდა და ორივე

ხელის მოხდენილი მოძრაობით თეთრ ქურთუკს სარტყელის ქვეშ გაისწორებდა ხოლმე. ხოლო ზოგჯერ კი, – ამას ზეიმით აღნიშნავდა ხანში შესული აშენბახი, გონება ემღვრეოდა და ძრწოლა იპყრობდა, – ზოგჯერ კი ყოყმანითა და მორიდებულად, ანდა ანაზღაურად და სწრაფად, თითქო მოუმზადებელს უნდა წაასწროსო, მარცხენა ბეჭისკენ მიაბრუნებდა თავს და მასთან გამიჯნურებულისკენ გაიხედავდა, მაგრამ მის მზერას ვერ იჭერდა, რადგან ყოველად სამარცხვინო საზრუნავი აიძულებდა შეჩქვიფებულ აშენბახს, თვალი აერიდებინა მისთვის. მათ უკან ტერასაზე ქალები ისხდნენ, რომლებიც ტაძიოს პატრონობდნენ და საქმე უკვე იქამდე იყო მისული, რომ გამიჯნურებულ აშენბახს ემინოდა, თვალში არ მოხვედროდათ და ეჭვი არ მიეტანათ. უფრო მეტიც: ძარღვებში სისხლი ეყინებოდა იმის მოგონებაზე, რომ უკვე მრავალგზის შემჩნეული ჰქონდა – პლაჟზე, ოტელის ვესტიბულში თუ წმ. მარკოზის მოედანზე იქნებოდა ეს, ისინი ყოველთვის მოიხმობდნენ ხოლმე ტაძიოს, როდესაც აშენბახის მახლობლად აღმოჩნდებოდა. ყოველნაირად არიდებდნენ მას. აქედან გამომდინარე საშინელი შეურაცხყოფა გაუგონრად აწამებდა მის თავმოყვარეობას, ხოლო სინდისი ხელს უშლიდა, ამაზე თვალი დაეხუჭა.

ამასობაში გიტარის დამკვრელმა საკუთარი აკომპანემენტით სოლო დაიწყო, იმხანად მთელ იტალიაში მოდებული მრავალსტროფიანი ქუჩური სიმღერა, რომლის მოძახილს მთელი დასი დააქუხებდა ხოლმე. მომღერალი საკმაო პლასტიკურობასა და დრამატიზმს სძენდა რომანს. ტანსუსტი და მისავათებულ-მიხრწნილი სახის მქონე, იგი თავისიანებისგან განცალკევებით იდგა ხრემმოყრილ ბაქანზე, თავხედურსა და ანც პოზაში, გაქუცული ფეტრის შლაპა კეფაზე მოეგდო, წითური ქოჩორი წინ ძნასავით ედგა და სიმთა წკრიალში მომნუსხავი რეჩიტატივით ისე აყრიდა კვიმატ ოხუნჯობებს ტერასაზე მსხდომთ, რომ შემოქმედებითი დაძახვისგან შუბლზე ძარღვები ებერებოდა. ვენეციელს სულ არ ჰგავდა, უფრო ნეაპოლელ კომედიანტს მოგაგონებდათ, ნახევრად ავარას, ნახევრად ოინბაზს, უხეშსა და გამბედავს, საშიშსა და თავშესაქცევს. სიმღერას, რომელიც შინაარსის მხრივ სრულიად ბანალური რამ იყო, იგი მიმიკითა და სხეულის მოძრაობით, ეშმაკურად თვალის ჩაკვრითა და პირის კუნჭულში ენის წვერის თამაშით რაღაც ორაზროვანსა და დასაგმობს ხდიდა. ჩვეულებრივი ქალაქური ტანსაცმლის ქვეშ სპორტული პერანგი ეცვა და გადმოკეცილი საყელოდან გამხდარი ყელი ამოსჩროდა, რომელზედაც თვალში საცემად დიდი და გაშიშვლებული ადამის ვაშლი უჩანდა. ფერმკრთალი, ნოღაცხვირიანი და ქოსა სახე, რომლის ნაკვთების მიხედვით მის ასაკს ვერ დაადგენდით, თითქო სულ ერთიანად გადახნული ჰქონდა მანჯიაობითა და მანვიერებით, ხოლო მის დაუდგარ პირის ღრეჭას საოცრად ეხამებოდა ორი ნაოჭი, რომელიც ჯიუტად, მრისხანედ, თითქმის ველურადაც კი აღბეჭდვოდა წითურ წარბებს შორის, მაგრამ მარტოეული აშენბახის ყურადღებას ყველაზე უფრო ის იქცევდა, რომ ტაკიმასხარას საეჭვო ფიგურას თავისი განსაკუთრებული ატმოსფეროც ერთყა გარს. სახელდობრ, ყოველთვის, როგორც კი მოძახილს დაიწყებდა, მომღერალი მანჭვა-გრეხვითა და მისალმების ნიშნად ხელის ქნევით გროტესკულ ჩამოსვლას შეუდგებოდა, აშენბახს სულ ახლოს ჩაუვლიდა ხოლმე და ყოველთვის კრაბოლის ხსნარის საშინელ სუნს შეახროლებდა.

სიმღერას რომ მორჩა, ფულის შეგროვებას შეუდგა. ჯერ რუსებს მიადგა, რომლებმაც, როგორც ჩანდა, სიამოვნებით დაასაჩუქრეს. შემდეგ საფეხურებზე ამოვიდა. თუ სახიობის დროს თავხედურად იქცეოდა, ახლა აქ, მაღლა, რაც შეიძლება მოკრძალებულად ეჭირა თავი. წელში ოთხად მოკეცილი დაიპარებოდა მაგიდებს შორის, ქუსლს ქუსლზე სცემდა და თავს უკრავდა ყველას. თან მონა-მორჩილის იქედნური ღიმილით იღიმებოდა და მსხვილ კბილებს აჩენდა, მაშინ როდესაც ორი ნაოჭი წითურ შუბლზე ისევ ისე მრისხანედ ჰქონდა აღბეჭდილი. ამ უცნაურ არსებას, რომელიც ლუკმაპურის ფულს აგროვებდა, ოტელის მკვიდრნი ცნობისმოყვარეობითა და ერთგვარი ზიზღით უყურებდნენ, და თითის წვერებით უყრიდნენ ხურდა ფულს ფეტრის შლაპაში, რადგან მასთან შეხებას ერიდებოდნენ. კომედიანტსა და წესიერ საზოგადოებას შორის ფიზიკური დისტანციის მოსპობა, როგორი სიამოვნებაც უნდა მიანიჭოს პირველმა მეორეს, ყოველთვის გარკვეულ უხერხულობას წარმოქმნის. მომღერალი გრძნობდა ამას და ცდილობდა დანაშაული მუცელზე ხოხვით გამოესყიდა. ბოლოს აშენბახსაც მიუახლოვდა და ის სუნიც თან მიიტანა, რომელსაც ირგვლივმოფთავებდა, როგორც ჩანდა, არავინ აქცევდა ყურადღებას.

– ყური დამიგდე! – უთხრა დახმული ხმით, თითქმის მექანიკურად, მარტოეულმა

აშენბახმა. – ვენეციას დეზინფექციას უკეთებენ. ვერ მეტყვი, რატომ?

ოინბაზმა ჩახლეჩილი ხმით მიუგო: – ეგ სულ პოლიციის ბრალია, ბატონო ჩემო! მისი განკარგულებაა ასეთი სიციხისა და სიროკოს გამო. სიროკო სულს უხუთავს ადამიანს, ჯანმრთელობას ვნებს... – ისე ლაპარაკობდა, თითქოს უკვირდა, ეს რა საკითხავიაო, და ხელისგულით უჩვენა, როგორ ძლიერ უხუთავს სულს სიროკო ადამიანს.

– მამ, ვენეციაში რაიმე სენი არ არის? – ხმადაბლა გამოსცრა აშენბახმა კბილებში.

მასხარას კუნთოვანმა სახის ნაკვთებმა კომიკური გაუგებრობის გრიმასა გამოსძახეს: – სენი? რა სენი? განა სიროკო სენია? ან იქნებ პოლიციაა სენი? ხუმრობას ინებებთ! ჰმ, სენიორ! ღმერთმა დაგვიფაროს! წინასწარი ღონისძიებაა. გამიგეთ თუ არა? პოლიციის განკარგულება ასეთი ტაროსის მავნე ზემოქმედების გასაქარწყლებლად... – თან როლში შევიდა და ხელების ქნევა დაიწყო.

– კეთილი, – ისევ ხმადაბლა და მოკლედ მოუჭრა აშენბახმა, შეუსაბამოდ მსხვილი ფული მარდად ჩაუგდო შლაპაში და შემდეგ თვალით ანიშნა, წადიო. ისიც დაემორჩილა, გაუღრიჭა, თავი დაუკრა რამდენჯერმე და გაშორდა. მაგრამ კიბესთანაც არ იყო მისული, რომ ოტელის ორი მოხელე დაეძგერა, მათ შუაში მოიმწყვდიეს და ჩურჩულით ჯვარედინად დაკითხვა დაუწყეს. გიტარის დამკვრელი მხრებს იჩეჩავდა, ირწმუნებოდა, იფიცებოდა, არაფერი მითქვამსო, და მართლაც ეტყობოდა, რომ არ ტყუოდა. ამიტომ დაეხსნენ და ისიც ბაღში დაბრუნდა. ფარნის ქვეშ თავისიანებთან ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ კვლავ წინ წამოდგა სამადლობელი და გამოსათხოვარი სიმღერის შესასრულებლად.

თუ მეხსიერება არ ატყუებდა, აშენბახი პირველად ისმენდა ამ სიმღერას, ანცს, გაუგებარ დიალექტზე დაწერილს და სიცილ-ხარხარის მოძახილით შემკულს, რომელსაც მუდამ თავის დროზე რაც ძალი და ღონე ჰქონდა მთელი დასი აიტაცებდა ხოლმე. მოძახილის დროს წყდებოდა სიტყვებიც, საკრავთა აკომპანემენტიც და მარტოოდენ რიტმულად ასე თუ ისე ორგანიზებული, მაგრამ ერთობ ბუნებრივად წარმოსახული სიცილი რჩებოდა, რომელსაც ყველაზე ნიჭიერად, ისე, რომ ნამდვილისგან ვერ გაარჩევდით, გიტარის დამკვრელი ასრულებდა. ახლა, როდესაც ხელოვნებამ კვლავ აღადგინა დისტანცია მასსა და მალლა მსხდომ ბატონებს შორის, მომღერალს ისევ დაუბრუნდა გამბედაობა და მისი ხელოვნური სიცილი, ტერასისკენ ურცხვად მიმართული, მქირდავი სიცილი იყო. უკვე სტროფის საარტიკულაციო ნაწილის ბოლოშივე გეჩვენებოდათ, რომ მომღერალს საშინლად უღიტინებდა რაღაც, დაისლუკუნებდა, ხმა აუთრთოლდებოდა, პირზე ხელს აიფარებდა, მხრები აუთამამდებოდა და საჭირო მომენტში „ვაჰაო“ დაიძახებდა, დაუოკებელი სიცილი წასკდებოდა, და თანაც ისე დამაჯერებლად, რომ ყველას გადაედებოდა ხოლმე და ტერასაზე სრულიად უსაგნო, თვითმყოფი მხიარულება გამეფდებოდა. ეს კი, როგორც ჩანდა, მომღერლის სიანცეს აორკვეცებდა. მუხლები ეკეცებოდა, ხელებს ბარძაყებზე იტყაპუნებდა, ხანაც ფერდებში იტაცებდა, მთელი ტანით ირხეოდა და კი აღარ იცინოდა, არამედ ღრიალებდა; თითს მალლა იშვერდა, თითქო ბევით მსხდომ მოცინარ საზოგადოებაზე სასაცილო აღარა იყო. ასე რომ, ბოლოს ყველანი სიცილით იგუდებოდნენ ბაღში და ვერანდაბეც, კარებში გამოფენილი კელნერების, მელიფტეებისა და ოტელის დანარჩენი პერსონალის ჩათვლით.

აშენბახი სკამის ბურგზე კი აღარ იყო მისვენებული, არამედ წელში გამართულიყო, თითქოს თავდასაცავად ან გასაქცევად ემზადებო. მაგრამ სიცილ-ხარხარს, ჰოსპიტლის სუნს, დაბლიდან რომ სცემდა, და ტურფა ტაძიოს სიახლოვეს, მისთვის საამურ სიზმარეულ ჩვენებაში გაერთიანებულს, განუყოფლად, განუშორებლად გაეთანგა მისი გრძნობაცა და გონებაც. ყველა გართული იყო, ყველა თავს იქცევდა, ამიტომ ტაძიოსკენ გახედვა გაბედა და როდესაც თვალი მიაპყრო, შენიშნა, რომ ტურფა ყმანვილმაც მხერითვე უპასუხა. თან სერიოზული სახე შეინარჩუნა, ბუსტად ისე, თითქოს აშენბახის თავდაჯერას და გამომეტყველებას შეხამებოდეს, თითქოს საერთო განწყობილება იმიტომ ვერ იყოლიებდა, რომ აშენბახზეც ვერ ახდენდა იგი გავლენას. ბავშვურ, მაგრამ მრავლისმეტყველ დამყოლობაში იყო რაღაც, რაც ისე ინადირებდა, ისე იპყრობდა ადამიანის გულს, რომ ჭაღარა ვაცმა თავი ძლივს შეიკავა, სახე ხელებში არ ჩაემალა. ხოლო როდესაც ტაძიო შემთხვევით წელში გასწორდა და ჰაერი შეისუნთქა, აშენბახს ეგონა, ალბათ მკერდის არეში ჭვალი ადგას და ამიტომ თუ ამოიოხრაო. „ძალზე სუსტია

და, როგორც ჩანს, სიბერემდე ვერ მიაღწევს“, კვლავ გაიფიქრა მან იმ ნათელხილვით, რომელიც ზოგჯერ საოცრად ძალუძს ბარხომსა და მგზნებარე ლტოლვას; და გული ალალი საბრუნავითა და ჭარბი სიამოვნებით აღევსო ერთდროულად.

ამასობაში ვენეციელებმა კონცერტი დაამთავრეს და აიბარგნენ. ისინი ტაშით გააცილეს და გიტარის დამკვრელს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია, წასვლისას ერთხელ კიდევ დაიწყო ოინბაზობა: ქუსლს ქუსლსა სცემდა, ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა მაყურებლებს და ვინაიდან სიცილი არ ცხრებოდა, მასხარაც გაორკეცებული ენერგიით ხუმრობდა. მისიანები ბალიდან უკვე გარეთ გავიდნენ, რომ მან ახლა უკან-უკან დაიხია და ფარნის ბოდს თითქო რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაეჭახა, ვითომდა ტკივილისგან ოთხად მოიკეცა და ისე გაიძურნა ჭიშკრიდან. იქ ერთბაშად მოიძრო ანგალი ხელმოცარულის ნილაბი, გასწორდა, ჩაუქად გაიჭრა წინ, ოტელის ბინადართ ენა გამოუყო თავხედურად და სიბნელეში გაუჩინარდა. მაყურებლები დაიშალნენ. ტაძიო უკვე კარგა ხანია მოაჭირთან აღარ იდგა. მაგრამ მარტოეული აშენბახი კელნერთა გასაოცრად კიდევ დიდხანს უჭდა ჭიქაში ჩარჩენილ ბროწეულისწვნიან ნაყენს. ღამე წინ მიიწვედა, დრო დანაწევრდა. მისი მშობლების სახლში, მრავალი წლის წინათ, ქვიშის საათი იყო, – ახლაც ერთბაშად თვალწინ დაუდგა ეს პატარა, მყიფე, მაგრამ მნიშვნელოვანი ხელსაწყო. უჩუმრად, წვრილ ჭავლად იფრქვეოდა ჟანგისფრად შეღებილი ქვიშა მინის ვინრო ყელიდან და როცა ზედა ნაწილში მიილუოდა, იქ პატარა მბრუნავი ძაბრი ჩნდებოდა.

*

მეორე დღესვე, ნაშუადღევს, შეუპოვარმა აშენბახმა ახალი ნაბიჯი გადადგა გარე სამყაროს შესახებ სინამდვილის შესატყობად და ამჯერად სრული წარმატებითაც. სახელდობრ, მოგზაურობათა ინგლისურ ბიუროში შეიარა, რომელიც წმ. მარკოზის მოედნის მახლობლად მდებარეობდა, სალაროში ცოტაოდენი ფული გადაცვალა და მოხელეს, რომელიც მოემსახურა, დაეჭვებული და უნდობი სახით ისევ ის მსახვრალი კითხვა მისცა. ეს გახლდათ შალის კოსტიუმში გამოწყობილი ინგლისელი, ჯერაც ახალგაზრდა, შუაზე გაყოფილი თმითა და ერთმანეთთან ახლოს დასმული თვალებით. დარბაისლურად და ლოიალურად ეჭირა თავი, რაც ანცი სამხრეთის ფონზე ერთობ უცხოდ და უცნაურად ჩანდა. ჯერ ასე დაიწყო: „ნუ გედარდებათ, სერ, ეს ისეთი ღონისძიებაა, რომელიც რაიმე სერიოზულ ამბავს არ მოასწავებს. აქ ხშირად იძლევიან ამგვარ განკარგულებებს, რათა სიცხისა და სიროკის მავნე ზემოქმედება თავიდან იქნეს აცილებული“... მაგრამ შემდეგ ცისფერი თვალები ზევით აღაპყრო, კლიენტის დაღლილი და ოდნავ მწუხარე მზერა დაიჭირა, რომელიც მქირდავად მისი ტუჩებისკენ იყო მიმართული და განითლდა. „ასეთია ოფიციალური განმარტება, – განაგრძო შეჩქვიფებულმა ხმადაბლა, – რომლის დაჩემებაც აქ საჭიროდ მიაჩნიათ. მაგრამ მე გეტყვით, რომ ამის უკან კიდევ სხვა რამეც იმალება“. და შემდეგ თავის პატიოსან და მარჯვე ენაზე აშენბახს სიმართლე მოუყვა.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც აზიური ქოლერა გავრცელებისა და სხვა ქვეყანაშიც ფეხის მოკიდების გაძლიერებულ ტენდენციას იჩენდა. განგის დელტის თბილ ჭაობებში ჩასახული, აღმოცენებული იმ პირველყოფილ უღრანსა და ურჩხ ტევრთა ჭარბ და უმაქნის საუფლოს ამმორებულ ოხშივართან ერთად, საღმობა დიდხანს და უჩვეულოდ მწვავედ მძვინვარებდა ჰინდუსტანში, აღმოსავლეთით – ჩინეთში, ხოლო დასავლეთით ავღანეთსა და სპარსეთში შეიჭრა და მთავარ საქარავნო გზებს ადევნებული მთელი თავისი საშინელებანით ასტრახანამდე და თვით მოსკოვამდეც კი მიაღწია. ჰოდა, ვიდრე ევროპა კანკალებდა, რომ იქიდან ქოლერის აჩრდილი ხმელეთით მასაც ეწვეოდა, სირიელმა ვაჭრებმა იგი ზღვით შემოიტანეს და თითქმის ერთდროულად ხმელთაშუა ზღვის რამდენიმე ნავსადგურში იჩინა თავი. ტულონსა და მალაგაში ამოიყურყუმაღავა, პალერმოსა და ნეაპოლში მრავალგზის გაიელვა მისმა მრისხანე სახემ და, როგორც ჩანდა, სულაც აღარ აპირებდა ვალაბრიისა და აპულიოს მიტოვებას. ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი გადაურჩა, მაგრამ ამა წლის მაისის შუა რიცხვებში ვენეციაში ერთსა და იმავე დღეს საშინელი ვიბრიონები აღმოჩენილ იქნა მენავის შეგირდისა და მემწვანილე დედაკაცის გამოფიტულ და გაშავებულ გვამებში. ეს ამბავი დამალეს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ასეთი შემთხვევა უკვე ათი იყო, შემდეგ ოცი, ოცდაათი, და თანაც სულ სხვადასხვა კვარტალში. ვინმე ავსტრიული პროვინციის მკვიდრი, რომელსაც თავისდა

საამებლად რამდენიმე დღე გაეტარებინა ვენეციაში, მშობლიურ პატარა ქალაქში დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა არცთუ ორთხროვანი სიმპტომებით და ამ გზით პირველმა ხმებმა ლაგუნაზე გაშენებული ქალაქის უკეთურ მდგომარეობაზე გერმანულ გაზეთებში გამოჟონა. ვენეციის ხელისუფლებამ ამაზე უპასუხა: ქალაქის სანიტარიული პირობები ისეთია, რომ უკეთესი არ შეიძლებაო და სენტან საბრძოლველად საჭირო ღონისძიებანი მიიღო. მაგრამ, როგორც ჩანდა, ინფექციამ სურსათში შეაღწია, ბოსტნეულში, ხორცსა და რძეში, რადგან უარყოფილი და მიჩქმალული ეპიდემია მუსრს ავლებდა ხალხს ვენეციის ვიწრო ქუჩაბანდებში. ნაადრევი ზაფხულის სიცხე, რომელმაც არხებში წყალი გაათბო, განსაკუთრებით ხელს უწყობდა მის გავრცელებას. ლამის ისიც ვიფიქრა ვაცს, რომ სენმა ახალი ძალა მოიკრიბა და მის აღმძვრელთა მდგრადობა და ნაყოფიერება გაორკეცდაო. მორჩენის შემთხვევა იშვიათი იყო; ასი ავადმყოფიდან ოთხმოცი კვდებოდა, თანაც საშინელი ტანჯვა-წამებით, რადგან სნეულება უკიდურესად მწვავედ მიმდინარეობდა და ხშირად იმ უსაშინლეს ფორმას იღებდა, რომელსაც „მშრალს“ უწოდებდნენ. ამგვარ შემთხვევებში სხეული ველარ ახერხებდა სისხლძარღვებიდან წყლის დიდი რაოდენობით გამოყოფის ალაგმვას. რამდენიმე საათის განმავლობაში ავადმყოფი სულ ერთიანად გამოშრებოდა და იხრჩობოდა ფისივით ბლანტი სისხლისგან, საშინელი კრუნჩხვებითა და ხრინჩიანი გმინვით. კიდევ კარგი, თუ, როგორც ეს ზოგჯერ ხდებოდა, შეტევა იოლად, ცუდად გახდომის შემდეგ იწყებოდა და ღრმა გონებაშიხდილობის ფორმით მიმდინარეობდა. ამ მდგომარეობიდან სნეული ან სულ, ანდა თითქმის სულ ველარ გამოდიოდა. ივნისის დამდეგს ჩუმ-ჩუმად გაივსო Ospedale civico[4]-ს საიზოლაციო ბარაკები, ობოლთა ორივე სახლში ადგილები აღარ ჰყოფნიდათ და შემადრწუნებლად გაცხოველებული მიმოსვლა დამყარდა ახალ შენობათა სანაპიროსა და კუნძულ სან მიკელეს შორის, რომელზედაც სასაფლაო იყო. მაგრამ საყოველთაო ბარალის შიში, ამას წინათ საზოგადოებრივ ბაღში გახსნილი ნახატების გამოფენის ინტერესები, გაკოტრების საფრთხე, რომლის წინაშეც აღმოჩნდებოდნენ ამ ამბის გახშიანებისა და პანიკის შემთხვევაში ოტელები, სავაჭროები, მთელი მრავალმაგი ტურისტული წარმოება, ამ ქალაქში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სიმართლის სიყვარული და საერთაშორისო ხელშეკრულებათა პატივისცემა. სწორედ ამ შიშმა აიძულა ხელისუფლება, ჯიუტად მიჰყოლოდა მიჩქმალვისა და უარყოფის პოლიტიკას. ვენეციის სამედიცინო სამსახურის უფროსი, ფრიად დვანლმოსილი ვაცი, აღშფოთებული გადადგა თანამდებობიდან და იგი გაუხმაურებლად უფრო გამგონე პიროვნებით შეცვალეს. ხალხმა იცოდა ეს. მაღალი წრეების კორუფციამ ირგვლივ გამეფებულ გაურკვევლობასა და საგანგებო მდგომარეობასთან ერთად, რომელშიაც ქალაქი მასში მოთარეშე სიკვდილმა ჩააგდო, დაბალი ფენების გარკვეული მორალური აღვირახსნილობა გამოიწვია, ბნელი, ანტისოციალური მიდრეკილებანი წაახალისა, რაც თავშეუკავებლობასა და დანაშაულთა გახშირებაში გამოიხატა. სადამოობით ქუჩები სავსე იყო მთვრალეებით, რასაც უწინ ვერ ნახავდით. ამბობდნენ, რომ ბოროტმზრახველთა გამო ღამით ქალაქში გავლა სახიფათო იყო. გახშირდა მძარცველთა თავდასხმები და მკვლელობებიც კი. ბარე უკვე ორჯერ გამოირკვა, რომ ვითომდა ეპიდემიის მსხვერპლნი სინამდვილეში ნათესავებს მოენამლათ და ისე გაესტუმრებინათ საიქიოს; პროფესიულმა გარყვნილებამაც ისეთი თავხედური და აღვირახსნილი ფორმები მიიღო, როგორიც უწინ აქაურობისთვის უცხო იყო და მხოლოდ ქვეყნის სამხრეთში და საერთოდ აღმოსავლეთში თუ შეხვდებოდით.

აი, უმთავრესი იქიდან, რაც ინგლისელმა აშენბახს მოუთხრო, და ბოლოს დაასკვნა: – კარგს იზამთ, ხვალისთვის თუ არ გადადებთ და დღესვე გაემგზავრებით. ორიოდ დღეში უთუოდ კარანტინს გამოაცხადებენ.

– გმადლობთ, – მიუგო აშენბახმა და ბიუროდან გამოვიდა.

მოედანზე უმზეო პაპანაქება იდგა. უცხოელები, რომელთაც არაფერი იცოდნენ, კაფეების წინ ისხდნენ, ანდა მტრედებით დახუნძლულ ტაძართან იდგნენ და უცქეროდნენ, როგორ ირეოდნენ, ფრთხილებდნენ, ერთმანეთს აძევებდნენ ეს ფრინველები და ხელისგულიდან სიმინდის მარცვლებს ჰკენკავდნენ. აღელვებული, ციებ-ციხელება ატანილი და მოზეიმე, რომ სიმართლეს მიაკვლია, თან ზიზღისმომგვრელი გემოთი პირში და საარაკო ურვით მოცული წინ და უკან დააბიჯებდა მარტოეული აშენბახი დიდებული სტოვას ფილებზე. სინდისის განმწმენდი და წესიერი ნაბიჯის აწონ-დანონით იყო გართული. დღეს სადამოსვე, სადილის შემდეგ, შეეძლო მისულიყო მარგალიტებით

მორთულ ბანოვანთან და ეთქვა, უკვე სიტყვებიც კი ჰქონდა შერჩეული: „ნება მიბოძეთ, ქალბატონო, მე, სრულიად უცხოს, რჩევა მოგცეთ. გაგაფრთხილოთ, გითხრათ ის, რაც ანგარებამ დაგიძალათ, დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ ტაძიოსა და თქვენს ქალიშვილებთან ერთად! ვენეციაში ეპიდემია მძვინვარებს!“ მაშინ შეეძლება დამცინავი ღვთაების იარაღად ქცეულ ბიჭუნას გამოთხოვების ნიშნად თავზე ხელი შეახოს, შემდეგ გამოტრიალდეს და გაიქცეს ამ ჭაობიდან. მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, რა უსასრულოდ შორს იყო იმისგან, რომ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა სერიოზულად განეზრახა. ასეთი რამ უკან დააბრუნებდა, ისევ იმად აქცევდა, რაც წინათ იყო. მაგრამ იმისთვის, ვინც ერთხელ დასძლია საკუთარი თავი, არაფერია ისე საძულველი, როგორც საკუთარ თავთან დაბრუნება. თეთრი ნაგებობა გაახსენდა, დაისის სხივებში მოციანვე წარწერებით შემკული, რომელთა გამჭვირვალე მისტიკაში გონების თვალთ ჩაიძირა. შემდეგ იმ საკვირველი მოგზაურის ფიგურაც, რომელმაც მას, ხანში შესულ ადამიანს, შორეულ და უცხო მხარეებში მოგზაურობის ბობოქარი ჭაბუკური ვნება გაუღვიძა; და აბრი შინ დაბრუნებაზე, გონივრულობასა და სიფხიბლებზე, ჯაფასა და ოსტატობაზე იმდენად აუტანელი მოეჩვენა, რომ სახეც კი აემღვრა ფიზიკური ზიზღის გამოშხატველი გრიმასისგან. „კრინტი არ უნდა დავძრა“, – ჩურჩულებდა იგი დაუინებით. და კიდევ: „კრინტსაც არ დავძრავ!“ იმის შეგნება, რომ ისიც თანამონაწილე იყო, რომ მასაც ბრალი ედებოდა, ბარხოშს ჰგვრიდა, აბრუებდა, ისევე როგორც ცოტაოდენი ღვინო ათრობს დაღლილ გონებას. ინფექციამოდებული და გაპარტახებული ქალაქის სურათი რიალებდა მის თავში და გაუგონარ, გონებისთვის მიუწვდომელ და ენით უთქმელად სანუკვარ იმედებს უღვიძებდა. აბა, რას წარმოადგენდა ის მაღალი ბედნიერება, რომელზედაც ეს-ეს არის ოცნებობდა, ამ მოლოდინთან შედარებით? აბა, რას აქნევდა ხელოვნებასა და სიქველეს, თუკი მათ ქაოსის სიამენი დაუპირისპირდებოდნენ? კრინტი არ დაუძრავს და დარჩა.

იმ ღამეს აშენბახმა საშინელი სიზმარი ნახა, – თუკი შეიძლება სიზმარი ეწოდოს ხორციელად და სულიერად განცდილს, რომელიც, მართალია, ღრმა ძილში სრულიად თავისთავადად და ცხადლივ იხილა, მაგრამ ისე კი არა, რომ თავი ამბავთა მკვლელობის გარეშე, სივრცეში დამოუკიდებლად მყოფად ეგრძნო, არამედ მოქმედების ასპარეზი უფრო მისი სული იყო თავად და ამბები გარედან შემოიჭრნენ, ფეხქვეშ გათელეს მისი წინააღმდეგობა – მძაფრი ინტელექტუალური წინააღმდეგობა, ითარემეს და მისი არსებობა, მისი ცხოვრების კულტურა აიკლეს და გაანადგურეს.

შიში იყო დასაწყისი, შიში და გულისწადილი, და კიდევ – ძრწოლით აღსავსე ცნობისმოყვარეობა იმისადმი, რაც უნდა მომხდარიყო. ღამე სუფევდა და გრძნობები გამახვილებული ჰქონდა, უკეთუ შორიდან რაღაც აურზაური ახლოვდებოდა, ერთმანეთში არეული ხმები ისმოდა: თქარათქური, ჟღარუნი, დგანდგარი და ყრუ ქუხილი, გამყინავი შეძახილები და საცნაური ღმუილი – გაბმული „უ“ ბგერა, – ყოველივე ამას მსჭვალავდნენ და ხანაც ამაჟრჟოლებლად ტკბილად ახშობდნენ უნიანად მოღუღუნე ფლეიტის ჰანგები, რომელნიც თვით შიგნეულშიაც კი ატანდნენ ურცხვად და აჯადოებდნენ ადამიანს. მაგრამ მან იცოდა სიტყვა, რომელიც ბუნდოვნად, მაგრამ მაინც სახელს არქმევდა იმას, რაც ახლოვდებოდა: „უცხო ღვთაება!“ ღველფის მცხუნვარე ოხშივარი ავარდა მაღლა და აშენბახის მზერას მისი აგარაკის მსგავსი მთაგორიანი ადგილი წარმოუდგა. დაფხავებულ სინათლეში, ტყით შემოსილი მაღლობიდან ზვავით მოსწდნენ, ხეებსა და ხავსმოდებულ ტინის ლოდებს შორის მოგორავდნენ ადამიანები, ცხოველები, გუნდ-გუნდად, მძვინვარე ურდობად და მთელი ფერდობი წალეკვს სხეულებით, ცეცხლის ალებით, ზიზღითა და თავბრუდამხვევი ფერხულით. დიაცებს ფეხებში ებლანდებოდათ ნადირთა ერთობ გრძელი ტყავები, რომლებიც წელს ქვემოთ ერტყათ, თავები უკან გადაეგდოთ და გმინვით აჟღერებდნენ დაირებს, იქნევდნენ მამხალებს, რომელთაც ნაპერწკლები სცვიოდათ აქეთ-იქით, და გამომვლებულ ხანჭლებს; ზოგს ენამოსარსარე გველისთვის შუა ტანზე წაეწლო ხელი და ისე მოჰქონდა, ზოგსაც საკუთარი ძუძუები ეპყრა ხელთ და კვილით მორბოდა. რქოსანი და ბანჯგვლიანი მამაკაცები, რომელთაც წინსაფრებივით ეკიდათ ნადირის ტყავის ნაფლეთები და თავები წინ წაეხარათ, ხელ-ფეხს იქნევდნენ, სპილენძის წინწილებს აქუხებდნენ და გააფრთებით სცემდნენ ბობლანებს, მაშინ როდესაც ჩატრუკნული ბიჭები მწვანე ყლორტებით შემოგრაგნილი კვერთხებით ვაცებს სჩხვლეტდნენ ფერდებში, თან რქებში ჩაბლაუჭებულნი ყიჟინას სცემდნენ, როდესაც თხები შეიკუნტრუშებდნენ და მათაც თან აითრევდნენ ხოლმე. ყველანი გატაცებით გაიძახოდნენ

იმ სახელს, რომელიც რბილი თანხმოვნებისგან შესდგებოდა, გაბმული „უ“ ახლდა ბოლოში და ერთსა და იმავე დროს გაუგონრად ტკბილიცა და ველურიც იყო. ერთგან ისე გუგუნებდა ჰაერში, თითქო ირემი ყვირისო, მეორეგან მას გამოძახილის დარად მრავალმაგი ხმა ეპასუხებოდა შლევური ზარ-ზეიმით. ამ სახელით მოუხმობდნენ ერთმანეთს ფერხულისა და როკვისკენ. განუწყვეტლივ გაისმოდა იგი, მაგრამ ყოველივეს მსჭვალავდა, ყოველივეს განაგებდა ფლეიტის დაბალი მიმზიდველი ჰანგები და განა მასაც არ იზიდავდა, მას, რომელიც უარყოფდა და მაინც განიცდიდა ამ ღრეობას? განა ურცხვად და დაჟინებით არ მოუხმობდა ზეიმისკენ, უზენაესი და უსაზომო მსხვერპლისკენ? დიდი იყო მისი ზიზღი, ძრწოლა, პატიოსანი – მისი სწრაფვა, ბოლომდე დაეცვა თავისი მეობა ამ უცხოსგან, მედგარი და ღირსეული სულისთვის მტრული ფენომენისაგან. მაგრამ ღრიანცელი, ყმუილი, მთის ხმიერი ექოთი გაათკეცებული, მძლავრობდა, იზრდებოდა და შლევურ ორომტრიალში ხვევდა აშენბახს. ათასგვარი სუნი უბურავდა გონებას, მწვავე სიმყრალე თხათა, აქომინებულ სხეულთა ოფლის ოხშივარი და შეტბორებული წყლის დამბალი მონაბერის მსგავსი რაღაც; ამას ერთვოდა კიდევ ნაცნობი სუნი, იარებისა და მოარული საღმობის სუნი. ბობლანთა ბრაგუნზე გულიც უფეთქავდა, თავბრუ ეხვეოდა, ბრაზი მოერია, დაბრმავდა, ავხორცულმა ზარხომმა აიტანა და სულმა მისმა ღმერთის ფერხულში ჩაბმა მოინადინა. უხამსი სიმბოლო, ვეება ხისგან გამოთლილი, გამოხსნეს და აღამაღლეს. მაშინ კიდევ უფრო აღვირახსნილად იწყეს ლაშლაში და იმ საცნაური სახელის ძახილი. პირზე დუჟმორეულნი ბობოქრობდნენ, ერთმანეთს ახელებდნენ მრუში მოძრაობით და ხელების ჟინმორეული ლაციცით; სიცილითა და ხვნემით ურჭობდნენ ერთიერთს ეკლიან კვერთხებს სხეულში და გადმომთქრიალე სისხლს ულოკავდნენ. მაგრამ მათთან ერთად და მათშიაც იყო ის, ვინც სიზმარს ხედავდა, მონა-მორჩილი უცხო ღვთაებისა. უფრო მეტიც: ეს თვითონ იგი იყო, ოდეს ისინი გააფთრებით დასდევდნენ მხეცებს, ხოცავდნენ და ნაფლეთ-ნაფლეთ სთქვლევდნენ მათ თბილ ხორცს, ოდეს გადათხრილ ხავსიან ნიადაგზე განურჩეველი შუღლი დაიწყო, ზვარაკად ღვთაებისა. და მისმა სულმა იგემა სიძვა და დამღუპველი გახელებაც იწვინა.

ამ სიზმრიდან აშენბახი მოთენთილი და გატეხილი გამოერკვა. ახლა უკვე დემონის ყურმოჭრილი მონა იყო. უკვე აღარ ეშინოდა, თუ ვისიმე დაკვირვებულ მზერას დაიჭერდა. აღარ დაგიდევდათ, ვინმეს ეჭვს აღუძრავდა თუ არა. მით უმეტეს, რომ ყველა გარბოდა, ეცლებოდა იქაურობას; პლაჟზე მრავალი კაბინა ცარიელი იყო, სასადილო დარბაზშიც საგრძნობლად შეთხელდა ხალხი და ქალაქში უცხოელს იშვიათად თუ შეხვდებოდი. სიმართლემ, როგორც ჩანდა, გამოჟონა და პანიკის თავიდან აცილება, მიუხედავად დაინტერესებულ პირთა მედგარი ერთობლივი წინააღმდეგობისა, უკვე აღარ შეიძლებოდა. მაგრამ მარგალიტებით შემკული ბანოვანი თავისიანებითურთ არსად მიდიოდა, იმიტომ თუ, რომ ხმებს მის ყურამდე არ მიეღწია, ანდა შეიძლება ამაყი და უშიშარი იყო და ხმებს არ ასდევდა. ასე რომ, ტაძიო აქ იმყოფებოდა და ვნებით შეპყრობილ აშენბახს ჟამიდან ჟამზე ეჩვენებოდა, რომ გახიზვნა და სიკვდილი ირგვლივ ყოველ ხელშემშლელ სულდგმულს აღგვიდა და ის მართოდმართო დარჩებოდა ტურფა ტაძიოსთან ერთად ამ კუნძულზე. უფრო მეტიც: ოდეს იგი დილით ზღვის პირას თავის მძიმე, დაჟინებულ, მიუტევებელ მზერას სასურველ არსებას მიაპყრობდა, ან ოდეს საღამოს ბინდბუნდში სამარცხვინოდ დასდევდა ქუჩაბანდებში, რომლებშიაც ამაზრზენი სიკვდილი დაძრწოდა შეფარვით, მაშინ გაუგონარი რამ დასაშვებად და ბნეობრივი კანონი ძალადაკარგულად ესახებოდა.

როგორც ყველა მიჯნურს, მასაც სურდა, თავი მოეწონებინა და აძრწუნებდა აზრი, რომ ეს შეუძლებელი იყო. კოსტიუმს ახალგაზრდულად ღია ფერის დეტალებს ურთავდა, პატიოსან თვლებს იკეთებდა და სუნამოს ისხურებდა; დღეში რამდენჯერმე აუარებელ დროს ანდომებდა ტუალეტს და სასადილო დარბაზში გამოპრანჭული, აღელვებული და აღგზნებული ჩადიოდა ხოლმე. სანუკვარი ყმანვილის წინაშე, რომლითაც იყო მოხიბლული, თავისი სიბერეში შესული სხეული ეზიზღებოდა; ჭაღარა თმისა და წაწვეტებული სახის ნაკვთების შემყურეს კდემა და უსასოობა ეუფლებოდა, ფიზიკურად გარდაქმნა და გადახალისება სწყუროდა. ოტელის საპარიკმახეროს ხშირი სტუმარი გახდა.

სავარძლის საზურგეზე გადასვენებული და თეთრ ბენარაფარებული, ყბედი დალაქის მზრუნველ ხელთა ქვეშ, განანამები მზერით უჭვრეტდა იგი თავის გამოსახულებას სარკეში.

– ეჰ, უკვე ჭაღარა ვარ, – ჩაილაპარაკა მან და თან პირი წყენისგან გვერდზე მოექცა.

– დიახ, ცოტათი, – მიუგო დალაქმა. – და უნდა მოგახსენოთ, რომ ამაში ცოტათი თქვენს დაუდევრობასაც, საკუთარი გარეგნობისადმი გულგრილობას მიუძღვის ბრალი, რაც ღირსშესანიშნავ პიროვნებათა მხრივ სრულიად გასაგები, მაგრამ არცთუ აუცილებლად სანაქებო ამბავია. მით უმეტეს, რომ სწორედ ამგვარ ადამიანებს არ შეჰფერით ცრურწმენები ჰქონდეთ იმის შესახებ, რომ ყველაფერი აუცილებლად ბუნებრივი უნდა იყოს, თუ ხელოვნურიც შეიძლება დაშვებულ იქნეს. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებდით და ზოგიერთთა ამგვარ მნებობრივ სიძვაცრეს კბილებზედაც გავავრცელებდით, ბევრი ამას კურიოზად მიიჩნევდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ იმაზე ხნიერნი არ ვართ, ვიდრე ამას ჩვენი სული და გული აღიქვამს და ჭაღარა თმა ზოგჯერ უფრო ცრუობს, ვიდრე მისი კორექტურა, რომელიც სამარცხვინოდ მიაჩნიათ. თქვენ, მაგალითად, ბატონო ჩემო, უფლება გაქვთ თქვენს ბუნებრივ თმის ფერზე, და თუ ნებას მიბოძებთ, მას ახლავე დაგიბრუნებთ.

– ეს როგორ? – იკითხა აშენბახმა.

მაშინ ენამჭევრმა დალაქმა სტუმარს თავი ორნაირი წყლით დაბანა, ჯერ ღია ფერისაში, შემდეგ მუქში და აშენბახს თმა ისე გაუშავდა, როგორც ახალგაზრდობაში ჰქონდა. შემდგომ ამისა სახვევი მაშით თმა ნაზად დაუტალღა, უკან დაიხია და თავისი ნახელავი შეათვალიერა.

– ახლა ისლა დაგვრჩენია, – თქვა მან, – რომ სახის კანიც ოდნავ გადავახალისოთ.

და იმ ხელოვანის დარად, რომელსაც ვერა და ვერ დაუმთავრებია სამუშაო, ვერა და ვერ უჯერებია გული, იგი დაუცხრომლად გადადიოდა ერთი მანიპულაციიდან მეორეზე.

სავარძელში მარჯვედ მჯდარი აშენბახი, რომელსაც არათუ წინააღმდეგობის განევის უნარი აღარ შესწევდა, არამედ, პირიქით, უფრო გამხნევებული და აღელვებულის კი იყო იმით, რაც ხდებოდა, ხედავდა სარკეში, რომ წარბები უფრო მკაფიოდ და თანაბარზომიერად მოემშვილდა, თვალების ჭრილი დაუგრძელდა და იმის წყალობით, რომ ქუთუთოები ოდნავ მოუხატა ფანქრით დალაქმა, მათ ელვარებაც მოემატათ, ხოლო უფრო ქვევით, სადაც კანი გახევებული და მოყავისფრო ჰქონდა, კარმინის ოდნავმა შეხებამ ღაწვები ვარდისფრად შეუფაკლა, ეს-ეს არის სისხლნაკლულ ტუჩებზე ჟოლოსფერი წაეკიდა, ნაოჭები ლოყებზე, პირის ირგვლივ, თვალების უპეებში ნელსაცხებლისა და ტუალეტის წყლის გემოქმედებით გაუჩინარდა და აშენბახმა გულისძგერით შენიშნა, რომ სარკიდან მას შეღერებული ჭაბუკი უმბერდა. ბოლოს კოსმეტიკოსმა გული იჯერა და, როგორც ეს მისი ჯურის ხალხს სჩვევია, ფარისევლური თავაზიანობით მადლობა გადაუხადა იმას, ვისაც მოემსახურა.

– უმნიშვნელო შემწეობა აღმოგიჩინეთ, – დაუმატა მან და თან უკანასკნელი წვრილმანი კორექტივი შეიტანა აშენბახის გარეგნობაში. – ახლა, ბატონო ჩემო, არხეინად შეგიძლიათ ვინმეს გაუმიჯნურდეთ.

და ისიც ფრთაშესხმული, საოცნებოდ გაბედნიერებული, თავგზააბნეული და შემკრთალი წამოვიდა. წითელი ჰალსტუხი ეკეთა და ფართოკიდებიან ჩალის ქუდს ჭრელი ბაფთა უმშვენებდა.

თბილი, გრიგალის მაუნყებელი ზღვაური ამოვარდა. დროდადრო წამოწინწკლავდა, მაგრამ ჰაერი ნოტიო, მძიმე და სიღამპლის ოხშივარით იყო აქოთებული. ყურები ბარტყუნით, დგაფუნით, ზუზუნით ჰქონდა გამოჭედილი და აშენბახს ეჩვენებოდა, თითქოს სივრცეში ქარის ავი სულები დარიალებდნენ, თითქოს ზღვის ამაზრზენი ფრინველები ტუსადის ულუფას კორტნიდნენ, ძიძგნიდნენ და სკინტლით ბილწავდნენ. უკეთუ პაპანაქება მადას უკარგავდა ადამიანს და რატომღაც ისეთი გრძობა გეუფლებოდათ, თითქო კერძები საღმობის აღმძვრელობით იყო მოწამლული.

ერთხელ, ნაშუადღევს, პირმშვენიერი ტაძიოს დევნით გართული აშენბახი სწული ქალაქის ქუჩაბანდთა ლაბირინთის სიღრმეში შეიჭრა და ორიენტაცია დაკარგა, რადგან მუკები, არხები, ხიდები და მოედნები ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ჰორიზონტის მხარეებიც აღარ იცოდა, სად რომელი იყო, რადგან მხოლოდ იმასლა ფიქრობდა, რომ დევნის საგანი, სანატრელი ხატება, თვალთაგან არ დაჰკარგვოდა, იძულებული, სამარცხვინო სიფრთხილე დაეცვა, ხან კედელს აჰკვროდა და ხან წინ მიმავალთა ზურგს

უკან დამალულიყო, დაღლილობას ვედარ გრძნობდა, ვედარ გრძნობდა, როგორ გამოუფიტა განცდებმა და განუწყვეტელმა დაძაბულობამ სხეულიცა და სულიც. ტაძიო უკან მისდევდა თავისიანებს, ვინრო გასასვლელებში, როგორც წესი, წინ გაატარებდა გუვერნანტ ქალს, მონაზონთა მსგავს დებს და მათ უკან მართოდ მიმავალი, დროდადრო თავს მოაბრუნებდა, მხარს უკან გამოაპარებდა საოცრად მონაცრისფრო მწუხრისფერ თვალთა მზერას, რათა დარწმუნებულიყო, მისდევდა თუ არა თავყვანისმცემელი. დაინახავდა მას, მაგრამ გაცემით კი, არ გასცემდა. ამ აღმოჩენით მთვრალი აშენბახი, ტაძიოს თვალებით ანდამატურად მიზიდული, ვნებათაღელვის ოინბაზურ საბელზე გამობმული, ასდევნებოდა თავის უხამს სასოებას. მაგრამ ბოლოს მაინც დაკარგა იგი. პოლონელებმა რადიკალურად ამოზნეფილი ხიდი გადალახეს და მდევარმა თაღის სიმაღლის გამო თვალთახედვიდან დაკარგა ისინი. ხოლო როდესაც, თავის მხრივ, ისიც ავიდა ხილზე, ტაძიო და მისი ახლობლები უკვე აღარსად ჩანდნენ. სამივე მიმართულებით ეძება ისინი, პირდაპირ და ვინრო, უსუფთაო სანაპიროს გასწვრივ ორივე მხარეს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ნერვიულმა გადადღამ და საერთო სისუსტემ აიძულა, ძებნაზე ხელი აეღო.

თავი უხურდა, მთელ ტანზე ნებოვანი ოფლი ადგა და სხეული უცახცახებდა. წყურვილი ახრჩობდა და აქეთ-იქით იხედებოდა, რომ რითიმე პირი დაესვლებინა. ბოსტნეულის რომელიღაც პატარა დუქნის წინ ცოტაოდენი მარწყვი იყიდა, გადამწიფებული, დაჭყლეთილი და გზადაგზა შეეჭკა. მის წინ მოჭადოებულებით უკაცრიელი პატარა მოედანი გადაიშალა და აშენბახმა იცნო, ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც რამდენიმე კვირის წინათ ვენეციიდან გაქცევის გეგმა მიიღო, რომლის განხორციელებაშიც შემდეგ ხელი მოეცარა. მოედნის შუაგულში ჩამოჭდა წყალსაცავის საფეხურებზე და თავი მის გალავანს მიაყრდნო. სიჩუმე სუფევდა, ქვაფენილზე ბალახს ამოეხეთქა. ყველგან ნაგავი ეყარა. ირგვლივ შემოჭარული არათანაბარი სიმაღლის ქარცემული სახლებიდან ერთი გამოირჩეოდა, რომელიც სასახლეს ჰგავდა. მის ისრულ სარკმელთა მიღმა სიცარიელეს დაესადგურებინა. პატარა აივნებს ლომები ამკობდნენ. მეორე სახლის ქვედა სართულზე აფთიაქი იყო. ქარის თბილ მონაბერს დროდადრო კარბოლის სუნი მოჰქონდა.

იქ იჯდა დიდოსტატი, სახელმოხვეჭილი ხელოვანი, „უბადრუკის“ ავტორი, რომელმაც ეგზომ სანიშუმოდ დახვეწილ ფორმაში გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება ბოჰემისა და ყოფიერების მღვრიე სიღრმეებისადმი, უფსკრულის ცდუნებას სძლია და დაჰგმო დასაგმობი, აღზევებული, მძლე საკუთარი ცოდნისა და გადამლახავი ყოველგვარი ირონიისა, მასების მოკრძალებულ ნდობას ჩვეული, ის, ვისი სახელიც ოფიციალური გახდა, ვისაც აზნაურობა მიაკუთვნეს და ვის სტილსაც მისაბამ მაგალითად უსახავდნენ ბავშვებს სკოლაში, – ის იჯდა იქ, ქუთუთოები დაბლა დაეხარა და მხოლოდ ჟამიდან ჟამზე იჩქითად გამოკრთებოდა ხოლმე მათ ქვემოდან და იმნამსვე გაუჩინარდებოდა ირიბული, დამცინავი და შეურვებული მზერა, ხოლო მისი დამჭკნარი ტუჩები, კოსმეტიკით ოდნავ შეფერილნი, ჩურჩულებდნენ ცალკეულ სიტყვებს იქიდან, რაც უცნაური ზმანების ლოგიკურობით წარმოიქმნებოდა მის ნახევრად მთვლემარე ტვინში.

„უკეთუ მშვენიერებაა, ფედროს, კარგად დაიმახსოვრე ეს, მხოლოდ მშვენიერება ღვთაებრივიც და ხილულიც ამავე დროს. მაშასადამე, იგი გრძნობადის გზაა, პატარა ფედროს, ხელოვანის გზაა სულისკენ. მაგრამ განა შეიძლება დაიჯერო, ჩემო ძვირფასო, რომ ის, ვისთვისაც სულისკენ მიმავალი გზა გრძნობაზე გადის, ოდესმე სიბრძნესა და ჭეშმარიტ მამაკაცურ ღირსებას მიაღწევს? ან იქნებ უფრო ისა გგონია (შენთვის მომინდვია ამის გადანყვეტა), რომ ეს საამური, მაგრამ სახიფათო გზაა, ჭეშმარიტად დამღუპველი ცოდვის გზა, რომელიც აუცილებლად წაწყმენდისკენ მიემართება? უკეთუ უნდა უწყოდე, რომ ჩვენ, პოეტებს, ისე არ ძალგვიძს მშვენიერების გზით ვიდოდეთ, თუ ეროსი არ გვახლავს თან და წინამძღოლობას არ იჩემებს. დაე, თუნდაც თავისებურად გმირები და გამობრძმედილი მეომრები ვიყოთ, მაინც დიაცებს ვემსგავსებით, ვინაიდან ტრფიალი აღგვამაღლებს, ხოლო ჩვენი კაეშნიანი ლტოლვა მარად სიყვარული უნდა იყოს, – ესაა ჩვენი თავშექცევაც და თავლაფდასხმაც. ახლა, მე მგონი, ხედავ, რომ ჩვენ, პოეტებს, არც ბრძენნი შეგვიძლია ვიყოთ და არც ღირსეულნი, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა შევტოპოთ. აუცილებლად ფუქსავატობა და გრძნობის ავანჩავანობა გავწიოთ. ჩვენი ოსტატობის სტილს სიცრუე და ოინბაზობა წარმოადგენს, ჩვენი სახელი, დიდება და პატივი, რომელსაც გვდებენ – მტკნარი სისულელეა, ბრბოს ნდობა ჩვენდამი – უდიდესი კურიოზი, ხოლო ხალხისა და ახალგაზრდობის აღზრდა ხელოვნების მეშვეობით – ერთობ

გაბედული და მანვე წამოწყება. უკეთუ როგორ შეიძლება აღმზრდელად გამოდგეს ის, ვისაც იმთავითვე უფსკრულისკენ ლტოლვა აქვს თანდაყოლილი? ჩვენ შეგვიძლია ბურგი ვაქციოთ ამ უფსკრულს და ღირსება მოვიპოვოთ, მაგრამ რამდენიც უნდა ვიჩალოთ, იგი მაინც გვიზიდავს. ასე უარყოფთ დამანანევრებელ შემეცნებას, რადგან შემეცნებას, ფედროს, ღირსება და სიმკაცრე არ გააჩნია, იგი მცოდნეა, გამგები, მიმტევებელი, მდგრადობისა და ფორმის გარეშე; უფსკრულისკენ მიილტვის, თავად არის უფსკრული. ასე რომ, მას გადაჭრით უარყოფთ და ამიერიდან მარტოოდენ მშვენიერებას ვეძიებთ, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, უბრალოებას, სიღიადეს, ახალ სიმკაცრეს, მეორეულ სიხალასეს და ფორმას, მაგრამ ფორმა და სიხალასე, ფედროს, ბარხოშა და გულისთქმას გვიღვიძებენ და კეთილშობილი სული შეიძლება ისეთ შემადრწუნებელ გულარძნილობამდე მიიყვანონ, როგორსაც მისი მშვენიერი სიმკაცრე გმობს, შეიძლება და კიდევ მიიყვანენ უფსკრულამდე. გეუბნები, ჩვენ, პოეტებს, იქით მიგვიძღვიან ისინი, უკეთუ მხოლოდ გზიდან გადავარდნა ძალგვიძს და არა აღმაფრენა. ახლა მე მივდივარ, ფედროს, შენ კი აქ დარჩი; და მხოლოდ მაშინ, როდესაც თვალს მივეფარები, წამოდი შენც“.

რამდენიმე დღის შემდეგ აშენბახი თავს უქეიფოდ გრძნობდა და დილით ოტელიდან ჩვეულებრივზე უფრო გვიან გამოვიდა. ცდილობდა, როგორმე დაეძლია თავბრუსხვევა, რომელიც დროდადრო შემოუტევდა ხოლმე. ის მხოლოდ სანახევროდ იყო ფიზიკური ხასიათისა და სულ უფრო და უფრო მზარდი შიში ახლდა თან, გამოუსავლობის, უპერსპექტივობის განცდა. ამასთან ვერ გეტყობათ, გარე სამყაროსაც შეეხებოდა იგი, თუ მხოლოდ მის საკუთარ არსებობას. ვესტიბიულში გასაგზავნად დამზადებული ბარგის მთელი გროვა შენიშნა, მეკარეს შეეკითხა, ვინ მიემგზავრებაო და პასუხად პოლონური არისტოკრატიული გვარი მოახსენეს, რომელსაც ფარულად დიახაც იცნობდა. ამის გაგონებაზე არც ერთი ნაკვთი არ შეტოკებულა მის მიხრწნილ სახეზე, მხოლოდ ოდნავ ბეასწია თავი, თითქოს შემთხვევით შეიტყო ისეთი რამ, რაც არ უნდა სცოდნოდა, და კიდევ შეეკითხა: როდისო? ამაზე მეკარემ მიუგო: „მეორე საუზმის შემდეგო“. აშენბახმა თავი დაუქნია და ზღვისკენ გაემართა.

მიუსაფარი იყო იქაურობა. წყლის ფართო და გლუვ ბოლს, რომელიც პლაჟს გრძლად გადაჭიმული პირველი მეჩეჩისგან ჰყოფდა, ჟრუანტელივით უვლიდნენ, ზღვის მიმართულებით მიგორავდნენ ტალღები. შემოდგომისა და დრომოჭმულობის დაღი ესვა ამ ოდესლაც ჟივილ-ხივილით აღსავსე, ფერად-ფერადად შემკულ და ამჟამად კი თითქმის მიტოვებულ დასასვენებელ ადგილს, სადაც უკვე ქვიშასაც კი აღარ ინახავდნენ სუფთად. ფოტოგრაფიული აპარატი უპატრონოდ იდგა სამფეხა შტატივზე ზღვის კიდესთან და ზედ გადაფარებული შავი ნაჭერი ბარტყუნით ფრიალებდა ცივ ქარში.

ტაძიო, სამ თუ ოთხ ამხანაგთან ერთად, რომლებიც კიდევ შემორჩენოდნენ, მარჯვნივ მიდიოდა თავისი კაბინიდან. ხოლო აშენბახს მუხლებზე საბანი გადაეფარებინა, ზღვასა და კაბინების მწკრივიდან დაახლოებით შუა ადგილას შეზღოვნებზე იწვა და უკანასკნელად უჭვრეტდა ტაძიოს. ბავშვებს არავინ ადევნებდა თვალყურს, რადგან ქალები, ეტყობოდა, გამგზავრების სამზადისით იყვნენ გართულნი. მალე მათი თამაში გამწვავდა და ჩხუბში გადაიზარდა. იმ ჩასკვნილ ბიჭს, რომელსაც სარტყელიანი კოსტიუმი ესვა, შავ თმაზე საცხი ესვა და რომელსაც „იამუს“ ეძახდნენ, სახეში ქვიშა შეაყარეს. ისიც, გამწვავებული და დაბრმავებული, ტაძიოს ესვა და ჭიდაობა დაუწყო, რაც დაუყოვნებლივ შედარებით უფრო სუსტი ტურფა ტაძიოს წაქცევით დამთავრდა. მაგრამ ამ გამოთხოვების ჟამს, როგორც ჩანდა, უმრწემესში მამებლობის გრძნობა ულმობელმა უხეშობამ შესცვალა და იგი ხანგრძლივი მონობისთვის შურისძიებას ლამობდა. ამიტომ გამარჯვებული ნაქცეულსაც არ მოეშვა, პირიქით, ბურგზე მუხლი დააბჯინა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა სახეს ქვიშაში ურგავდა. ასე რომ, ტაძიოს, ბრძოლისგან ისედაც სულშეგუბებულს, დახრჩობა ემუქრებოდა. იგი ამოდ ცდილობდა ძირს ჩამოეგდო ყმანვილი, რომელიც მხრებზე აწვა. მისი კონველსიური მოძრაობები მხოლოდ ხანგამოშვებით მეორდებოდა და ბოლოს უკვე ოდნავ თუ შეტოკდებოდა ხოლმე. შეძრწუნებული აშენბახი ის იყო საშველად წამოხტომას აპირებდა, რომ მოძალადემ როგორც იქნა, ხელი გაუშვა თავის მსხვერპლს. ტაძიო, ძალზე გაფითრებული წამოჭდა და, ცალი ხელით ქვიშაზე დაყრდნობილი, რამდენიმე წუთის განმავლობაში არ განძრეულა. თმა ასწვენვოდა და თვალეები მრუმედ უელავდა. შემდეგ წამოდგა და ნელა გაშორდა ამხანაგებს. ჯერ მას მხიარულად დაუძახეს, მერე შემკრთალი ხმითა და მუდარებით, მაგრამ ვერ გააგონეს. შავგვრემანი, რომელიც ეტყობოდა, უკვე

ნანობდა თავის საქციელს, დაენია და შერიგება უნდოდა, მაგრამ ტაძიომ მხრის მოძრაობით თავიდან მოიშორა და ქეზად გაემართა ქვევით, წყლისკენ. ფეხშიშველა იყო და, როგორც ყოველთვის, წითელი ბანტით შემკული ზოლებიანი ტილოს კოსტიუმი ეცვა.

წყლის პირას ერთხანს თავჩაქინდრული იდგა, ფეხის წვერით სველ ქვიშაზე რაღაც ფიგურებს ხაზავდა, შემდეგ პლაჟსა და უახლოეს მეჩერეს შორის მდებარე ზღვის თავთხელ განმტობებაში შევიდა, რომელიც ყველაზე ღრმა ადგილას მუხლებამდეც კი ვერ სწვდებოდა, ზანტად გასტოპა და მეჩერზე გავიდა. იქ ერთ წამს შეჩერდა და სახე შორეულ სივრცეს მიაპყრო, მერე მარცხნივ გასწია, გაშიშვლებული მიწის გრძელი და ვიწრო ბედაპირის გასწვრივ. ხმელეთიდან წყლის ფართო ზოლით დამორებული, ხოლო ამხანაგებისგან ამაყი გულისწყრომით გამოთიშული, როგორც უადრესად განყენებული და თავისთავადი ფენომენი დააბიჯებდა იგი ზღვის პირას, ბურუსით მოცული უსაზღვროების წინაშე და თმას ქარი უწუნავდა. ერთხელ კიდევ შეჩერდა შორეთში გასახედად, ცალი ხელით წელზე დოინჯი ერტყა და ძირითადი პოზა არ შეუცვლია, მაგრამ ანაზღვეულად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, თითქოს რაღაცამ უბიძგაო, ბედატანი გრაციოზულად მოაბრუნა ნაპირისკენ და მხარს უკან გამოიხედა. მისი მჭვრეტელი ისევ იქ იჯდა, ისევე იჯდა, როგორც მაშინ, სასადილო დარბაზში, როდესაც ეს მონაცრისფრო-მწუხრისფერი გამოხედვა მის მხერას პირველად შეხვდა. თავი შეზლონგის საზურგისთვის მიეყრდნო და წელიად იქით მიაბრუნა, საითკენაც მეჩერზე მოარულმა გადაინაცვლა, მერე ბეასწია, თითქოსდა ტაძიოს მხერას მხერითვე უნდა შეეგებოსო და მკერდზე ჩამოუვარდა. ასე რომ, მისი თვალები ქვეშიდან იყურებოდნენ, ხოლო სახემ უნიათო, საკუთარ შინაგან სამყაროში ჩაძირულის გამომეტყველება მიიღო, როგორც ეს ძილის ბურანში ღრმად წასულთ სჩვევიათ. მას კი ეჩვენებოდა, რომ ფერმკრთალი და ნატიფი ფსიქაგოგი გაღმიდან უღიმოდა, ხელს უწნევდა, რომ ხელით, რომლითაც ეს-ეს არის დოინჯი ერტყა, შორეთისკენ მიუთითებდა, წინ მიუძღოდა რიალით საბედისწერო დაუსაბამობისკენ და, როგორც ყოველთვის, დააპირა უკან გაპყოლოდა.

რამდენიმე წუთი გავიდა, ვიდრე შეზლონგში გვერდზე ჩამოცურებულ ამენბახთან ვინმე მიირბენდა საშველად. მწერალი მის ნომერში დაასვენეს და თავზარდაცემულმა მსოფლიომ იმავე დღეს კრძალვით მიიღო ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ.

1911



